ჰოროსკოპი

დრუიდთა
დასავლური
იაპონური
ჩინური



გაერთიანება საწვ
ფილიალი „ივერია“
თბილისი, 1990

86. 391
133
ბ 829

ჰოროსკოპი პლანეტების განლაგების ცხრილია, რომლითაც ასტროლოგები საუკუნეების განმავლობაში „წინასწარმეტყველებენ“ ადამიანთა ბედს. ამჯერად გთავაზობთ დრუიდთა, დასავლურ, აღმოსავლურ, კერძოდ, ჩინურ და იაპონურ ჰოროსკოპებს. დაინტერესებული მკითხველი ბევრ საერთოს ნახავს თავის ხასიათსა და ზოდიაქოს იმ ნიშანს შორის, რომლის მფარველობის ქვეშაცაა დაბადებული.

4702170206
ბ———————— 47 — 90
022 (01) 90

ISBN 5—172—0013—8

© გაერთიანება საწც ფილიალი „იევრია“, 1990.

ჰოროსკოპი

დრუიდთა

დრუიდების ჰოროსკოპი, რომელსაც ზოგჯერ გალების ჰოროსკოპსაც უწოდებენ, ორი ათასზე მეტ წელს ითვლის.

ჰოროსკოპის გარდა, დრუიდებისაგან მოდის საახალწლო ნაძვის ხის ტრადიციაც. მათ შესახებ ცოტა რამაა ცნობილი. უძველეს გალებში, ირლანდიასა და ბრიტანეთში, ისინი შეადგენდნენ ქურუმების, ანუ კელტების ტრადიციული და ცრურწმენითი გადმოცემების და წეს-ჩვეულებების მემკვიდრეების ვიწრო კასტას. მრავალი საუკუნის განმავლობაში ზეპირსიტყვიერად გავრცელებული ამ თქმულებების უმნიშვნელოვანესმა ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია და ამდენად დაკარგულია.

თავიანთი კაპლანური მოღვაწეობის დაწყებამდე დრუიდები ვალდებულნი იყვნენ ოცი წელი მარტოობაში გაეტარებინათ. ჩვეულებრივ, ისინი ტყეში ცხოვრობდნენ. ტყეში, რომელიც მათთვის წმიდათაწმიდა იყო. ამ გამოცდას უნდა განემტკიცებინა მათი ხასიათი და ეს ითვლებოდა ზიარების პირველ ეტაპად.

უმაღლეს კატეგორიას ქურუმები წარმოადგენდნენ და გრძნეულებით იყვნენ განთქმული. ისინი კალენდარს ამ ტომებისათვის ადგენდნენ ბედნიერი დღეების მიხედვით და თაყვანს სცემდნენ როგორც წარსულის დამცველთ, ასევე მომავლის წინასწარმეტყველებს.

დრუიდები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმ ტყეებსა და ხეებს, რომელთა შორისაც უხდებოდათ ცხოვრება. აქედან მომდინარეობს, ალბათ, ის კავშირი, რომელიც არსებობს ადამიანურ ხასიათებსა და ხეებს შორის. ისინი ამტკიცებ-

ლნენ, რომ თითოეულ ადამიანს, ისევე როგორც ხეს, თავისი განსაკუთრებული თვისებები, ღირსებები და ნაკლოვანებები გააჩნია და თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს ცხოვრების განსაკუთრებული პირობები.

დრუიდები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ზამთრისა და ზაფხულის მზის პირისპირ დგომას, გაზაფხულის ანდა ზაფხულის ბუნიობას. ამ დღეებში მართავდნენ ისინი საზეიმო სვლებს და მსხვერპლად სწირავდნენ თეთრ ხარებს. მათ ჰოროსკოპს საფუძვლად უდევს სწორედ მზის მდებარეობა დედამიწისადმი. ამის შესაბამისად, ადამიანის ბედი, მისი მომავალი, ხასიათი და ნიჭი დამოკიდებულია იმაზე, თუ მისი დაბადების დღეს როგორაა მზე დაშორებული დედამიწისაგან. ამიტომაა, რომ თითოეულ ნიშანს მოქმედების ორი პერიოდი გააჩნია.

ვაშლის ხე: 22 დეკემბერი — 1 იანვარი, 25 ივნისი — 4 ივლისი.

სოჭი: 2 იანვარი — 11 იანვარი, 5 ივლისი — 14 ივლისი.

თელა: 12 იანვარი — 24 იანვარი, 15 ივლისი — 25 ივლისი.

კვიპაროსი: 25 იანვარი — 3 თებერვალი, 28 ივლისი — 4 აგვისტო.

ალვა: 4 თებერვალი — 8 თებერვალი, 5 აგვისტო — 13 აგვისტო

სამხრეთული კარტასი: 9 თებერვალი — 18 თებერვალი, 14 აგვისტო — 23 აგვისტო.

ფიჭვი: 19 თებერვალი — 28/29 თებერვალი, 24 აგვისტო — 2 სექტემბერი.

ტირიფი: 1 მარტი — 10 მარტი, 3 სექტემბერი — 12 სექტემბერი.

ცაცხვი: 14 მარტი — 20 მარტი, 13 სექტემბერი — 23 სექტემბერი.

თხილი: 22 მარტი — 31 მარტი, 24 სექტემბერი — 3 ოქტომბერი.

ცირცელი: 1 აპრილი — 10 აპრილი, 4 ოქტომბერი — 13 ოქტომბერი.

ნეკერჩხალი: 11 აპრილი — 20 აპრილი, 14 ოქტომბერი — 23 ოქტომბერი.

კაკალი: 21 აპრილი — 30 აპრილი, 24 ოქტომბერი — 2 ნოემბერი.
ცასმინი: 1 მაისი — 14 მაისი, 3 ნოემბერი — 11 ნოემბერი.
წაბლი: 15 მაისი — 24 მაისი, 12 ნოემბერი — 21 ნოემბერი.
იფანი: 25 მაისი — 3 ივნისი, 22 ნოემბერი — 1 დეკემბერი.
რცხილა: 4 ივნისი — 13 ივნისი, 2 დეკემბერი — 11 დეკემბერი.
ლეღვი: 14 ივნისი — 23 ივნისი, 12 დეკემბერი — 21 დეკემბერი.
მუხა: 21 მარტი — გაზაფხულის ბუნიაობა.
არყის ხე: 24 ივნისი — ზაფხულის პირისპირ დგომა.
ზეთისხილი: 23 სექტემბერი — შემოდგომის ბუნიაობა.
წიფელი: 21 — 22 დეკემბერი — ზამთრის პირისპირ დგომა.

ვაშლის ხე

(22. 12 — 01. 01; 25. 06 — 04. 07)

იშვიათად არის მაღალი, თვალს ახარებს, ბევრი რამა აქვს სიმპათიური, კარგი აღნაგობისაა, ძლიერ მიმზიდველი და გულისხმიერი. სიყვარულს შთააგონებს მაშინაც კი, როცა თვითონ არც ფიქრობს ამაზე (რაც იშვიათია).

ვაშლის ხე — ძალზე სანტიმენტალური და მგრძნობიარეა. სიყვარულით დაინტერესებულია როგორც თეორიულად, ასევე, რასაკვირველია, პრაქტიკულადაც. უმეტესად გათხოვებაზე უარს არ ამბობს, თუმცა პარტნიორისადმი დიდი გრძნობები არ გააჩნია (ვაშლის ხე — ძალიან მრავალმხრივი ხეა), მაგრამ ეს როდი ნიშნავს სამუდამოდ აიღოს ხელი სიყვარულსა და გრძნობებზე.

თუ იგი შემთხვევით შეხვდება ისეთ პარტნიორს, რომელიც მისი სულისა და გემოვნების შესაბამისია, მაშინ მათი ცოლქმრობა ნეტარებაა. ვაშლის ხე მუდამ ერთგულია სიყვარულისა (როგორც თავისუფალი, ასევე ცოლ-ქმრული) გვიან ასაკამდე.

უანგარო და ანგარიშმიუცემელი, ადვილად ტყუვდება. სა-

კუთარ პერანგს გაიხდის, უკანასკნელ ლუკმასაც არ დაიშურებს. ამასთან, ვაშლის ხე სრულიადაც არ არის მიამიტი. იგი დღევანდელი დღით ცხოვრობს და არ ფიქრობს ხვალინდელზე. დროდადრო ვალებსაც იღებს და ივიწყებს კიდეც, რაც მისთვის ბუნებრივია. იგი ფანტაზიებით სავსე ფილოსოფოსია, უყვარს სიცოცხლით ტკბობა და არა აქვს სურვილი ვინმეს დარწმუნებისა თუ გაკვირვებისა.

მაგრამ, ნუ გესახებათ იგი ქარაფშუტა არსებად, რადგან ინტელიგენტური, დაკვირვებული და ლოგიკურია. ვაშლის ხეს ლტოლვა აქვს მეცნიერებისაკენ. კითხულობს ყველაფერს, რაც მისთვის საინტერესო სფეროს განეკუთვნება. მისი ცოდნის ჯამი საოცრად დიდია, თუმცა არ ცდილობს ვინმეს გაკვირვებას, ჩვეულებრივ, ყველაფერს იმიტომ კითხულობს, რათა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობა. როგორც ჩანს, მეცნიერული თეორიები მას ისევე აინტერესებს, ვითარცა კარგი სამზარეულო, ამქვეყნიური სიამოვნება ურჩევნია იმქვეყნიურ ნეტარებას.

უყვარს ნაირფერობა ემოციურ სფეროში. მონოტონური, უზადო ბედნიერება მოწყენილობას გვრის. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ეს უშუალო ქალიშვილი თუ სიმპათიური ჭაბუკი თავისი სიცოცხლის მანძილზე დროდადრო გამძაფრებისკენ ისწრაფვის.

ვაშლის ხის ნიშნით დაბადებულთა თვისებებია: გულისხმიერება, ინტელექტუალობა, დაფიქრებულობა, ლოგიკა, ანალიტიკური ჭკუა.

ვაშლის ხის ნიშნით არიან დაბადებულები: რუბენსი, ჰენრი VIII, რუსო, ჟორჟ სანდი, მ. ნექსე.

ᲡᲝᲮᲘ

(02. 01 — 11. 01; 05. 07 — 14. 07)

იგი ლამაზია, უფრო ცივი, მკაცრი სილამაზისა, უყვარს ძველებური სამკაულები და ნივთები, სუნამო და მთელი სიდიადით წარმოჩენილი დღესასწაულები. ჭირვეულია და ამი-

ტომ ხანდახან ჭირს მასთან ურთიერთობა და თანაცხოვრება. მას განვითარებული აქვს განცალკევებულობის გრძნობა. ამიტომ ხშირად ეუფლება მარტოობა დიდ კოლექტივში მყოფსაც კი. ძნელად ექცევა გავლენის ქვეშ, თუმცა იშვიათად გამოთქვამს თავის აზრს, არ გამოიოჩევა დიდი მხიარულებითა და უხვსიტყვაობით. ძალიან ამაყია და დაჟინებით მიიწევს საკუთარი მიზნის მისაღწევად.

სიყვარული იშვიათად აკმაყოფილებს. მომთხოვნია და არ არის დამყოლი. მას სურს, რაც შეიძლება ბევრი გამოძალოს ცხოვრებას, რადგან კარგად იცის საკუთარი ღირსებები და, ჩვეულებრივ, ამას აღწევს კიდეც. ზოგჯერ თავდაიწყებამდე სიყვარულიც ძალუძს და მაშინ მთელი მისი სამყარო ინგრევა. მისი სიყვარული შეიძლება უსაზღვრო იყოს.

გამორჩეულად გონიერია. იგი ანალიტიკური ჭკუით არის დაჯილდოებული, მეცნიერებისადმი მიდრეკილება აქვს. თუმცა ყოველთვის ვერ აღწევს წარმატებებს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ იგი ისეთ დარგში იღვწის, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მის მიდრეკილებებთან თუ სპეციალობასთან.

სამუშაოს სერიოზულად ეკიდება და გარკვეულ სიმაღლესაც აღწევს თავისი კეთილსინდისიერებითა და სკრუპულოზურობით.

არჩევანის წინაშე დამდგარი, სხვადასხვაგვარ გადაწყვეტილებას შორის, ჩვეულებრივ, ყველაზე ძნელს ირჩევს. მძიმე სიტუაციების შექმნა როგორც თავისთვის, ასევე სხვათათვის — აი, მოკლედ, მისი მოწოდება.

რაც არ უნდა მოხდეს, იგი მაინც კეთილშობილი რჩება და ამიტომ შეიძლება სავსებით დაენდო. ყოველგვარ სიტუაციაში შეუძლია შეინარჩუნოს სულის სიმტკიცე, იმედი და რწმენა. სოჭი წვრილმანებს არ ეკიდება. იგი — მომთხოვნია და პატარა-პატარა სურვილების დაკმაყოფილებას ურჩევნია ერთი დიდი სიამოვნება მიიღოს.

სოჭის ნიშნით შობილთ ახასიათებთ ინტელექტუალური ჭკუა, ანალიზისადმი სწრაფვა, ლოგიკა და ასკეტიზმი.

სოჭის ნიშნის ქვეშ არიან დაბადებული: ჟანა დარკი, ა. ტოლსტოი, ჯ. გოლზუორთი, ნაპოლეონ ბონაპარტი.

თ ე ლ ა

(12. 01 — 24. 01; 15. 07 — 25. 07)

დიდი, ტანადი, ლამაზი. ძალზე მიმზიდველია, თუმცა სხვაგვარი შემკავებლობა დაჰყვება. მაინცდამაინც როდი აქცევს თავს ყურადღებას, იცვამს თავისებური სისადავით, ხშირად ვერც კი თმობს საყვარელ ძველ სვიტერს.

თელა არ არის მომთხოვნი და არ უყვარს თავისი ცხოვრების გართულება. მისთვის დამახასიათებელია სიმშვიდე და გაწონასწორებულობა. ყველაზე თვალსაცემი ნაკლია — ზოზინი. ჭკუის დამრიგებლობისაკენ მიდრეკილება მისი ყველაზე აუტანელი თვისებაა.

იგი პირდაპირი და გულღიაა, თავისი გულუხვობით განაიარაღებს ნებისმიერს. სჯერა ადამიანური სიკეთისა. საქმე, რომელსაც იცავს, მუდამ კეთილშობილურია და სწამს, რომ ადრე თუ გვიან მიაღწევს აღიარებას. სხვებზე მეტად ხელმოცარულია. შეუძლია ბევრი რამის გაკეთება თავისი ახლობლების საკეთილდღეოდ, განვითარებული აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა.

გრძნობებს ავლენს მგზნებარედ, ზოგჯერ მხურვალედაც. თუ მისი არჩევანი წარმატებით არის შერჩეული, მაშინ შეუძლია ისეთი პირობები შექმნას, რომ სიყვარულმა მის ოჯახში ბრილიანტის ქორწილამდეც მიაღწიოს.

უყვარს ხელმძღვანელობა და ნაკლებად ემორჩილება ხელქვეითებს. გავლენას ახდენს სხვებზე და არცთუ იშვიათად სარგებლობს ამ გავლენით. ხელეწიფება ადამიანთა მართვა. მისი მოთხოვნები ისევე დიდია, როგორც ის სიყვარული, რომელსაც გასცემს.

მოთმინებით დაჰყევით, რადგან იგი ამის ღირსია. დიდი ერთგულება შეუძლია. აქვს ჯანსაღი გონი და მოქნილი ხელი. გამოირჩევა ცოცხალი, კონკრეტული და პრაქტიკული ჭკუით. დაჯილდოებულია იუმორის გრძნობით და ხშირად ამ გრძნობას გამოჰყავს გულგატეხილობისაგან.

მისი ცხოვრება სასიამოვნოდ წარიმართება ყოველგვარი ძვრების გარეშე, ანუ ისე, როგორც თვითონ ისურვებს. თე-

ლის ნიშნით დაბადებულნი გამოირჩევიან დაკვირვებულობით, ორგანიზატორული ნიჭით, რეალიზმით.

თელის ნიშნით არიან შობილნი: მოლიერი, ედგარ პო, ალბერტ შვეიცერი, სტენდალი.

ᲙᲕᲘᲞᲐᲠᲝᲡᲘ

(25. 01 — 03. 02; 28. 07 — 04. 08)

ტანადი, მკვრივი, გამოკვეთილი ძლიერი სილუეტითა და უბრალო სწორი ნაკვთებით. არ აკლია დახვეწილობა, თუმცა არის მასში კიდევ რაღაც ცივილიზაციის გაურყვნელი ადამიანისა. იგი კმაყოფილდება მცირედით და ეგუება სიტუაციებს. შეუძლია იცხოვროს ნებისმიერ პირობებში და იყოს ბედნიერი. სწრაფად აღწევს მოწიფულობასა და დამოუკიდებლობას.

იგი მნიშვნელობას არ აძლევს ცხოვრებაში მიღწეულ წარმატებებს, არ იღვწის დიდებისათვის, არ ისწრაფვის ფულისაკენ. ერთადერთი, რისი სურვილიც აქვს — ბედნიერებაა. გაურბის ყველაფერს, რაც მას პრობლემებს უყენებს. უყვარს საზაფხულო სეირნობები, ცხოველები და ნადირობა. შეიძლება დალანდოთ ნავში, ჩაფიქრებული მჯდარი ანკესთან. და მიუხედავად ამისა, მას სძაგს მარტოობა. იგი ისწრაფვის ისე მოაწყოს თავისი ცხოვრება, რომ იყოს მრავალრიცხოვან ოჯახთა შორის, ანდა (სიყრმიდან) მუდმივი მეგობრებით გარშემორტყმული. არ არის სანტიმენტალური. ცოტა არ იყოს, უხეშია, მაგრამ არ აკლია ადამიანური სულიერი სითბო; მკაცრია, თუმცა ამასთან მშვიდიც. საზოგადოებაში სასურველია. მისი ყოფნა დამამშვიდებლად მოქმედებს.

კვიპაროსს უყვარს ოცნება, ადვილად მიჰყვება ცხოვრების დინებას, მაგრამ არ ცდილობს მის მოწყობაზე. თავის ოცნებებშია ჩაფლული და ფიქრით მუდამ სადღაც სხვა მხარეშია. მიუხედავად დავის საგნისა, გაურბის მწვავე კამათს. კერძოდ, მისი ხასიათის ელასტიკურობა ისაა, რასაც მასში ეძიებენ. თავისი ერთგულებით მიუწვდომელია. იგი ერთგულია სიყვა-

რულში, მეგობრობაში, მოგონებებში, და თუკი ვინმესადმი გრძნობით განიმსჭვალება, შეიძლება უყოყმანოდ მიმართოთ მას დახმარებისათვის.

მისი ინტელიგენტობა გონებაჭვრეტითია, საყვარელი საქმიანობაა — მსჯელობა ნებისმიერ თემაზე. მსჯელობები გააზრებული და გონივრული აქვს.

მისი ცხოვრება ხშირად მშვიდად და მდორედ მიედინება მათ შორის, ვინც უყვარს.

კვიპაროსის ნიშნით დაბადებულთ ახასიათებთ: გრძნობათა სიმტკიცე, ლოიალობა, რეფლექსურობა, ინტელიგენტობა, ანალიტიკური ჭკუა, ლოგიკა.

კვიპაროსის ნიშნით დაიბადნენ: შუბერტი, მოცარტი, რომენ როლანი, რუზველტი, ლუის არმსტრონგი.

ალვა

(04. 02 — 08. 02; 05. 08 — 13. 08)

დეკორატიულობა, ტანადობა და სილამაზე სიყრმიდანვე დაჰყვება, მაგრამ ასაკთან ერთად თავად ქმნის პრობლემებს. ძალიან მგრძნობიარეა დროის მდინარების მიმართ, ადრეულად ეპარება სიბერის შიში, რის გამოც უფრო მეტად ბერდება. მხოლოდ ახლობლების კეთილისმყოფელ გავლენას ძალუძს დაეხმაროს მას. ამიტომ დაკვირვებით უნდა შეირჩეს ის ადამიანები, ვისთანაც უნდა დაამყაროს მან ურთიერთობა.

უცილობელი სიფრთხილე მართებს ადგილსამყოფლის გამოცვლის დროსაც; ყოველგვარი გარემო როდი უწყობს ხელს ალვის განვითარებას. ალვა ცუდად გრძნობს თავს სივიწროვეში, მაგრამ მაინც არ უყვარს განცალკევებული ცხოვრება. მოთხოვნილება აქვს ჰყავდეს ამხანაგები, მაგრამ იტანჯება, თუკი ისინი მის მიერ არ არიან შერჩეული. ძალიან მგრძნობიარეა თავისუფლების შელახვის გამო და ადვილად ვარდება პესიმიზმში. იგი ცდილობს არ გაამეღავნოს ეს, მაგრამ დიდი ხნით გერაგინ შეჰყავს შეცდომაში.

მისი სიყვარული მგრძნობიარეა სულ მცირე უსიამოვნების მიმართ და ამიტომ პაწაწკინტელა წვრილმანსაც კი გამოჰყავს წონასწორობიდან. დროდადრო თავისთავად გულიც უჩუყდება, თუმცა ხშირად ახერხებს ამის დამალვას და ამ დუმილში ჰპოვებს თავისებურ სიამოვნებას.

სიმამაცე და სიამაყე ეხმარება გადალახოს ყველაზე რთული ამოცანები, ამიტომ მის სახეზე იშვიათად თუ შეამჩნევთ შეშფოთებას. ისინი, ვინც მას ნაკლებად იცნობენ, ხშირად მიიჩნევენ მხიარულ და მშვიდ ადამიანად.

იგი არ გახლავთ მატერიალისტი და მიდრეკილება აქვს ალტრუიზმისაკენ. ამასთან ბრწყინვალედ არის ორგანიზებული და არ ავიწყდება მომავალი. ცოლქმრობაში ძნელად აღწევს ბედნიერებას, ძალიან მგრძნობიარეა და ზედმეტად დამოუკიდებელი. მისი იარაღი ცოლ-ქმარს შორის ატეხილ უსიამოვნებებში გულგრილობაა, ამიტომ იშველიებს ღიმილსა და ხუმრობას. თუკი ვერ შეძლებს სხვაგვარად მოქცევას, მაშინ ამჯობინებს პარტნიორის მიმართ მტრულად იყოს განწყობილი.

აქვს მახვილი თანდაყოლილი გონიერება, რომელიც არასოდეს უბერდება. მისი გამჭრიახობა და კრიტიკული გონიერება ზოგჯერ გავლენას ახდენს მის ამბიციურობაზე. მრავალი ალვაა მედიკოსებს შორის.

ალვის ნიშნის ქვეშ დაბადებულთა მოთხოვნილებაა დამოუკიდებლობა. მიდრეკილება უჩნდებათ ნევრასტენიის, მეოცნებეობისა და სინთეზისადმი, ინტუიციისა და ფანტაზიისადმი.

ალვის ნიშნით დაიბადნენ: მენდელეევი, ჟიულ ვერნი, ა. ხიჩკოკი, სალვადორ დალი.

სამხრეთული კარტასი

(09. 02 — 18. 02; 14. 08 — 23. 08)

ტოტებგაშლილი და ძლიერი, თუმც არც ისე ტანადი, სოლიდური და ლამაზი მცენარის შთაბეჭდილებას ახდენს. ყოველგვარი სიძნელის გარეშე ეგუება ნებისმიერ პირობებს. მარ-

თალია, იგიც ოცნებობს მოხერხებულ პირობებზე, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია ღამის გათევა ღია ცის ქვეშ. კარგი ჯანმრთელობა აქვს, ყველგან ისე გრძნობს თავს, როგორც შინ და არ იცის რა არის გაუბედაობა. დინამიური და თავდაჯერებული, აიძულებს ყველას ანგარიში გაუწიონ მას, ამასთან ძალიან მგრძნობიარეა მის მიმართ ნათქვამ ხუმრობაზე და ვერც იგებს მას.

უყვარს გააკვირვოს და მოულოდნელად დაესხას თავს ვინმეს, იყოს საერთო ყურადღების ცენტრში, თუნდაც ამ მიზნის მისაღწევად ნებისმიერი მსხვერპლის გაღება დასჭირდეს. მიაჩნია, რომ სწორედ მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და გადამწყვეტი სიტყვაც თქვას. ბრწყინვალედ წყვეტს ყველაზე რთულ საკითხებს. არ აშინებს ხიფათი, წინდაუხედავია და შეიძლება აღმოჩნდეს გაუთვალისწინებელ სიტუაციაში. საბედნიეროდ, ძალა შესწევს ადვილად დააღწიოს თავი მას. ამაყია, თავმოყვარე, პირუთვნელი; ამასთან გამოუსწორებელი ოპტიმისტია, რასაც ხშირად გაუფრთხილებელი მოქმედება მოსდევს, როგორც საქმიან, ასევე პირად ცხოვრებაში. ექსცესებისადმი მიდრეკილება აქვს. თვალშესახები დამოუკიდებლობის დროს შეუძლია სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევა, ასეც ხდება, რომ თუ გამოცდილი ხელი მართავს, სხვისი ნების დამყოლი იარაღი ხდება. კარტასებს შორის მრავალი გმირია, თუმცა ასევე მრავლადაა წამებულიც.

სხვათა გავლენის ქვეშ მოქცეულს თვითონაც აქვს უნარი სხვებზე მოახდინოს გავლენა. ირგვლივ მყოფებზე წამქეზებელ ზემოქმედებას ახდენს. ფრიად დაჟინებულია და იმათ რიცხვს მიეკუთვნება, ვინც მუდამ მართალია.

მგრძნობიარე, აღქმისუნარიანი და სანტიმენტალურია — შეუძლია სამუდამოდ შეიყვაროს ვინმე და ამ სიყვარულს დიდად აღიქვამს. ინტელიგენტურია და უნარი შესწევს, პრობლემა სინთეზურად აღიქვას. გასაოცარია მოფიქრებისა და გადაწყვეტილების მიღების მისეული სისწრაფე. ძალიან ხშირად ამჩნევს, რომ მიდრეკილება აქვს არტისტიზმისაკენ, განსაკუთრებით კი მუსიკის სფეროში. ყოველ შემთხვევაში იგი რიტმის ძლიერი გრძნობით გამოირჩევა. თავგადასავლებისა-

თვის დაბადებული, ჩვეულებრივ დაუდგრომელ და ნაირგვარ შრომით ცხოვრებას ეწევა.

კარტასის ნიშნით დაბადებულთ ახასიათებთ: იმპულსურობა, ოპტიმიზმი, ინტელიგენტურობა, უნარი დედუქციისა.

კარტასის ნიშნით იშვნენ: გალილეი, ბრეჰტი, დარვინი, კოსტიუშკო, გოეთე, გლეურენი.

ფიჯვი

(19. 02 — 28/29. 02; 24. 08 — 02. 09)

დახვეწილი სილუეტი, ლამაზი, დეკორატიული; უნარი შესწევს ხაზი გაუსვას თავის ღირსებებს. უყვარს სახლი, ძვირფასი საგნები, ლამაზი ინტერიერი. ხშირად იმ საყვარელ სახლს, რის გარეშეც იგი ვერ განვითარდებოდა, თვითონვე ქმნის. ამბობენ, რომ მან იცის, რაც სურს და ტალღების დინებას არ მიყვება, რომ მისთვის საკმარისი არ არის ის, რასაც თვით ცხოვრება აძლევს. იგი არაფერს ემორჩილება და შეუძლია დაგეგმოს და დაუმორჩილოს თავის მოთხოვნილებებს პირობები.

მამაცია, წინააღმდეგობას თავაწეული ხვდება და არ ემორჩილება ბედნავსობას. გამბედაობისა და რისკის წყალობით მუდამ წინ მიიწევს. წარმატებები აქვს ყველანაირ საქმეში.

ფიჭვი გამოირჩევა იმ სიმტკიცით, რომლითაც არჩეულ გზაზე მიიწევს და ძნელია მისი გადაცდენა. შეუძლია ყველაზე რთული სიტუაციიდან თავდახსნა. ძალიან სწრაფია და ზუსტი მოქმედებისას. მიუხედავად მისი ალერსიანი მოპყრობისა და უნარისა, იყოს საყვარელი მეგობარი, მასში ვერ იპოვით გადაჭარბებულ სირთულესა და სიუხვეს. საკუთარი კეთილღღეობა და მოხერხებულობა — პირველყოვლისა. სხვათა ხელმოცარვა დიდად არ აღელვებს, თუმცა ისეც ხდება, რომ იგი მათ თანაგრძნობით მოიხსენიებს ხოლმე ამხანაგებთან საუბრის დროს. მხოლოდ ერთადერთში იჩენს სისუსტეს — სიყ-

გარულში. მგრძნობიარე და იმპულსურია, ადვილად იცის გატაცება, მერე კი უკვე გვიანია.

ამასთან მახვილი გონება აქვს და აზროვნება დალაგებული, თან კარგი ორგანიზატორიცაა. დასახული მიზნების მისაღწევად თითქმის ყველაფერს გაიღებს და, როგორც წესი, აღწევს კიდეც. ნებისმიერ უსიამოვნებებს, თუნდაც სასიყვარულო იყოს იგი, ღირსებით აღწევს თავს. ფიჭვის ნიშანი საგანგებოდ კეთილსასურველია ქალთათვის.

ფიჭვის ნიშნის ქვეშ დაბადებულთ ახასიათებთ: ესთეტიკური გონება, ორგანიზატორული ნიჭი, ანალიზისადმი მიდრეკილება.

ფიჭვის წიშნით არიან დაბადებულნი: კოპერნიკი, ვაშინგტონი, შოპენი, შოპენჰაუერი, ელიზაბეტ ტეილორი, კონ-ფუციოსი, ნაპოლეონის დედა.

ტ ი რ ი ფ ი

(01. 03 — 10. 03; 03. 09 — 12. 09)

თავისი მელანქოლიური სილამაზით ტირიფი, რომელსაც სიმღერებსაც კი უძღვნიან, ძალზე მიმზიდველი და თავისებურია. თუნდაც მხოლოდ ხილვადობით იყოს განპირობებული მისი მშვენიერება (განსაკუთრებით მაშინ, თუ ტირიფი ქალია), მასში რაღაც იდუმალება შეიგრძნობა. იგი სავსეა ბუნდოვანი აზრებით, შეუცნობადი სურვილებით, რომლებსაც ზოგჯერ თვითონაც ვერ განსაზღვრავს.

ძალიან მგრძნობიარეა, უყვარს მზის სითბო, წყალთან ყოფნა. რეაგირებს ყოველგვარ სუნსა და გემოვნებაზე. არავის ძალუძს წუთიერი სიამოვნების განცდა ისე, როგორც მას და ამიტომ არაფერზე ამბობს უარს. ნუ ენდობით ტირიფის გარეგნულ თვინიერებას, რადგან მიუხედავად ამისა, იგი საქმიანი და შეუპოვარია. კარგად იცის, რაც სურს, არასოდეს არავის თავზე არაფერს ახვევს, რადგანაც მასში განვითარებულია სხვათა პატივისცემის გრძნობა და არა აქვს სურვილი მბრძანებლობისა.

რაღაც პოეტურია მასში. მისი მელანქოლიური სენტენციები მოახლოებული შემოდგომისა და სიცოცხლის სწრაფმავლობის შესახებ ძალიან სერიოზულად არ უნდა მივიღოთ და პესიმიზმის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. ტირიფი ძალიან მძიმე და ჭირვეული პარტნიორია, ვინაიდან არა აქვს უნარი სწრაფი ადაპტაციისა და არ უყვარს კომპრომისები.

მისი უმწეობა და უილაჯობა უმეტესწილად მხოლოდ ტაქტიკაა. დროდადრო გართობის მიზნით, თან კიდევ საკუთარი გამორჩენისათვისაც კი მას ბრწყინვალედ შეუძლია გაითამაშოს და თავი სუსტ არსებად მოგაჩვენოთ. საერთოდ, ცხოვრებაში შეუძლია თავის ბრწყინვალედ დაცვა.

გრძნობებში უფრო რომანტიკულია, ვიდრე სანტიმენტალური. უყვარს გრძნობადი სიამოვნებები, მისი პოეტური შეფერადება. ტირიფს არ უყვარს სადაგი, უფერული გრძნობები. მას მსახიობობის ნიჭი, ინტუიცია და მდიდარი წარმოდგენების უნარი აქვს. ზოგჯერ არცთუ ცუდი ფსიქოლოგია, განსაზღვრული წინასწარმეტყველების წყალობით შეუძლია სხვათა აზრებისა და სურვილების ამოცნობა. მისი ცხოვრება ძალზე მდორედ წარიმართებოდა, რომ არა გადამეტებული სწრაფვა სასიყვარულო ტანჯვა-წამებისაკენ, მაგრამ არა ღირს სერიოზულად ჩავთვალოთ მისი წუწუნი: გრძნობებს, რომლებიც ტანჯვით არ არის შელამაზებული, იგი არა სცნობს.

ტირიფის ნიშნით დაბადებულთ ახასიათებთ: ინტუიცია, მდიდარი წარმოდგენები.

ტირიფის ნიშნის ქვეშ არიან დაბადებულნი: სმეტანა, ელისაბედ I (ინგლისელი), მორის შევალიე.

ცაცხვი

(14. 03 — 20. 03; 13. 09 — 23. 09)

გაუგონრად მომხიბლავია და თავისი მომხიბვლელობით სარგებლობს კიდეც. ნებისმიერს დაახვევს თავბრუს. ოცნებობს სტაბილურ, უზრუნველყოფილ და ყველანაირად მოწყობილ ცხოვრებაზე და ხშირად ანგარიშს არ უწევს იმას,

რომ ყოველივე ამას მისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. იგი ადვილად ეგუება ნებისმიერ პირობებს. კარავშიც კი შეუძლია ოჯახური მყუდროების შექმნა. ერთი შეხედვით მშვიდია და თითქმის რამდენადმე უნებისყოფოც. უთქმელი, მფრთხალი, მაგრამ ამასთან უშფოთველი და პესიმისტური, უმეტესად ცაცხვი თავის ცხოვრებას მოწყენილობაში ატარებს და ეს არის მისი მთავარი მტერი.

იგი მერყევიც არის, განსაკუთრებით მგრძნობიარეა ფარისევლობის მიმართ. საესეა წინააღმდეგობებით, ძალიან ძნელი ამოსაცნობია. მაგრამ ერთი რამ მასში უეჭველია — იგი ძალზე სიმპათიურია. მასთან ურთიერთობა სასიამოვნოა და ადვილი, რაც ფსიქიკური კომფორტის გრძნობას ტოვებს. ცაცხვს მოთმინებით შეუძლია მოსაუბრეს უსმინოს, პატივისცემით ექცევა თავის ახლობლებს და არ ცდილობს იმბრძანებლოს მათზე. იგი ყველას უყვარს მაშინაც კი, როდესაც მასზე მაინცდამაინც დიდ იმედებს ვერ დაამყარებ.

მას პრაქტიკული ჭკუა და მიდრეკილება აქვს ტექნიკისაკენ, საზრიანი და ზუსტია. თუკი იგი თავის ცხოვრების გზაზე სულით მსგავს არსებას იპოვნის, მაშინ ცოლქმრულ ცხოვრებას შეუძლია დაუბრუნოს მას წონასწორობა და აარიდოს წინააღმდეგობრიობას. ამასთან, ძლიერ აქვს განვითარებული საკუთარი ღირსების გრძნობა. იგი ეჭვიანია და უმეტესად უმიზეზოდ.

ცაცხვის ნიშნით დაბადებულთა თვისებებია: დამკვირვებლობა, რეალიზმი, ორგანიზატორული ნიჭი.

ცაცხვის ნიშნით დაიბადნენ: ა. ეინშტეინი, ლუდოვიკო XIV.

თხილი

(22. 03 — 31. 03; 24. 09 — 03. 10)

ძალიან ხშირად სუსტია, შეუხედავი. თავის „მეს" არავის ახვევს თავზე, მაგრამ თუ დაუახლოვდები, შეუძლებელია არ მოიხიბლო და არ შენიშნო მისი ორიგინალური გონიერება.

ოხილი მცირედითაც კმაყოფილია, ეგუება ცხოვრების ნებისმიერ პირობებს და ყველაფერი ესმის. მისი გარეგნობა თითქმის მაგიურ ზემოქმედებას ახდენს. თუ მოინდომა, შეუძლია თავი მოგაწონოთ, და შეგაყვაროთ კიდეც. ძალუძს იყოს კეთილი, ბრძენი, მომთმენი, მაგრამ შეუძლია ხიფათშიც ჩაგაგდოთ, სიავეც გამოიჩინოს და გავნოთ კიდეც. მასში ყოველივე გრძნეულია, ნათელია ან ბნელი და ეს დამოკიდებულია მის წუთიერ გუნებ-განწყობილებაზე ანდა საკუთარ ჭირვეულობაზე. სიკეთით სავსეა, ანდა მეტად ავი — ასეთია თხილი და ამიტომაც, არცთუ უმიზეზოდ, ამ ნიშნით დაბადებულ ადამიანებს შუა საუკუნეებში ხშირად სწამებდნენ ჯადოსნობას. თუ ვინმეს დაუახლოვდა, იგი ყველაფერს გააკეთებს, რათა ცხოვრება გაუადვილოს მას. თუ მისი სიმპათიები ვერ დაიმსახურეთ, მაშინ კი უფრთხილდით.

მიუხედავად სისადავისა და თავშეკავებულობისა, მუდამ თვალში საცემია. უკიდურესად ორიგინალური, არავის მსგავსი, ცხოვრებას სხვათაგან განსხვავებით მოიაზრებს და ხანდახან — „საწინააღმდეგოდაც".

მაშინაც კი, როდესაც უყვართ, იგი მოუსვენრობის გრძნობას წარმოშობს. შეუძლია ამოიცნოს ყველაზე ფარული ფიქრებიც, წარმოთქვას მოულოდნელი აზრები, ისე იქცევა, რომ მისგან ყოველივეა მოსალოდნელი. ძალზე გაუწონასწორებელია, შეიძლება იყოს გადაჭარბებით ინიციატივიანი ანდა, პირიქით, ყველაფერი მიატოვოს და დინებას გაყვეს. მან იცის ეს მაშინაც კი, როდესაც თავს ძალზე ანგარიშიან პიროვნებად წარმოგიდგენთ.

სიყვარულში შეიძლება იყოს ყველაზე საყვარელი ანდა ყველაზე მწამებელი პარტნიორი. სწრაფად ეცვლება გუნებ-განწყობილება. თუ რისკისა არ გეშინია, დაჰყევი მას. მასთან ცხოვრებამ შეიძლება სიმშვიდე არ მოგგვაროთ, მაგრამ ძალზე გაგიტაცებთ.

მას მრავალმხრივი ცოდნა ახასიათებს, ყოველივეს სწავლობს და ითვისებს არაჩვეულებრივად სწრაფად და ადვილად. მაგრამ მხოლოდ მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, გამოიყენებს თუ არა იგი ამ ცოდნას სასარგებლოდ და მთლიანად.

თხილის ნიშნით დაბადებულთა თვისებებია: მიდრეკილება სინთეზისადმი, ინტუიცია და ფანტაზია.

თხილის ნიშნის ქვეშ დაიბადნენ: ტოსკანინი, მარსელ მარსო, რაფაელი, გოია, ვან გოგი, ჰაიდნი, პროსპერ მერიმე, გრემ გრინი, ნელსონი, სოფი ლორენი, სერვანტესი .

ცირცელი

(01. 04 — 10. 04; 04. 10 — 13. 10)

სუსტი აღნაგობა მალავს ამ ნატურის არაჩვეულებრივ სიმტკიცეს. საყვარელი და მომხიბლავია. მსუბუქი სიარულით შეგიძლიათ შეიცნოთ იგი. მის სახეს ღიმილი არ სცილდება, არა იმდენად შინაგანი მხიარულების გამო, რამდენადაც თვითკონტროლის წყალობით. უნარი შესწევს ხაზი გაუსვას საკუთარ ღირსებებს, უყვარს ლამაზად ჩაცმა და კარგი გემოვნებაც გააჩნია.

ადვილად ეგუება ვითარების ცვალებადობას. უყვარს, როდესაც ახლობლებს სიხარულს ანიჭებს, თუნდაც საკუთარი ზარალის ფასად. არ არის ეგოისტი, მაგრამ რამდენადმე ეგოცენტრულია. დამოუკიდებელია, თუმცა ზოგჯერ ნებას დაყვება და სხვაზე დამოკიდებული აღმოჩნდება ხოლმე. პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა აიძულებს მას, ირგვლივ მომხდარში თავი დამნაშავედ იგრძნოს (დანაშაულის კომპლექსი). მასთან კონტაქტის დამყარება ძნელია და ურთიერთობა რთული. მას სისადავე არ ყოფნის.

ცირცელი გამოირჩევა გარეგანი ზემოქმედებისადმი მგრძნობელობით, მშვენიერებისადმი სიყვარულით. ლოიალობით და თავაზიანობით.

მას ყოველთვის შეიძლება ენდო. ზოგჯერ მიამიტია და ნებას იძლევა ექსპლოატაცია გაუწიო. სიყვარულში ბევრს გაიღებს, მაგრამ თვითონაც ბევრს ითხოვს. განუწყვეტლივ გამოცდას უწყობს გრძნობებს. მისი გაცრუება არ შეიძლება.

ცირცელი არ გიღალატებთ. მისი პირადი ცხოვრება ძალიან მდიდარია. სავსეა ხვალინდელი დღისადმი ზრუნვით.

წინდასედულია, რაც ხშირად მასთან შეუღლების წადილს იწვევს. ძალიან ჭკვიანია და ხშირად გამორჩეულად ეფექტური. ზოგჯერ, ყოველდღიურ საქმიანობაში ჩაფლული, თავის გეგმებს ვერ ახორციელებს ხოლმე.

ცირცელის ნიშნით დაბადებულთა თვისებებია: მგრძნობიარობა, გონიერება, ფანტაზია, სინთეზისადმი მიდრეკილება, ინტუიცია, წარმოსახვის უნარი.

ცირცელის ნიშნის ქვეშ არიან შობილნი: გოგოლი, კოლონტაი, რახმანინოვი, ანდერსენი, ზოლა, მ. ბრანდო, გრეგორი პეკი, დიდრო, ლე კორბუზიე, ვერდი.

ნეკერჩხალი

(11. 04 — 20. 04; 14. 10 —23. 10)

ფაქიზი, მოვლილი, ხანდახან ოდნავ კეკლუცი. ხშირად არის იქ, სადაც უფრო საინტერესოა ყოფნა. მოდას აყოლილია. არ განეკუთვნება უფერულ პიროვნებებს. სავსეა ენერგიითა და მხნეობით, დაუღლელია. ნეკერჩხალი, როგორც იტყვიან, ყოველთვის სათანადო სიმაღლეზეა. იგი შეიძლება მიაკუთვნოთ ინდივიდუალისტებს. თუმცა თავისი ბუნებით ნეკერჩხალი თავშეკავებული და გაუბედავია, მას შეუძლია ყველაზე რისკიანი გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა საფუძველია არა იმდენად მატერიალური ფაქტორი, რამდენადაც ცხოვრებისეული ინტერესი. არ უყვარს შინ ჯდომა, სიამოვნებით ეცნობა უცხო პირებს. ნიჭი აქვს იმისა, რომ გამოგიწვიოს გულახდილ საუბარში. მაგრამ თუკი რაიმე გაანდეთ, არ შეგეშინდეთ, — იგი არასოდეს გაკიცხავს სხვათა მოქმედებებს და არც ილაყბებს უცხოთა საიდუმლოებებზე.

ჩვეულებრივ უამრავი გეგმა აქვს, ხშირად არაჩვეულებრივიც, ექსტრავაგანტური. უყვარს ყველანაირი სიახლე, ენთუზიაზმით იცავს ყოველგვარ ახალ იდეას, მაგრამ თვითონ იშვიათად ახდენს საკუთარი პროექტების რეალიზაციას. თუმცა ეს სრულიადაც არ უშლის ხელს სიამოვნება მიიღოს თავისი ფართო ჰორიზონტისაგან. მასში ცოტაოდენი ცინიზმიც არის.

არ. უფრთხის საზოგადოებრივ აზრს. პირიქით, მოსწონს კიდეც, რომ მასზე ილაპარაკონ.

სიყვარულში რთულია. წინ მიიწევს საოცარი და გაუთვალისწინებელი გზებით. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია ბედნიერების პოვნა, თუკი შეხვდება ანალოგიური აზროვნებისა და გემოვნების პარტნიორი. ნათელი და გამჭრიახი გონება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სავსეა პრობლემებით, არ არის მოკლებული წარმოდგენებსა და ინტუიციებს. ერთი სიტყვით, მრავალმხრივი ხასიათისაა.

ნეკერჩხლის ნიშნით დაბადებულთა თვისებებია: ცოცხალი ხასიათი, იუმორის გრძნობა, ანალიტიკური გონება.

ნეკერჩხლის ნიშნის ქვეშ დაიბადნენ: ეკატერინე მედიჩი, ლეონარდო და ვინჩი, ანატოლ ფრანსი, ჩ. ჩაპლინი, ლუკრეციოს ბორჯი, ლეოპოლდ სტოკოვსკი.

კაკალი

(21. 04 — 30. 04; 24. 10 — 02. 11)

ბუნებრივობა მისთვის არ წარმოადგენს ღირსებას. იგი ზრუნავს სტილზე, დახვეწილ და ნატიფ მანერებზე, სინამდვილეში კი უბრალოდ მორცხვია. კაკალში ხშირად მრავლადაა წინააღმდეგობები, იგი ხანდახან ჭირვეული, აგრესიული, ეგოისტურია. მაგრამ ამავე დროს სტუმართმოყვარეა, ზრდილია და გაბედული ჩანაფიქრში.

იგი შეიძლება იყოს ლოიალურიც და ერთგულიც, მაგრამ ასევე მერყეევიც. წინასწარ არავინ იცის, როგორ მოიქცევა ამა თუ იმ შემთხვევაში, ამიტომ არ იცი როგორ მიუდგე.

ყოველგვარი მიზეზის გარეშე შეუძლია გიერთგულოს და შეგიყვაროს. ან პირიქით — უარი თქვას მათზე. ზოგჯერ თვითონ ეწამება და დიდი სიამოვნებით აიძულებს სხვებსაც, ეწამონ. მან უსათუოდ უნდა გაართულოს სიტუაცია. თავისი გამორჩეულობის მოთხოვნილებით წამებული, ეჭვიანი და ალერსიანი, კაკალი არ გამოირჩევა სიდინჯით. თუ გიყვარს იგი ანდა მეგობრობ მასთან, მუდამ მოულოდნელობებს ელო-

დე. იმეგობრე მასთან, თუ გრძნობ, რომ შეგიძლია მის გავლენას წინ აღუდგე, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მუდამ თავის ნება-სურვილზე გატარებთ.

ცხოვრებაში შესანიშნავი სტრატეგია. კარგად აფასებს, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მის განზრახვას, შეიძლება ძალზე ვერაგულადაც მოიქცეს და თავიც არ შეიწუხოს ზედმეტი სინდისის ქენჯნისაგან. ხშირად იპყრობს ირგვლივ მყოფთ მოქმედების სისწრაფით. თუმცა შეხვდებით ქვეშ-ქვეშა კაკლებსაც.

იქითკენ ისწრაფვის, რომ მისი ცხოვრება არ იყოს ჩვეულებრივი. არ უფრთხის რისკს, არ ცდილობს თავის მოწონებას, არ ცნობს კომპრომისებს, არ დადის გათელილი გზებით. კაკალს ბევრი მეგობარი ჰყავს და არც მტერი აკლია. მას მიაჩნია, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედად უნდა იყოს. ზრუნავს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განკერძოებულობისაკენ. ზოგჯერ იგი იმდენად გამორჩეულია, რომ შეუძლებელია არ შენიშნო და არ გაუწიო ანგარიში.

კაკლის ნიშნის ქვეშ დაბადებულთა თვისებებია: გაბედულება, დამკვირვებლობა, ორგანიზატორული თვისებები.

კაკლის ნიშნის ქვეშ არიან დაბადებულები: კანტი, ეკატერინე II, ელიზაბეტ II (ინგლისელი), შექსპირი, პაგანინი, კოლუმბი, დოსტოევსკი.

თ ა ს მ ი ნ ი

(01. 05 — 14. 05; 03. 11 — 11. 11)

მოძრავი, ცოცხალი და გულღიაა, უნარი აქვს მიიზიდოს ადამიანები თავისუფალი და მოხერხებული საუბრით, თავისი სურვილის გარეშე ხვდება ყურადღების ცენტრში.

ჩვეულებრივ სწორედ რომ მისგან ელიან საზოგადოებაში ძალდაუტანებელი ვითარების შექმნას. სხვებს წარუდგენს თავს როგორც გაწონასწორებული, მხიარული და ცხოვრებისეული პრობლემებისგან თავისუფალი, მაგრამ მხოლოდ მის-

მა ახლობლებმა იციან, თუ არსებითად როგორი მგრძნობიარეა და შეუძლია გული გაიტეხოს. ამიტომაც, რამდენიც არ უნდა ეცადოს ჟასმინმა დამალოს — იგი, დაბადებიდანვე პესიმისტია.

ის, რაც სხვათათვის საეჭვოა, მისთვის მხოლოდ ღრმად ჩამალული რეზერვია. მან ყველაზე უკეთ იცის დიპლომატიის უპირატესობა და ჰარმონიული დამოკიდებულების ორგანიზება დანარჩენებთან. სამწუხაროდ, ეს ღირსებები ნაკლებად ვლინდება მის საკუთარ სახლში. აქ ეძიებს იგი დამოუკიდებლობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. არ უყვარს, როდესაც შებოჭილია, შეზღუდულია, მოვალეობები გულს უმძიმებს, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ ემორჩილება თავისი მოვალეობის გრძნობას.

მისთვის უცხო არ არის პასუხისმგებლობის გრძნობა, თუმცა ეს ყოველთვის როდი იწვევს მასში საუკეთესო გუნება-განწყობილებას. ჟასმინთან ერთ უღელქვეშ ცხოვრება იოლი არ გახლავთ. მით უმეტეს, რომ მას ძალიან მალე უტყდება გული და წინასწარ შექმნილ აზრს ემორჩილება. უყვარს ბავშვები და კარგადაც გრძნობს თავს მათთან. რაკი ცხოვრებისაგან ბევრს არაფერს ელის, ამიტომ ბავშვებზე დიდ იმედებს ამყარებს. ყველაზე რთულ საკითხებს უხსნის მათ სადად და ნათლად და ამას მონდომებითა და გონივრულად აკეთებს. სწორედ ბავშვებს მოაქვთ მისთვის ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიხარული და კმაყოფილება.

ჟასმინი მატერიალისტი არ გახლავთ, თუმცა ხშირად არცთუ ცოტა ფულს აკეთებს. არ ეშინია სამუშაოსი, მის ინტელიგენტობას და აზრის მოქნილობას დიდად აფასებს ხელმძღვანელობა.

ჟასმინის ნიშნით დაბადებულთა თვისებებია: კრიტიკული ჭკუა, ინტელიგენტობა, ფანტაზიასთან შერწყმული ინტუიცია.

ჟასმინის ნიშნის ქვეშ არიან დაბადებული: მაკიაველი, სენკევიჩი, ფროსტი, მარტინ ლუთერ კინგი.

ᲬᲐᲑᲚᲘ

(15. 05 — 24. 05; 12. 11 — 21. 11)

წაბლი ძლიერ ლამაზია, თვით დეკორატიულიც კი, თუმცა არ ცდილობს დაიპყროს ირგვლივ მყოფთა გულები თავისი მომხიბვლელობით. მას სივრცისადმი ლტოლვა აქვს, სავსეა სიცოცხლითა და ძალ-ღონით. სამართლიანობის თანდაყოლილი გრძნობა აქვს და ნებისმიერი დარღვევა უნებლიე პროტესტის გრძნობას იწვევს. იგი მზადაა დაიცვას თავისი სიმართლე ნებისმიერი საშუალებით, მიუხედავად იმისა, თუ რა შეიძლება მოყვეს ამას. მტრულად ეპყრობა ხელმოჭერილობას, ყოველგვარ ტაქტიკურ და დიპლომატიურ ხრიკებს, რითაც ხშირად უნებლიეთ მის წინააღმდეგ განაწყობს ადამიანებს. სხვებთან ურთიერთობაში მოუქნელობას იქამდე მიჰყავს, რომ იგი ათასგვარ საქმიანობას იცვლის და ბევრჯერ რწმენაც ეკარგება, რაც მის დიდხანს ამახსოვრდება, რადგან ძალიან მგრძნობიარეა.

მიუხედავად დაჟინებულობისა და სიმტკიცისა, არ არის ჯიუტი. შეუძლია იყოს წინდახედული, რის წყალობითაც მას ჩვეულებრივ მატერიალური პრობლემები არ გააჩნია. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მორალის წესებს და ხშირად იხრება პურიტანიზმისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ აქვს გარკვეული მგრძნობელობა. მოულოდნელია მასში მოხერხებული ცხოვრებისაკენ ლტოლვა. ზოგჯერ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ვერ ეგუება ცხოვრებას, მაგრამ ეს მხოლოდ მტრული დამოკიდებულებისა და საკუთარი თავისა და სხვისადმი უნდობლობის შედეგია.

წაბლი შეუვალია და ჭირს მასთან ურთიერთგაგება. ხშირად უსინდისო ადამიანის სახელით არის ცნობილი. შეიძლება ეს დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ დიდი მიდრეკილება აქვს გააწბილოს სხვები. ძალიან დიდ სიყვარულს ითხოვს, მაგრამ თვითონ წამდვილი სიყვარული მხოლოდ ერთხელ შეუძლია, რის გამოც ძნელად აღწევს ბედნიერებას. სიყვარულისადმი მოთხოვნილება და ამასთან შიში იმისა, რომ იგი შეიძლება არ შეიყვარონ, ართულებს მის დამოკიდებულებას

ბარტნიორთან. მისი კომპლექსები ვლინდება გამომწვევ საქციელში, რაც ხშირად გაუგებარია გარეშეთათვის.

გონებრივი ცხოვრება — ცოცხალი და კონკრეტულია და ეფუძნება დაკვირვებებს. ნიჭიერია, სწრაფი და ზუსტი, მაგრამ მიდრეკილება აქვს ოცნებებისა და ფილოსოფიური ფიქრისაკენ. მის ცხოვრებაში ბევრი რამაა დამოკიდებული არსებულ გარემოზე. მისი ნიჭი სრულად მაშინ იფურჩქნება, როდესაც ახლობლების თანაგრძნობას და გაგებას აღწევს.

წაბლის ნიშნით დაბადებულთა თვისებებია: სიმამაცე, რეალიზმი, დამკვირვებლობა და შორსმჭვრეტელობა, ორგანიზატორობის უნარი.

წაბლის ნიშნის ქვეშ დაიბადნენ: ვოლტერი, რუსო, ბალზაკი, ჰენრი ფონდა, პიერ კიური, ლომონოსოვი, სტივენსონი.

ი ფ ა ნ ი

(25. 05 — 03. 06; 22. 11 — 01. 12)

ეს მშვენიერი და ძლიერი ხეა. სასიამოვნო შესახედაობისა, აღნაგი სილუეტი აქვს, ელეგანტურად და თავისუფლად მოძრაობს. თავისი თავი მოსწონს. მასთან მუდმივად ცხოვრება ადვილი არ გახლავთ. ცოცხალი ხასიათი აქვს და ძალიან მომთხოვნია. ისწრაფვის იქითკენ, რომ მასზე ზრუნავდნენ, რომ ფიქრობდნენ და ცხოვრობდნენ ისე, როგორც მას ყველაზე მეტად მოსწონს, აკეთონ მხოლოდ ის, რაც მას მოეწადინება. მაგრამ რაკი ნდომა აქვს დამოუკიდებელი ცხოვრებისა, ყველა როდი იტანს ამას.

იგი დასცინის ცხოვრებისეულ სირთულეებს და ეს უპასუხისმგებლობისა და უნებისყოფობის შთაბეჭდილებას ქმნის. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. იფანმა ძალიან კარგად იცის, რაც სურს და უფრო უკეთესად, რაც არ სურს. თავმოყვარეა ყველაფერში, რაც კი საკუთარ წარმატებებსა და კეთილდღეობას შეეხება.

საკუთარი ბედნიერებისაკენ სწრაფვაში იმდენად ეგოისტურია, რომ შეუძლია გადათელოს ყველაფერი, რაც ხელს

უშლის მას მიზნის მიღწევაში. ეგოისტია, მაგრამ არა ძუნწი. ხელგაშლილია და არაფერს იშურებს.

ეს ჭირვეული ნატურა სიყვარულში სულ სხვა თვისებებს ამჟღავნებს: წინდახედულია და მტკიცე, კერძოდ ამ სფეროში იფანს უდიდესი წარმატებები აქვს და შეუძლია კარგი არჩევანის გაკეთება, ყველაფრის აწონ-დაწონვა. მისი შეუღლება სიყვარულით, ამასთან, გონივრული ქორწინებაა. იშვიათად ცდება და დიდძალ ღონეს ახმარს ოჯახური ცხოვრების მოწყობას. რაც, უნდა ითქვას, ხშირად ხელეწიფება კიდეც. მისი ჭკუა ეფუძნება, პირველ ყოვლისა, ინტუიციას. ორიგინალურია და ფანტაზიით სავსე. იფანს, ისევე როგორც ცირცელს, ტირიფსა და კაკალს, არაჩვეულებრივი ნიჭი აქვს წინასწარმეტყველებისა. ხშირად ერთობა წინასწარმეტყველის როლის თამაშით.

იფანი ყოველთვის ეთამაშება ბედს. მაგრამ ეს ხე საიმედოა და ნუ შეგეშინდებათ, მის ჩრდილს თავი რომ შეაფაროთ.

იფნის ნიშნით დაბადებულთა თვისებებია: ინტელიგენტობა, ინტუიცია, ფანტაზია.

იფნის ნიშნის ქვეშ დაიბადნენ: დე გოლი, ჯონ კენედი, მარკ ტვენი.

რცხილა

(04. 06 — 13. 06; 02. 12 — 11. 12)

ლამაზი ხეა, თუმცა განსაკუთრებულ მომხიბვლელობას მოკლებულია. ახალგაზრდობაში ხშირად ძალიან ლამაზია ხოლმე, მაგრამ დროთა ვითარებაში ეს თვისება ეკარგება. რცხილა მის გარშემო არსებულ სამყაროს შემწყნარებლურად უყურებს. იგი ესთეტის ტიპია. ყურადღებას უთმობს უფრო ფორმას, ვიდრე შინაარსს. პირად ცხოვრებაში მას უწინარეს ყოვლისა აინტერესებს პირადი უპირატესობა.

აშკარად გამოხატული მიდრეკილება აქვს დისციპლინისა

და მორჩილების. გამორჩეულობის ტრფიალია, ოცნებობს ჯილდოებსა და პატივზე, სხვების მხრიდან აღფრთოვანებას მოკლებული, გულნაკლულია. ყველაზე მეტად მოსწონს დაკანონებული წესრიგისადმი მორჩილება და ამიტომ იშვიათად იჩენს ინიციატივას. გადაწყვეტილების მიღება აშინებს, ვაითუ მას შეცდომა მოჰყვესო. ამასთან პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის გრძნობა აქვს მოჭარბებული. არ უყვარს საზოგადოების მიერ მიღებული კანონებისაგან გადახვევა, უხალისოდ ღალატობს ერთხელ აღებულ სწორ, უკვე გათელილ და გამოცდილ გეზს. ახალ იდეებს სიფრთხილით ეკიდება, მაგრამ ამასთან წინააღმდეგია ასეთი აზრისა: „მაინც სულ ერთია“.

სიყვარულში გამოირჩევა უდიდესი ერთგულებით. გრძნობას ისე ეკიდება, როგორც პასუხსაგებ საქმეს. ამიტომ იგი საყვარელი და სასიამოვნო პარტნიორია. მაგრამ თუ ცხოვრება ასეთი არჩევანის წინაშე დააყენებს, სიყვარული თუ მოვალეობა, როგორც წესი, მეორეს ირჩევს.

რცხილის ნიშნით დაბადებულთა თვისებებია: ინტელექტუალობა, ინტუიცია, ფანტაზია, არტისტიზმისადმი მიდრეკილება.

რცხილის ნიშნის ქვეშ დაიბადნენ: კორნელი, მიუსე, თ. მანი, პ. გოგენი, ა. ხაჩატურიანი, შუმანი, უ. დისნეი, მარია სტიუარტი, ჰორაციუსი, რობერტ კოხი.

ლ ე ღ ვ ი

(14. 06 — 23. 06; 12. 12 — 21. 12)

იგი დელიკატური ხეა, რომელსაც მკვეთრად გამოსახული თვისებები აქვს. სილამაზით დაჯილდოებული არ გახლავთ, მაგრამ შეუმჩნეველი არ რჩება. ლეღვის ხე რამდენადმე შთაბეჭდილებიანია და ზოგიერთი კომპლექსიც ახასიათებს, ყველგან და ყოველთვის თავს კარგად როდი გრძნობს. ითხოვს ცხოვრებისეულ სივრცესა და სითბოს. არასასურველ პირო-

ბებში ჭკნება. ძნელად იტანს გაჭირვებას. მოწყენილი და დარდით სავსე, ხმება. ასეთ პირობებში მისი დაცვითი სისტემა სუსტდება და ძალიან ყურადღებიანი უნდა იყოთ, რომ ხე არ დაიღუპოს.

ოჯახური გარემოს დიდი მოყვარულია. აუცილებლობად მიაჩნია მუდმივი კონტაქტები ახლობლებთან, თუნდაც მაშინ, როდესაც მის ასეთ თვისებას არ აფასებენ და იმედებს არ უმართლებენ. მიდრეკილება აქვს სტაბილურობისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არცთუ დიდად მტკიცეა ბევრ რამეში.

ემოციური და შემწყნარებელი ხასიათისაა, ზოგჯერ ამ სულიერი სიმშვიდისა და ცხოვრებისეული ტკბობის გამო ისჯება ხოლმე, თუმცა წინააღმდეგობას უწევს ცდუნებებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ცვალებადია (ხშირად აზრებში), ცდილობს ზუსტად შეასრულოს ყოველდღიური ვალდებულებები. მისი ნდობა შეიძლება. შრომობს მუყაითად, თუმცა სულის სიღრმეში ზარმაცია. იმპულსურია და სიკეთით სავსე, მაგრამ ცხოვრებაში მუდმივად ებრძვის საკუთარ სისუსტეებს.

ლეღვი — რეალისტია, მუდამ საქმიანი და ფხიანი. ეს ხე ნამდვილი განძია თავისი ახლობლებისათვის. იგი მეტად ნაყოფიერია. დარგე საკუთარ ბაღში, კარგად მოუარე და არ ინანებ. იგი იმათ რიცხვს განეკუთვნება, ვისთანაც ქორწინება ღირს. მაგრამ ნუ ელი მისგან საოცრებებს, რადგან იგი რომანტიკული საყვარლების რიცხვში არ შედის. სადა გრძნობებს უფრო მეტად აფასებს, ვიდრე „რაღაც ფანტაზიებს". ნებისმიერი უკომპლექსო ხე, რომელიც კი მას გაუგებს, კარგად ეთვისება. მაგრამ ყურადღებით იყავით: ლეღვის ხემ ძალიან იცის განაწყენება!

ლეღვის ნიშნით დაბადებულთა თვისებებია: იმპულსურობა, პრაქტიკული ჭკუა, დამკვირვებლობა, რეალიზმი, ორგანიზატორული ნიჭი.

ლეღვის ნიშნის ქვეშ დაიბადნენ: ჰ. ჰაინე, ბეთჰოვენი, ე. პიაფი, ბ. ბრანდტი, ფ. გარსია ლორკა, გრიგი, სტრავინსკი.

(21. 03)

სიცოცხლით სავსეა, ძალ-ღონითა და სილამაზით გამორჩეული, მასში სისუსტის წატამალიც კი არ არის. დიდებული და დირსებით სავსე მოძრაობები ახასიათებს და ეს სოლიდურობა ადამიანებში მისდამი პატივისცემას ბადებს. სავსებით ჯანმრთელია, რაც მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ვერ იტანს დაძაბუნებას და ავადმყოფობას, სისხლის დანახვამ კი შეიძლება გულისწასვლამდე მიიყვანოს.

ძალიან ვაჟკაცურია, მაგრამ ეს სიმამაცე მომდინარეობს არა იმდენად მისი სულიერი თვისებებიდან, რამდენადაც გადაჭარბებული სიამაყისაგან. არ უნდა, რომ იგი ლაჩრად მიაჩნდეთ, ამიტომ გამწვავებულ ვითარებაში წინასწარვე იმაზე მკვეთრად რეაგირებს, ვიდრე ეს საჭიროა. თავშეკავებულსა და ნებისყოფიანს ჩვეულებად არა აქვს ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება შეცვალოს და, როგორც წესი, ყოველთვის აღწევს დასახულ მიზანს. მაგრამ ამ დაუთმობლობას ასევე ცუდი მხარეებიც აქვს: მუხა მოუქნელია და მისი შეურიგებლობა დავიდარაბას უქმნის. ბევრს მიაღწევდა, ცოტაოდენი დიპლომატობა რომ შეეძლოს.

თვითონ ძალზე დამოუკიდებელია. ვერ იტანს ვერავითარ შეზღუდვებს, მისი მოქმედება ხშირად თვითნებობის ზღვარზეა და [illegible]ინც უყვარს სხვათა აზრის გაზიარება და მათი დამოუკიდებლობა. გულთბილი და სტუმართმოყვარეა, მეგობრობაში უტყუარია, მაგრამ ყოველთვის როდია ასეთი სიყვარულში. ცვალებადი არსებაა, შემდგომი გატაცებების მსხვერპლია, დარწმუნებულია, რომ „ახლა ეს სამუდამოა“ ჭორწინებისას ნელ-ნელა ითოკება.

ფეხზე მყარად მდგარი, თითქოს შეზრდილია გარემოსთან, აგრძელებს და ავითარებს შექმნილ სიტუაციებს. არ ისწრაფვის გარდაქმნისაკენ და უკმაყოფილოდ იღებს ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეულია სხვათა მოქმედებით. იგი კონსერვატორია. მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო შეუძლია უანგაროდ მოქმედება, ყოველთვის თავის გამოჩენას ცდილობს და

მთელი ყურადღება კონცენტრირებული აქვს პირად პრობლემებზე. სხვისი ცხოვრება არ აინტერესებს.

კონკრეტულ საქმეებშია ჩაფლული, აზროვნებს ნათლად და საქმიანად, იგი მოქმედების ადამიანია, არც ინტუიცია ღალატობს, ისეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც ჯითარებისდა მიუხედავად მუდამ „საკუთარი ინტერესებისაგან გამომდინარე" მოქმედებენ. ჩვეულებრივ, თავისი ახლობლების ცხოვრებას სრულად უზრუნველყოფს.

მუხის ნიშნის ქვეშ დაბადებულთა თვისებებია: გაბედულება, მოქმედებების სიზუსტე, პრაქტიკული ჭკუა, რეალიზმი, დამკვირვებლობა, ორგანიზატორული ნიჭი.

მუხის ნიშნით დაიბადნენ: ი. ს. ბახი, ბენიტო ხუარაზი.

ARYIS ხე

(24. 06)

მოქნილი და არისტოკრატულია, მსუბუქი, საყვარელი თანაცხოვრებაში. იგი წარმატებით სარგებლობს, არასოდეს იყენებს ბოროტად თავაზიანობას, შეუძლია იყოს დელიკატური და თავშეკავებული, არავის ახვევს თავის სიმპათიებსა და გუნებ-განწყობილებას, სამაგიეროდ არაფერს ითხოვს და არც არაფერი სურს.

პურიტანობამდე სადაა, მაგრამ მუდამ ელეგანტურია, ყოველგვარი მორალიზების გარეშე. ზომიერებისა და მოთმინების გრძნობით საგსეა, მხოლოდ ერთს ვერ ეგუება — ვულგარულობას. ფუფუნება და იაფფასიანი თავწარმოჩენა მისთვის უცხოა. სნობიზმის ნიშან-წყალიც კი არ გააჩნია. დიდი სიამოვნებით იცხოვრებდა სოფელში, თუმცა შეუძლია შეეგუოს ყოველ ადგილს, მხოლოდ ჰქონდეს შესაძლებლობა მშვიდი მუშაობისა. მიუხედავად მოხდენილი გარეგნობისა, არყის ხე შრომაში იზრდება და თვითონაც უყვარს მუშაობა.

მისი მორიდებული და დელიკატური ხასიათი განსაზღვრავს მშვიდი სიყვარულისადმი მიდრეკილებას. სანტიმენტალურია და არ უფრთხის ძალიან ვნებიან გრძნობებს. ლოიალუ-

რი და ერთგულია, შეუძლია შინ შექმნას მყუდროება. და ოჯახური ბედნიერება. ზოგჯერ ქორწინებაში რამდენადმე ნაჩქარევად შედის, მაგრამ არასოდეს ნაღვლობს ამ არჩევანის გამო.

არყის ხის რამდენადმე განმასხვავებელი ნიშანია — ინტელიგენტობა. მის წარმოდგენებსა და გამომგონებლობას ჭეშმარიტად ხომ საზღვარი არ გააჩნია. სამუშაოს მუდამ შემოქმედებითად უდგება. უნარი იმისა, რომ შემოქმედებითად იაზროვნოს და განახორციელოს ცხოვრებაში ეს აზრი, შერწყმული მის შრომისუნარიანობასთან, შესაძლებლობას აძლევს მას, ყველა კარი ხსნილი ჰქონდეს.

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლია ნებისმიერ საქმეს მიჰყოს ხელი, ყველაზე დიდ წარმატებებს ხელოვნების დარგში აღწევს. ნაკლებგულღიაა და ეს არის სწორედ მისი ერთადერთი ნაკლი. არისტოკრატული ცხოვრება, კონტაქტები გავლენიან ადამიანებთან მის ყურადღებას არ იქცევს. არყის ხე ხშირად ბედნიერია. იგი ხომ ძალიან ცოტას ითხოვს ცხოვრებისაგან — მისთვის საკმარისია ახლობელი გული და კარგი ბიბლიოთეკა.

არყის ხის ნიშნით დაბადებულთა თვისებებია: რბილი ხასიათი, სინთეზი, ინტუიცია, ფანტაზია.

არყის ხის ნიშნის ქვეშ დაიბადნენ: გუტენბერგი, მათეიკო, სტრელეცკი.

ზეთისხილი (ზეთის ხე)

(23. 09)

იგი არცთუ დიდია, ზოგჯერ ლამაზისა და მახინჯის ზღვარზეა, მაგრამ მომხიბვლელობა არ აკლია. ხშირად აწუხებს რევმატიზმი, ამიტომაც ძლიერ უყვარს მზე და უმისობა ადარდებს. იგი გაწონასწორებული და მშვიდია, არ არის აგრესიული იმის გამო, რომ არ სურს გაირთულოს ცხოვრება. მომთმენია, თუმცა აქვს საკუთარი შეხედულებები ცხოვრე-

ბაზე. მას დასაშვებად მიაჩნია ისიც, რომ სხვებსაც გააჩნდეთ საკუთარი აზრები. არასოდეს ერევა სხვათა საქმეებში.

ზეთისხილი იმდენად დელიკატურია, რომ ადვილად შეიძლება დაადანაშაულო გულგრილობაში, მაგრამ იგი სრულიადაც არ არის გულგრილი. პირიქით, აუცილებლობის ჟამს ნებისმიერს შეუძლია მიმართოს დახმარებისათვის.

ყოველგვარ სიტუაციაში ინარჩუნებს ღიმილს, ნაწილობრივ იმის წყალობით, რომ შეუძლია თავის ფლობა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ უაზრობად მიაჩნია ნერვების აშლა. შეუძლია თავისი სიმშვიდე და უშფოთველობა სხვებსაც გადასდოს.

მიუხედავად იმისა, რომ ზეთისხილი გულმხურვალეა, იმის საკმარისი ჭკუა და ჯანსაღი აზროვნება კი აქვს, არავის დართოს ნება მისი სიკეთის ექსპლუატირებისა. იგი თანდაყოლილი სამართლიანობის გრძნობით გამოირჩევა. ყველაფერს იგებს და შეუძლია შევიდეს სხვის მდგომარეობაში. მისთვის ჩვეული მიუკერძოებლობა აიძულებს მას დაივიწყოს საკუთარი თავი. მან იცის ამის შესახებ და ადრევე ურიგდება ამ აზრს. ამიტომაც უყვართ და აფასებენ მას, თუმცა თვითონ სხვებზე შთაბეჭდილების მოსახდენს არაფერს აკეთებს. მათთან ურთიერთობისას თავშეკავებულია.

ზეთისხილი სიყვარულისას ცდილობს არ იყოს ეჭვიანი, უყვარს პარტნიორის დამოუკიდებლობა, თუნდაც მაშინ, როცა ამის გამო ჩუმად იტანჯება. ისიც ხდება, რომ ღრმად იხევს უკან, თითქმის პირად სიყვარულსაც თმობს. მაგრამ ეს სულაც არ არის იმის მიმნიშნებელი, რომ იგი სუსტია და ადვილად დამყოლი. უბრალოდ, ზეთისხილისთვის უმთავრესია სიმშვიდე.

დიდი ინტელიგენტობით გამოირჩევა, ბევრ დროს უთმობს ფიქრებს, უყვარს კითხვა, სწავლობს საკუთარი თვალსაწიერის გაფართოებისათვის. თუმცა არ ისწრაფვის ამისთვის, მაგრამ მაინც იქცევს ყურადღებას, ხანდახან ცნობილიც კი ხდება. ის იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც ახლობლებისთვის სიმშვიდე და ბედნიერება მოაქვთ, ხოლო შემდგომ კეთილ სახელს ტოვებს.

ზეთისხილის ნიშნით დაბადებულთ ახასიათებთ: მსჯელო-

ბის სიზუსტე, ანალიტიკური ჭკუა, დედუქციისა და რეფლექსიის უნარი.

ზეთისხილის ნიშნით დაიბადა იმპერატორი ავგუსტინე.

წ ი ფ ე ლ ი

(21 — 22. 12)

აშოლტილი და ლამაზია. მიეკუთვნება იმათ, ვინც ღრმა სიბერემდე აღწევს და ინარჩუნებს ყველა იმ თვისებას, რომელიც ახალგაზრდობას ახასიათებს. მას შეუძლია შეინარჩუნოს კარგი ფორმა, მოხდენილი სილუეტი, მოხერხებულობა და მოქნილობა მოძრაობისა. ყოველთვის მოვლილია, არ უცხოობს კოკეტობასაც.

თუკი სასურველ გარემოში მოხვდება, ნებისმიერ სფეროში აღწევს წარმატებას. მოხერხებულობასა და საზრიანობას ავლენს ნებისმიერ სიტუაციაში. ნაირნაირი გეგმები აქვს, რომელთაც წარმატებით ახორციელებს. არავის აძლევს ნებას, გზას ააცდინოს. ძალა შესწევს თავისი ცხოვრება კარგად მოაწყოს.

ზოგჯერ გულუხვობასაც იჩენს, თუმცა ჩვეულებრივ ძალიან ანგარიშიანია და უშეცდომოდ აგეგმარებს თავის ბიუჯეტს. მაინცდამაინც არ უყვარს თავისი საკუთრების გაყოფა, მას ეკონომიურად ხარჯავს.

წიფელი წესიერი არსებაა, მრავალი სოლიდური თვისების პატრონია, ყველაფრის აწონ-დაწონვა იცის, არასოდეს დაჰყვება შემთხვევითობის ნებას. სიყვარულისას არ ჰყოფნის ფანტაზია. იდეალური ქმარია (ცოლია). ისწრაფვის ჰყავდეს შვილები, სამაგალითოდ მოაწყოს სახლი, კარგად გაატაროს შვებულება. უკვე მოწიფულს შეიძლება თავს გადახდეს ერთი ან ორი ფათერაკი, ისიც უმეტესად იმის გამო, რომ ისწრაფვის დაუმტკიცოს თავის თავსა და სხვებსაც, რომ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მომხიბლავი და მხნე.

ინტელიგენტურია, აქვს ორგანიზატორული ნიჭი და ნათელი გონება. ნაღდი მატერიალისტია. უპირველეს ყოვლისა

სურს იყოს მდიდარი, შემდგომ კი, თუ შესაძლებელია — ბედნიერი.

წიფლის ნიშნით დაბადებულთა თვისებებია: დაფიქრებულობა, სიზუსტე, ორგანიზატორული ნიჭი, რეალიზმი.

წიფლის ნიშნით არიან დაბადებულნი: პუჩინი, სტალინი.

ჰოროსკოპი

დასავლური

თხის რქა: 22 დეკემბრიდან — 20 იანვრამდე;
მერწყული: 21 იანვრიდან — 18 თებერვლამდე;
თევზები: 19 თებერვლიდან — 20 მარტამდე;
ცერძი: 21 მარტიდან — 20 აპრილამდე;
კურო: 21 აპრილიდან — 21 მაისამდე;
ტყუპები: 22 მაისიდან — 21 ივნისამდე;
კირჩხიბი: 22 ივნისიდან — 22 ივლისამდე;
ლომი: 23 ივლისიდან — 23 აგვისტომდე;
ქალწული: 24 აგვისტოდან — 23 სექტემბრამდე;
სასწორი: 24 სექტემბრიდან — 23 ოქტომბრამდე;
ღრიანკალი: 24 ოქტომბრიდან — 22 ნოემბრამდე;
მშვილდოსანი: 23 ნოემბრიდან — 21 დეკემბრამდე.

თხის რქა

(22 დეკემბრიდან — 20 იანვრამდე)

დედამიწის ნიშანია. მფარველობს სატურნი. ჯიუტი ხასიათისაა, გონებაგახსნილი. თხის რქა ზოდიაქოს ნიშნებს შორის ყველაზე ამტანი და მტკიცეა, როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურად. გულჩახვეულია და იდუმალად პატივმოყვარე. იგი რეალური სინამდვილით ცხოვრობს, შეუძლია და უყვარს კიდეც შრომა. ჭარ-

მატება უჩვეულო ძალით იზიდავს. ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა მიიწევს მიზნისაკენ და ყოველგვარ დაბრკოლებას უდიდესი მოთმინებითა და გაუგონარი შეუპოვრობით ლახავს.

თხის რქას ვერაფერი აურევს თავგზას და აიძულებს გზიდან გადაუხვიოს.

თხის რქა ახალგაზრდობიდანვე ისახავს მიზანს და მზადაა მთელი ცხოვრება მისდიოს მას. ასევეა მუშაობაშიც — თხის რქა მას წინასწარ გეგმავს, სქემას მონიშნავს, დეტალებს ამუშავებს, წესრიგს ამყარებს, რათა შემდგომში არ დახარჯოს დრო წვრილმანებში. იგი შესანიშნავი მუშაკია მრეწველობის ყველა სფეროში და ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწეა.

ამ ნიშნით დაბადებულნი თითქმის მუდამ პატივისცემით არიან გარემოცულნი, მაგრამ მათთან ძნელია უშუალო სიახლოვე, ვინაიდან გულჩათხრობილებთან ჭირს გულღია საუბარი. თხის რქას უყვარს ტრადიცია, რესპექტაბელობა, სტაბილობა. იგი გადაწყვეტილებას არ მიიღებს განსაკუთრებული მიზანდასახულობის გარეშე, მათთვის უჩვეულოა იმპულსურობა და რისკი. მიუხედავად იმისა, რომ მოჩვენებითი ქედმაღლობა ახასიათებს, სულიერად იგი ძლიერ განიცდის საკუთარ იზოლაციას და სურს ირგვლივ მყოფთა სიმპათიები დაიმსახუროს. ხასიათის მიხედვით ხშირად მორცხვი და მგრძნობიარეა, თუმცა მონდომებით მალავს ამას. საკუთარი სიამაყე ხდება მისთვის აშკარა ტანჯვის წყარო.

თხის რქას ბრწყინვალე ჭკუა და შესანიშნავი მეხსიერება აქვს, მაგრამ კონსერვატიზმი და პედანტიზმი ემუქრება. იგი შეიძლება იყოს, კარგი ადმინისტრატორი, ინჟინერი, მეცნიერი, პოლიტიკოსი, ეკონომისტი.

მისი ცხოვრების მეორე ნახევარი ჩვეულებრივ უფრო კეთილსასურველია, ვიდრე პირველი. როგორც წესი, თუკი გადაწყვეტს ცოლის თხოვას, უთუოდ გვიან. ეს ნიშანი ამრავლებს ბერბიჭებს.

ჭალი, რომელიც ამ ნიშნით არის დაბადებული დამახასიათებელი თვისებით გამოირჩევა: მისი სილამაზე და მომხიბვლელობა წლების განმავლობაში კი არ სუსტდება, არამედ მატულობს და 35 წლის ასაკში უფრო მეტად მოსწონთ, ვიდრე 13 წლისა. მაგრამ მასთან არშიყობა ადვილი არ

გახლავთ, რადგან იგი ბარიერს აღმართავს ხოლმე მასსა და თაყვანისმცემელს შორის. ამ ტიპის ქალი თავისუფლების ტრფიალია. ისინი კარგი მდივნები, დირექტორები, მასწავლებლები, ექიმები არიან. მამაკაც თხის რქის მსგავსად, ამ ნიშნის ქალები სერიოზულები არიან და წყენასა და ღალატს არ პატიობენ.

ნიშნების ურთიერთობა: არამყარია ვერძთან, სასწორთან, კირჩხიბთან ქორწინება. პირიქით, ქალწულთან, კუროსთან, ღრიანკალთან და თევზებთან შედარებით ჰარმონიულია. მშვილდოსანთან ცხოვრების რიტმი და ტემპერამენტი იმდენად განსხვავებულია, რომ მიუხედავად დიდი ფიზიკური მიზიდულობისა, იშვიათად ქორწინდება. კუროსა და თხის რქას შორის სიყვარული და დიდი ურთიერთგაგებაა. ხშირად ჯიუტსა და მომთმენ თხის რქას უნარი შესწევს ხელასლა აღზარდოს აბირებული და ცრუ კურო.

ტყუპების ნიშანთან ძნელად ამყარებს ურთიერთობას, ხოლო ხანგრძლივი კავშირი პრობლემატურია, თუ საერთოდ შესაძლებელია. კირჩხიბსა და თხის რქის ნიშნებს შორის ადვილად ხდება დაახლოება, პატივისცემაზე დაფუძნებული მეგობრული ურთიერთობებიც მყარდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, კავშირი რთულია — ვინაიდან ცხოვრებას სხვადასხვა თვალით უყურებენ. თუმცა, ბოლოს და ბოლოს ასეთი კავშირი შეიძლება მტკიცე გახდეს, რადგან იგი პატივისცემაზეა დამყარებული. მტკიცე კავშირი ლომთან ძალიან იშვიათია, ამიტომ მათი მხოლოდ მეგობრობა და თანამშრომლობაა რეკომენდებული. ქალწულის ხასიათი ბევრ რამეში ჰგავს თვით თხის რქის ხასიათს, ამიტომ შესაძლებელია ბედნიერი ქორწინება. სასწორთან არათუ ქორწინება, არამედ ჩვეულებრივი მეგობრული ურთიერთობაც კი ძალზე იშვიათია. ფრიად დიდი განსხვავებაა მათი ცხოვრების ნირსა და ხასიათებში. ღრიანკალსა და თხის რქას აერთიანებს ამბიციურობა და სამსახურისადმი სიყვარული. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე მათი ქორწინება შესაძლებელია. კავშირი მშვილდოსანთან ცალკეულ შემთხვევებში გარანტირებულია ერთმანეთის მიერ. ძალიან ხშირად მშვილდოსანი ახერხებს შეცვალოს თხის რქის პედანტური ხასიათი. თავის საკუთარ ნიშანთან, მიუხედავად დიდი ფიზიკური მიზიდულო-

ბისა, თხის რქას შეუძლია მეგობრული კავშირის დამყარება. მერწყულთან, მიუხედავად ხასიათებში ზოგიერთი თვისების მსგავსებისა, იშვიათია ბედნიერი შეუღლება. რეკომენდებულია თანამშრომლობა და მეგობრული დამოკიდებულებები. ქორწინება თევზებსა და თხის რქას შორის შეიძლება არაჩვეულებრივად ბედნიერი ყოფილიყო უდიდესი სულიერი და ინტელექტუალური მსგავსებისა და ფიზიკური ლტოლვის გამო, მაგრამ ზოგჯერ თხის რქის გულჩახვეულობა შეურაცხყოფელია ფაქიზი და შთაბეჭდილებიანი თევზებისათვის.

მ ე რ წ ყ უ ლ ი

(21 იანვარი — 18 თებერვალი)

ჰაერის ნიშანია. მფარველობს სატურნი და ურანი. ემოციური ხასიათი აქვს, ნატურით შთაბეჭდილებიანია. სატურნი პირველია პლანეტებს შორის, რომელიც მფარველობს მერწყულს და აიძულებს მას დაემორჩილოს ბედს, რომელიც ყოველთვის ბედნიერებას არ უქადის. იგია პლანეტა ნაღვლიანი მოგონებებისა, მელანქოლიის, განუხორციელებელი იმედებისა. ურანი, პირიქით, მოქმედების პლანეტაა და მეცნიერთა სულისჩამდგმელი. ამიტომაც მერწყულს ურთიერთგამომრიცხავი ხასიათი აქვს: ერთი მხრივ — მეოცნებეა, მეორე მხრივ, ენერგიული, აქტიური, გაბედული. მერწყულის ნიშნით დაბადებულნი ძალიან მიმზიდველნი არიან თავიანთი ადამიანობით. ისინი სხვის მწუხარებას გაითავისებენ და ყველაფერს აკეთებენ, რათა ხელი მოუმართონ უბედურებაში ჩავარდნილთ. ყოველ მერწყულში არის რაღაც გამომგონებლისა, ესაა დახელოვნების იდეით გატაცებული ადამიანი, ამასთან იგი მეოცნებეც არის და ფანტასტიც. ამ ნიშნით დაიბადნენ ედისონი, გალილეი, ჟიულ ვერნი. მერწყულისათვის უცხოა პედანტიზმი. მას სძულს რუტინა. ზოგჯერ სიზარმაცისა და უმოქმედობის ხა-

ნა უდგება. სამაგიეროდ, ურანის ბატონობის პერიოდში შეუძლია ერთ კვირაში შეასრულოს ერთი თვის სამუშაო. იგი მერყეევია, ზოგჯერ ისეთი პერიოდები აქვს, როცა სასტიკად არ ენდობა თავის თავს, მაგრამ იგი სწრაფად ეცვლება სიმშვიდთა და ენთუზიაზმით. მერწყული თავშეკავებული და მორიდებულია. იშვიათად აწუხებს ირგვლივ მყოფთ თხოვნით. იგი შესანიშნავი მეცნიერია, განსაკუთრებით ატომურ ფიზიკასა და ასტრონომიის დარგში, ასევე ბრწყინვალე არქიტექტორი, ლიტერატორი და მსახიობია. შეიძლება უიღბლო ცხოვრება ჰქონდეს, მაგრამ არა ერთფეროვანი და უღიმღამო. მას ექნება ყველაფერი — სიმდიდრეც და სიღარიბეც, ბრწყინვალე წარმატებაც და კატასტროფებიც, საინტერესო შეხვედრებიც და იმედის გაცრუებაც. ხანდახან მას ჰგონია კიდეც — ესაა და დავიღუპეო, მაგრამ ბედი არ გაწირავს და ხსნას მოუვლენს.

მერწყული ქალი. ამ ნიშნის ქალები ძალზე მომხიბვლელნი არიან. მათში ერთდროულად რამდენიმე ქალია, რაც მათ განცდათა გამას უქმნის. ასეთი ქალი მუდამ ცვალებადია და ვინც ხშირად ხვდება მას, არასოდეს, მოიწყენს მის გვერდით. მამაკაცთა მსგავსად, ამ ნიშნის ქალებს უყვართ შრომა და გაურბიან მკაცრ დისციპლინას. ნებისმიერ საქმიანობაში შეაქვს ბრწყინვალება და სინატიფე. იგი ელეგანტურია, კარგად ცეკვავს, საინტერესოა მასთან საუბარი, სწრაფად თხოვდება, თუმცა იშვიათად არის ბედნიერი, ვინაიდან გაცილებით მეტს გასცემს, ვიდრე იღებს.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: ძალზე კეთილსასურველია კავშირი ტყუპებთან, სასწორთან, მშვილდოსანთან. გარდუვალი კინკლაობა აქვს ღრიანკალთან, კუროსა და ლომთან. მერწყულთან შეუძლია იქორწინოს ვერძმა. ამ ნიშნისაგან იბადებიან შესანიშნავი ბავშვები. ტყუპთა ნიშნიანებთან ჰარმონიული კავშირია მოსალოდნელი. კირჩხიბთან — ერთგული მეგობრობა აქვს, ხოლო ქორწინება ურთიერთპატივისცემას ემყარება. მიუხედავად იმისა, რომ მერწყულისა და ლომის ნიშნებს შორის არსებობს ლტოლვა, ისინი სხვადასხვაგვარად უდგებიან სამყაროს. ამის გამო მათ შორის არ შეიძლება მტკიცე კავშირის დამყარება. ქალწულსა და მერწყულს შორის

არსებობს მტკიცე ფიზიკური ლტოლვა, თუმცა კინკლაობა გარდუვალია. მერწყული იზიდავს სასწორს. მათ შორის კავშირი ძალზე ბედნიერია.



თევზები

(19 თებერვალი — 20 მარტი)

წყლის ნიშანია. იუპიტერი და ნეფტუნი მფარველობს. ამოუცნობი ხასიათი და დახვეწილი ინტუიცია აქვს. ნეფტუნი ამ ნიშანს მუდმივ კონტრასტებს ანიჭებს. კერძოდ, მშფოთვარეობას, განუწყვეტელ ბრძოლას თავის თავთან. იუპიტერისაგან თევზები ბედნიერ იღბალსა და სიბრძნეს იღებენ. ამ წინააღმდეგობათა გავლენის წყალობით, თევზები, მიუხედავად თავისი მშვიდი გარეგნობისა, ხშირად სულიერად ეწამებიან, შფოთავენ და ნაღვლობენ. ეს ავრეთვე ჰუმანიზმისა და თავგანწირვის სიმბოლოა. განვითარებულ გონებასა და ძლიერ სკეპტიციზმთან ერთად თევზები სულიერად ფაქიზები არიან. ინტუიცია გაცილებით განვითარებული აქვთ, ვიდრე ლოგიკა და ხშირად ისინი ისე, რომ ანგარიშს არ უწევენ თავიანთ ნიჭს, ყველას აცვიფრებენ წინასწარმეტყველებით. ამ ნიშნით დაბადებულთ უყვართ კომფორტი და მყუდროება. ისინი გულუხვები და სტუმართმოყვარეენი არიან, მაგრამ ხშირად მოწყენილობა ეუფლებათ. თუ მათი ბედი ბავშვობიდანვე ნორმალურად აეწყობა, ისინი სამართლიანები, გულწრფელნი და გულითადები არიან. მათ კარგი მეხსიერება და მეცნიერებისადმი ლტოლვა აქვთ. თევზები კარგი მუსიკოსები, მხატვრები და მოქანდაკენი არიან.

ქალი — თევზი. მას აშკარად გამოხატული ინდივიდუალობა და დახვეწილობა აქვს. ეს ქალები საყვარლები და მომხიბ-

ლავები არიან. უყვართ სიმდიდრე, კომფორტი, საერთოდ ყოველივე ლამაზი. მათი ხასიათები და ჯანმრთელობა დამოკიდებულია მთვარის ფაზების ცვალებადობაზე. საკუთარ მთვარის პერიოდში ისინი სავსენი არიან სასიცოცხლო ძალებითა და ენერგიით. ახალი მთვარის დაბადებისას მათ დაქანცულობა და აპათია იპყრობთ. მათ მდიდარი შინაგანი ცხოვრება აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ უმწიკვლო წარსულით არ გამოირჩევიან, მოქნილი და დახვეწილი ნატურის წყალობით მათგან შესანიშნავი ცოლები და დედები დგებიან.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: კუროსთან, კირჩხიბთან, თხის რქასთან, ღრიანკალთან და ქალწულთან შეუღლება ჰარმონიული იქნება. ვერძის ნიშანი ძალზე იზიდავს თევზებს, მაგრამ ხასიათთა შეუთანხმებლობა იჩენს ხოლმე თავს, ამიტომ მათი კავშირი ძალზე არაკეთილსასურველია. საუკეთესო განწყობა აქვს ტყუპებთან. მათი კავშირი შესაძლებელია ორივე ნიშნის მოქნილობის წყალობით. კირჩხიბის ნიშანთან ფრიად სასურველია მეგობრობა, თანამშრომლობა და ქორწინება. მიუხედავად ლომსა და თევზებს შორის არსებული სიმპათიებისა და დიდი ლტოლვისა, ქორწინება მათ შორის არ არის რეკომენდებული. ლომის იმპულსურობა და ვნებიანობა ზოგჯერ გაანაწყენებს ხოლმე თევზებს.

თევზებს დიდი სიძნელეები ხვდებათ მშვილდოსანთან ურთიერთობისას, ბედნიერი ქორწინება იშვიათია. ამ ნიშნებს შორის ფიზიკური ლტოლვა არ არის საკმარისი მტკიცე კავშირისათვის. ქალწულსა და თევზებს შორის ერთგვარი სიმპათიებია, თუმცა მათ შორის ფიზიკური ინტერესი მცირეა. იგივე შეიძლება ითქვას სასწორზე, თუმცა მათ შორის პატივისცემა, კეთილსასურველი თანამშრომლობა და ბეგობრობა სუფევს. ღრიანკალთან კავშირი ჰარმონიული და მყარია. ძალიან ბევრი რამ აერთიანებთ თევზებსა და თხის რქას. ეს ნიშნები ერთმანეთისკენ მიილტვიან. მათი ქორწინება ბედნიერების მომასწავებელია. მერწყულთან იშვიათია ჰარმონიული ქორწინება, რადგან ხელს უშლის მისი ნატურის მიუკარებლობა, თვით თევზებს შორის იშვიათად მყარდება კარგი დამოკიდებულება.

ვერძი



(21 მარტი — 20 აპრილი)

ცეცხლის ნიშანია. მას მარსი მფარველობს. ძლიერი ხასიათის გამო მბრძანებლური ბუნებისაა. ამ ნიშნით დაბადებულნი ძალითა და ენერგიით არიან დაჯილდოებულნი. მათ ხელმძღვანელობის ნიჭი აქვთ. ამ ნიშნის მამაკაცებისა და ქალების საერთო თვისებებია: ოპტიმიზმი, პატივმოყვარეობა, ნაწილობრივი იმპულსურობა, გაზვიადებულობისაკენ მიდრეკილება.

მამაკაცები გამოირჩევიან აგრესიულობით, უტაქტობით, ისინი არად აგდებენ სხვათა ინტერესებსა და ნება-სურვილს. მოქმედება უყვართ. მათ სამართლიანობის გამძაფრებული გრძნობა აქვთ. ვერძი ხშირად ვარდება მძიმე მდგომარეობაში, ვინაიდან სულსწრაფია და დიპლომატიის ყოველგვარ ნიჭს მოკლებული. ვერძისათვის ცხოვრების მთავარი აზრია — შრომა. დიდი ნებისყოფით, გამბედაობით და რეაქციის სისწრაფით გამორჩეული, იგი შეიძლება იყოს კარგი ექიმი, მხედართმთავარი, ჟურნალისტი, ადმინისტრატორი, მაგრამ ხელს უშლის დაუხვეწელობა და დესპოტიზმი. მამაკაცი — ვერძები თითქმის მუდამ კარგები არიან, პატიოსანი მშრომელები. მიუხედავად მოჩვენებითი სიჯანმრთელისა, მათ შერყეული ჯანი და თითქმის ყველა ვერძისათვის დამახასიათებელი ფრიად სუსტი ნერვული სისტემა აქვთ: ისინი ფიცხები, უხეშები და თავშეუკავებლები არიან. თავიანთი ცუდი ხასიათის გამო ხშირად მამაკაცი ვერძები ცუდ მეოჯახეებად გვევლინებიან. ამ შემთხვევაში ყველაფერი პარტნიორის დიპლომატიასა და ტაქტზეა დამოკიდებული.

ქალი — ვერძი. ამ ნიშნის ქალებს თითქმის მუდამ აქვთ პროფესია. ისინი ადვილად ეუფლებიან მამაკაცების სპეციალობებს. ქორწინებაში ისწრაფვიან მთავარი როლი დაიკავონ.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: ლომთან, ტყუპებთან

და მშვილდოსანთან კეთილსასურველია შეუღლება. ეს ნიშნები თავიანთი სიმშვიდითა და ფილოსოფიისადმი სიყვარულით ათვინიერებენ ვერძს. მერწყულისაკენ, ისევე როგორც სასწორისაკენ, დიდი ფიზიკური ლტოლვა აქვს. არასასურველია მისი კავშირი თხის რქასთან, კირჩხიბთან, თევზებთან, ღრიანკალთან. გულგრილი დამოკიდებულება აქვს ქალწულსა და კუროსთან.



კურო

(21 აპრილი — 21 მაისი)

დედამიწის ნიშანია. მას მფარველობს ვენერა. წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ნატურით ემოციურია. დედამიწის ნიშანს უნდა უმადლოდეს კურო, რომ ნებისყოფა და ცინცხალი გონება აქვს, მაგრამ ვენერა ანიჭებს სოლიდურ და პრაქტიკულ კუროს სირბილეს, კომფორტისადმი სიყვარულს, მგრძნობიარობას, სიზარმაცეს. ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გავლენა ართულებს კუროს ნატურას. მას უყვარს მატერიალური კეთილდღეობა და ამავე დროს ბედოვლათობა. მიისწრაფვის მყუდროებისაკენ და ხშირად ფეთხუმია. მას ლტოლვა აქვს სიმდიდრისაკენ, ყოველგვარ საზეიმოსა და თვალშისაცემისაკენ. მას ყველაფერში შეუძლია სიხარულის პოვნა, დედამიწისგან იღებს ამოუწურავ ძალებს, გააჩნია ჯანსაღი ცხოველური ინსტინქტი.

კურო ჭირვეული და წვრილმანებში ჯიუტია, საერთოდ კი დამყოლი, მშვიდი და მომთმენი ხასიათისაა. მას უყვარს ურთიერთობის დამყარება გავლენიან და თანამდებობის პირებთან. ადამიანებთან ურთიერთობისას ელეგანტურობა და ხიბლი შეაქვს, მაგრამ ხშირად დავობს წვრილმანების გამო თავისი ბავშვური ჟინიანობისა და სიჯიუტის წყალობით. ამ ნიშ-

წით დაბადებულთ უყვართ ხელოვნება და არქიტექტურა. ისინი შესანიშნავი გამფორმებლები, დირექტორები, მკერავები და მზარეულები არიან.

ქალი — კურო. ვენერა ამ ნიშნის ქალებს ქალურობას ანიჭებს. ის, რაც ამ ნიშნის მამაკაცებისათვის სისუსტის მანიშნებელია, ქალებისათვის — მომხიბველელობაა. ასეთი ქალებისათვის დამახასიათებელია სიყვარული ლამაზი ნივთების, ყვავილების, კაბების, დახვეწილი სამზარეულოსი და ღვინოსი. ისინი აღტაკებენ თავიანთ მოტრფიალეებს. ასეთი ქალები, ჩვეულებრივ, ეჭვიანები არიან. თვითონ ქარაფშუტები, ხშირად ღალატობენ მას, ვინც ჭეშმარიტად უყვართ.

ნიშნების ურთიერთდამოკიდებულება: კუროსათვის ჰარმონიულია კავშირი ქალწულთან, თხის რქასთან, კირჩხიბთან, თევზებთან. არასასურველია მისი კავშირი ლომთან, ღრიანკალთან, მერწყულთან. კუროსთან ბევრი რამა აქვს საერთო, მაგრამ, ტყუპების ნიშნის მსგავსად, ხშირია კინკლაობა.

ტყუპები

(22 მაისი — 21 ივნისი)

ჰაერის ნიშანია. მას მერკური მფარველობს. გაურკვეველი ხასიათისაა. მუდმივად გაორებულია. ტყუპები ჭკვიანები არიან და ინტერესთა ნაირფერობით, ცნობისმოყვარეობით გამოირჩევიან, ენებისადმი მიდრეკილება აქვთ. ადვილად ეგუებიან გარემოს. იგი საინტერესო პიროვნებაა, მომხიბლავი, დაუოკებელი ტემპერამენტით და, ამასთან გაუთვალისწინებელი რეაქციებით. ტყუპები მუდამ რაღაცით არიან გაღიზიანებულები და განერვიულებულები. მათ აქვთ პერიოდები მწვავე მერყეობისა, რაც მაშინვე ავადმყოფობაში გადაიზრდება.

თუ ამ ნიშნით დაბადებული ინტელიგენტია, იგი ძნელად ეგუება არსებულ საზოგადოებას. ეს არის ნევრასთენიკის ტიპი, ხშირად შეპყრობილი სხვადასხვა მანიით. ტყუპების ნიშანი იძლევა გენიოსებისა და ნიჭიერი ადამიანების ყველაზე მეტ რიცხვს როგორც მეცნიერების დარგში, ასევე ლიტერატურაში, ხელოვნებაში. მათი შეყვარება ძნელია. ისინი ცდილობენ ხელიდან გასხლტომას და ტოვებენ ორეოფულ მდგომარეობაში მათ, ვისაც იგი ყყვარს. თვითონაც აქვთ სიყვარულის ნიჭი, ოდონდ იშვიათად იჩენენ სინაზეს.

ისინი ეინიანივით ითხოვენ სიყვარულს, ალერსსა და ზრუნვას. შიში მარტოობის წინაშე ხშირად მიიყვანს ხოლმე თვითმკვლელობამდე. ისინი უპირატესობას ანიჭებენ ულიმლამო და არაფრის მაქნის ადამიანებს. მუშაობის დროს ხშირად სჭირდებათ თანაავტორობა. ისინი უფრო იოლად აწვდიან იდეებს, ვიდრე ახორციელებენ მას. ამ ნიშნით დაბადებულთ მიდრეკილება აქვთ ფილოსოფიისა და მათემატიკისადმი.

ქალი — ტყუპები შესანიშნავი ამხანაგია, ჭკვიანი, ცოცხალი გონებამახვილი. მათთან არ მოიწყენთ. ისინი ადვილად ეგუებიან ადამიანებს და საუბარი შეუძლიათ ნებისმიერ თემაზე. უყვართ დამოუკიდებლობა და თითქმის მუდამ აქვთ პროფესია. მათგან შესანიშნავი ადმინისტრატორები, კომერსანტები დგებიან. ისინი ყოველგვარ საქმიანობაში ვაკაცურად უდგანან ქმრებს გვერდში.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: ყველაზე ჰარმონიული კავშირი აქვს კუროსთან, სასწორთან, მერწყულთან, ლომთან. ყველაზე არასასურველი — თევზებთან, ქალწულთან, მშვილდოსანთან, კუროსთან ჩვეულებრივ ურთიერთსიმპათიები ისახება, ვერძთან — მიმზიდველობა, ბევრი რამა აქვთ საერთო. ბედნიერი კავშირი აქვთ ტყუპებთან.

კირჩხიბი

(22 ივნისი — 22 ივლისი)

წყლის ნიშანია. მას მთვარე მფარველობს. გულღია ხასიათისაა, მეოცნებე ნატურაა. კირჩხიბი — ყველაზე გამოუცნობი ნიშანია ზოდიაქოს დანარჩენ ნიშანთა შორის, რადგანაც მასზე მთვარე ბატონობს, რომელიც ისე უმწვავებს მგრძნობელობას და ისეთ ზეგავლენას ახდენს მის სულიერ სამყაროზე, რომ გარშემო მყოფთ უცნაური საიდუმლოებით მოცული ეჩვენებათ. ესაა ადამიანები, რომელთაც ნაზი ნერვული სისტემა და კარგად განვითარებული ინტუიცია აქვთ.

კირჩხიბი მამაკაცები ხშირად არიან ჰიპნოზისტები, ანდა მედიკები. ისინი ცხოვრობენ მხოლოდ მათთავის გასაგები კანონებით და უცხოა ლოგიკა. ის, რაც სხვათათვის არაფერს ნიშნავს, მათთვის ტრაგედიაში გადაიზრდება ხოლმე. ამიტომ, ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულნი ხშირად აღიზიანებენ სხვებს და კონფლიქტებს იწვევენ. სამაგიეროდ, ადამიანებს უყვართ ასეთი ხალხის მფარველობა. მათში სიბრალულის გრძნობას ბადებს კირჩხიბის ინფანტილურობა, მისი მოწყვეტა რეალობიდან. გარდა ამისა, ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულნი უმეტესად წესიერი ხალხია, ერთგული მეგობრები და საინტერესო მოსაუბრეები.

კირჩხიბს უყვარს ბუნება. სამსახურში ზოგჯერ ცუდად გრძნობს ხოლმე თავს თავისი ხასიათის გამო. მაგრამ მას შესანიშნავი თვისებები აქვს: დახვეწილი ინტუიცია, მოთმინება და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა. ესაა მოაზროვნის ტიპი, ჭკვიანი მეცნიერის, მუსიკოსისა და კეთილსინდისიერი მუშაკისა.

კირჩხიბი ქალი. მასზე იგივეს თქმა შეიძლება, რაც იყო ნათქვამი ამ ნიშნის მქონე მამაკაცებზე. ამ ქალებს მიდრეკილება აქვთ სანტიმენტალიზმისა და თავგანწირვისაკენ. ისინი

ერთგული ცოლები და შესანიშნავი დედები არიან. მოვალეობის გრძნობა მათთვის უპირველესია. ისინი ხშირად გმირები ან ჭირვეული ქალები ხდებიან.

ნიშნების ურთიერთდამოკიდებულება: განსაკუთრებით კეთილსასურველია კუროსთან, ლრიანკალთან, ქალწულთან და თევზებთან კავშირი. არასასურველია მისი კავშირი სასწორთან, თხის რქასთან, ვერძთან, რადგან იდეურად ვერ ეთანხმებიან ერთმანეთს და, წინააღმდეგობები აქვთ მსოფლმხედველობაში, ვერძი ძლიერ იმპულსურია კირჩხიბისათვის. თუმცა შეიძლება ძლიერი ლტოლვაც ჰქონდეს. იმისათვის, რომ კავშირი არ დაირღვეს, საჭიროა ორივემ აკონტროლოს თავიანთი ხასიათების სიჯიუტე. ტყუპებთან სულიერი მეგობრობა აკავშირებს. ლომი იზიდავს კირჩხიბს თავისი სიძლიერით. მათ შორის შეიძლება დამყარდეს თანამშრომლობა და მეგობრობა, მოსალოდნელია აგრეთვე ბედნიერი ქორწინება. თხის რქა იზიდავს კირჩხიბს, მაგრამ ისინი თითქოს სხვადასხვა სამყაროში ცხოვრობენ, ლრიანკალთან ურთიერთლტოლვა აქვს. მშვილდოსანთ უყვართ დამოუკიდებლობა, ეს კი ანაწყენებს კირჩხიბს, მერწყულთან მეგობრობა და პატივისცემა აკავშირებს. თევზებთან ჰარმონიულ კავშირშია მეგობრობასა და სიყვარულში.

ლ ო მ ი

(23 ივლისი — 23 აგვისტო)

ცეცხლის ნიშანია. მფარველობს მზე. ძლიერი ხასიათი და მდიდარი ნატურაა. ლომი ვარსკვლავთა მეფის — მზის მფარველობაშია. ამიტომ ლომი ზოდიაქოს ცენტრალური ფიგურაა. იგი ბრწყინავს და ჰაერში ლივლივებს. მას ძლიერ უჭირს, ვინაიდან ბევრ ძალ-ღონეს ხარჯავს. მისი ხასიათის ძირითადი ნიშანია — სიკეთე. ლომის-

თვის უცხოა ეფექტები, რადგან იგი ბუნებრივია. ამიტომ ელტვიან გულები. მის გვერდით თითოეული თავს მოწმედ გრძნობს, მის დახმარებას შეიძლება ენდოთ.

ლომი ტემპერამენტიანი და იმპულსურია. უდიდესი შინაგანი ძალები აქვს. ძალა შესწევს გმირობისა. სამაგიეროდ მისთვის დამახასიათებელია პატივმოყვარეობა. იგი ინფანტილურია, მიამიტი, ადვილად ექცევა გავლენის ქვეშ და ხაფანგშიც მოჰყვება ხოლმე. ფსიქოლოგიური ალღოს უქონლობის გამო ხშირად ცდება, ზოგჯერ კი წამდვილ ტრაგედიამდე მიდის. მაგრამ რა გინდ დიდი სიძნელეც უნდა შეხვდეს, იშვიათად კარგავს თავის ბუნებრივ სიმხიარულეს. ყველაზე მეტად მას ადამიანებში ორგულობა აცვიფრებს.

თვითონ ლომი ერთგული მეგობარია, ოღონდ მერყევია. ლომი გულუხვია, უყვარს სიმდიდრე და ფუფუნება, უწესობასა და მფლანგველობას იქამდე მიყავს, რომ სიღატაკეში კვდება. იგი სტუმართმოყვარეა. უყვარს აზარტული თამაშობები, სპორტი, შეჯიბრებები. ამ ნიშნით დაბადებულნი წებისმიერი პროფესიის ადამიანები არიან, თუმცა ხშირად ხელმძღვანელ პოსტებსაც იკავებენ.

ქალი ლომი. სიყვარულში ულალატოა, იმპულსურია, გულუხვი, არ ისწრაფვის გართულებებისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ უყვარს, როცა თაყვანისმცემლები ახვევია, ძალიან ამაყია და ამიტომ შემთხვევით კავშირს არავისთან ამყარებს. ნაკლებ აფასებს ქალებთან მეგობრობას, უპირატესობას აძლევს მამაკაცთა საზოგადოებას. ძალიან მომთხოვნია იმ ადამიანისადმი, რომელიც უყვარს და არ აპატიებს ღალატს. არასოდეს მიდის კომპრომისზე. არ იქორწინებს მანამ, სანამ არ დარწმუნდება, რომ თავის რჩეულს უყვარს და ღირსია მისი. იგი შესანიშნავი დედა და დიასახლისია.

ნიშანთა უთიერთდამოკიდებულება: არ არის სასურველი ლომის კავშირი კუროსთან, მერწყულთან, ღრიანკალთან. სასურველია შეუღლება ტყუპებთან, სასწორთან, მშვილდოსანთან. ვერძთან ბევრი რამა აქვს საერთო ხასიათსა და ტემპერამენტში, სწრაფად აღეძვრით სიყვარული. კუროსთან შეუძლებელია მტკიცე კავშირი. მიუხედავად უდიდესი ფიზიკური ლტოლვისა, კუროს სიჯიუტე აღიზიანებს ექსცენტრულ ლომს.

ქალწულთან რთული ურთიერთობა აქვს მისი კრიტიკულობისა და ნაკლებ ტემპერამენტიანობის გამო. მშვილდოსანთან ბევრი რამა აქვს საერთო — ტემპერამენტის სირთულისა და მსგავსების გამო. ორივენი გულღიები და უშუალოწი არიან. თხის რქასთან კავშირი არცთუ შესაძლებელია, კეთილსასურველია მხოლოდ თანამშრომლობა და მეგობრობა. ლრიაწკალთან კავშირი საკმაოდ საეჭვოა.

ქალწული

(24 აგვისტო — 23 სექტემბერი)

დედამიწის ნიშანია. პრაქტიკული ჭკუა აქვს და ლრმა ხასიათი. ქალწულის ნიშანი რეალობის, ლოგიკის, სიცხადის ნიშანია. ამ ნიშნით დაბადებულნი ყველაფერში მკვეთრად გამოხატულ ქცევასა და სიზუსტეს ითხოვენ. ისინი იშვიათად აყვებიან ვნებებს. წესრიგისადმი სიყვარული მაშინვე მანიად ექცევათ. თითქმის მუდამ გამოირჩევიან ნათელი და ანალიტიკური გონებით, კარგი მუშაკები არიან. მიდრეკილება აქვთ პოლიტიკის, ეკონომიკისა და მეცნიერებისადმი. ეს ის ადამიანებია, რომლებიც გამუდმებით ცდილობენ თავიანთი ცოდნის გაღრმავება-გაფართოებას. ისინი, როგორც წესი, დიდხანს ცოცხლობენ. პატივისცემით სარგებლობენ, თუმცა ხშირად კინკლაობენ თავიანთი პედანტიზმისა და წვრილმანების გამო.

ქალწული ქალი. ამ ნიშნის ქალები მომხიბვლელები არიან, თუმცა მათ არ ჰყოფნით ტემპერამენტი. უყვართ ფლირტი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში უკან იხევენ. თითქმის მუდამ იჩაგრებიან სიმორცხვის გამო, მაშინაც კი, როცა შეთვისებული აქვთ ამ ნაკლის ხელოვნურად დაფარვა. ისინი ეგოისტურ-

ნი არიან და ხშირად უქმნიან საფრთხეს ახლობლებთან თავიანთ დამოკიდებულებას.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: არ არის სასურველი კუროსთან, ღრიანკალთან, კირჩხიბთან კავშირი. ძალიან ბევრი რამა აქვთ საერთო კირჩხიბსა და ქალწულს, მაგრამ ქალწულის რაციონალიზმი მტკივნეულ დალს ასვამს კირჩხიბის მგრძნობიარობას. ადვილად მეგობრდებიან ქალწული და ლომი. შესაძლებელია აგრეთვე ფიზიკური ლტოლვაც. სასწორის ნიშანთან ხშირად მოსდის კონფლიქტები. ქალწულთან იშვიათია ურთიერთსიმპატიები და გაგება. ღრიანკალი იზიდავს ქალწულს, მიუხედავად განსხვავებული ტემპერამენტისა. შესაძლებელია ბედნიერი კავშირიც, თუმცა მათ სრულიად საპირისპირო შეხედულება აქვთ ცხოვრებაზე. ქალწული დიდი ძალით იზიდავს მერწყულს, მაგრამ ხანგრძლივი კავშირი მათ შორის იშვიათია.

სასწორი

(24 სექტემბერი — 23 ოქტომბერი)

ჰაერის ნიშანია. მფარველობს ვენერა. დაჯილდოებულია რბილი ხასიათით და ნათელი გონებით. ამ ნიშნით დაბადებულნი გამოირჩევიან გაწონასწორებულობით. ვენერა გულუხვად ასაჩუქრებს სიყვარულის უნარით, ელეგანტურობით, სინატიფით. სასწორი ადვილად პოულობს ჰარმონიას ცხოვრებაში, მაშინაც კი, როდესაც მას ავადმყოფობა, ანდა უბედურება ეწვევა. სასწორს არ უყვარს აყალმაყალი, უსიამოვნება, გართულებები. ყველაზე ძვირფასი ამქვეყნად მისთვის სიმშვიდეა. ძალიან ხშირად ბედის ნებიერები არიან. საზოგადოებაში სიყვარულით სარგებლობენ თავაზიანობის, მხიარული და კეთილი ხა-

სიათის გამო, მათგან ბრწყინვალე ადვოკატები, დიპლომატები, ვაჭრები, მსახიობები და ადმინისტრატორები გამოდიან.

სასწორი ქალი. ჩვენ მეორედ ვხვდებით ქალურობის უდიდეს წიშანს. ვენერას მფარველობა ამ ქალებს მაცდურობას, ბლერსიანობასა და ჟინიანობას ანიჭებს. მათ გვიანობამდე ძილი უყვართ, სიგიჟემდე იტაცებთ სამკაულები, სამშვენისები, ტკბილეული. მთავარი საქმიანობაა — სიყვარული. უყვარდეს და იყოს საყვარელი — მათი ერთადერთი ოცნებაა. სძაგთ საყვედურები, სცენები, გართულებები. სულ მცირედი წინააღმდეგობაც კი მათში აღშფოთებას და ცრემლს იწვევს. ნებიერები და ეგოისტები, ბავშვებივით ალერსიანები და უაღრესად კეთილნი არიან.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: სასწორისათვის კეთილსასურველია ტყუპებთან, ლომთან, მშვილდოსანთან, მერწყულთან და ვერძთან კავშირი. თხის რქასთან, კირჩხიბთან, კუროსთან კავშირი არცთუ სასურველია, მაგრამ სასწორის კარგ ხასიათს შეუძლია ბედის დამორჩილება. სამსახურში თხის რქასთან ხელსაყრელ თანამშრომლობას ამყარებს. კეთილსასურველია მეგობრობა თევზებთანაც.

ღრიანკალი



(24 ოქტომბერი — 22 ნოემბერი)

წყლის ნიშანია. ძლიერი ხასიათისაა, ცხოვრებაც საინტერესო აქვს. ღრიანკალს მფარველობს ორი მთავარი პლანეტა: მარსი — თავისი ძალითა და სისასტიკით — და ძლიერი ნეფტუნი. ეს ორმაგი გაელენა განაპირობებს მის ხასიათს. ღრიანკალი იბრძვის, იტანჯება, თავის თავს მოისაკლისებს, მაგრამ ფერფლისგან აღსდგება და წარმოგვიდგება კონტრასტულ, ტემპერამენტიან, ძლიერ მომხიბვლელ, მაგრამ სასტიკ ტიპად.

პირველი სიძნელე მისთვის ცხოვრებაა. ერთი შეხედვით მას ყველაფერი აქვს წარმატების მისაღწევად: ენერგიაც, ცხოველუნარიანობაც, ძალაც, მაგრამ ფიცხი ხასიათის გამო ბევრი მტერი ჰყავს. ღრიანკალი ხშირად არის გაღიზიანებული, მაგრამ თავის გესლს მიმართავს სწორედ რომ თავისი თავისაკენ. მასშია რაღაც გამოუცნობი და მოუხელთებელი. ზოგჯერ იგი გულწრფელი ჩანს, მაგრამ ერთი შეხედვით. ნამდვილად კი გულჩათხრობილი და დაძაბულია. ამით იცავს იგი თავს. მას სულ მუდამ ეჩვენება, რომ აკრიტიკებენ, ემუქრებიან და მაშინ იშველიებს იგი დაცვის მთელ სისტემას. როდესაც მას ნამდვილად ესხმიან თავს, მისი მრისხანება ჭეშმარიტად რომ უსაზღვროდ საშიშია.

სამსახურისა და მოვალეობის აღსრულებისას იგი მართლაც რომ რკინისებურ ნებისყოფას ავლენს. არასოდეს ეძებს ხსნას ილუზიებში, სწრაფად პოულობს სუსტ წერტილს ადამიანსა თუ სიტუაციაში. ნამდვილი მებრძოლია. ყოველგვარ საშუალებას მიმართავს მიზნის მისაღწევად. ადამიანებთან მიმართებაში წესიერებასა და პატიოსნებას ამყღავნებს, მაგრამ იშვიათად რჩება ნამდვილად ერთგული. ინდივიდუალისტია და დამოუკიდებლობა ძვირად უღირს. იგი შესანიშნავი ექიმი-დიაგნოსტიკი და ქირურგია, ბრწყინვალე გამომძიებელი ან ადვოკატია. ნიჭიერი მხედართმთავრები და სახელმწიფო მოღვაწეები (რომელი, დე გოლი, მონტგომერი) — სწორედ რომ ამ ნიშნის მატარებელნი არიან.

ქალი — ღრიანკალი. აქ ორი ტიპია და ორივენი ძალიან ძლიერი ხასიათისანი, მაგრამ პირველი ტიპის ქალებს ფარული ტემპერამენტი აქვთ, მეორე ტიპს მართლაც რომ ჭეშმარიტად განგების ქალები განეკუთვნებიან. პირველი ტიპის ქალები ხასიათით მამაკაცებს გვანან და ყველაფერი, რაც კი მამაკაც ღრიანკალზეა ნათქვამი, მათზეც ვრცელდება. მათ მამაკაცური გონიერება და ამოუწურავი ენერგია გააჩნიათ. ამ ნიშნის ქალები ადვილად როდი პოულობენ ისეთ პარტნიორებს, რომლებიც მათ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. ეს ძლიერი ხასიათი ჩვეულებრივ სუსტ, პასიურ და გაუბედავ მამაკაცებს ხიბლავს, რომლებიც ქალი — ღრიანკალის წარმოდგენებს ვაჟკაცობაზე ნაკლებ ესადაგება. მაგრამ, თუ იგი

მაინც გადაწყვეტს შეუღლებას, ხშირად ეხმარება ქმარს კარიერის მოპოვებაში. ამ ტიპის ქალებს ჩვეულებრივ ცეცხლივით უკვესავთ თვალები და დაბალი ხმა აქვთ, ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ კაბებს და არც კეკლუცობის მოსურნენი გახლავთ.

მეორე ტიპი — კეკლუცი, მგრძნობიარე და ცნობისმოყვარე ქალები არიან, ამასთან საგრძნობლად ძუნწებიც. ძალიან სახიფათო ქალია! ყველგან, სადაც კი გამოჩნდება, დარდიც თან დაჰყვება და უბედურებას უქადის მას, ვისაც იგი უყვარს. მამაკაცებს აღატაკებს და ზოგჯერ თვითმკვლელობისკენაც უბიძგებს. თავაშვებულ ვნებებს თითქმის ყოველთვის დაღუპვამდე მიჰყავს თვით იგიც.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: კეთილსასურველია კავშირი თევზებთან, თხის რქასთან, ქალწულთან, კირჩხიბთან, მერწყულთან, ლომთან და ვერძთან კავშირი უბედურების მომგვრელია. დიდი ლტოლვა, რომელიც არსებობს ღრიანკალსა და ვერძს შორის, არ არის საკმარისი იმისთვის, რათა თავიდან აიცილოს ამ ნიშანთა აგრესიულობით გამოწვეული კონფლიქტები. ღრიანკალი და კურო მსგავსნი არიან თავიანთი ტემპერამენტითა და მესაკუთრული ხასიათებით, რაც მათ შორის ჩხუბის მიზეზია. სამაგიეროდ, მათი შვილები ჩვეულებრივ ლამაზები და ნიჭიერები არიან. ტყუპებთან სულიერი და ფიზიკური ჰარმონია აქვს, მაგრამ ურთიერთობა ძალიან დაძაბულია ღრიანკალის მესაკუთრული და ტყუპების ცვალებადი ხასიათების გამო. კირჩხიბსა და ღრიანკალს შორის შეიძლება აღიძვრეს ხანგრძლივი და ბედნიერი კავშირი, ვინაიდან კირჩხიბს უნარი აქვს შექმნას ინტიმურობის და გულითადობის ატმოსფერო, რაც ასე აუცილებელია ღრიანკალისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ღრიანკალის ნიშანს ძლიერ იზიდავს ლომის ნიშანი და მათ შორის ფიზიკური ჰარმონიაც მყარდება, ეს კავშირი დასაღუპად არის განწირული. ღრიანკალსა და სასწორის ნიშნებს შორის რეკომენდებულია თანამშრომლობა სამსახურში, მაგრამ არა ქორწინება. სასწორის მსუბუქი ხასიათი გულზე არ ეხატება ღრიანკალს, სასწორს კი ეშინია მისი ძალზე ვნებიანი ხასიათისა. ღრიანკალსა და ქალწულს შეუძლიათ მტკიცე და ბედნიერი კავშირის დამყარება, რადგან

ისინი ერთმანეთს ავსებენ. ღრიანკალისა და მერწყულის კავშირს თავდაპირველად აუარესებს კინკლაობები, შემდეგ, თუ ყველაფერი მოგვარდება, ეს კავშირი შეიძლება ბედნიერი გამოდგეს. თუმცა მერწყულის რამდენადმე ცივი ტემპერამენტი დიდად არ ესადაგება ღრიანკალისას. თევზებთან კავშირი ყოველნაირად კეთილსასურველია, ოღონდ ღრიანკალი უნდა ეცადოს, რომ არ შელახოს თევზების სამართლიანი და ფაქიზი გრძნობები.



მშვილდოსანი

(23 ნოემბერი — 21 დეკემბერი)

ცეცხლის ნიშანია. მას იუპიტერი მფარველობს. გაწონასწორებული ხასიათი აქვს. ფილოსოფიური ბუნებისაა. ბედნიერებისა და კეთილდღეობის პლანეტა იუპიტერი მფარველობს მშვილდოსნის ნიშანს. მისი სიმბოლო ლამაზი და მრავალმნიშვნელოვანია—კენტავრი, რომელიც უმიზნებს უხილავს. სწორედ კენტავრი განაპირობებს მშვილდოსნის ორმაგობას: ერთი მხრივ—ძლიერ განვითარებულია, მეორე მხრივ—პრიმიტიული. მეორე ტიპის მშვილდოსანს არ უყვარს ცივილიზაცია. მას დიდი ცხოვრებისეული ძალა აქვს, ძლიერ აქტიურია, მოსწონთ ქალებს, აქვს უნარი გაიყოლიოს ხალხი. იგი მამაცია, თავაწყვეტილი, უხეში, მოგზაურობისა და გმირობის ტრფიალი. ესაა ტიპი მეზღვაურის, ჯარისკაცის, მეკობრის, ავანტიურისტის, მაწანწალის. პირველი ტიპი მეცნიერის, პოლიტიკოსის, მოაზროვნის ტიპია. იგიც მებრძოლია, მაგრამ მის ბრძოლის ველს ლაბორატორია, კაბინეტი, კათედრა ანდა ტრიბუნა წარმოადგენს. თუმცა სადღაც გულის კუნჭულში მაინც ბეუტავს მოგზაურობისა და მაწანწალობისადმი, რისკისა და ავანტიურისადმი სიყვარული, იგი შესანიშნავი არქეოლოგი,

ეთნოგრაფი, გამომძიებელი, ან ფოტორეპორტიორია. მიუხედავად მისი მხიარული, გულკეთილი ხასიათისა, ზოგჯერ მიუღწეველის გამო სევდა იპყრობს. დედამიწა ეპატარავება და ყოველთვის როდი იცის, რა უნდა. ამ ტიპის კაცი დღეგრძელი არ არის, ამასთან იშვიათად კვდება შინ.

ქალი — მშვილდოსანი. ამ ნიშნის მამაკაცების მსგავსად, ქალებიც ორი ტიპისანი არიან: პირველი ტიპი — ქალი, რომელსაც ბიჭის ხასიათი აქვს. მას ყველაზე მეტად ამქვეყნად უყვარს მოძრაობა და სპორტი. ქორწინებას და ოჯახურ ცხოვრებას ძნელად ეგუება. იგია ველური, დამოუკიდებელი და ახირებული. თავისი ცოცხალი ხასიათის, მოხერხებულობისა და პრაქტიკულობის წყალობით ნებისმიერ პროფესიაში აღწევს მიზანს.

მეორე ტიპი — მაღალი წრის ქალი დამოუკიდებელი ჭკუითა და ყოველგვარი ცრურწმენების გარეშე. ეტრფის ხელოვნებას, წიგნს, ბრწყინვალე ადამიანებს. ყველაფერს უზადოდ აკეთებს. ორიგინალური და ექსტრავაგანტურია.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: სასურველია ქალწულთან, თევზებთან, ტყუპებთან კავშირი. საკმარისია მზერა ჰკიდოს კუროს და მაშინვე იბადება სიყვარული ანდა სიმპათიები. მათი ქორწინება ჰარმონიულია. მშვილდოსანი ძლიერ ელტვის ვერძს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ ნიშნებს ბევრი რამა აქვთ საერთო, კავშირი მათ შორის არასასურველია. მშვილდოსნის დაუოკებელი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ ბევრ სიმწარეს ჰგვრის კირჩხიბს. რაკი მშვილდოსანი სიცოცხლისუნარიანია, იგი იზიდავს და გარდაქმნის კირჩხიბს. გულწრფელობა, იმპულსურობა და პატიოსნება აახლოებს მშვილდოსნის ნიშანს ლომის ნიშანთან, მათ შორის ტემპერამენტისა და ხასიათების მსგავსებაა. მათი კავშირი ფრიად კეთილსასურველია. მშვილდოსნისა და ქალწულის კავშირი განწირულია, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ძლიერი ფიზიკური ლტოლვაა. სასწორსა და მშვილდოსანს შორის ადვილად მყარდება მტკიცე და ბედნიერი ქორწინება. ურთიერთპატივისცემა სუფევს ღრიანკალსა და მშვილდოსანს შორის. კეთილსასურველი მეგობრობა და თანამშრომლობა მყარდება მუშაობაში. თხის რქასა და მშვილდოსანს უამრავი საერთო

ინტერესი აქვთ. თხის რქის სერიოზულობა ესადაგება მშვილ-
დოსნის ცოცხალ ხასიათს. თუკი აღიძვრის ფიზიკური ლტოლ-
ვა, ქორწინება ბედნიერების მომასწავებელია. მერწყული და
მშვილდოსანი ორივენი ცოცხალი და აქტიურები არიან. მათ
შორის ურთიერთსიმპათიებია. ქორწინება ძალზე ჰარმონი-
ულია. კინკლაობის ერთადერთი და შესაძლებელი მიზეზია
მშვილდოსნის ცვალებადობა. მშვილდოსანსა და თევზებს შო-
რის ღრმა წინააღმდეგობებია. ეს კავშირი იშვიათად არის
ბედნიერი, მიუხედავად ძლიერი ფიზიკური ლტოლვისა.





თითქმის ყველამ იცის ის ანალოგიები, რომელიც არსებობს ზოდიაქოს ნიშნებსა და ადამიანის სხეულის სხვა და სხვა ნაწილებს შორის.

ვ ე რ ძ ი: თავი და სახე, თვალები.

ხ ა რ ი: ყელი, ყურები, ყბა.

ტ ყ უ ბ ი: ხელები, მხრები, სასუნთქი გზები.

ქ ი ბ ო: მკერდი, მუცელი, ლიმფური სისტემა.

ლ ო მ ი: ხერხემალი, ზურგი, გული, სისხლძარღვთა სისტემა.

ქალწული: წვრილი ნაწლავები, მუცლის ღრუ.

სასწორი: თირკმელები, წელი.

მორიელი: სწორი ნაწლავი, შარდის ბუშტი, ნაღვლის ბუშტი, სასქესო ორგანოები.



მშვილდოსანი: თეძოები, ბარძაყები.

თხის რქა: მუხლები, სახსრები, ძვლები

მერწყული: ფეხის ქვედა ნაწილი, კოჭები, ნერვული სისტემა.

თევზები: ფეხები.

ჰოროსკოპი

რომელიც დაგეხმარებათ იდეალური პარტნიორის ამორჩევაში

ადამიანმა მრავალი ინსტინქტი მემკვიდრეობით შეისისხლხორცა, მაგრამ, როდესაც საქმე ეხება სექსსა და სიყვარულს, იგი მუდმივი მოწაფეა. საუბედუროდ, სიბრძნე მაშინ ეწვევა მას, როცა სამწუხარო, ავადმყოფურ შეცდომებს იგემებს და მრავალს კიდევ გამოცდის. სექსი და სიყვარული ადამიანისათვის სრულიად განსხვავებული საგნებია ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე. ასტროლოგიური ენით თუ ვილაპარაკებთ, სქესობრივი მომწიფების დადგომის შემდეგ ადამიანის ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება:

1) დაახლოებით 29,5 ასაკში პლანეტა სატურნმა უკვე გამოიარა პერსონალური ჰოროსკოპის სრული ციკლი და, როდესაც ადამიანი იშვა, დაუბრუნდა საწყის ადგილს: ამ დროისათვის ადამიანს უკვე აქვს განსჯის უნარი და მომწიფებულია. სატურნის გავლენით, ადამიანი ცდილობს განაგდოს ძველი თვალსაზრისი და, თავისი პირადი ჰოროსკოპის წყალობით, ცხოვრება უფრო ნათლად აღიქვას. ამ კრიტიკულ ასაკში „მე" დაიმსხვრა და მოუმწიფებელი წარმოდგენები საკუთარ პერსონაზე ლიკვიდირებულია. მისი სექსუალური ურთიერთობები იდეალისტური და უდარდელი აღარ არის, როგორც ახალგაზრდობაში იყო, საკმაოდ გამოცდილია.

2) დაახლოებით 41,5 წლის ასაკში პლანეტა ურანმა დაასრულა ნახევარი ციკლი თავისი ინდივიდუალური ჰოროსკოპისა და იმ ადგილამდე მივიდა, რომელიც საპირისპიროა იმისა, სადაც იგი იმყოფებოდა ადამიანის დაბადების ჟამს. ეს კრიტიკული პერიოდი მოწოდებულია მოამზადოს ადამიანის „მე" საბოლოო მიზნისათვის, დაანახოს ადამიანს ჭეშმარიტი ღირებულება, მისი მიღწევები და ხელმოცარვები ცხოვრებაში, მისი ადგილი დიდ, მსოფლიო მასშტაბში, უკვე უცვლელი ბე-

დით. აქ ურანი ამბობს თავის „მეს“ და ეს ძირითადი ჰეშმარიტების პერიოდია.

ამ ორი უმნიშვნელოვანესი ფსიქოსექსუალური გადასვლით ადამიანის სექსუალური წარმოდგენები თავისი დადებითი თუ უარყოფითი შედეგებით ძირითად ცვლილებებს ექვემდებარება. პლანეტების ამ ორმა მდებარეობამ შეიძლება შექმნას ანდა გატეხოს ადამიანი (ეს დამოკიდებულია მის შინაგან ძალებზე).

სტიქიის 4 ჯგუფი

ცეცხლი, დედამიწა, ჰაერი და წყალი — 4 ჯგუფია თორმეტი ასტროლოგიური ნიშნისა. ეს კატეგორია უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შეთანხმებულობის განსაზღვრისათვის (ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური), რაც ხელს უწყობს მათ შორის მტკიცე დამოკიდებულების დამყარებას. რასაკვირველია, ნებისმიერ ორ ადამიანს, რომლებიც დაბადებულნი არიან სხვადასხვა ნიშნის ქვეშ, შეუძლიათ სექსუალური სიამოვნება მიიღონ ერთიმეორისაგან, მაგრამ, ხანგრძლივი გაცნობისათვის, გრძნობებისათვის, რომ შენ „ეკუთვნი“ მას, ხოლო იგი შენ, რომ „მე მთელი სიცოცხლის მანძილზე გიცნობდი“, უკეთესია პარტნიორი იმავე ჯგუფიდან შეირჩეს, რომელსაც თქვენი ნიშანი განეკუთვნება. პრინციპი, რის მიხედვითაც არის დანაწილებული ეს ჯგუფები, გახლავთ მათი ერთმანეთისადმი განლაგება ჰოროსკოპში (120°).

ცეცხლი: ვერძი, ლომი, მშვილდოსანი
დედამიწა: კურო, ქალწული, თხის რქა
ჰაერი: ტყუპები, სასწორი, მერწყული
წყალი: კირჩხიბი, ღრიანკალი, თევზები

ჰოროსკოპის 12 სახლი

ჰოროსკოპის შედგენისას ძირითადი ტექნიკური ხერხია „ზოდიაქოს ორიენტირება“, ანუ დედამიწის განსაზღვრული ადგილმდებარეობა ზოდიაქოს მიმართ ადამიანის დაბადების

მომენტში. ზოდიაქოს შემოწერილობა ჰოროსკოპში დაყოფილია 12 ტოლ ნაწილად, რომელთაც „სახლი“ ეწოდება და ერთიმეორის მიყოლებით მიემართებიან საათის ისრის მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით. ყოველი ასეთი სახლი სიმბოლურად გამოხატავს ადამიანის ცხოვრების გაწსაზღვრულ სფეროს.

პირველი სახლია — სიცოცხლე, ბედის საერთო ხაზი, ადამიანის ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა სიკვდილთან

მეორე სახლია — მატერიალური კეთილდღეობა

მესამე სახლია — ძმები, დები, ახლო ნათესავები

მეოთხე სახლია — ოჯახური კერა და მშობლები

მეხუთე სახლია — შვილები

მეექვსე სახლია — ჯანმრთელობა

მეშვიდე სახლია — ქორწინება

მერვე სახლია — სიკვდილი, სასამართლო, ომი

მეცხრე სახლია — ინტელექტი

მეათე სახლია — სოციალური ამბიციები და საზოგადოებრივი სტატუსი

მეთერთმეტე სახლია — მეგობრები და სოციალური ურთიერთკავშირები

მეთორმეტე სახლია — მტრები

ვერძი

21 მარტი — 20 აპრილი
პირველი ძირითადი ნიშანია
ზოდიაქოს პირველი ნიშანია
პირველი ცეცხლოვანი ნიშანია
მას მართავს პლანეტა მარსი.
ბედნიერი რიცხვია 9 და ყველა
ის რიცხვი, რომელიც 9-ზე იყოფა.

ასტროლოგიური სიმბოლო: ცხვარი
ასტროლოგიური ფერები: ყოლოსფერი, წითელი, მოოქროსფრო, ყვითელი და ყველა მბზინავი ფერი.
ასტროლოგიური ქვები — ალმასი, აკვამარინი, ამეთვისტო.
ვერძი მართავს ჰოროსკოპის პირველ სახლს.

პიროვნების ზოგადი დახასიათება

ვერძს მართავს პლანეტა მარსი, ამიტომ იგი ამ ნიშნის ადამიანებს აქტიური ცხოვრებისკენ უბიძგებს და გამუდმებით ამარაგებს ენერგიით, რომლებიც მოუსვენრობის, დაუდგრომლობის, პატივმოყვარეობისა და მეტოქეობის უნარს ავლენენ.

ჰოროსკოპში ამ ნიშანს № 1 ადგილი ეთმობა და ამ ნიშნის მქონე ხალხი მუდამ პირველობას იჩემებს ყველაფერში.

ვერძის სიმბოლოა — ცხვარი, პირუტყვი, რომელსაც შუბლით გააქვს ყველაფერი და ვისაც კი საქმე ჰქონია ცხვართან (ვერძთან), იცის, რომ ისინი ცხვრებივით შეუპოვრად მიილტვიან მიზნისაკენ.

ვერძი ასევე ზოდიაქოს ცეცხლოვანი ნიშანია, რაც მას მეტ აქტიურობას ანიჭებს. მარსი, პლანეტა, რომელიც მართავს მას, დადებითად მოქმედებს და ამ ადამიანებს თვითდაჯერებას და სიმამაცეს მატებს.

სხვა ნიშნებისგან განსხვავებით, რომელთაც მარსი მართავს, მაგალითად, ლრიანკალისაგან, ვერძი — ახალგაზრდაა, მებრძოლი და მოუსვენარი. მუდამ ხრძოლისკენ ისწრაფვის, თუნდაც ამისი გამოცდილება აკლდეს. ვერძის პიროვნებაში არის რაღაც გარკვეული ჭაბუკური მიამიტობა, რომელიც მას ბევრ იმედს უცრუებს. ვინაიდან სურვილი აქვთ, ყოველგვარი საქმე სწრაფად მოგვარდეს, არ ჰყოფნით მოთმინება, დაწყებული საქმე დაასრულონ და მას სხვებს ანდობენ. ისინი კარიერას მანამდე იწყებენ, ვიდრე თავიანთ ადგილს იპოვნიან ცხოვრებაში. მათ ხშირად სჭირდებათ დინჯი და მიზანსწრაფული ხალხის დახმარება. ისინი იდეალისტები და რომანტიკულები არიან; სამწუხაროდ, ვერძი ხშირად ივიწყებს საკუთარ გამოცდილებას და, მრავალი შეურაცხყოფისა და ხელმოცარვის მიუხედავად, მაინც მიმნდობი რჩება. დიდ წარმატებებს აღწევენ თავიანთ პროფესიებში (განსაკუთრებით თეატრში) მაშინ, როცა ყურადღების ცენტრში იმყოფებიან და ირგვლივ აღფრთოვანებული ხალხი ეხვევათ. ამ ნიშნით მრავალი კინოვარსკვლავია დაბადებული. ვერძს ბედი სწყალობს ვაჭრობაშიც, სადაზღვევო საქმესა და სახლის მორთულობაშიც; ასევე ყველა იმ სფეროში, სადაც მას პირადი კონტაქტები აქვს. ამ ნიშნის ადამიანები მრავალი დარგის პირველალმომჩენებად გვევლინებიან. მათ ისეთი ამოუხსნელი ორიგინალობა ახასიათებთ, რომელიც მუდამ წარმატებით მთავრდება. ვერძი არ არის ლრმააზროვანი და ბრძენი ნიშანი, მაგრამ გულწრფელი და ლოიალურია. ახალგაზრდა მამაკაცები ხშირად ებმებიან ხოლმე ჩხუბში, ახალგაზრდა ქალები კი თითქმის ასეთსავე ძალებს იჩენენ და უკან არ იხევენ სპორტში ყველაზე მაღალი ადგილის დასასაკუთრებლად. ვერძს უყვარს დამოუკიდებლობა. თავგადასავლები იტაცებს, თუნდაც იგი ძვირად დაუჯდეს.

განმასხვავებელი ნიშანია ნიჭი წინსვლისა (გვერდს უვლიან ზოგიერთ საგანს). დღეს განაწყენებულსა და გაბრაზებულს, ხვალ უკვე ავიწყდება ყოველივე. მომავალში უარყოფილნი (საქმიან ვითარებასა თუ სიყვარულში), იშვიათად თუ მიეცემიან ამაზე ფიქრს და სწრაფად ლამობენ სხვა ადგილის

გამონახვას. ვერძს უყვარს დროსტარება და ამიტომ ხშირად მართავს ასეთ საღამოებს. ჩვეულებრივ ისინი კარგი მეურნეები არიან, მაგრამ თუ მიხვდებიან, რომ თავი ვერ გაართვეს წვეულებას, თხოვნით მიმართავენ მეგობარს, შეცვალონ ისინი, ხოლო თვითონ თვალყურს ადევნებენ, რომ ყველაფერი რიგზე იყოს.

ისინი კეთილშობილებით გამოირჩევიან და მუდამ ეხმარებიან უბედურებაში ჩავარდნილთ. ვერძი მამაკაცი ეს არის ტიპი უოლტერ რელეისა. ქალებს სიძულვილი აქვთ ყოველგვარი ვულგარულისა და უხამსის მიმართ. ვერძებს უყვართ საკუთარი აზრების დემონსტრირება. იშვიათად იოკებენ ემოციებს.

ფსიქოსექსუალური დახასიათება

ვერძები აქტიურები არიან სექსში. ეს ხალხი „ცხელსისხლიანთა" კატეგორიას განეკუთვნება. მაგრამ ვინაიდან ისინი თავის საკუთარ „მეს" არასოდეს ივიწყებენ, თუნდაც ეროტიკული ვნებათაღელვის ჟამს, წამოიჭრება საშიშროება, ისეთ ურთიერთობებში გახვევისა, რომლებიც სულიერი დაკმაყოფილების გრძნობისაგან დაცლილია.

როგორც ცნობილია, პლანეტების ზეგავლენის გამო ზოდიაქოს განმასხვავებელი ნიშნები შეიძლება შესუსტდეს. მაგრამ ვინაიდან ვერძები ყველაფერში უნდა პირველობდნენ, ამიტომ სავარაუდოა, რომ თუ ისინი აგრესიულობენ საუბრებსა თუ სხვა რამეში, ასეთივენი იქნებიან სარეცელზეც.

მარსის მიერ მართული მებრძოლი მამაკაცები და ქალები თვითონვე ირჩევენ პარტნიორებს და შემდეგ „შეტევაზეც" გადადიან, ზოგჯერ მოკრძალებით, რიდით, ხოლო ხანდახან ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე. როგორ მოიქცევა ვერძი საერთოდ და, კერძოდ, ქალთან სქესობრივი ურთიერთობის დროს, არავინ იცის, მაგრამ ერთი რამ ფუტყუარია: მათ სურთ იყვნენ აგრესიულები, იყვნენ გამარჯვებულები. როგორ ასრულებენ ამ როლს და რა შედეგები მოყვება ამას, დამოკიდებელია იმაზე, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენენ პლანეტები ინდივიდუალურ ჰოროსკოპზე.

ნუ მოაკლებთ სექსს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ელაქუცეთ, რადგან ვერძები მართავენ ჰოროსკოპის პირველ სახლს, რომელიც ეხება სხეულს. ვერძები ცხოვრობენ „სხეულის" სამყაროში — ისინი ფიზიკურად ამუშავებენ და ითვისებენ ყოველივეს, რაც კი ადამიანთა ურთიერთობის სფეროს ეხება. მათ უყვართ, როცა პირმოთნე სიტყვებს ეუბნებიან სქესობრივი აქტის დროს. ისინი აგრეთვე მომხრენი არიან სექსუალური ურთიერთობის მრავალგვარობისა და არ მიაჩნიათ ეს უწესობად.

ვერძის ცოლი (ქმარი) ფაქიზი და სუფთა უნდა იყოს. სუნამოები და აბრეშუმის პიჟამოები, საღამურები მომხიბვლელია ვერძისათვის. რბილი შუქი და მუსიკა ძალზე აღაგზნებს. ნუ მოისურვებთ ურთიერთობას ვერძთან ადრე საღამოს, ვინაიდან მათი უსაზღვრო და დაუოკებელი ენერგია მთელი ღამე გამოსავლის ძებნაში იქნება და შეიძლება პარტნიორს დისკომფორტი მოჰგვაროს.

დადებითი თვისებები

იგი მომხიბვლელი ნიშანია. ჭეშმარიტი მეგობარი: მოქმედების ადამიანი — ქალი იქნება თუ მამაკაცი, რომელსაც ყველა საქმე ბოლომდე მიჰყავს. თანამგრძნობებსა და მზრუნველებს სურთ, რომ ეს მათი მზრუნველობა თვალში საცემი იყოს. მუდამ ახსოვთ მეგობართა დაბადების დღეები და ძღვნად ყვავილები მიაქვთ. საკმარისია გაჭირვება ანდა პირადი ტრაგედია, და ისინი მუდამ მხარში ამოუდგებიან — შეიძლება ეწდო უბედურების ჟამს. ხელეწიფებათ კეთილშობილური, ვაჟკაცური საქმეები. ცოლქმრულ ცხოვრებაში ვერძები ენერგიულები (მომმარაგებლები და მიმწოდებლები) გახლავთ.

ვერძი სუფთა გულის ადამიანია, ქალი კი შეუპოვარი და კეთილშობილი. მათ არ შესწევთ უნარი იმისა, რათა „დაგნებდეთ".

უარყოფითი თვისებები

პლანეტა მარსის მუდმივ ძლიერი ენერგია, რითაც იგი მართავს ვერძებს, უარყოფითად მოქმედებს მათზე, ვინაიღან ხშირად უქმნის ენერგიის ხარჯვის პირობებს.

ვერძებმა თავშეუკავებლად იციან აფეთქება. ამიტომ კარგი იქნება, თუ ისინი ოდნავ მაინც ჩაფიქრდებიან, ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებენ, შემდეგ კი ყველაფერი თავიდან დაიწყონ!

ვერძები იშვიათად თუ ჩხრეკენ საკუთარ სულს, საჭირო კია, რომ გამოიკვლიონ იგი.

ვერძებო, ჩვენ, ასტროლოგები მოგმართავთ თქვენ:

გეშინოდეთ თქვენივე ძირითადი ცოდვისა: — ეგოცენტრიზმისა. უფრთხილდით, აგრეთვე, ეგოიზმს: მოთოკეთ გადაჭარბებული სიამაყე! ისწავლეთ დაწყებული საქმის დამთავრება! პირადი ურთიერთობების დროს მხოლოდ მატერიალური ჯილდოების გაღება როდი კმარა სიყვარულისა და ერთგულებისათვის; მიეცით უფლება თქვენს სატრფოებს დარჩნენ თავისთავადნი, შეინარჩუნონ საკუთარი სურვილები, მისწრაფებები და ორიგინალობა.

სიყვარულის ეკონომიკა

ვერძები ჩემპიონები გახლავთ სიყვარულის ეკონომიკაში. მათ კარგად იციან ფულის ფასი და გაბედულადაც მიიწევენ თავიანთი წილი მატერიალური კეთილდღეობის დასაუფლებლად. კარგად ორგანიზებულნი გონების თვალით აკონტროლებენ თავიანთ ვნებებს. პროფესიული დამსახურებისათვის მაღალ ჯილდოებს ითხოვენ. მხედველობაშია არა მარტო საქმიანი მხარე. რამდენი ცნობილი ვაჭარი დაიბადა ვერძის ნიშნის ქვეშ. ამავე ნიშნით დაბადებულებს მიეკუთვნებიან ისეთი ადამიანებიც, რომლებმაც რაკი პირველად იღბლიანად იქორწინეს, მერე და მერე კვლავ და კვლავ ქორწინდებოდნენ, თუკი ეს მათ ხელს მოუმართავდათ შემდგომ წარმატებებში.

მაგრამ, თუ ვერძის დადებით თვისებებზე ვიმსჯელებთ, ძვირად უჯდებათ სატრფოს გულის მოგება; თანამედროვე ავტომობილები, ლამაზი სახლი, უმდიდრესი გარდერობი, ქალაქად ძვირადღირებული საღამოები...

ვერძი დიდად ბრძენი არ გასლავთ და იგი იმ ხალხს განეკუთვნება, რომელთაც ზერელე ცოდნა და გრძნობები აქვთ. ისინი კი, რომლებიც წარმატებებს აღწევენ საფინანსო საქმეებში, ხშირად იცვლიან სიყვარულის საგანს, ყიდულობენ ერთგულებასა და სექსუალურ სიამოვნებებს, მაგრამ ყიდულობენ იქ, სადაც ყველაზე ლამაზი და გრაციოზული ადამიანები არიან. ვერძები მათ შინაური ცხოველებივით ეპყრობიან და დროს მათთან მხოლოდ მოცალეობისას ატარებენ.

შესაფერისი პარტნიორები

29,5 ასაკამდე ვერძისათვის ყველაზე შესაფერისი პარტნიორები მოიძებნებიან ლომსა და მშვილდოსანს შორის. სამივე ცეცხლოვანი ნიშნისაა და ამ ასაკამდე ძალზე დაუოკებელნი არიან. ვერძი 29,5 წელს გადაბიჯებს თუ არა, თანდათან მომწიფებას იწყებს და უფრო სოლიდური და დადინჯებულია, ამასთან მეტად პრაქტიკულიც. ამ დროს შეიძლება გამონახოს მან საერთო კუროსა და ქალწულის ნიშნებთან. ეს ორი ნიშანი დიდი პრაქტიკულობით გამოირჩევა, ანუ სწორედ იმ თვისებით, რაც ესოდენ აკლია ვერძს წარმატებების მისაღწევად. 29,5 ასაკის შემდეგ ვერძები ნაკლებ ეგოცენტრულები ხდებიან და სექსის, სიყვარულის კონცენტრირებისას თავიანთ ენერგიას მიმართავენ დიდძალი თანხისა და კეთილდღეობის მოსაპოვებლად.

41,5 ასაკში, რაც ურანის ციკლის ნახევარს შეადგენს, ვერძებმა უნდა აკონტროლონ თავი, ვინაიდან მრავალი უარყოფითი თვისება გააჩნიათ, კერძოდ, საქმის მიტოვება შუა გზაზე. ამ პერიოდში ისინი კარგად ეგუებიან სასწორსა (მგრძნობიარე, გონიერების ნიშანი) და ტყუპებს (ინტელექტის ნიშანი).

ახალგაზრდობის წლებში — არცთუ დიდად. 20 წლამდე (და ცოტა შეტად) ვერძები ისწრაფვიან თავგადასავლებისა და სიამოვნებებისკენ. ცოლქმრული ცხოვრება მშვენივრად წარიმართება, თუ ეს წყვილი გატაცებული იქნება ერთნაირი მიზნებით. ვერძისათვის სხვადასხვა სიამოვნების, თავგადასავლებისა და სექსუალური შეთანაწყობის მისაღწევად საუკეთესო პერიოდია 29,5 წელი (თუ, რასაკვირველია, შეუღლება არ არის იძულებითი). იგი დადინჯდება 29,5 შემდეგ და მყარი ოჯახური ცხოვრების შესაძლებლობაც ამაღლდება.

ᲕᲔᲠᲫᲔᲑᲝ, ᲩᲕᲔᲜ, ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘ, ᲒᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ:

რატომ არა გსურთ კონტროლი დაუწესოთ საკუთარ შინაგან „მეს"? სხვები ხედავენ ამას, მაგრამ ამ სისუსტეს თქვენ წინააღმდეგ არ იყენებენ. სინამდვილეში, თქვენ თქვენს თავს სხვისი თვალებით ჰვრეტთ.

რატომ გაურბით კონფრონტაციას? ნუთუ არ გესმით, რომ თქვენ თქვენივე ნაკლი აგდევნებიათ და სხვა პირობებში ხელახლა დაგჭირდებათ მასთან პირისპირ დგომა?

რატომ უნდა იყოთ მუდამ გამარჯვებულნი?

და ბოლოს, რატომ შეგქმნათ ვარსკვლავებმა ასეთი მაცდურები?

კურო

21 აპრილი — 21 მაისი
მე-2 ნიშანი ზოდიაქოსი
1 მიწის ნიშანი
1 მუდმივი ნიშანი
მართავს პლანეტა ვენერა
ასტროლოგიური სიმბოლო: ხარი
ასტროლოგიური ფერი: გაზაფხულის ფერები — ლიმონის ფერი, თეთრი, მწვანე და იასამნის ფერი.
ბედნიერი რიცხვი: 6 და ყველა ის რიცხვი, რომელიც 6-ზე იყოფა.
ასტროლოგიური ქვები: ბრილიანტი, ოპალი, მთვარის ქვა.
კურო მართავს ჰოროსკოპის მეორე სახლს.

პიროვნების საერთო დახასიათება

კუროს მართავს პლანეტა ვენერა და მასზე სულ სხვაგვარად მოქმედებს, ვიდრე სასწორზე. მომავალში კუროს მართვისას იგი ნაკლებად რთული და პრეტენზიული იქნება, ადვილად მოიცილებს ყოველივე არამიწიერსა და ინტელექტუალურს და ეწვევა დედამიწას. ტიპიური კურო თბილი, მეგობრული, ნაზი და მგზნებარე ადამიანია, თუმცა თავშეკავებაც ძალუძს. ხარი უზუსტესი სიმბოლოა ამ ნიშნის. მიზნის მისაღწევად კურო იყენებს ძალას. კუროს ხშირად ეძახიან „მარილს ქვეყნისა", რადგან სიტკბო აკლია, მან ზუსტად იცის, რაც სურს და შეუპოვრად იღვწის ამისთვის.

მამაკაცი - კურო, ხშირად კეთილი და თვინიერი, ადვილად იჩენს ხასიათის სილბილეს. მაგრამ ნუ ჩათვლით ამას ხასიათის ნაკლად ანდა ტემპერამენტის ნაკლოვანებად. აუფრიალეთ წითელი თავსაფარი ხარს. კუროს გაანჩხლება ძნელია, თუმცა უფრო ძნელია შინაგანი ანტაგონიზმის გამოვლენა, მაგრამ თუ გაბრაზდა, მაშინ ნამდვილ ხარად მოგვეევლინება და ყველაფერს დაამსხვრევს, რაც კი წინ გადაეღობება.

არსებობს საბავშვო ზღაპარი „ხარი ფერდინანდი“, რომელიც მშვენიერი მაგალითია კუროს რბილი ხასიათისა. ერთი ახალგაზრდა ხარი ყვავილს წააწყდა და იმის მაგივრად, რომ მატადორს დასხმოდა თავს, უკანა ფეხებზე ჩაიცუცქა და ყვავილის სურნელებით დამტკბარმა ყნოსვა დაუწყო. სრულიად დაავიწყდა მატადორიცა და მოღრიალე, გუნებაწამხდარი ბრბოც. აი ასეთია კურო, რომელმაც სილამაზის ფასი კარგად იცის.

კუროთა უმრავლესობა გვერდს ვერ აუვლის ხელოვნებას, მუსიკას, მაგრამ უმეტესწილ მათ მაინც ადამიანის სხეულის სილამაზე ხიბლავთ. კუროები, ჩვეულებრივ, ვნებიანი სატრფოები არიან. ასტროლოგები ხშირად ამბობენ, რომ ღრიანკალი კუროს საპირისპირო ნიშანია — კერძოდ, გაუმაძღარი პარტნიორია, დაუოკებელია სქესობრივი ურთიერთობის პროცესში. ძირითადი განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ღრიანკალის ინტელექტი ხშირად აიძულებს მას დაივიწყოს სქესობრივი ლტოლვა, რათა მიაღწიოს წარმატებებს რომელიმე სხვა სფეროში. მაგრამ კუროებს ისე აქვთ მოჭარბებული ფიზიკური ძალები, რომ სქესობრივი აქტი თავისებურ დამამშვიდებლის როლს ასრულებს.

კურო ჰოროსკოპის მე-2 სახლს მართავს, რომელსაც ხშირად „ფულის სახლს“ უწოდებენ. კუროები საოცარი მატერიალისტები არიან, ხშირად ადგენენ ისეთ გეგმებს, რომელთაც ფულის მოტანა შეუძლიათ, მაგრამ ისინი არ ჰგვანან ძალაუფლების მოყვარე თხის რქას. კუროები დღევანდელი დღით ცხოვრობენ.

ისინი კომფორტის მონები არიან. მათი ბინები მოწყობილია თანამედროვედ, ეს უადვილებთ კუროებსა და მათ სატრფოებს ცხოვრებას. მათ ყველაფრის ფასი იციან, მაგრამ ყველაზე უმთავრესი ისაა, რომ ყიდვის დროს ისინი ფუფუნების საგანს სიამოვნების თვალსაზრისით აფასებენ.

კუროს პლანეტა ვენერას ხშირად ნაკლებიღბლიანად ნათლავენ, უფრო იღბლიან პლანეტა იუპიტერთან შედარებით. თუმცა არც იგია კუროსთვის ცუდი მეგობარი. მას ბედნიერება და წარმატება მოაქვს. იგი ანიჭებს კუროს მომხიბვლელო-

ბას მეგობრებისა და სატრფოს თვალში, მასვე უწილადებს იმ ხიბლს, რომელიც მისკენ იზიდავს ყველას.

კუროებს არ სჩვევიათ სატრფოთა შექება ნაკვაზიანი კომპლიმენტებით. თუმცა, უმრავლესობა პოეტურ სიტყვებს ამჯობინებს ძვირფას საჩუქარს. მათ აქვთ უნარი პოეტური გრძნობების გამოვლენისა, მაგრამ რცხვენიათ ამაზე ლაპარაკი. მართალია, სატრფოები მადლიერნი რჩებიან ასეთი საჩუქრების გამო, კურო მაინც უნდა ეცადოს და თავისი გრძნობები უფრო აშკარად გამოავლინოს. კურო ძნელად კი უგებს სხვა ადამიანებს, მაგრამ, საერთოდ, დადებით ნიშნად ითვლება. იგი მეგობრის მოყვარულია, თუმცა ხანდახან ცოტათი მოსაწყენია თავისი თავშეკავებულობითა და სიტყვაძუნწობით. კურო ყელს განაგებს. მათი უმრავლესობა უფრო იმღერებს, ანდა ვინმეს სიმღერას მოისმენს, ვიდრე ისაუბრებს. მსახიობთა უმრავლესობას, კერძოდ, ტელე და რადიოდიქტორებს (კუროებს) ბედი უღიმით, ვინაიდან მათი პროფესიისათვის საჭიროა ძლიერი და სასიამოვნო ხმა.

ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ კუროს პიროვნება ფუნქციონირებს სწორად და თანამიმდევრულად, მაგრამ დაიმახსოვრეთ: ნუ ეცდებით ხარის გზიდან აცდენას, თორემ ამას მძიმე შედეგი მოყვება.

ფსიქოსექსუალური დახასიათება

შესაძლებელია, კურო ყველაზე მეტად მგრძნობიარე ნიშანი იყოს ზოდიაქოსი. იმ ადამიანებს, რომელთაც ვენერა მართავს, უყვართ ალერსი, მაგრამ ურჩევნიათ, სხვები ეალერსებოდნენ და ამიტომაც ახანგრძლივებენ ალერსის დროს. კუროები კარგი მეუღლეები არიან. ამ ნიშნის ქალები ალალი და ერთგული ცოლები გახლავთ. მათ შეუძლიათ შექმნან ოჯახში მშვიდობიანი ატმოსფერო და ჰარმონია. კუროთა უმეტესობა კარგად შრომობს, როცა მათ მყუდრო ბინა და ოჯახი აქვთ, სადაც ადამიანს შეუძლია აღიდგინოს ენერგია. კუროთა ცოლები ხშირად წუწუნებენ, რომ მათი ქმრები პასიურები არიან, იმის მოლოდინში, რომ აქტიურობას ცოლი გამოიჩენს. თუ ასე არ არის, მაშინ ქმარი მზადაა მონახოს სხვა ქალი.

ვინაიდან კურო „ფულის სახლს“ მართავს, მისი ფინანსური საქმეები დიდ გავლენას აბდენს მისივე ცხოვრების სქესობრივ სფეროზე. როდესაც კურო გადახდისუნარიანია, მას არ იტაცებს ქალის ლამაზი აგებულება. მაგრამ, როცა მისი საქმეები ცუდად მიდის, სექსი თავშესაფარი ხდება.

თუმცა კუროს უყვარს უზომო ხარჯვა, მაგრამ როდესაც ადვილად აღწევს წარმატებებს, შეუძლია სიძუნწეც გამოავლინოს.

ქალმა-კუროებმა თავიანთი ნატურა — ვენერა უნდა დაატკბონ ფუფუნების სხვადასხვა საგნებით: ძვირფასი ნაკეთობებით, ტანსაცმლით, ავტომობილებით — ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ სიყვარულისა და სილამაზის ღმერთს აამონ და მარსის აღფრთოვანება გამოიწვიონ. როდესაც მისით აღფრთოვანებულები არიან, ვენერას ასული სრულიად გულგრილი ხდება სექსის მიმართ, იმ დროს, როდესაც მამაკაცკუროს იშვიათად ნახავთ ასეთს. იგი უარს არასოდეს არ ამბობს.

მამაკაცებიც და ქალებიც ძალზე თავშეუკავებლობას იჩენენ. სქესობრივი აქტის დროს ისინი ხშირად მოქმედებენ იმპულსების ზემოქმედებით და ფიზიკურად ძლიერებს არ აკმაყოფილებთ ერთი სქესობრივი აქტი. კუროებს ხშირად მოსწონთ მერკურის მიერ მართული ორი ნიშნის გარეგნობა: ქალწულისა და ტყუპების, რომლებიც მათ ათასგვარ სექსუალურ რეპერტუარს სთავაზობენ. კურო-მამაკაცებიცა და ქალებიც, ჩვეულებრივ, სილამაზით არიან გამორჩეულები. კუროს ნიშნით არაერთი კინომსახიობია დაბადებული.

როგორ ვოვგვაროთ ძმაკოფილების ბრძნობა კუროს

კუროს დამოკიდებულება სექსისადმი შეიძლება სულ ადვილად გადაიზარდოს უკიდურესად პროზაიკულში, თუ იგი თავის პარტნიორთან დიდი გრძნობებით არ არის დაკავშირებული, ან კიდევ, უბრალოდ, თავს აბეზრებს. კუროს არც იმის შერცხვება, რომ ძველ პარტნიორს სთხოვოს მისთვის სასურველი რომელიმე პარტნიორის ტელეფონის ნომერიც კი.

დადებითი თვისებები

კურო — მშვიდობისმოყვარე ადამიანია და ჩვენს დროში, როდესაც ყველა იმისკენ ისწრაფვის, რათა მძაფრად გამოავლინოს თავისი სურვილები, იგი მაგალითია კეთილმოსურნეობისა. ძალისა და ნიჭის წყალობით კუროს შეუძლია ენერგიის კონცენტრირება მხოლოდ ერთზე და ამიტომაც ადვილად ეწვევა წარმატება.

ისინი დიდ წარმატებებს აღწევენ იმ საქმეებში, რომლებიც დროსა და გაბედულებას ითხოვენ. კუროები ხშირად წამოაყენებენ ხოლმე ისეთ კომერციულ იდეებს, თავიდან რომ უმნიშვნელო გეჩვენებათ, ხოლო მოგვიანებით ეროვნულ მასშტაბებს იძენს. დაიმახსოვრეთ: კურო მართავს „ფულის სახლს“ და მან იცის, თუ როგორ უნდა გამობერტყოს ოქრო სხვების ქისიდან.

დაქორწინებული კურო იშვიათად თუ ეყრება მეუღლეს. ისინი ერთგულნი რჩებიან ბოლომდე თუ ფიზიკურად არა, სულიერად მაინც. მამაკაცებმა თავისუფლად უნდა იქორწინონ კურო-ქალებზე, რადგან ისინი ძლიერი, კეთილშობილი მეუღლეები არიან, დაინტერესებულნი ქმრების საქმეებით, რომელთაც მხარს უბამენ პრაქტიკული რჩევებით.

თუ ვინმეს სურს, ურთიერთობები მდორედ მიყვებოდეს ვენერას ტალღებს, ეწვიეთ ხომალდ „კუროს“ — აქ სრული სიმშვიდეა. ვენერა ის ღმერთქალია, რომელიც ახალგაზრდა გოგონებს აიძულებს სიყვარული ააგიზგიზონ, ხოლო ჭაბუკ ვაჟებს — აფოფხდნენ მთვარით განათებულ აივნებზე და ვნებიანი სერენადები იმღერონ. კუროს ნიშნით დაბადებულებს ვენერა გამოუძებნის მათთვის სასურველს სიყვარულისა და ქორწინებისათვის. მათზე ამ მხრივ დიდი მოთხოვნილებაა.

უარყოფითი თვისებები

სიჯიუტე, გულგრილობა, ეგოიზმი — აი საიდან უნდა დავიწყოთ, მაგრამ ძირითადი ნაკლი კუროსი ის არის, რომ მას უყვარს თავისი სისუსტეების, თავისი სურვილების წაქეზება,

მეორე ნაკლია — გადაჭარბებული სიფრთხილე. თუ კურო რაიმეს ვერ აღწევს, ეს იმის გამო, რომ იგი ორჭოფობს და არ შეუძლია შემთხვევის გამოყენება.

პირად ურთიერთობებში კუროს შესწევს უნარი სექსი და ემოცია ერთმანეთს შეუსაბამოს. თუკი მათ სურთ, რომ შეინარჩუნონ მშვიდობიანობა, უნდა გამოიგონონ სულიერი ცხოვრების მსგავსი რამ. თავი უნდა მოიკატუნონ პარტნიორისთვის. ქალებს უყვართ საუბარი, არაფრისმთქმელი ლაქლაქი და მამაკაცებმა (კუროებმა), ხანდახან უნდა უსმინონ კიდეც. მამაკაც-კუროებს უყვართ ლაქუცი და პარტნიორმა ქალებმა უნდა შეძლონ, რომ რაიმე საალერსო უთხრან მათ.

კუროს სექსუალური სწრაფვა ხშირად არის დაკავშირებული კუჭთან და ჭამის ჩვევებთან, ამიტომ მას უნდა ახსოვდეს, რომ ღორმუცელობას მოყვება ჭარბი წონა

კუროებმა ყური უნდა ათხოვონ კრიტიკას, როდესაც იგი მათ ეხება, შეეცადონ გაითვალისწინონ იგი და ჯიუტად არ იმოქმედონ ძველი ჩვეულებებით.

სიყვარულის ეკონომიკა

კუროებს სურთ დაეუფლონ ყველაფერს და სიხარულით ებმებიან „სიყვარულის ეკონომიკის“ თამაშში. ჩვეულებრივ, ისინი აღმერთებენ ოქროს კუროს და საოცარი ხელოვნებით იყენებენ ფულს პირადი მიზნების, განსაკუთრებით, სექსუალურის, დასაკმაყოფილებლად. კურო ბევრის ყურადღებას იქცევს, მაგრამ თვითონ მას ხშირად სწადია მიუწვდომელი ადამიანი, რომლის მოხიბვლაც დიდ ფასად უჯდება. კუროს არ ყოფნის ერთი ადამიანი: მას სჭირდება არა მარტო ხარისხი, არამედ რაოდენობაც. კუროს უნდა ორი სახლი, ორი მანქანა, და თუ დაუშვებელია ორი ცოლი, მაშინ საყვარელი. ქალ-კუროს სირცხვილი არ აწუხებს და ფულს იშველიებს ყველაზე ლამაზი მამაკაცის ხელში ჩასაგდებად. დადებითი ტიპის კუროებს შეუძლიათ ხელგაშლილობა გამოიჩინონ ფულის ხარჯვისას. ხელოვნების სიყვარულით ისინი ხშირად მფარველობენ მომავალ ვარსკვლავებს. ამგვარად უწყობენ ხელს ისინი ხე-

ლოვნებასაც და თავის სქესობრივ ცხოვრებასაც. მაგრამ ისინი იშვიათად მფარველობენ ისეთ ადამიანს, რომელიც მოკლებულია სილამაზესა და ტალანტს. ვენერამ დააჯილდოვა ისინი ფაქიზი გრძნობით ამ ორი თვისების მიმართ.

კუროს უნარი შესწევს, დააგროვოს ფული შავი დღისათვის. ეს ის ხალხია, ვინც ეროვნულ ფინანსურ უძრაობებს და ჩაგარდნებს გადალახავს და ჭკვიანურად შეიძენს იმ საგნებს, რომლებიც მუდამ ფასობენ, მაგალითად, მამულებსა და საიუველირო ნაკეთობებს. მოკლედ, არავინ ფლობს ისე ძალუმად ფულადი მანიპულაციების ხელოვნებას, როგორც „ფულის სახლის" მეპატრონეები.

შესაფერისი პარტნიორები

29,5 წლამდე სასურველი პარტნიორები არიან ქალწულისა და თხის რქის ნიშნის ადამიანები და დედამიწის სამივე ნიშანი. 29,5 ასაკამდე ისინი ეძებენ შემთხვევით და, ცოტა არ იყოს, პასიურ, მგრძნობიარე კავშირებს. მაგრამ, თუ კურო ირჩევს ქალწულს, მხედველობაში უნდა ჰქონდეს ისიც, რომ იგი ლამაზი, მაგრამ ცივია და თუ თხის რქა ჯერჯერობით კარგი, საქმიანი პარტნიორი და მეუღლეა, მოგვიანებით ვეღარ დააკმაყოფილებს კუროს სექსუალურად.

29,5 ასაკის შემდეგ კურო სულიერად მაღლდება და შეუძლია მოძებნოს შესაფერისი პარტნიორი ტყუპებისა და ვერძის ნიშნებს შორის. ტყუპები ავსებენ მის ინტელექტს, ხოლო ვერძი აძლევს ცეცხლსა და ენერგიას. ვერძი და ტყუპები საკმაოდ ინტელექტუალური ნიშნები გახლავთ, და ვინაიდან კურო სულაც არ ფრენს ღრუბლებში, ზოგჯერ სასარგებლო იქნება ოდნავ მაინც მოვწყვიტოთ იგი დედამიწას. ეს იმისთვის, რომ მან შეძლოს კარგად გადახედოს თავის ცხოვრებას და შეცვალოს მომავალი.

41,5 წლის შემდეგ, როდესაც კურომ უკვე მოიპოვა ასე საწადელი კეთილდღეობა, მზად არის უფრო ღრმა, იდეალისტური ურთიერთობაც დაამყაროს. იგი ამ შემთხვევაში კარგად ეგუება ღრიანკალსა და მშვილდოსანს. კურომ სწრაფი

გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს: იგი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მისი პარტნიორი — მეტად განვითარებული ტიპია (თავისი ნიშნის), თორემ სხვაგვარად ყველაფერი დაიღუპება. მშვილდოსანი შესაძლებლობას აძლევს კურ[illegible]ს, მისთვის უცნობი სულიერი აღფრთოვანებების დღესასწაულზე იზეიმოს. ღრიანკალს შეეძლო აეხსნა კუროსთვის ცხოვრების ყველა საიდუმლო მხარე, რომელიც ყოველთვის აცვიფრებს მას და ასევე ესწავლებინა, როგორ შეერწყა ფიზიკური ძალა სულიერისთვის. ღრიანკალები ყოველთვის კარგი სექსუალური პარტნიორები არიან კუროსთვის.

ერთგულების შეფასება

მუდამ დადებითია. მყარი ნიშანია, კუროს არ უყვარს ცვლილებები. ახალგაზრდობის წლებში კუროები განსაკუთრებით ერთგულობენ მეგობრებსა და წათესაებს. ცოლქმრობაში კი მათი ერთგულება მუდმივი და დამოკიდებულია.

კუროებო, ჩვენ, ასტროლოგები, გეკითხებით თქვენ:

რატომ არ გსურთ მიაღწიოთ ზეშთაგონებულობას, მაშინ როდესაც ადამიანთა კეთილი თვისებების 95% თქვენს მხარესაა, რაც საშუალებას გაძლევთ გახდეთ ზოდიაქოს ყველაზე სასურველი ნიშანი.

როდის ისწავლით და მიიღებთ მონაწილეობას ორმხრივ საუბარში?

როდის მისცემთ სხვებს შესაძლებლობას, თქვან სათქმელი?

როდის დაიხსნით თავს და აღარ იქნებით დამოკიდებულები ვითარებებზე?

დაბოლოს, რატომ დაუტოვა ვენერამ პოეტური, ინტელექტუალური ძვირფასეულობით საკმაო სკივრი სასწორს და მხოლოდ ამის შემდეგ გეწვიათ თქვენ?

აბა, გამხნევდითl თავი მოიკატუნეთ, რომ გაგაჩნიათ ის ინტელექტი და სინაზე, მან რომ ჩამოგართვათ, თუნდაც მაშინ, როდესაც თქვენ იმყოფებით პრაქტიკის ტყვეობაში (რასაც თავისი უპირატესობაც აქვს).

ტყუპები

22 მაისი — 21 ივნისი
მე-3 ნიშანი ზოდიაქოსი
I ჰაერის ნიშანი
I ცვალებადი ნიშანი
მას მართავს პლანეტა მერკური
ბედნიერი რიცხვი: 5 და ყველა ის რიცხვი, რომელიც 5-ზე იყოფა.
ასტროლოგიური სიმბოლო: ტყუპები
ასტროლოგიური ფერები: კაშკაშა ნარინჯისფერი, მკრთალი ყვითელი, მონაცრისფრო-ცისფერი, ოისფერი.
ასტროლოგიური ქვები: ზურმუხტი, საფირონი, აქატი.
ტყუპები მართავს ჰოროსკოპის მე-3 სახლს.

პიროვნების ზოგადი დახასიათება

ნიშანი წარმოდგენილია მოძრავი, სიცოცხლით სავსე ტყუპებით, იუპიტერისა და ქალწულის ლეგენდარული ვაჟებით. ამ მომხიბვლელი, იდუმალი ნიშნის ადამიანები თავგზას უბნევენ ყველას, მათ შორის ასტროლოგებსაც — თავიანთი მერყეევი და ცვალებადი ხასიათებით. ამას ჰქვია ბედის დაცინვა. რა ამსგავსებთ ტყუპებს და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან? ამას შეიძლება მოვუძებნოთ ასტროლოგიური ახსნა — მათ ხომ პლანეტა მერკური მართავს და ზემოქმედებასაც ახდენს, ნაწილობრივ აქედან მომდინარეობს მათი გაორება, მათი „ვერცხლისწყლისებრი" მოძრაობა, ხასიათის დიდბუნებოვნება.

მერკური გახლავთ ღვთის მიერ გამოგზავნილი „ფრთოსანი ელჩი", რომელიც მართავს ჩვენს გონებრივ პროცესებსაც კი. ამიტომ ტყუპები, რაკი მერკური უშუალოდ ზემოქმედებს მათზე, ძალზე ინტელექტუალურები არიან და ხშირად სჯობ-

ნიან ამ სფეროში სხვებს. ტყუპები გუნებ-განწყობის ხალხია, ცუდ გუნებაზე მყოფნი ხშირად იქცევიან ბრიყვებად, უჭკუოდ, რაზეც მოგვიანებით სინანულს გამოთქვამენ.

სხვადასხვაგვარობა — ძირითადი თვისებაა ტყუპებისა. მათ საოცარი მრავალმხრივობა ახასიათებთ, მაგრამ უნდა ისწავლონ თავიანთი ძალების კონცენტრირება. მერკური ტყუპების ტვინში დებს ცნობისმოყვარეობის მოდელს და აიძულებს მათ გააანალიზონ იგი, დაანაწევრონ, კვლავ შეაერთონ და შემდეგ სხვა საქმეზე გადაერთონ.

არც ერთი ნიშანი არ აძლევს ისეთ დიდ მნიშვნელობას ჭაბუკობის შთაბეჭდილებებს, როგორც იგი და ეს გავლენას ახდენს ტყუპების შემდგომ ცხოვრებაზე. გონებამახვილი და საზრიანი ახალგაზრდა ტყუპები, ემორჩილებიან რა ვითარებას, ეთიკის დამცველთა მამამთავრებად გვევლინებიან. თუ მათ ბავშვობიდანვე შეისისხლხორცეს სწორი წარმოდგენები, შემდგომ განავითარებენ მას, განამტკიცებენ და შედეგიანობისა და სურვილთა დაკმაყოფილების ფილოსოფიად გარდასახავენ.

მაგრამ, თუ ტყუპებს ჭაბუკობაში არ ჰქონიათ სწორი მორალური მიზანდასახულობა, ისინი აღუდგებიან პირობითობას, დაარღვევენ შემზღუდავ ოჯახურ ბორკილებს და განუდგებიან ხელისუფლებასა და საზოგადოებას.

ზოგიერთი ტყუპი, თავისი გონებრივი ძალით გაამაყებული, თვითკმაყოფილებასა და მეტისმეტ თავდაჭერილობას ამჟღავნებს, ზემოდან დასცქერის ყველას და საკუთარი სურვილების წაქეზებას იწყებს, რაც, ძირითადად ინტელექტუალური დაქანცულობითა და დაღლილობით მთავრდება.

დადებითი თვისებები, რითაც მერკურმა ტყუპები დააჯილდოვა, შემდეგია: მრავალმხრივობა, სიმსუბუქე, თავაზიანობა, ტაქტიანობა, დიპლომატია, გაგება, ინტუიცია და განჭვრეტის უნარი. ეს სანაქებო თვისებებია და ტყუპებმა ისინი სწორად უნდა წარმართონ მაღალი მიზნების მისაღწევად.

ტყუპების ბუნებაში განსაკუთრებული სიცივე იგრძნობა, რომელიც ხშირად მაღალ გრძნობებად მიაჩნიათ თვით ტყუპებსაც და სხვებსაც. მაგრამ ისინი არცთუ ისე ემოციურნი გახლავთ — ესაა ღრმა გრძნობების მოჩვენებითობა.

ტყუპები კარგად ეგუებიან ცვლილებებს. მათ დემოკრატიული აზრები აქვთ, უყვართ მოგზაურობა და სიამოვნებას ანიჭებთ ის პროფესია, რომელიც მრავალმხრივობით არის გამორჩეული.

იგი მხიარულია და მუდამ ახალგაზრდულად გამოიყურება, კლასიკური ტიპია „დანაწევრებული" პიროვნებისა.

ფსიქოსექსუალური დახასიათება

მერკური მზესთან ყველაზე მეტად ახლოს მდებარე პლანეტაა. ამიტომ იგი მზის ირგვლივ უფრო სწრაფად ბრუნავს, ვიდრე დანარჩენი პლანეტები. მისი ცალი გვერდი მუდმივ მზისკენ არის მიმართული და განუწყვეტლივ ინახავს მაღალ ტემპერატურას მაშინაც, როცა მეორე გვერდი ვერ ხედავს მზეს და ნულზე დაბალი ტემპერატურა აქვს. სითბოსა და სიცივის ასეთი უკიდურესობები დემონსტრირებაა ტყუპების ცვალებადი სექსუალური ქცევისა. ტყუპების უარყოფით ტიპებს შორის ჩვენ ვხედავთ ექსპერიმენტატორებს, სატირებს (მამაკაცთა შორის), ნიმფომანებს (ქალებს შორის), ექსჰიბიციონებს, ფაშისტებს, ჰომოსექსუალებს და გარყვნილებს.

დადებით ტიპებს შორისაა ის ადამიანი, რომელმაც ფიცი დადო, რომ არასოდეს იქორწინებდა. მან პირადული უარყო, იგი არის მხატვარი, პოეტი, მეცნიერი, პრანჭია, მაღალზნეობრივი ადამიანი, ათლეტი. ტყუპების მგზნებარება ისეა დაკავშირებული მათ გონებრივ პროცესებთან, რომ სწორედ მათი ხასიათი, მოწყენილობა თუ ინტერესი აძლევს სტიმულს სქესობრივ ურთიერთობებს. ჩვენ მასში შევხვდებით შერეკილს, რომელიც ერთხანს უარყოფს ყოველგვარ საზოგადოებრივ პირობითობას და ჰიპების ჯგუფს გაყვება, იზიარებს მათ თემურ ყოფას, ხოლო შემდეგ უარყოფს ასეთ ბოჰემურ ცხოვრებას. ასტროლოგებისთვის რომ ნება დაერთოთ, ისინი ამ ნიშანს სხვა სიმბოლოს, კერძოდ, ქამელეონს, მიაკუთვნებდნენ, რომელიც თავის შესანიღბად და დასაცავად კანის ფერს იცვლის.

ტყუპს არაფერი აცბუნებს. რაკი მერკური მიწერ-მოწე-

რას მართავს, ტყუპები ხშირად ადგენენ დღიურებს თავიანთ სექსუალურ გამარჯვებათა თაობაზე და წერენ მათში პარტნიორთა სხვადასხვა ღირსებებსა თუ ნაკლოვანებებზე.

ტყუპები ძალზე აგრესიულობით არ გამოირჩევიან და სიამოვნებით იკავებენ მეორე ადგილს ყველა სფეროში, მათ შორის სექსშიც.

დადებითი თვისებები

სხვა ნიშნების ადამიანებს შეუძლიათ იმოქმედოწ იოლად, უფრო გრაციოზულად, მაგრამ არავის ძალუძს ტყუპებივით წარმატებით მოქმედება. გამჭრიახი გონების მქონეთ უნარი აქვთ ღრმად ჩაწვდნენ თითოეულ საგანს, რაც მათ მისწრაფებებს დიდ უპირატესობას აძლევს.

ტყუპებს შესანიშნავი მეხსიერება აქვთ. მათგან კარგი მწერლები, რედაქტორები, პუბლიცისტები და ვაჭრები დგებიან. მერკური მფარველობას უწევს აგრეთვე მასწავლებლებს, ბუღალტრებსა და მთარგმნელებს.

მამაკაცები, რომლებიც ამ ნიშნით არიან დაბადებულნი, შესანიშნავი ადვოკატები, ბანკირები, დიპლომატები და ორატორები გამოდიან. ქალები კარგი დიასახლისები არიან და ცდილობენ იმ საკითხთა საქმის კურსში იმყოფებოდნენ, რომლებიც სტუმრებს დაინტერესებს. სამზარეულოში მათ უამრავი მოწყობილობა აქვთ, რომელთა საშუალებითაც ცდილობენ, შედარებით მცირე დროში, მადისაღმძვრელი მასპინძლობა გასწიონ.

უარყოფითი თვისებები

ეს ნიშანი ორცოლიანებს (ორქმრიანებს) მფარველობს.

ტყუპებმა ისეთი გრძნობები უნდა აღმოფხვრაწ, როგორიცაა არაორგანიზებულობა, უგულისყურობა, ენერგიის ფანტვა, ინტერესების დანაწევრება, საქმის შუა გზაზე მიტოვება.

ტყუპებმა ძალა უნდა დაატანონ თავს და მეტი გულშემა-

ტკივრობა- გამოიჩინონ თავიანთი მეგობრების, სიყვარულისა და ოჯახის მიმართ. სიზანტე აღიზიანებთ ტყუპებს, მაგრამ უნდა გაითვალისწინონ, რომ ცოტაა ისეთი სწრაფი და მოხერხებული, როგორიც მერკურის შვილები არიან. მათ უნდა გამოიმუშავონ მოთმინების უნარი. ტყუპებს უნდა ახსოვდეთ, რომ ყველაფერში ზომიერების დაცვაა საჭირო.

სიყვარულის ეკონომიკა

თუ ტყუპები არ არიან შობილნი მდიდრებად ანდა გენეტიკურად მოსდგამთ ხელოვნების ნიჭი, მაშინ ისინი იშვიათად ფლობენ სიყვარულის ეკონომიკის ხელოვნებას, 30 წლამდე. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ტყუპებს არასოდეს ჰყოფნით დრო იმისთვის, რომ თავი გადადონ ფინანსური საქმეებისათვის და ამ მხრივ მიაღწიონ ფულით მოტანილ კმაყოფილებას. ამიტომაც ამ ნიშანს ორი უკიდურესობა აქვს: მდიდარი დილეტანტობა, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო ფინანსური სიძლიერე, და უდარდელი გაკოტრებული ბოჰემა, რომელიც თავის ინტელექტუალურ სიმდიდრეს ანიავებს.

შესაფერისი პარტნიორები

ვითარების სწრაფად ათვისების უნარი ტყუპებს საშუალებას აძლევს, ურთიერთობა დაამყარონ ზოდიაქოს თორმეტივე ნიშანთან: მაგრამ საერთოდ, 29,5 წლამდე ტყუპებმა საუკეთესო პარტნიორები უნდა ეძებონ სასწორისა და მერწყულის ნიშნებს შორის. სამივე ჰაერის ნიშანია და 29,5 წლამდე ისინი მოქმედებენ თავისუფლად საკმაოდ ლიბერალურნი არიან, ამასთან ცვალებადები და ზერელენი.

29,5 წლის შემდეგ ტყუპები იწყებენ მომწიფებას (თუმცა უფრო ნელა, ვიდრე დანარჩენი ნიშნები) და შეიცნობენ თავიანთ ჭეშმარიტ ხასიათს, თანდათან მშვიდდებიან და მაშინ უფრო ხშირად პოულობენ საერთოს კუროსა და ვერძის ნიშნებთან. კურო სთავაზობს მათ სტაბილურ ამხანაგურ ურთიერთობებს. ვერძი აღმგზნები და „მეს“ კარგი მოდელია.

41,5 წლის შემდეგ ტყუპები, დანარჩენ ნიშნებთან შედარებით, ნელა, ვაგრამ სრულად უნდა განვითარდნენ და მოიპოვონ უმაღლესი ინტელექტუალური ძალა, თვითკონტროლი. ამ დროს მათ ძალა შესწევთ გონების ნიშნით შეეგუონ მშვილდოსანს.

ერთგულების ზიზასდგა

ახალგაზრდობაში ცუდია, გამონაკლისს წარმოადგენენ იმ ნიშნების ადამიანებთან, რომელთაც მრავალი პლანეტა აქვთ ოთხ მუდმივ ნიშანში: კურო, ლომი, ღრიანკალი და მერწყული. ისინი აწესრიგებენ ურთიერთობებს, ტყუპების გაუბედაობას. ცოლქმრობაში საშუალოა. იგი ნაღდი ქრონიკული „კეკლუცთაგანია“.

ერთგულებისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას ისინი 40 წლის ასაკში იჩენენ, მაშინ, როცა გამოცდილნი, მოქანცულები, მზად არიან აღწერონ თავიანთი თავგადასავლები და სურვილი უჩნდებათ, რომ საღამოს ვინმე მათ მოლოდინში იყოს.

ტ ყ უ პ ე ბ ო, ჩ ვ ე ნ, ა ს ტ რ ო ლ ო გ ე ბ ი გ ე კ ი თ ხ ე ბ ი თ თ ქ ვ ე ნ:

განა თქვენ ერთადერთი გონებრივად განვითარებული ნიშანი ხართ ზოდიაქოსი?

გრძნობთ თუ არა, რომ თქვენი აღმასვლა და მიღწევები ისევე თავმომაბეზრებელი შეიძლება იყოს სხვათათვის, როგორც თქვენთვის მათი ჩვეულებრივი, მოჩვენებითი შაბლონური ცხოვრება?

იცით თუ არა თქვენ, რომ ბოლოს და ბოლოს ადამიანები განჭვრეტენ თქვენდამი უპირატესობას, თუ არ დადინჯდებით და არ შექმნით რაიმეს?

დაბოლოს, რატომ დაგაჯილდოვათ ვარსკვლავებმა თქვენ ამ გამორჩეული ინტელექტით, თუ მის ხარჯვას მაინც წვრილმანებსა და ზერელე საქმიანობაში აპირებთ?

კირჩხიბი



22 ივნისი — 22 ივლისი
მე-4 ნიშანი ზოდიაქოსი
I წყლის ნიშანი
მე-2 ძირითადი ნიშანი
მართავს პლანეტა მთვარე
ხედნიერი რიცხვი: 2 და ყველა ის რიცხვი, რომლებიც 2-ზე იყოფა.
ასტროლოგიური ნიშანი: კირჩხიბი.

ასტროლოგიური ფერები: ღია-ლილისფერი, ვერცხლისფერი, მწვანე ბარდის ფერი, ღია-ნარინჯისფერი.

ასტროლოგიური ქვები: ოპალი, მთვარის ქვა, ბროლი
კირჩხიბი მართავს ჰოროსკოპის მე-4 სახლს.

ადამიანების ზოგადი დახასიათება

მთვარე, ო, ეს ცვალებადი მთვარე, რომელიც ოთხჯერ იცვლის ფაზას თავისი ციკლის 28 დღის პერიოდში, ხოლო ქვეშევრდომთ უდიდეს ემოციებს აღუძრავს, რომლებიც ადვილად ემორჩილებიან მგრძნობიარე ადამიანთა გუნებ-განწყობებს. თუ ისინი მთვარის კარგ ციკლში მოხვდნენ, ემსგავსებიან ხუჭუჭქოჩორა ზღაპრულ ჩვილს, რომელიც მშვენიერია, თუ კარგ ხასიათზეა და საშინელი, თუ ცუდი გუნებ-განწყობა აქვს.

კირჩხიბები საოცარ სიმორცხვეს ავლენენ და ყველაზე დიდი შიში აქვთ უარისა, ვიდრე ერთად აღებულ ყველა ნიშანს. მაგრამ ისინი ისეთივე პატივმოყვარენი გახლავთ, როგორც მათი საპირისპირო თხის რქა. თუმცა თხის რქისაგან განსხვავებით, წარმატებისკენ მავალი მათი გზა ისევე შემოვლითია, როგორიც მათი სიმბოლო — კირჩხიბისა. ისინი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ იქითკენ, რისი მოპოვებაც სურთ, შემდეგ კი, სრულიად მოულოდნელად, მსხვერპლს ხელთ იგ-

დებენ, კირჩხიბის მსგავსად ზაგრად ებღაუჭებიან და ვერას-გზით ვერ გააგდებინებთ ხელიდან. მთვარე მართავს ქალს, კირჩხიბი-ქალები თავიანთ სტიქიაში არიან, მამაკაცები კი, მიუხედავად მათი ვაჟკაცობისა, მრავალი თვისებით ქალურ ხასიათს ამჟღავნებენ. მამაკაცი-კირჩხიბი სიყვარულში სხვა ნიშნებივით დიდად აგრესიული არ არის, თუმცა გულუბრყვილობის ისეთ მიმზიდველ ფასადს ქმნის, რომ აიძულებს ქალს, პირველი ნაბიჯი თვითონ გადადგას.

კირჩხიბი ნიშანია კომფორტის სიყვარულისა. იგი მართავს ჰოროსკოპის მე-4 სახლს და ამიტომ ოჯახში სახმარ ნივთებს მისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. კირჩხიბის ფსიქოლოგია ისეთია, რომ თავდაპირველად იგი ბაზას იძენს, რომლითაც შემდეგ უშიშრად შეუძლია მოქმედება. კირჩხიბი მართავს კუჭს და ნერვული დაძაბულობის გამო ცუდად ჭამს.

კირჩხიბი ძალიან საეჭვო პიროვნებაა და თუ არ არის თავისთავში დაჯერებული, იშვიათად გახსნის საკუთარ „მეს“ (შინაგან), სასიყვარულო საქმეები იქნება იგი თუ ბიზნესი.

კირჩხიბი ძალიან ღრმა ნიშანია. ეს ადამიანები სიბერემდე ინარჩუნებენ თავიანთ ახალგაზრდობისდროინდელ შეხედულებებს. ამ ნიშნის მამაკაცები, სხვებთან შედარებით, ხშირად ოჯახში, დედასთან უფრო დიდხანს ცხოვრობენ.

კირჩხიბს ესაჭიროება იმ ადამიანების სიმპათიები, ეისთანაც მას ურთიერთობა აქვს. ისინი გაურბიან მკვახე ლაპარაკს და ძლიერ კრიტიკას, მიუხედავად იმისა, დაიმსახურა თუ არა იგი.

მიუხედავად იმისა, რომ კირჩხიბებს უყვართ საკუთარი ოჯახები, მათ იტაცებთ მოგზაურობები. კირჩხიბები ხშირად ნაღვლობენ გარდასულ დღეებზე, ბავშვობის ხანაზე.

თუ კირჩხიბი გაღატაკდა (ეს ძნელი მისაღწევია და ძალიან იშვიათად ხდება), იგი ხშირად ძალით მოქმედებს. მთვარე მართავს ყოველგვარ სითხეს და ამიტომ კირჩხიბმა ბოროტად არ უნდა გამოიყენოს ალკოჰოლიანი სასმელები.

კირჩხიბი ყველაზე უწესო ნიშანია ურთიერთობაში. ცვალებადი ხასიათის მქონე შეიძლება სექსუალურ თავგადასავალთა ხლართებში გაებას. მაგრამ, თუ მას ვინმე უყვარს, არაფრისგან არ დაიხევს უკან საყვარელი ადამიანის მოსათაფლად. ზისთვის სულაც არ არის უცხო სხვადასხვაგვარი სქესობრივი აქტი. ამ ნიშნის ქალებს მოსწონთ მამაკაცების დედასავით მოპყრობა. კირჩხიბი მართავს გულ-მკერდს და მას განსაკუთრებით აღაგზნებს სხეულის ეს ნაწილი. კირჩხიბ-მამაკაცებს ხშირად იტაცებს მათზე მოზრდილი დედის ტიპის ქალი. კირჩხიბები მუდამ აკონტროლებენ სქესობრივ ფუნქციებს: მათ შეუძლიათ ინტენსიური სასიყვარულო თამაში გაახანგრძლივონ. მამაკაც და ქალ კირჩხიბებს უყვართ, როდესაც მათ ეალერსებიან.

ამ ნიშნის ქალებს მოსწონთ პატარა და მიამიტი გოგონას როლის თამაში, რომელსაც ეუფლება ხოლმე სტერეოტიპური გარყვნილი მამაკაცი, თუმცა სინამდვილეში, ისინი გონებას კარგავენ სიხარულისგან, განსაკუთრებულ ეროტიკულ სიამოვნებას განიცდიან და თავს იკატუნებენ, თითქოს ისინი ქალწულობას ეთხოვებიან.

კირჩხიბი — ეს არის ნიშანი, რომელიც წარმოქმნის საოცრად მორცხვ ადამიანებს, მაგრამ ზოგჯერ მეორე უკიდურესობაში ვარდება და აგრესიულ, მბრძანებლურ როლს ასრულებს, რაც ზოგჯერ სიტყვიერ და ფიზიკურ სადიზმამდეც მიდის.

როგორ დავაკმაყოფილოთ კირჩხიბები

ისე მოიქეცით, რომ მათ თავი ახალგაზრდულად იგრძნონ! კირჩხიბები აღმერთებენ ახალგაზრდობას. უმეტესწილ ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში საპარიკმახეროებისა და სილამაზის სალონების მეპატრონეებად გვევლინებიან (მათ მოყვებათ სასწორი და ლომი). ახლა კი, როდესაც ქალთა სილამაზის სალონების გვერდით გამოჩნდა „მამაკაცთა ვარცხნი-

ლობის სალონებიც", მრავალი მამაკაცი-კირჩხიბი თვეში ერთი-ორჯერ მაინც იღებავს და იყენებს თმას, იკეთებს სახის მასაჟს და თვალყურს ადევნებს კანს.

ერთადერთი საშუალება კირჩხიბისათვის, რათა გადალახოს სექსუალური ლტოლვა და ერთგული დარჩეს — ეს არის აღმოჩნდეს იმ სიტუაციაში, როცა ასეთი რამ შეუძლებელია, კერძოდ, სამსახურში, კონფერენციაზე, საავადმყოფოში, სადაც თაბაშირის გამო უძრავად წევს, ანდა სატრფოს თუ მეუღლეს ჰყავს ჩაკონებული.

დადებითი თვისებები

მიუხედავად იმისა, რომ კირჩხიბები ძალიან ნერვიულები არიან (უარყოფითი ტიპები), დადებით ტიპებს უაღრესად კეთილისმსურველობა ახასიათებთ. მშობლიურ მფარველობას უწევენ იმ ადამიანებს, ვინც მათ უყვართ, მოსწონთ მყუდრო ოჯახური ცხოვრება, სურთ ლიდერობა სარისკო საქმეებში და დიდ შეუპოვრობასაც იჩენენ. გარდა ამისა, აქვთ ძვირფასი თვისება, რომელიც ეხმარება მათ გადალახონ უარყოფითი ჩვევები — მოთმინება. კირჩხიბები ძალზე მომჭირნეები, კეთილგონიერები და შრომისმოყვარენი არიან.

უარყოფითი თვისებები

კირჩხიბები მსხვერპლნი არიან მოუსვენრობისა და შიშისა. მათ უნდა გადალახონ ის დაბრკოლებები, რომლებსაც თვითონვე ქმნიან. ისინი არ უნდა ცხოვრობდნენ წარსული ბავშვობით. ნებისყოფა უნდა დაძაბონ, აიძულონ თავი, იმოქმედონ თავიანთი ასაკის შესაფერისად. უნდა ერიდონ სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებას და ღორმუცელობას. მათ უნდა ისწავლონ კრიტიკის ატანა და გუნებ-განწყობის სტაბილობა.

მაგრამ კირჩხიბის ძირითადი ნაკლია უუნარობა — ჩაებას საუბარში, თუნდაც მაშინ, როცა სულ მცირე შანსი უჩნდება

გამარჯვებისა. მათ კუთხეში ვერ მიაყენებთ, თუნდაც რაიმეში დანაშაული მიუძღოდეთ. ურჩევნიათ კვლავ იცრუონ, ვიდრე თავიანთი ცოდვები გამოისყიდონ.

სიყვარულის ეკონომიკა

კირჩხიბი ცბიერი ვაჭარია სიყვარულში, დასრულებული მატერიალისტი, რომელიც სიყვარულის ეკონომიკაში ერთი თავით მაღლა დგას თავის ასტროლოგიურ და-ძმებს შორის. იგი მონდომებით შრომობს ქალაქგარეთ ახალი მანქანის ანდა კოტეჯის შესაძენად, ამიტომ ყოველ წელს ახერხებს მიიღოს სამკვირიანი არდადეგები, გაემგზავროს იქ და ხშირად მარტოდმარტოც. იგი მუდამ იმის ცდაშია, რომ მახე დააგოს და დაიჭიროს სილამაზის დედოფლები. არსებობს ორი სახის სიყვარულის ეკონომიკა, რომელთაც კირჩხიბები იყენებენ ხოლმე. პირველს მიმართავენ ძირითადად ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც შეგნებულად ეძებენ თავისზე უფროს საყვარლებს. ისინი მათ ძალზე ერთგულობენ განსაკუთრებით მაშინ, თუ ასეთი საყვარლებისაგან საჩუქრებს ღებულობენ. ეს მარტო ნივთებს არ ეხება. იმის გამო, რომ კირჩხიბები ტკბებიან ცხოვრების დამწყების როლით, მათ მოსწონთ დაექვემდებარონ გამოცდილსა და მფარველ მასწავლებელს, რომელიც მათი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს. თუ ისინი შემთხვევით არ ქორწინდებიან ასეთ მასწავლებლებზე, ჩვეულებრივ, მაინც აგრძელებენ ურთიერთობებს ხანგრძლივი დროის მანძილზე მანამ, სანამ მათ დანიშნულებას ყავლი არ გაუვა. თუ ისინი მაინც ქორწინდებიან, იშვიათად რჩებიან ცოლიანები 35 წლის შემდეგ. ეს კრიტიკული ასაკია კირჩხიბებისთვის. გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ კირჩხიბები იშვიათად ცხოვრობენ ერთსა და იმავე მეუღლესთან 35 წლის შემდეგ.

სიყვარულის ეკონომიკის მეორე სახეს მისდევენ უფროსი თაობის კირჩხიბები. ჩვეულებრივ, ამ დროისათვის მათ მტკიცე ფინანსური მდგომარეობა შეიქმნეს. ისინი ადვილად იცვლიან ჭაბუკურ ქცევას და იჩენენ ახალგაზრდა საყვარელს,

რომელთაც უძღვნიან საჩუქრებს და უზიარებენ გამოცდილი ადამიანის სიბრძნეს. თუ კირჩხიბები 35 წლის შემდეგ არ ტოვებენ თავიანთ ცოლებს, ეს ფინანსური დამოკიდებულებისა და შვილების სიყვარულის წყალობით ხდება და არა მათზე უფროსი მეუღლის ერთგულების გამო. მათი ცოლქმრობა მხოლოდ და მხოლოდ მოხერხებულ პირობებზეა აგებული, თორემ კირჩხიბი ამავე დროს იდუმალად ახალგაზრდას ეტრფის.

შესაფერისი პარტნიორები

29,5 წლამდე კირჩხიბმა საუკეთესო პარტნიორები უნდა ეძებოს ლრიანკალისა და თევზების ნიშნებს შორის. სამივე წყლის ნიშანია და მოითხოვენ მათთვის ახლობელ, ვნებააშლილ და ღრმა ემოციურ კავშირებს. 29,5 წლის შემდეგ კირჩხიბები, ჩვეულებრივ, მწიფდებიან და შეიცნობენ თავიანთ ჭეშმარიტ პიროვნებას. ისინი უფრო ლიბერალები ხდებიან და ნაკლებად ფრთხილობენ, ადვილად ეგუებიან ენერგიულ ნიშნებს — ტყუპებსა და სასწორს. ეს ორი ნიშანი, რომელთაც ვენერა მართავს, უმეტესად დაჯილდოებულნი არიან ახალგაზრდული ენერგიით და არ მიაჩნიათ თავი დამცირებულად, მიიღონ ყურადღება თუ საჩუქრები კირჩხიბისაგან, რომელმაც უკვე 30-ს გადააბიჯა.

41,5 წლის შემდეგ კირჩხიბი საბოლოოდ უნდა დაღვინდეს და თავისი თავის კონტროლის უნარი შეიძინოს (ვიმედოვნებთ, რომ ისინი გადალახავენ სანტიმენტალიზმს). მაშინ ისინი კარგად შეეგუებიან თხის რქას (ძლიერ ორგანიზებულს, ნაწილობრივ გონიერების ნიშანს, რომელიც მუდამ მზადაა უწილადოს თავისი მიზნები და მოპოვებული სიძლიერე უკვე განელებულ კირჩხიბსაც).

ერთგულების შეფასება

ახალგაზრდობის წლებში არასასურველია. გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც კირჩხიბი დიდხანს რჩება შინ ერთ-

ერთი მშობლის, ჩვეულებრივ, დედის მეთვალყურეობის ქვეშ. ამგვარად მათ ქცევას აკონტროლებენ არა თვით კირჩხიბები, არამედ გარეშენიც. ცოლქმრული ცხოვრება ასევე ცუდად წარიმართება, თუ კირჩხიბი რაიმე საქმით ანდა სამსახურით არ არის დამოკიდებული თავის მეუღლეზე და მაშინ მათ გამუდმებით ექნებათ კონტაქტები. საუკეთესო პერიოდი კირჩხიბის ერთგულებისა ან ადრეული ახალგაზრდობის წლები და გამოუცდელობის ხანაა, ან კიდევ 35 წლის შემდგომი პერიოდი, როდესაც იგი უკვე გამოწრთობილი საყვარელია და იწონებს ერთგულების განახლებულ მოთხოვნებს. კირჩხიბები ერთგული საყვარლები გახლავთ, როდესაც მათ სთავაზობენ ფუფუნებას და კომფორტს. მაგრამ ეს ხომ ნებისმიერ ნიშანს აცდუნებს ჩვენს მატერიალურ საუკუნეში.

კირჩხიბებო, ჩვენ, ასტროლოგები გეკითხებით თქვენ:

რატომ ცრუობთ განუწყვეტლივ და აიძულებთ ადამიანებს, რომ სწამდეთ თქვენი?

რატომ ცდილობთ, რომ იდეალური საყვარლის, ცოლის, ქმრის და საკუთარი სახლის მქონემ კვლავ გააგრძელოთ საასიყვარულო თავგადასავლები?

როდის დაუთმობთ მთლიანად თქვენს ენერგიას სულიერ თვისებებს?

როდის მიხვდებით, რომ დამნაშავე ხართ და შეცდომებს სჩადიხართ?

დაბოლოს, რატომ შეგქმნათ გარსკვლავებმა ასეთ მაცდურ, იდეალურ საყვარლებად, ქმრებად და ცოლებად? თქვენში ხომ მართლაც არის მინავლული ეს შესაძლებლობები და მხოლოდ ისღა დაგრჩენიათ, ცდა არ დააკლოთ მათ.

ლომი

23 ივლისი — 23 აგვისტო
მე-5 ნიშანი ზოდიაქოსი
მე-2 ცეცხლოვანი ნიშანი
მე-2 მუდმივი ნიშანი
მართავს პლანეტა მზე
ბედნიერი რიცხვებია 1 და 11
ასტროლოგიური სიმბოლოა: ლომი.
ასტროლოგიური ფერებია: ალისფერი, მოყვითალო-ოყავისფრო, მეწამული და შავი.
ასტროლოგიური ქვებია: ალმასი, ლალი, ტოპაზი.
ლომი მართავს ჰოროსკოპის მე-5 სახლს.

პიროვნების ზოგადი დახასიათება

როდესაც ცის მბრძანებლები შეიკრიბნენ, რათა ზოდიაქოს 12 ნიშნისათვის თავიანთი სამსახური შეეთავაზებინათ, ისინი, ალბათ ყველაზე კარგ განწყობილებაზე ბრძანდებოდნენ იმ დროს, როცა ჯერი მიდგა ლომის ნიშანზე და აკი გამოიჩინეს კიდეც სიუხვე მის მიმართ. მათ რომ ლომისთვის არც არაფერი მიეცათ, გარდა პლანეტა მზის მართვისა, ესეც საკმარისი იქნებოდა, რომ ლომი მთელი სიცოცხლის მანძილზე ღმერთების მადლიერი დარჩენილიყო. მაგრამ ღმერთებმა ამ დღეს არა მარტო გულმოწყალება გამოიჩინეს, არამედ ლომი მუდმივ ნიშნად გამოაცხადეს და იგი სტაბილობით დააჯილდოვეს, რითაც გამოავლინეს თავიანთი სურვილი, დაეხმარონ ლომებს ხელისუფლებისაკენ მიმავალ წარმატებულ გზაზე. შემდეგ ღმერთებმა გადაწყვიტეს, რომ ლომი იქნებოდა ცეცხლოვანი ნიშანი და იგი ენერგიით, სითბოთი, გულკეთილობით დააჯილდოვეს. ბოლოს კი, ყველა ღმერთი შეთანხმდა, მიეცათ ლომისთვის ჰოროსკოპის მე-5 სახლის მართვის უფლება, სიყვარულსა და თეატრს რომ განაგებს. მაგრამ ერთ-ერთი ღმერთი უკმაყოფილო დარჩა დანარჩენებით, რადგან გრძნობდა,

რომ ისინი რყვნიდნენ ლომს. შეიძლება, აგვისტოს ხვატმა გააღიზიანა და ამიტომაც დასწყეველა ლომი და გამოაცხადა, რომ მას ერთი და იგივე ნაკლი ექნება ხასიათში — უკიდურესი პატივმოყვარეობა და სიამაყე, და იმავე ღმერთმა თვალთვალი დაუწესა მას, რომ მომავალში მუდმივი ნიშნის მქონე ლომს სიჯიუტისაკენ მისწრაფებაც დატყობოდა. ამ ამბის მორალი ასეთია: ლომს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია გამორჩენა ნახოს ყველა სათნოებიდან, როცა იგი დათრგუნავს თავის პატივმოყვარე „მეს“ და მორჩილებასა და თავმდაბლობას გამოიჩენს სხვათა მიმართ. ეს კი ძნელი გამოცდა იქნება ლომებისათვის.

ამ ნიშნის ადამიანები მემკვიდრეობით არიან ბელადები და ხელმძღვანელები. სინამდვილეში კი ლომების უმრავლესობა მაკონტროლებელი პოზიციისკენ ისწრაფვის. მაგრამ ისინი უნდა შეეცადონ, რომ ეს კონტროლი განახორციელონ დემოკრატიული გზით, სხვაგვარად შეიძლება აუტანელ პატარა ნაპოლეონებად გადაიქცნენ. დიახ, ბონაპარტეც და მუსოლინიც ლომის ნიშნით იყვნენ დაბადებულები.

ამ ნიშნის ქალები ხშირად ძალზე მომხიბვლელები გახლავთ მამაკაცებისათვის, მაგრამ ქალებმა თვალში ნაცარი არ უნდა შეაყაროწ მათ, თორემ ის კაცი, ვისი მოხიბვლის სურვილიც დაებადებათ, თავის არიდებას ირჩევს. მამაკაცი-ლომები, რომლებიც ქალს ეთაყვანებიან, ბევრს ლაპარაკობენ საკუთარ თავზე, თავიანთ შესაძლებლობებზე, რის გამოც შეიძლება უბრალო მოლაყბეებადაც ჩათვალონ.

მამაკაცი-ლომები საოცარ შეუპოვრობას იჩენენ. ძალიან ხშირად განუვითარებელი ლომები გააფთრებისას ფიზიკურ ძალას იყენებენ და აყალმაყალს იწყებენ იმასთან, ვინც წინ აღუდგება მათ მტკიცე და უცვლელ აზრს. განუვითარებელი ქალთა ტიპები ცდილობენ, მოდურად ეცვათ და დახვეწილები ჩანდნენ, ამიტომაც არიან თვალშისაცემნი. იაფფასიან სუნამოებს ისხამენ, იცვამენ ჭრელაჭრულებს და უგემოვნოდ.

ლომის ნიშნის ადამიანები გულთბილები, მეგობრულები და თანამგრძნობელები არიან, თუმცა ზერელენი თავიანთ გრძნობებში. მათში თითქოს ჩადგმულია მოწყობილობა, რომელიც აკონტროლებს და გადართავს ისეთ გრძნობებს, რომ-

ლებიც მუდამ იმ მომენტში ამოქმედდება, როცა ლომის სიამაყე შებღალულია. ვერც ერთი სხვა ნიშანი ვერ შეძლებს მიატოვოს საყვარელი სამუდამოდ ასეთი მოჩვენებითობითა და გულგრილობით.

ფსიქოსექსუალური დახასიათება

ლომები ჩვეულებრივ ვნებიანი ხალხია და მომავალში მათი ცეცხლოვანი ნიშანი ძალზე მგრძნობიარეა. დაიმახსოვრეთ, ლომი მართავს ჰოროსკოპის მე-5 სახლს, რომელიც განაგებს სიყვარულსა და ტკბობას. იგი ადვილად ემორჩილება თავის სექსუალურ აღტკინებას და ისეთ მგზნებარებას თუ ვნებათაღელვას გამოავლენს, როგორც სჩვევია ჩვენს საუკუნეს — სექსისადმი თავისუფალი დამოკიდებულება. მაგრამ ლომები იშვიათად მიმართავენ სხვადასხვა გზას — მათი სიამაყე ამის ნებას არ იძლევა, თუმცა ბრძოლა ვნებათა დასაოკებლად უჭირთ, თანაც ცდუნებაც უზომოა.

ამიტომ ლომები უფრო ნაკლებაგრესიულები არიან, ვიდრე ორი სხვა ცეცხლოვანნიშნიანი ადამიანები: კერძოდ, ვერძი, რომელიც აშკარად აგრესიული და რომანტიკულია და გამუდმებით იდეალების მძებნელი უხეში მშვილდოსანი. სინამდვილეში ლომი შეიძლება ძალიან მომხიბვლელი ჩანდეს, თუკი დაინტერესებული იქნება მავანითა და მავანით. მაგრამ იგი ამას ასე წარმოადგენს: „მე შენ მინდიხარ, მაგრამ თუ შენ არ გინდივარ, მაშინ არც მე მჭირდები“.

ქალი-ლომის ამ პასიურ ხიბლში ცუდი არაფერია, რადგან ტრადიციულად მამაკაცი აგრესიულია. მაგრამ, თუ მამაკაცი-ლომი ჯუნგლების მეფეა, ისეთ პოზიციას მიიღებს, რომელიც ხვად ლომს აიძულებს აგრესიული იყოს, რაც მას აყენებს საშიშროების წინაშე — სამუდამოდ დაკარგოს მეგობარი ქალი.

მამაკაც-ლომს უყვარს მბრძანებლობა. ამასთან ძალიან ნაზი (როდესაც არ უხეშობს) და ვაჟკაცურია. სიყვარულის ჟამს ლომი მუდამ იმის ცდაშია, რომ დაამტკიცოს — აი, როგორი უშიშარი საყვარელია და ძლიერ არის დაინტერესებული იმაში, პასუხობს თუ არა თავისი პარტნიორი ქალის სექსუალურ

მოთხოვნილებებს. მას ბევრი დრო სჭირდება ურთიერთობების განსამტკიცებლად, კეთილშობილური მამაკაცური იერსახის დასამკვიდრებლად. მხოლოდ მაშინ შეძლებს იგი შეასრულოს გამორჩეული სექსუალური მოქმედებები.

საერთოდ აშკარაა, რომ ლომს იოლად ვერავინ დაიყოლიებს. არც ლომები ირჩევენ მეორეხარისხოვან საქონელს. თავიანთ თავს ისინი უმაღლეს ხარისხს აკუთვნებენ და პატირსნად მოქმედებენ, ხოლო თუ ადამიანებისგან ბევრს ითხოვენ, სამაგიეროდ ასევე ბევრის მიცემაც შეუძლიათ.

ხვად ლომს ძალა შესწევს დააკმაყოფილოს გამორჩეული სამეფო მოთხოვნებიც კი. მან შეიძლება ამ შემთხვევაში პასიტრობა გამოიჩიწოს, რათა თავის საყვარელს შეახსენოს, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, სამეფო ქალია, მაგრამ თუ საჭიროდ მიაჩნია, რომ თავისი მეფე ხელიდან არ გაუშვას, ამისთვის არაშაბლონურ პრაქტიკასაც გამოიყენებს და ზოგჯერ კატისებრ ვნებიანობასაც.

როგორ დავაკმაყოფილოთ ლომი

უპირველეს ყოვლისა, ხშირად უნდა ვაამოთ რაიმეთი. ლომი ტკბება სიყვარულის დროის გახანგრძლივებით. ლომებს სიგიჟემდე უყვართ, როცა მათ ეალერსებიან, კოცნიან და ეპირფერებიან. ამ ნიშნის ქალებს სურთ მოისმინონ, რომ ისინი ანგელოზების მსგავსნი არიან, მათი სხეული მშვენიერია, მათ გვერდით ყოფნა ცეცხლს უნთებს ნებისმიერს. ლომ-მამაკაცს ასევე უყვარს ლაქუცი. მისი საყვარელი ქალები გაციცებით მეტს მიიღებენ, თუ ილაპარაკებენ მის ვაჟკაცურობაზე და იმის მტკიცებას მოყვებიან, რომ მათ არავინ ყვარებიან ასე ძალუმად (თუნდაც ეს სიცრუე იყოს). და მართლაც, ქალ-ლომებს ფიქრიც არ უნდათ თავიანთ მეტოქეებზე, მათი პარტნიორები უნდა იყვნენ რაფინირებულები და ლაზათიანები. ამ ნიშნის ქალებმა არ უნდა დაიშურონ არაფერი საკუთარი გარდგრობიდან, რათა წარმოაჩინონ მომხიბვლელი და ქალურობით სავსე სახეები. მათ მუდამ უნდა ესხათ სუნამო, მაგრამ საუკეთესო ხარისხისა და ზომიერად, მამაკაცებმა

კი არ უნდა დაიშურონ კარგი ტანსაცმელი. ვისაც ლომის ყურადღების მიქცევა სურს, ძალ-ღონე არ უნდა დაზოგოს შესაფერისი ვითარების შესაქმნელად, რადგან ფუფუნება, ინტიმი, სასიამოვნო მუსიკა ყველაზე ჯიუტი ლომის წინააღმდეგობასაც კი ადუნებს.

უარყოფითი ტიპის ლომები ხშირად მიმართავენ ხოლმე პატივმოყვარეობას აქტის დროს და შეიძლება სადიზმამდეც მივიდნენ. თუ ლომს სრულ სიამოვნებას ვერ გვრის სამსახური და ურთიერთობები, ამასთან მეფედაც არ აღიარებენ, მისი აზრით, ეს მის იმედებს დამსხვრევას უქადის და შეიძლება პარტნიორი აბუჩადაც აიგდოს.

დადებითი თვისებები

მზე, რომელიც ლომს მართავს — ძლიერი მოკავშირეა და ამიტომ ლომს ისეთი ძალის გამოყენება არ დასჭირდება, როგორიც ყველა სხვა ნიშანს. ლომი ამის გარეშეც მიაღწევს თავის მიზნებს, რადგან ხალხი ეთაყვანება მას და დაეხმარება კიდეც. მაგრამ ლომმა უფლება არ უნდა მისცეს საკუთარ თავსა და პატივმოყვარეობას, უბედურად და ანჩხლად წარმოაჩინოს თავი. ლომებს, როგორც წესი, მიდრეკილება აქვთ გამოიყენონ ნიჭი საზოგადოების კეთილდღეობისათვის. ისინი დაუღალავი მუშაკები გახლავთ და ცხოვრების მიერ წაბოძებ ჯილდოს კეთილშობილური გზით მოიპოვებენ. მათ იციან, როგორ გამოიყენონ ძალაუფლება. სტრესის შედეგად ძალზე დისციპლინირებულნი ხდებიან. ალბათ, იმსახურებენ კიდეც იმას, რომ მეფეები და დედოფლები იყვნენ.

უარყოფითი თვისებები

რაკი ზეცის მბრძანებლებმა ლომი ასეთი საუკეთესო თვისებებით დააჯილდოვეს, ლომს რიდი უნდა ჰქონდეს და ამასთან თვითკმაყოფილებასაც გაწიცდიდეს. იმდენად დიდია სურვილი, ხალხმა გაიზიაროს მათი მისწრაფებები, ზოგჯერ ვერც კი ხვდებიან, რომ მათ საამებლად საკუთარ „მე“-ს ვერავინ უარყოფს.

რაკი ლომების მუდმივი წადილია, რომ ადამიანები მათ შესახებ კარგს ფიქრობდნენ (სრულყოფილი იერსახე, რომელიც თვითონვე შექმნეს, არასოდეს ავიწყდებათ), ისინი ხშირად აიფარებენ ხოლმე კეთილმოსურნის იმ ნიღაბს, რომელიც სინამდვილეში არ გააჩნიათ.

სიყვარულის ეკონომიკა

ვინაიდან ლომებს ბედი სწყალობთ, ისინი ჩვეულებრივ დიდ სიმაღლეებს იპყრობენ ხოლმე და ყოველგვარ ეკონომიკურ წარმატებას აღწევენ. მაგრამ, არცთუ იშვიათად, უარყოფითად იყენებენ ამ ეკონომიკურ ძალებს განსაკუთრებით მაშინ, თუ შიში აქვთ იმისა, რომ ადამიანებს წარმოდგენა წაუხდებათ მათზე.

სიყვარულის ეკონომიკის თამაშის დროს ლომები თავიანთ უნარს ბიზნესისკენ მიმართავენ, ამიტომაც დგებიან მათგან კარგი მეუღლეები. ისინი თავიანთ საყვარლებს მიახვედრებენ, რომ არ ებრძვიან ოჯახურ ყოფას და ითხოვენ, რათა საყვარლები მუდამ პირველ ადგილზე აყენებდნენ ლომებს. ლომები ფიქრობენ, რომ ისინი დიდსულოვანი პიროვნებები არიან და ეს საკმარისი კომპენსაციაა, რათა ყველამ შეიყვაროს, მიუხედავად იმისა, ღარიბნი არიან ისინი თუ მდიდარნი, იშვიათად თვლიან თავს ვალდებულად, გამოიყენონ ფული საყვარლის დასაკავებლად.

დაიმახსოვრეთ, ლომი კატების ოჯახს ეკუთვნის.

ერთგულების შეფასება

ასტროლოგიური ნიშნებიდან ლომი იქნებ უფრო ერთგული იყოს. ახალგაზრდობის წლებში ლომები თბილი და ერთგული მეგობრები არიან. მომწიფდებიან და მაშინვე გამორჩეულ ერთგულებასა და თავდადებას ავლენენ.

ცოლქმრობაში მათი ერთგულება შეუვალია, მაგრამ ერთი პირობით, რომ მეუღლეები ერთი საფეხურით დაბლა უნდა იდგნენ.

ლომისათვის იმდენად მნიშვნელოვანია ის, რასაც სხვები

ფიქრობენ მასზე, რომ ისინი უმალ გაეყრებიან მეუღლეს, რომელიც განუწყვეტლივ უხერხულ მდგომარეობაში აგდებს მათ მეგობრებისა და ოჯახის წინაშე. ნურასოდეს დაამცირებთ ლომს საზოგადოებაში!

ლ ო მ ე ბ ო, ჩ ვ ე ნ, ა ს ტ რ ო ლ ო გ ე ბ ი, გ ე კ ი თ ხ ე ბ ი თ თ ქ ვ ე ნ:

როდის მისვდებით, რომ თუ თქვენ დაემორჩილებით საყაარელს, რომელიც ყოველთვის ვერ გასიამოვნებთ, ვერ გეფერებათ და გთხოვთ, რათა შორიდან შეაფასოთ თქვენივე თავი (თვალი გადაავლოთ თქვენს ქცევას), მხოლოდ მაშინ გაამართლებთ თქვენი შესანიშნავი ნიშნის მოლოდინს?

როდის მიხვდებით, რომ სიამაყე დაცემის წინამორბედია?! რატომ ხართ ასეთი ჯიუტები? თუმცა არასოდეს ღალატობთ საკუთარ თავს, რადგან ზოდიაქოს თითოეული შვილიდან, თქვენ ყველაზე უკეთ ფლობთ ცხოვრების ხელოვნებას.

ქ ა ლ წ უ ლ ი

24 აგვისტო — 23 სექტემბერი

მე-6 ნიშანი ზოდიაქოსი
მე-2 დედამიწის ნიშანი
მე-2 ცვალებადი ნიშანი
მართავს პლანეტა მერკური

ასტროლოგიური სიმბოლოა: ქალწული.

ასტროლოგიური ფერებია: თეთრი, ღია ცისფერი, მწვანე.

ასტროლოგიური ქვებია: აქატი, იასპი, ზურმუხტი, ტოპაზი

ბედნიერი რიცხვია: 5 და ყველა ის რიცხვი, რომელიც 5-ზე იყოფა

ქალწული მართავს ჰოროსკოპის მე-6 სახლს.

ღმერთების ფეხმარდი მოციქული მერკური, მართავს ქალწულსა და ტყუპებს, თუმცა ამ ორ ნიშანზე იგი სულ სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს. ქალწული დედამიწის ნიშანია და მერკურს, რომელიც ქალწულზე გავლენას ახდენს, უფრო პრაქტიკულად უჭირავს თავი, ვიდრე ჰაერის ნიშანს ტყუპებთან, მათთან იგი თავქარიანი და დამოუკიდებელია.

ქალწულის ნიშნის ადამიანებს ძლიერ განვითარებული ანალიტიკური გონება აქვთ და სულ მუდამ იმის ცდაში არიან, რომ ყველაფერი თავიანთ ძირითად გაჭირვებას დაუქვემდებარონ. ისინი, რასაც კი დაინახავენ, თავისებურ იარლიყს მიაწებებენ, მათ ძალზე დახვეწილი გემოვნება, მახვილი თვალი, სმენა და ყნოსვა აქვთ, რაც ქალწულის ნიშნის სიმბოლოა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ისინი წმიდათა წმიდები არიან და ამაღლებულნი, მაგრამ მათი განსაცვიფრებელი უნარი დაკვირვებისა, უფლებას აძლევს მათ შენიშნონ ყოველგვარი ადამიანური ნაკლოვანება. ჩვეულებრივ მათ არაფერი მოსწონთ და ვით ქალწული, განშორებას არჩევენ.

ისინი ხშირად ეფლობიან მუშაობაში. დიახ, მუშაობა — ქალწულის ღმერთია. ისინი წარმატებებს აღწევენ ლოგიკაში, თანამიმდევრულობაში, დისციპლინაში.

თავიანთი კუზენების — ტყუპებისაგან განსხვავებით, ქალწული იშვიათად კარგავს წონასწორობას. იგი ძალზე გულჩათხრობილია და საკმაოდ ფრთხილიც. ქალწულის ნიშნის ადამიანთა უმეტესობა უაღრესად დამოუკიდებელია და სჯერა, რომ რწმენა საკუთარი ძალებისა და თავისი თავისადმი პატივისცემა ადამიანს ბედნიერებას და გონების სიდინჯეს ანიჭებს. მათი საქციელი დომინირებულია მათივე ინტელექტუალური ინტერესების შესაბამისად. მათი „სამოთხის კუთხე“ არსებობს გონების არეში, მის საიდუმლოებასა და მიღწევებში.

არსებობს ერთი სიტყვა, რომელიც ყველაზე უკეთ ახასიათებს ქალწულის ნიშნის ადამიანებს — უტილიტარიზმი. არ არსებობს ისეთი რთული ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც არ

შეეძლოს ქალწულს. არ არსებობს ასევე მათთვის ძალზე მარტივი, ან ძალზე რთული დეტალები.

ქალწული — დაბადებით კრიტიკოსია. მისი კრიტიკა სამართლიანია და გულს მტკივნეულად ხვდება. მათ უნდა გაითვალისწინონ ის, რომ კრიტიკა, რომელიც გულს სტკენს პარტნიორს, იშვიათად აღწევს მიზანს. ის იშვიათად აქებს და ეპირფერება პარტნიორებს. ყველაზე რთული ბრძოლა არის ბრძოლა კომპრომისების წინააღმდეგ. მათ ქვეყანას ვარდისფერი სათვალით უნდა უყურონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ემუქრებათ მიზანთროპად ჩამოყალიბების საშიშროება. ვინაიდან ქალწულები დაჯილდოებულნი არიან ანალიტიკური გონებით, მათ უნდა იბრძოლონ პიროვნებაში ნათელი მხარეების წარმოჩენისათვის და არა პირიქით.

ქალწულისათვის ასევე სახიფათოა, არ გახდეს მიუკარებელი და დაუნდობელი. მაგრამ ისინი იშვიათად თუ იღებენ დახმარებას და ვერ იმსახურებენ სიმპათიებს ამ ხიფათიდან თავდასაძვრენად; ვინაიდან თვითკონტროლის ფასადი მალავს შინაგან უწესრიგობას.

ფსიქოსექსუალური დახასიათება

ქალწულის ნიშნის ადამიანები შედარებით ცივი და თავშეკავებულები არიან სიყვარულის გამოვლენაში. ისინი თითქოს ტვინში აღბეჭდავენ როგორც თავიანთ ქცევებს, ასევე პარტნიორისას. საერთოდ, ქალწულები სიყვარულის დამატკბობელ ხიბლს ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ეძლევიან, კერძოდ, როდესაც ისინი ძალიან ახალგაზრდები არიან. გამოცდილება კი გვკარნახობს, იშვიათია, რომ ახალგაზრდულმა, იდეალისტურმა რომანებმა დროის გამოცდას გაუძლოს. ქალწულის პირველი გაცბუნება სიყვარულში (ეს პერიოდი რეტროსპექტიგაშია) ემოციური და ინტელექტუალური სისუსტის პერიოდად არის მიჩნეული, ქალწულთა უმრავლესობა სტოიკურ თვალსაზრისს ადგას სიყვარულში, რაც ყოვლად უმაქნისი, მოდიდან გამოსული მითია, რადგან შიში იმედგაცრუებისა ხსნის ქალწულის ფრთხილ დამოკიდებულებას

სიყვარულისა და სექსისადმი. თავისი პიროვნების გადაჭარბებული, ზეანალიტიკური, ძალზე კრიტიკული სიფრთხილის გამო, ქალწულები სექსს ხშირად ბუნების დაცინვად თვლიან, რომელიც ადამიანს მხოლოდ შთამომავლობის გასაგრძელებლად აქვს მინიჭებული. როდესაც ისინი ასეთ პოზიციაზე დგანან (ნეგატიურ, პირად სიკეთეზე უარის თქმა), მხოლოდ ტკივილისა და ტანჯვის თვალით უყურებენ სიყვარულს და ნაკლებ სიხარულსა და აღფრთოვანებას განიცდიან. სამწუხაროდ, სწორედ ქალწულის ამ თვისებებმა აიძულეს ასტროლოგები, გაეიგივებინათ ეს ნიშანი მის სიმბოლოსთან — ქალწულთან.

ყველასგან საიდუმლოდ, ქალწულებს თვითონვე აქვთ სურვილი თავიდან მოიშორონ ასეთი მკაცრი და ცივი დამოკიდებულებები და გადაეშვან ვნებების მორევში. ამგვარად, ქალწულები შედიან ზოდიაქოს ოჯახის ყველაზე დიად და „განმარტოებულთა" რიცხვში. ვინაიდან მათ სიყვარულის სიამოვნება დაჰყავთ იშვიათ ცალკე მომენტამდე, რომელიც აუცილებლობით არის გამოწვეული.

როდესაც ქალწული კონტაქტს ამყარებს საპირისპირო სქესთან, იგი იშვიათი გულითადობითა და ვნებიანობით გამოირჩევა. ეს ხალხი უფრო მეტად სნობები არიან და გამორჩეულად ერკვევიან პარტნიორებში. ამიტომაც ირჩევენ ისეთებს, ვისთანაც შეუძლიათ იქონიონ ურთიერთობა ინტელექტუალობის უშიშარ ზონაში და არ ეწინააღმდეგებიან ქალწულის სიყვარულის არეს.

როგორ დავაკმაყოფილოთ ქალწული

ვიდრე ამ სფეროს შეეხებოდეთ, საჭიროა დავადგინოთ ის ემოციური და ფიზიოლოგიური თვისებები, რომლებიც ასტროლოგების აზრით, ქალწულისათვის ნიშანდობლივია.

ისინი იმდენად არიან შეპყრობილნი საკუთარი სხეულის დაძაბულობით, თავიანთი ზეაქტიური ჭკუით, სექსით რომ დაინტერესდნენ, საჭიროა შეანელონ ეს დაძაბულობა. მაგრამ ქალწულს არ სურს თავიდან აიცილოს იგი, ვინაიდან ისეა

შეჩვეული ამ დაძაბულობას, რომ ავიწყდება კიდეც, რას ნიშნავს ჩვეულებრივი სისუსტე.

ქალწულები არც იმაზე ზრუნავენ, რათა მათ ეალერსებოდნენ. ძალზე უცნაურია, მაგრამ არ უყვართ ასეთი სტიმულები. ქალწულებს შიში აქვთ, რომ არ დაავადდნენ რაიმე სენით. ისინი მუდამ ამჩნევენ თავიანთი პარტნიორის სულ მცირე დეტალებსაც კი: კანის ფერს, ფეხების თითების მოხაზულობას, სხვადასხვაგვარ სუნს და საკმარისია სულ უმნიშვნელო რამეც არ მოეწონოთ, რომ საბოლოოდ შეაქცევენ ზურგს.

დაბოლოს, რაკი ჩვენ ქალწული ზოდიაქოს არცთუ ვნებიან შვილებს მივაკუთვნეთ, არსებობს ერთი საშუალება მათ დასაკმაყოფილებლად, კერძოდ, დავარწმუნოთ, რომ ქალწულები ჩვენ სამსახურს გვიწევენ. მაშინ ისინი ადვილად გაებმებიან მახეში და დაამტკიცებენ, თუ როგორი სამსახური შეუძლიათ. პირფერობითაც შეძლებთ აღაფრთოვანოთ ქალწულები და ისინიც განსაკუთრებულ აქტიურობას გამოიჩენენ.

დადებითი თვისებები

ახლა კი შეიძლება კომპლიმენტები ვუძღვნათ ჩვენს ქალწულებს, რადგან ისინი ამას დიდ თავმდაბლობად მიიღებენ. მათ მრავალი ისეთი თვისება ახასიათებთ, რომელიც აღტაცების ღირსია. ისინი ლოგიკურები, სისტემატურნი და მგრძნობიარე ხალხია, მაგრამ უფრო ინტელექტუალურები, ვიდრე ემოციურები; პრაქტიკულები, ვიდრე სანტიმენტალურები. მათ შეუძლიათ საკუთარ თავზე აიღონ დიდი პასუხისმგებლობა.

ამ ნიშანმა მრავალი გამოჩენილი მწერალი და გამჭრიახი კრიტიკოსი მოგვცა. ქალწულები დაუღალავად შრომობენ სხვათა საკეთილდღეოდ. მათ გამომგონებლის ჭკუა აქვთ და გენიალური გონიერების წყალობით შეუძლიათ შექმნან რთული სისტემები, გადაჭრან რთული პრობლემები.

მეგობრებთან მიმართებაში ისინი არცთუ გულუხვად იმეტებენ ქებას, დიდად არ თანაუგრძნობენ მას, მაგრამ არიან

მტკიცენი და თანამიმდევრულნი, იძლევიან გულითად რჩევებს.

მერკურის შვილები შეიძლება მომხიბვლელნი და მრავალმხრივნი იყვნენ, თუმცა ცვალებადი ხასიათებით გამოირჩევიან: ხან ფიცხობენ, ხან ცივი გონებით სჯიან, ხანდახან კი მათი მოქმედება ამოუცნობიც არის.

სიყვარულის ეკონომიკა

მიუხედავად იმისა, რომ ქალწული ინტელექტუალურად განვითარებულია, მას სიყვარულის ეკონომიკაში გამარჯვებულთა შორის ვერ ნახავთ. რატომ? იმიტომ, რომ ქალწულის წარმოდგენა ფასეულობაზე არაბუნებრივია, რადგან უპირატესობას აძლევს და პატივს სცემს გონებრივი ნიჭის გამო და არა დიდი თანხისათვის, რომელიც ბანკში აქვს დაბანდებული. სიამაყე ნებას არ აძლევს მას იყიდოს სიყვარული. გარდა ამისა, ქალწული მუდამ მზადაა დაიცვას თავისი სიწმინდე და მიზანდასახულობა. მათაც აქვთ უნარი შეყვარებულს მოსთხოვონ სამსახური, მაგრამ, თუ ისინი უარყოფილნი არიან, ადვილად მალავენ იმედის გაცრუებას და შეუძლიათ ჩაღრმავდნენ რაიმე სამუშაოში, რაც გაწეული შრომის ფასად ქებას მოუტანთ. ქალწულები იცავენ განსაკუთრებულ რეჟიმს. იმისათვის, რომ სიყვარული იპოვნონ, საჭიროა თავისუფალი დრო, ქალწულები კი ამისათვის სამუშაო დროს არ დაკარგავენ.

შესაფერისი პარტნიორები

29,5 წლამდე ყველაზე სასურველი პარტნიორი ქალწულისათვის კუროსა და თხის რქის ნიშნებს შორის მოიპოვება. სამივე დედამიწის ნიშანია და 29,5 წლამდე ისინი პასიურები არიან, მათი კავშირები შემთხვევითია და გრძნობებით სავსე, ურთიერთობები კი სტაბილური და მჟიდრო. კუროს ნიშნის ადამიანები ნერვულ ქალწულებს თავიანთი რბილი ხასიათით ავსებენ. თხის რქები ორგანიზებულობის მაღალი გრძნობით

გამოირჩევიან და შეუძლიათ დახმარებისთვის მიმართონ ქალწულის პრაქტიკულ ჭკუას.

29,5 წლის შემდეგ ქალწულები ხვდებიან ცხოვრებისადმი თავიანთ ბრიყვულ დამოკიდებულებას („მხოლოდ სამსახური და არავითარი გართობა"), მაგრამ, როცა მათ უამრავი ცოდნა და პროფესია დაუგროვდებათ, ისინი ასუსტებენ სიმკაცრეს. ქალწულები შეიძლება შეეგუონ ღრიანკალის და ასევე ლომის ნიშნებს, ორივე ამ ნიშნის ადამიანები დიდად აფასებენ მის ინტელექტს და სულ მცირე ძალებს უწილადებენ ხოლმე ქალწულის უფრო სუსტ ნიშანს, რომელიც არ სარგებლობს ცხოვრების სიკეთეებით თავისი სამუშაოს გამო.

41,5 წლის შემდეგ ქალწულები უკვე განვითარებულები არიან სულიერად. ახლა ისინი შეიძლება კარგად შეეწყონ მშვილდოსანს — ამ გონიერ, იდეალისტურ ნიშანს, რომელიც ქალწულის ყველა სიკეთით არის მოსილი. ხანდაზმული მშვილდოსანი იშვიათად იზღუდავს თავს, მზადაა ქალწულის მკაცრი დისციპლინა გაიზიაროს.

ერთგულების შეფასება

ახალგაზრდობაში ძლიერ კარგია. მაგრამ ქალწულები მუდამ თავის მსგავს ადამიანებთან ეძებენ ურთიერთობებს. კერძოდ, მათთან, ვინც ღრმად არის დაინტერესებული სწავლაში, მუშაობაში, მიზანდასახულობაში.

ოლქმრობაში ძალიან კარგია, ვინაიდან ქალწული, ჩვეულებრივ, ქორწინდება ხანგრძლივი სიყვარულის შემდეგ. ამ პერიოდში იგი თავის მომავალ მეუღლეს ბევრ მკაცრ გამოცდას უწყობს, რის შემდეგაც მათ ერთმანეთის სამუდამო სიყვარული აქვთ.

ქალწულებო, ჩვენ, ასტროლოგები, გეკითხებით თქვენ:

იცით თუ არა, რომ ძალზე მომაბეზრებელია, როცა ცდილობთ აჩვენოთ, რომ ყველაფერი იცით?

როდის ისწავლით, რომ არ უნდა ეძებოთ ადამიანებში

მცირე ნაკლოვანებები? თუ თქვენ ვერ შეძლებთ ამის გაკეთებას, კრიტიკას მაინც ნუ მოჰყვებით! და ბოლოს, რატომ დაგაჯილდოვათ ვარსკვლავებმა დისციპლინისადმი ასეთი უდიდესი ნიჭით, თუ თქვენ დაინტერესებული ხართ მხოლოდ სამუშაოს რომელიმე პროცესით და არა მისი საბოლოო შედეგით?

სასწორი



24 სექტემბერი—23 ოქტომბერი
მე-7 ნიშანი ზოდიაქოსი
მე-2 ჰაერის ნიშანი
მე-3 ძირითადი ნიშანი
მას მართავს პლანეტა ვენერა
ბედნიერი რიცხვია: 6 და ყველა ის რიცხვი, რომელიც 6-ზე იყოფა.
ასტროლოგიური სიმბოლო — ვენერა.
ასტროლოგიური ფერები: მუქი ცისფერი, მეწამული, ზღვის ტალღის ფერი.
ასტროლოგიური ქვებია: ზურმუხტი, საფირონი, ოპალი, მარგალიტი, ბერილი.
სასწორი მართავს ჰოროსკოპის მე-7 სახლს

პიროვნების ზოგადი დახასიათება

ყოველი ადამიანი ეძებს ტრფიალის ქალღმერთს, ვენერას, პლანეტას, რომელიც სიყვარულს განაგებს, სასწორის ნიშანი კი მას ეუფლება, განა ასე არ არის? აბა, ვინ იტყვის, სასწორი ხომ ისევე, როგორც მისი სიმბოლო სასწორი, მერყეობს თავის პირად ცხოვრებაში. ასეთი პიროვნებები ნათელი და ინტელექტუალურები გახლავთ, ვინაიდან ისინი ჰაერის ნიშნებია. მათი ხიბლი უსაზღვროა, ღიმილი თვალწარმტაცი.

სასწორი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეძებს ადამიანს, რომელიც იდეალური ქმარი იქნება მისთვის (სასწორი მართავს ცოლქმრობის სახლს), მაგრამ როდესაც იგი ბოლოს და ბოლოს იპოვის ამ იდეალურ პარტნიორს, იშვიათად თუ არის ბედნიერი — რატომ? იქნებ იმიტომ, რომ სასწორი ეტრფის თვით სიყვარულს? იქნებ ისევე, როგორც ვენერას ატმოსფერო (რომლის დათვალიერებაც ასტროლოგებს ძალიან უჭირთ დანისლულობის გამო), სასწორის ნიშნის ადამიანებიც შეუცნობელნი რჩებიან?

სასწორი ასტროლოგიური სიმბოლოა — და ამ ადამიანთა უმრავლესობა გამუდმებით ცდილობს გააწონასწოროს სასწორი საზოგადოებრივ თუ პირადულ პლანში. სასწორს ძლიერ სჭირდება გაწონასწორებულობა და ჰარმონია, და თუ ეს შეუძლებელია, უმალ უკან დაიხევს, ვიდრე რაიმე საშუალებას მიმართავდეს ვითარების შესაცვლელად. ვენერა თავის შვილებს ანალიტიკური ჭკუით აჯილდოებს და განსაკუთრებით საგრძნობია ეს, როცა ეხება ხელოვნებას. სასწორი, თავისი წინდახედულობის წყალობით, მრავალ ადამიანს იზიდავს, რომლებიც მას რჩევას სთხოვენ.

სასწორი აგრეთვე გულითადი მეგობარი და სამაგალითო საქმიანი პარტნიორი გახლავთ.

მაგრამ ყველა ეს თვისება სასწორს სუსტ მოწინააღმდეგედ როდი წარმოგვიდგენს. მით უმეტეს მაშინ, როცა იგი უკვე თქვენ გეკუთვნით. მისი დამოუკიდებლობა შეურყეველია, თუმცა ამას ძალზე რბილად და შეუმჩნევლად ამჟღავნებს. მას მუდამ ნათლად ჰყავს წარმოდგენილი ტიპი იმ ადამიანისა, ეისაც იგი დაეძებს. სასწორი ძალზე აფასებს ადამიანებს. ეს სურვილი კი — ბედნიერება არგუნოს სხვა ადამიანებს — ისე ღრმადა აქვს გამჯდარი, რომ უმალ გარეშეს აამებს, ვიდრე თავის თავს. მაგრამ სასწორი სრულიადაც არ არის სუსტი ნებისყოფის ადამიანი და წინ აღუდგება ყველას. თუ დაინახავს, რომ მისი დელიკატური ბუნება შელახულია.

სასწორი ხშირად ვერ ეგუება არსებულ სინამდვილეს, რეალობას, ვინაიდან სავსებით აიგივებს თავის თავს ელეგანტურობასა და დახვეწილობასთან. იგი ყოველ ღონეს იხ-

მარს თავიდან აიცილოს კონტაქტი ისეთ ადამიანებთან, რომლებიც ლახავენ ეთიკისა და გემოვნების კანონებს.

მიუხედავად იმისა, რომ სასწორი გონებრივად განვითარებულია, მასში მოიძებნება არაპრაქტიკულობის ნიშანი. სასწორს ხშირად აქვს ახირებულობის პერიოდები და გამოწვევას უგზავნის ყველა ქარს; მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს, თუმცა მოგვიანებით სინანულს გამოთქვამს ამის გამო. რაკი სასწორს ძალზე აშინებს ყოველგვარი მიწიერი სამუშაო, ხშირად უმუშევართა შორის აღმოჩნდება ხოლმე. მან გონიერება უნდა მოიშველიოს და ხელოვნებასთან კავშირში მყოფ რაიმე სამუშაოს მოჰკიდოს ხელი, თუ სურს, რომ მუდმივი სამუშაო ჰქონდეს. ესაა სწორედ ერთადერთი გზა მიაღწიოს წონასწორობას ფინანსურ თუ ესთეტიკურ საქმიანობაში.

პლანეტა ვენერას ასტროლოგები „უფრო იღბლიან" იუპიტერთან შედარებით „ნაკლებ იღბლიანად" ნათლავენ. სასწორმა ალღო უნდა აუღოს პრაქტიკულობას, რათა მოიმკას ნაყოფი, რასაც მას ზეცის მბრძანებელი უბოძებს. როდესაც სასწორი გაწონასწორებულია, იგი განუმეორებელი გახლავთ. დღევანდელ სასტიკ კომერციულ სამყაროში სასწორს ერთი უპირატესობა აქვს: მისი ნიშანი განაგებს სიყვარულს, სილამაზესა და ხელოვნებას.

ფსიქოსექსუალური დახასიათება

იბადება კითხვა: თუკი სასწორს ამდენი კეთილისმყოფელი ჰყავს და გატაცებით ეძებს პარტნიორს, რატომ არ შეუძლია თავისი სიყვარულის დაოკება და დაკმაყოფილება? პასუხი ასეთია: სასწორის ნიშნის ხალხი შეყვარებულებს ისე ექცევა, როგორც ხელოვნების ქმნილებებს, ხოლო სექსუალური თავისუფლების საუკუნეში ძალიან ცოტა ქალია ისეთი, ვისაც მოსწონს, როცა მას შორიდან ეტრფიან. ყველასათვის ცნობილია, რომ ამ ტიპის მამაკაცები ისევე იშვიათია, როგორც მეწამულისფერი მარტორქები.

ალერსი და ფიზიკური სიახლოვე დროთა განმავლობაში სასწორს ანერვიულებს. სიყვარულის ეს ღმერთები და ღმერთ-

ქალები ყოველ ღონეს მიმართავენ, რათა თავი გაილამაზონ, მომხიბვლელნი და მაცდუნებელნი იყვნენ. როდესაც ბოლოს და ბოლოს ისინი იპოვნიან იმას, ვისაც ეძებდნენ, იწყება აღმაფრთოვანებელი ვარდისფერი ხანა რომანტიკული ხიბლისა და მაშინ მართლაც შეიძლება რწმუნება, რომ სასწორის ნიშნის ადამიანები წარმოშობილნი არიან სიყვარულის პლანეტა ვენერასაგან, თუმცა ოცნება რეალობა არ გახლავთ, და სასწორი მალე იქანცება სატრფოსთან ფიზიკური ურთიერთობის გამო. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მას არ აინტერესებს სექსი, უბრალოდ იგი ძალზე დაკავებულია სიყვარულის სულიერი მხარით და ყველასგან იდუმალად სიყვარულის ფიზიკურ მხარეს უხეშობად და არაესთეტიკურად თვლის. რასაკვირველია, შემდგომში ეს ადამიანები სექსზე ნაღვლობენ, მაგრამ მათზე შეყვარებულ პირებს ლოდინი მართებთ, სანამ სასწორი პირველი არ მისცემს ნიშანს.

სიყვარულის დროს სასწორი ძალზე იდეალისტურია და დიდ ყურადღებას უთმობს ალერსსა და ამბორს. იგი ძალიან მგრძნობიარეა იმ ატმოსფეროს მიმართ, რომელიც მის საწოლ ოთახშია გამეფებული; საწოლი მუდამ სუფთად უნდა იყოს. მასზე ძალიან მოქმედებს ვენერა და ამიტომ ითხოვს ფუფუნებას: აბრეშუმის პერანგებს, რბილ შუქს და რომანტიკულ მუსიკას. მისი სატრფოები ძალიან სუფთები უნდა იყვნენ და მოჭარბებულად იყენებდნენ სუნამოს. სასწორი ითხოვს ხანგრძლივ სასიყვარულო თამაშს, რის შემდეგაც სქესობრივი აქტი საკმაოდ სწრაფად გვარდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ესთეტიკური გრძნობები შეურაცხყოფილი რჩება.

როგორ დავაკმაყოფილოთ სასწორი

მას ნაზად უნდა მოვეპყროთ, რადგან სძაგს უხამსი დეკორაციები და სხვა ნიშნებიდან გამორჩეულს სულ ადვილად ეფანტება გონება სქესობრივი აქტის დროს. სასწორი ხშირად ოცნებობს სიყვარულის ჟამს. მისთვის ჩვეულებრივი საქმეა გარეშე საგნებზე ფიქრი, მაგალითად, ყოფილ სატრფოზე, ანდა აუხდენელ ოცნებაზე. სასწორის ნიშნით ჰოლივუდის მრა-

ვალი ვარსკვლავია დაბადებული, მაგრამ გამოთვლები მოწმობენ, რომ იმ ნიშნის ადამიანები, რომლებიც სიყვარულს განაგებენ, არცთუ ქუდბედნიერნი არიან ამ საქმეში.

დადებითი თვისებები

სასწორი ზედმიწევნით პატიოსანი, გულითადი და ყურადღებიანი ნიშანია. მას ესთეტიკურ ფასეულობათა შესანიშნავი გრძნობა აქვს და ძლიერ გონიერებას იჩენს მოქმედების დროს. ხანგრძლივი მეგობრობაც იცის და შესანიშნავი პროფესიონალიც. გახლავთ.

სასწორი შეიძლება ძალიან თავშეუკავებელიც იყოს, რადგან მისი ერთგულება გულიდან მომდინარეობს და ავხორცობით არაა გამოწვეული.

ამ ნიშნის ქალები ეგუებიან ქმრების მოთხოვნებს. ამის უნარი აძლევს მათ უფლებას, დიდი გავლენა მოიპოვონ მამაკაცებზე, მაგრამ ეს გავლენა სასიამოვნოა და ამ ნიშნის მამაკაცები, თუმცა ოჯახის დიდ მომმარაგებლად ვერ ჩაითვლებიან, ჰარმონიისა და თანხმობის ვითარების შექმნა კი ძალუძთ. ისინი კარგი მამები არიან.

იგი ნამდვილი რომანტიკოსია!

იგი პოეტია!

სასწორის ძირითადი არსია — ჰარმონია!

უარყოფითი თვისებები

ვინაიდან სასწორს დიდი სწრაფვა აქვს იმისკენ, რათა სხვებს მიანიჭოს სიამოვნება და შექმნას თანხმობის ატმოსფერო, მას ეს ისე იტაცებს, რომ კარგავს ინდივიდუალობას. ამიტომ უნდა ეცადოს, იყოს უფრო პრაქტიკული და თავისი შემოქმედებითი იდეები განახორციელოს. არ კმარა მარტო ოცნება, მან ცოლქმრობის სექსუალური მხარე სიხარულით უნდა აღიქვას. სასწორმა არ უნდა უპასუხოს იმ ადამიანთა ერთგულებას და მოთხოვნებს, რომლებიც მისი ღირსნი არ

არიან, მარტო ჰარმონიულობამ არ უნდა მოხიბლოს იგი. უნდა უფრთხოდეს საკუთარი ეგოიზმის ნგრევას და იდეალიზმის გარდასახვას შარიანობაში.

სიყვარულის ეკონომიკა

სასწორს აკლია სიყვარულის ეკონომიკის ხელოვნება. დღევანდელ სამყაროში მიზნის მისაღწევად საჭიროა სიმტკიცე და ხასიათის სისასტიკე. სასწორს კი ხშირად სძაგს აშკარა აგრესია და კონკურენცია. მისი ბრძოლის უნარი ქვეყნის სასიკეთოდ იმის იმედს იძლევა, რომ სასწორის წმინდა და იდეალური სახე ყველა სიკეთის მომტანია. ეს, რასაკვირველია, ძალიან ხელგაშლილი მიდგომაა ცხოვრებისადმი და სასწორმა უნდა იფიქროს თავის სიბერეზეც, როდესაც მისი ხიბლი და სილამაზე ნელ-ნელა ქრობას დაიწყებს. სასწორის გონებას ვერ სწვდება ფიქრი სიყვარულის მოსყიდვისა. ამ ნიშნის მქონე ადამიანთა უმეტესობა უმწეოა სიბერეში, ვინაიდან ახალგაზრდობის იდეალიზმის სწრაფად გაფრენილი წლების შემდეგ გამოფხიზლდებიან ხოლმე და მარტოსულნი და მოუმზადებელნი ხვდებიან თავიანთ მომავალს. ამ ნიშანს უნდა დაეგროვებინა თანხა „შავი დღისათვის“.

სასწორი — ეს არის ნიშანი, რომლის კეთილდღეობის გრძნობაც დამოკიდებულია ეკონომიურ დამოუკიდებლობასა და მატერიალურ უზრუნველყოფაზე.

შესაფერისი პარტნიორები

29,5 წლამდე სასწორი უფრო ესადაგება ტყუპებისა და მერწყულის ნიშნებს. სამივე ნიშანი ჰაერისაა და 29,5 წლამდე მათი ინტელექტუალური, საზოგადოებრივი და სექსუალური ურთიერთკავშირები არამყარი და ცვალებადია. 29,5 წლის შემდეგ კი ისინი მომწიფდებიან და მეტ პრაქტიკულობას იძენენ; უკვე დადინჯებულნი, ოჯახში არიან ჩამსხდარნი და იშვიათად თუ ეტანებიან თაეკარიან ცხოვრებას. ორივე ნიშანი,

რომელთაც მარსი მართავს, ხანდახან უხეშობს სასწორის მიმართ; გარდა ამისა, ორივე ძალზე აგრესიული პატივმოყვარეობით არის შეპყრობილი. მათ სჭირდებათ სასწორის გაწონასწორებულობა და ადიდებენ კიდეც მის მშვიდ საქციელს (ლრიანკალი, ვერძი).

41,5 წლის შემდეგ სასწორი უკვე განვითარებულია და საკუთარი ინტელექტუალური „მეს" შინაგანი კონტროლის უნარს ავლენს. იდეალიზმისა და რომანტიზმის წყალობით იგი უფრო ხშირად ეგუება თევზისა და მშვილდოსნის ნიშნებს.

ერთგულების შეფასება

ახალგაზრდობის წლებში — კარგია. დაახლოებით 13-დან 23 წლამდე სასწორი ისწრაფვის სიყვარულისა და მეგობრობის განმტკიცებისაკენ.

ცოლქმრობაში — შესანიშნავია, მხოლოდ ერთი პირობით, თუკი შედარებითი თავისუფლება ექნება აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის და ამ დროს იგი ესთეტიკური ფასეულობის დათვალიერებას მოანდომებს. სასწორთან შეთანხმებულობის საუკეთესო პირობაა საერთო ინტერესები სამსახურში ანდა დიდი თანხა, რაც შესაძლებლობას აძლევს სასწორს განთავისუფლდეს სხვადასხვა მოვალეობისაგან.

სასწორო, ჩვენ, ასტროლოგები, გეკითხებით:

რატომ არ შეგიძლიათ ცოტა ხნით მაინც იცხოვროთ საკუთარი თავისთვის და არ იზრუნოთ ასე ძლიერ მეგობრებსა და სატრფოებზე?

რატომ უწყობთ წინასწარ სერიოზულ გამოცდას მავანს და მავანს და ნდობით არ ეკიდებით?

რატომ არ გინდათ აყვეთ ვნებებს?

და ბოლოს, რატომ შეგქმნათ ვარსკვლავებმა ასეთი მომხიბვლელნი და განუმეორებელნი?

ღრიანკალი

24 ოქტომბერი—22 ნოემბერი
მე-3 ნიშანი ზოდიაქოსი
მე-2 წყლის ნიშანი
მე-3 მუდმივი ნიშანი
მას მართავს პლანეტა მარსი და პლუტონი
ბედნიერი რიცხვია: 9 და ყველა ის რიცხვი, რომელიც 9-ზე იყოფა.
ასტროლოგიური სიმბოლოა: ღრიანკალი და არწივი.
ასტროლოგიური ფერებია: მუქი წითელი, ალისფერი, ყოლოსფერი და ცეცხლისფერი
ასტროლოგიური ქვებია: ტოპაზი და მთვარის ქვა
ღრიანკალი მართავს ჰოროსკოპის მე-8 სახლს.

პიროვნების ზოგადი დახასიათება

ღრიანკალის პიროვნებაში შერწყმულია ანტაგონისტურ ძალთა ცვალებადობა. სული და სხეული განუწყვეტლივ ებრძვიან ერთურთს, ამიტომაც ღრიანკალი ზოგჯერ ნამდვილ დემონს წააგავს, ზოგჯერ კი, მოულოდნელად, წმინდანს. დიახ, ხანდახან ღმერთის მსგავსია, ვინაიდან ღრიანკალი დიდად არის განებივრებული ზეციური მბრძანებლების მიერ. ეს ადამიანები ძლიერი ნებისყოფით არიან დაჯილდოებულები, იმდენად ძლიერით, რომ წარმატების გზაზე აგრესიულობა ბევრ მტერს შესძენთ ხოლმე. ღრიანკალები ცხოვრებაში წარმატებებისათვის შეიძლება გაცილებით მეტი ენერგიით იბრძვიან, ვიდრე ერთად აღებული სხვა ნიშნები და ამასთან საოცარი ხელოვნებით!

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ღრიანკალს უჩნდება სურვილი წარმატებებს მიაღწიოს ცხოვრებაში, მხოლოდ ცოტა თუ აღწევს ამას. მაგრამ, ვიდრე ისინი გამარჯვების გვირგვინს დაიდგამდნენ თავზე, შინაგან სამყაროს, ჰარმონიასა და სიყ-

ვარულს აღიქვამენ, ისე მოიმკიან მატერიალურ ნაყოფს. მათ ჯერ თავის თავზე უნდა გაიმარჯვონ და მერე მიაღწიონ იმას, რისკენაც ილტვიან.

ღრიანკალი ძალზე ემოციურია. მას სურს სიყვარული, სწყურია იგი. ისინი იბრძვიან მისთვის და ფეხქვეშ ეგებიან; ბევრად, სიყვარული — მათთვის ცხოვრებისეული მოთხოვნილებაა. ასტროლოგები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ ღრიანკალი ყველაზე მეტად სექსუალურია ყველა ნიშნიდან. სიყვარულს კი ასეთი თავგანწირვით იმიტომ ეძებენ, რომ სურთ გამოიყენონ იგი კონტროლად საკუთარი ვნებააშლილობის ჟამს.

ღრიანკალები შემდგომში მეფეთა-მეფენი არიან სექსუალური ამბებისა, სექსს იოლად უყურებენ და ჩვეულებრივ ძალზე ადრეულ ასაკში იწყებენ. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ისინი სექსუალურად მიმზიდველნი არიან, თუნდაც სილამაზით დიდად არ იყვნენ დაჯილდოებულნი.

თითოეული ჩვენგანი გრძნობს იმ გულისთქმას, რომელიც მათგან მომდინარეობს. ადამიანებს სურთ ეალერსონ მათ, მათთან ერთად იყვნენ, რადგან ღრიანკლები ისეთ შინაგან ძალებს წარმოაჩენენ, რომლებიც მინაელულია მათ ვნებიან ბუნებაში.

არსებობს ორი სახის ღრიანკალი: დაბალი, განუვითარებელი ტიპი და განვითარებული, დასრულებული ტიპი, რომელიც ჰაერში მონავარდე არწივს ასახიერებს. იშვიათად თუ მონახავთ საშუალოს ამ ორ უკიდურესობას შორის. ისინი ზებუნებრივი ნიჭით არიან დაჯილდოებულები და აანალიზებენ რა ყოველივეს ამ ქვეყნად, წვდებიან თითოეული საქმის არსს. ვინაიდან ღრიანკალი პირველია ოთხ მუდმივ ნიშანთაგან, ამიტომ სიჯიუტეს იჩენს ნებისმიერ საქმეში, რომელშიც არ არის გარკვეული და არა აქვს ათვისებული. სინამდვილეში, ეს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია ღრიანკალისა, კერძოდ, ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, სადაც იგნორირებულია შედეგი. მათ შემდგომაც ამ გზით უნდა იარონ: დაასრულონ ის საქმე, რასაც ხელს მოჰკიდებენ.

ღრიანკალი სექსის განსახიერებაა! მათი ნიშანი მართავს სასქესო ორგანოებს — განა საჭიროა კიდევ რაიმეს დამატება? ღრიანკალების ტვინის უჯრედებზე აგრესიულად მოქმედებს მარსი და ამ ნიშნის მამაკაცებს თუ ქალებს უდიდეს სექსუალობას ანიჭებს. აქ ვერ იპოვით ვერავითარ მორალურ შეზღუდვას, რადგან ღრიანკალი სექსს უყურებს, როგორც ადამიანური ურთიერთობების დამოუკიდებელ სფეროს და გარდა ამისა, სექსი მათ ძალებს აღადგენს. ზოგჯერ ღრიანკალს ფენიქსის სახითაც — ზღაპრული სილამაზის მითიურ ჩიტად წარმოგვიდგენენ.

აი, ეს არის ღრიანკალის რიტუალური ციკლი. იგი ბოლომდე იწვის აქტუალური სექსუალური ცხოვრების დროს, რომელიც დაასუსტებდა ნებისმიერ ნიშანს, მაგრამ ღრიანკალი თავისი მრავალრიცხოვანი ცდების შედეგად, კვლავ ახალგაზრდა აღსდგება და ახალი იმედებით სავსეა.

საყვარლებს შორის ღრიანკალი ზოდიაქოს ყველა ნიშანში ძლიერ გამორჩეულია. მათ განსაკუთრებული გამოცდილება აქვთ, რომელსაც არა მარტო იმისთვის იყენებენ, რათა დაიკმაყოფილონ სურვილი, იმისთვისაც, რომ აამონ პარტნიორს.

როგორ დავაკმაყოფილოთ ღრიანკალი

დააძალეთ, სექსი, მაგრამ ნუ აჩქარდებით. ახალგაზრდობის წლებში ისინი რომანტიკულები არიან, უყვართ მუსიკა და რბილი შუქი. მოგვიანებით ისინი ნაკლებ თავშეკავებულებას იჩენენ, უფრო ძლიერნი არიან. მათ უყვართ კაშკაშა ფერი და სარკე. ღრიანკალის მეუღლეები აკურატულები და სუფთები უნდა იყვნენ. მათ უნდა გააძლიერონ მიმზიდველობა სუნამოებისა და ოდეკალონების მეშვეობით, ვინაიდან ვენერას სვლები ძლიერ აღაგზნებს ღრიანკალს.

მოკლე და უკანონო კავშირის დროს ღრიანკალს შეუძლია აიტანოს არცთუ ჰიგიენური პარტნიორი. იგი გრძნობს, რომ დაბალ დონეზე მდგომი აკრძალული ეროტიკული აქტი დიდ კმაყოფილებას გვრის.

დადებითი თვისებები

ამ ნიშნის ადამიანები სულიერად მუდამ ერთგულები არიან, მაშინაც კი, როცა ქორწინების გარეშე ცხოვრობენ. ეს ერთგულება ვრცელდება რჩეულ მეგობრებზედაც, რომლებიც მათ ძალიან მრავლად ჰყავთ და რომელთაგანაც სანაცვლოდ ასეთივე ერთგულებას ითხოვენ.

თავის ოჯახში ლრიანკალი ქმნის „დამცავ" ატმოსფეროს, თითქოს მარსის გენერლები მთელი სამყაროსაგან იცავდნენ ციხესიმაგრეს.

ლრიანკალები ოჯახის შესანიშნავი მომმართაგებლები არიან, ისინი ძალიან გონივრულად აგვარებენ საქმეებს. ამ ნიშნის ქალებს ხშირად უჭირავთ ხელმძღვანელი პოსტები. ლრიანკალი — ბრწყინვალე მშობელია, თუმცა ცოტაოდენ სასტიკი და მომთხოვნი.

უარყოფითი თვისებები

ლრიანკალი ძალ-ღონეს არ იშურებს წარმატების მოსაპოვებლად, რაც მას ფიზიკურად ქანცავს. მაშინ ისინი ხშირად ანთხევენ ბოღმას მეუღლეებზე, თუმცა, ჭკვიანი ლრიანკალი ისეთ მეუღლეს ირჩევს, რომელიც ხელს შეუწყობს მას, თავი აარიდოს ამ უკიდურესობებს.

ლრიანკალისა და განსაკუთრებით ლრიანკალ-ქალისათვის დიდი ეჭვიანობა და მესაკუთრეობა ასევე უარყოფითი თვისებაა.

სიყვარულის ეკონომიკა

ლრიანკალს იშვიათად თუ დასჭირდება სიყვარულის ეკონომიკის გათამაშება, მხოლოდ ერთი პირობით, თუ ისინი ფიზიკურად მომხიბვლელები არიან და ქალებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ხშირად მათ ერთდროულად რამდენიმე რომანიც აქვთ.

მაგრამ სულ სხვაა მოხუცი ლრიანკალი. ლრიანკალი ისწრაფვის მოჭარბებული სქესობრივი ცხოვრებისაკენ, რადგან შესანიშნავად იცის, როცა ოქროსფერ თმებში ვერცხლისფე-

რი გაერევა, საკმაოდ მოზრდილი თანხა დასჭირდება სექსუალური ცხოვრების გასახანგრძლივებლად.

ისინი იშვიათად თუ აუვლიან გვერდს საქმიანი წინადადებების შესაძლებლობებს, თუნდაც იგი სექსის ფასად იყოს მოპოვებული. ასეთ სიტუაციას ისე უყურებენ, როგორც ჩვეულებრივ საქმიან გარიგებას. მაგრამ დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ მიიღებენ იმას, რასაც ითხოვენ.

შესაფერისი პარტნიორები

29,5 წლამდე ღრიანკალის საუკეთესო პარტნიორები კირჩხიბსა და თევზების ნიშნებს შორის არსებობენ. სამივე წყლის ნიშანია, ასეთ ასაკში ძალზე ემოციურნი არიან და ფსიქოსექსუალურად მოქმედებენ.

ზოგჯერ ღრიანკალები კარგად ეწყობიან თხის რქისა და ქალწულის ნიშნის ადამიანებს.

29,5 წლის შემდეგ ის ჩვეულებრივ მწიფდება და თავისი მუდმივი „მეს" შეცნობას იწყებს, რომელიც თანდათან ძალზე აგრესიული და მბრძანებლური ხდება. მაშინ ხშირად ეგუება ორ ნიშანს: კუროსა და სასწორს. ეს ორი ნიშანი დიდი მოთმინებით გამოირჩევა და უნარი აქვთ აიტანონ ღრიანკალის მბრძანებლური ხასიათი.

41,5 წლის შემდეგ ღრიანკალი უკვე სავსებით განვითარებულია როგორც პიროვნება და კონტროლი უნდა დაუწესოს ინტელექტუალურ „მეს" ისე, რომ არ დაკარგოს თავისი ვაჟკაცური სექსუალობა. ამ დროს იგი კარგად ეგუება მშვილდოსანსა და მერწყულს.

ერთგულების შეფასება

ახალგაზრდობაში საშუალოა, თუ თქვენ არ ეძებთ მასში უფრო მეტს (ფიზიკურს) ჭაბუკობაში ღრიანკალი ნელ-ნელა ოპორტუნისტული ხდება და მუდამ იმის ძიებაშია, რომ მო-

ნახოს „უფრო მწვანე საძოვრები". როგორც მეუღლე, კარგია. ისინი ერთი პირობით იცავენ და ამაგრებენ ოჯახსა და ცოლქმრობას: შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ იმისა, რომ დაამყარონ ქორწინებისგარეშე კავშირები. მათ უნარი შესწევთ დაფარონ იგი და არასოდეს არ კეკლუცობენ ამით თავიანთი საყვარლების წინაშე. ღრიანკალის ერთგულების დასამტკიცებლად საუკეთესო პერიოდია 29,5 წელი ანდა მაშინ, როცა პარტნიორებს შორის არსებობს დიდი თანხმობა (ფიზიკურიც და ინტელექტუალურიც). ასეთ პირობებში, ვინ არ იქნება ერთგული?

ღ რ ი ა ნ კ ა ლ ე ბ ო, ჩ ვ ე ნ ა ს ტ რ ო ლ ო გ ე ბ ი გ ე კ ი თ ხ ე ბ ი თ:

რა გჭირდებათ იმისათვის, რათა მოთოკოთ თქვენი სწრაფვა წარმატებისაკენ, რომელიც ცეცხლს გინთებთ არა მარტო თქვენ, არამედ ყველას, ვინც თქვენს გარშემო ტრიალებს?

რატომ გამოდიხართ თქვენ ერთთავად წაგებულები, როდესაც ასე გწყალობთ ღმერთები?

რატომ ხართ წვრილმანები და შურისმაძიებლები?

თქვენი ვალია იცოდეთ, ყველა თქვენსავით ილბლიანი არ გახლავთ და იმის უნარიც არა აქვთ, თქვენსავით აღიდგინონ ძალები წაგების შემდეგ. რატომ მკვეხარობთ? ჩვენ ხომ დიადებად მიგვაჩნიხართ? იქნებ ეს იმის გამო, რომ რწმენა გაქვთ შერყეული?

რატომ აკლენთ ასე აშკარად თქვენს ეგოიზმს?

და ბოლოს, რატომ მოგანიჭათ ღმერთებმა თქვენ სექსუალობის ყველაზე დიდი ნიშანი?



მშვილდოსანი

23 ნოემბერი — 21 დეკემბერი
მე-9 ნიშანი ზოდიაქოსი
მე-3 ცეცხლოვანი ნიშანი
მე-3 ცვალებადი ნიშანი

მას მართავს პლანეტა იუპიტერი. ბედნიერი რიცხვია: 3 და ყველა ის რიცხვი, რომელიც 3-ზე იყოფა. ასტროლოგიური სიმბოლო: კენტავრი — მშვილდოსანი (მითიური არსება), რომელსაც თავი, ხელები და ტანის ზედა ნაწილი ადამიანისა აქვს, ხოლო სხეული ცხენის.

ასტროლოგიური ფერებია: ლურჯი, მწვანე, იისფერი და მეწამული. ასტროლოგიური ქვებია: ამეთვისტო, საფირონი, ზურმუხტი და აგათი. მშვილდოსანი მართავს ჰოროსკოპის მე-9 სახლს.

პიროვნების ჯოგადი დახასიათება

პლანეტა იუპიტერი გამარჯვებათა მაუწყებელი პლანეტაა: როგორც ასტროლოგები ამბობენ, მას შეუძლია თავის შვილებს დიდი წარმატებები, დიდება, პატივი და კეთილდღეობა მიანიჭოს. ძნელია ამის დაჯერება, მაგრამ ამ უძლიერეს პლანეტას შეუძლია ამის გაკეთება, თუმცა ჯერ იუპიტერმა მშვილდოსანი მკაცრად უნდა გამოსცადოს და საჯაროდ გამოაცხადოს, რომ საჭიროა გადაცუროს შვიდი ზღვა და იპოვოს იდეალი, რომელიც სინამდვილეში თვითონ მასშია ჩადებული. მაგრამ მშვილდოსანი ძნელად თუ მივა იმ დასკვნამდე, რომ მისი შინაგანი სიმშვიდე დამოკიდებულია გონების მიერ სამყაროს აღქმაზე. მშვილდოსნები დაუოკებლები არიან: ისინი მუდამ „აფართოებენ“ თავის პიროვნებას და ახალი თავგადასავლების მოლოდინში ჰორიზონტზე მყოფნი ჰიპნოზური ვარსკვლავის ხომლში ექცევიან. მათ სურთ დაინახონ, შეიგრძ-

ნონ, იგემონ და იცოდნენ ყოველივე ამქვეყნიური, ვიდრე აღსასრულის დღე დადგებოდეს.

იუპიტერი წინასწარმეტყველებს არა მარტო მატერიალურ სიმდიდრეს, არამედ სულიერსაც, რადგან მშვილდოსანთა უმეტესობა უკიდურესად რელიგიური და ფილოსოფიურად თუ იდეალისტურად განწყობილია. შემდგომში განეკუთვნებიან რა მესამე ცეცხლოვან ნიშანს, ისინი ძალზე აქტიურ ცხოვრებას ეწევიან. მშვილდოსანი ჰოროსკოპის მე-9 სახლს მართავს, რომელიც განაგებს მოგზაურობებს და გონების აბსტრაქტულ ფუნქციებს. მშვილდოსნებს ხიბლავს ყოველივე უცხოური და სავსებით შესაძლებელია, რომ ოდესმე ისინი საზღვარგარეთ გაემგზავრონ ანდა უცხოელს დაუახლოვდნენ.

მშვილდოსნებს ელვის სისწრაფით ეცვლებათ გონებაში ათასგვარი იდეა, — ხოლო მათი წარმატებები დაფუძნებულია ინტუიციურ წინათგრძნობაზე. როგორც მათ სიმბოლოს — მოისარ-კენტავრს შეეფერება, მშვილდოსანიც პირდაპირია და მისი სიტყვებიც, რომლებიც მფრინავ ისარს წააგავს, პირდაპირ მიზანში ხვდება.

მშვილდოსნები ძალზე რომანტიულები და მგზნებარენი არიან, პატიოსნები და პირდაპირები თავიანთ გრძნობებსა და მიზნებში. თუმცა, ხშირად ეს არარაობად, ზერელობად და ფარისეველურ მლიქვნელობად არის მიჩნეული. მშვილდოსნებს არ უნდა სწყინდეთ, თუკი მათდამი სულ მცირედ უპატივცემულობას ანდა უყურადღებობას გამოიჩენენ. მათ არ უნდა სწყინდეთ და არ უნდა ჩაიდონ გულში ბოროტება ადამიანებზე — თავიანთი სიხარულის ერთადერთ წყაროზე. მან უნდა იწამოს ხვალინდელი დღის ნათელი. რატომაც არა? იუპიტერი ხომ ძლიერი მოკავშირეა.

მიუხედავად გულზიარობისა, მშვილდოსნები ხშირად მარტოსულნი არიან, რაც მომდინარეობს უკიდურესი იდეალისტურობიდან. ისინი მწარე გაკვეთილის მიღების შემდეგაც კი არ კარგავენ სიყვარულისადმი რწმენას და მათთან ხანგრძლივად მეგობრობენ. რწმენა ადამიანების მიმართ, ეს არის სწორედ მშვილდოსნის წარმატებების უდიდესი საიდუმლო; დიადი რწმენა, რის გამოც, ჩვეულებრივ, უხვად ჯილდოვდება.

მშვილდოსანი ასტროლოგიური ნიშანია და იგი შობს უდიდეს მეოცნებეებს, რომლებიც ფეხს ვერ უწყობენ თანამედროვე ულმობელ სინამდვილეს.

ფსიქოსექსუალური დახასიათება

ვინაიდან მშვილდოსანი ორმაგი ნიშანია, ამ წიშნის ხალხიც ორი ტიპისაა: ერთგული, იდეალისტური და რომანტიკული ტიპი, რომელიც იშვიათად გადაუხვევს სიკეთის სწორი და ვიწრო ბილიკიდან და სავსებით საწინააღმდეგო, რომელიც სრულყოფილობის ძებნაში აქეთ-იქით აწყდება, ერთი სატრფოდან მეორეზე ინაცვლებს და ავიწყდება, თუ რისთვის წამოიწყო თავისი ძიება ან საბოლოოდ რა სურს.

პირველში ასევე მგზნებარე ბუნებაა ჩაბუდებული, მაგრამ მოჭარბებული სექსუალური ძალები და ენერგია მიმართულია შემოქმედებით მოღვაწეობისაკენ და არა დონჟუანობისაკენ.

მეორე ტიპი (მამაკაციც და ქალიც) ეს არის მუსუსი, რომელიც ახალი სექსუალური გამარჯვების ჟამს სიხარულისაგან ცახცახებს და თავისი სატრფოების კატალოგს ადგენს, დონჟუანის მოსამსახურე ლეპორელოს მსგავსად. ეს არის მშვილდოსნის უარყოფითი ტიპი, რომელსაც ჩვეულებრივ ერთდროულად ორი-სამი სასიყვარულო რომანი აქვს და თითოეულ სატრფოს კვირაში სხვადასხვა დღეს უნიშნავს. ეს არის აგრეთვე ტიპი, რომელიც იმისთვის მოგზაურობს საზღვარგარეთ, რათა რომანი გააბას უცხოელთან და სიყვარულის ალში გახვიოს. თვითონ კი შინ დაბრუნებისას მშვიდად იცხოვროს. უწინდელივით ქმაყოფილდება მხიარული ნაირფერი სექსუალური ცხოვრებით.

როგორ დავაკმაყოფილოთ მშვილდოსანი

მშვილდოსნებს აღაფრთოვანებს თავგადასავლები. ამასთან მათ მოსწონთ არა იმდენად სექსუალური ურთიერთობები, რამდენადაც ახალი პარტნიორები.

დადებითი თვისებები

ამ ნიშნის ხალხი ჭეშმარიტად ერთგული მეგობრები არიან. ეს ის ადამიანია, ვისთანაც თქვენ ნამდვილად შეგიძლიათ ისაუბროთ არა მარტო ყოფით თემებზე, არამედ ფილოსოფიაზე, რელიგიაზე, მეცნიერებაზე და პოლიტიკაზეც კი.

მშვილდოსანს პროფესიის დიდი არჩევანი აქვს, მაგრამ საჭიროა მან ისეთი სამუშაო შეარჩიოს, რომელიც მოძრაობაში მოიყვანს, მაშინ იგი რაიმეს მიაღწევს.

მშვილდოსნები შესანიშნავი მშობლები არიან და კარგად ინახავენ ოჯახს.

უარყოფითი თვისებები

მშვილდოსნები შეჩვეულნი არიან ოცნებებს. უკეთესი იქნება, თუ შეეცდებიან და მეტ პრაქტიკულობას გამოიჩენენ — ზეციდან დედამიწაზე დაეშვებიან. მათ უნდა ისწავლონ და გამოარჩიონ უხეშობა გულთბილობისგან. ისინი ასევე დიდი ოპტიმისტები არიან და ყველაფერი თვითდინებაზე აქვთ მიშვებული, მშვილდოსნები ხშირად შუა გზაზე მიატოვებენ ხოლმე საქმეს იმ იმედით, რომ ყველაფერი თავისთავად მოგვარდება.

ისინი ბუნებით სტაბილურები (მტკიცენი) არიან, მაგრამ უნდა შეიგნონ, რომ ყველა როდი უჭერს მხარს მათ მუდმივ სურვილს — იხეტიალონ.

სიყვარულის ეკონომიკა

თუ ისარს სიშმაგე არ დაუოკდება, იგი მუდამ ეცდება სიყვარულის ეკონომიკა მისთვის სასარგებლოდ წარმართოს. მას ძალიან სწამს შემთხვევისა და მხოლოდ მომავლით ცოცხლობს. იგი იშვიათად ფიქრობს იმ „შორეულ შავ დღეზე“, რომელიც შეიძლება ხვალ დაუდგეს. „ყველაფერი სიყვარულისათვის“ — ლამაზი და რომანტიკული დამოკიდებულებაა ცხოვრებისადმი, მაგრამ ადრე თუ გვიან მშვილდოსანი უნდა

მიხვდეს, რომ სასიყვარულო და ფინანსური გზები მაინც გადაკვეთენ ერთმანეთს, რაც არ უნდა უსიამოვნო და არაიდეალისტური ეჩვენოს.

უკვე ხანში შესულ მშვილდოსნებს უსიამოვნო გაკვირვება მოიცავთ ხოლმე, როდესაც გამოარკვევენ, რომ არსებობს ასეთი თამაში — სიყვარულის ეკონომიკა და სძაგთ სიყვარულის მყიდველის უსიამოვნო როლში ყოფნა, რადგან ეს მათ ღირსებას ლახავს.

მაგრამ, როდესაც ისინი მიხვდებიან, თუ რა მტკიცე ურთიერთობაშია სიყვარული და ფული, ხელოვნური მანიპულატორები ხდებიან და საბოლოოდ მუდამ გამარჯვებულები გამოდიან ამ თამაშიდან.

თუკი მშვილდოსანი საზღვარგარეთ ცდილობს სიბერის გატარებას, იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მთელი ეს წლები მან სწორად და პატიოსნად იცხოვრა.

ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ

29,5 წლამდე მშვილდოსნის საუკეთესო პარტნიორები უნდა ვეძებოთ ლომისა და ვერძის ნიშნებს შორის. სამივე ცეცხლოვანი ნიშანია და 29,5 წლამდე მათი დამოკიდებულება არ არის ისეთი მტკიცე, როგორც, მაგალითად, წყლის ნიშნებს შორის. ამ ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულებაში ძირითადია დამოუკიდებლობა.

29,5 წლის შემდეგ მშვილდოსანი მომწიფდება და უკიდურესად მოუსვენარი და ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება ხდება. ამ დროს იგი კარგად ეწყობა ორ ნიშანს, რომელთაც მერკური მართავს — ქალწულსა და ტყუპებს. ამ ნიშნის ხალხი მაღალი ინტელექტით არის დაჯილდოებული და ისინი ხიბლავენ მშვილდოსანს.

41,5 წლის შემდეგ მშვილდოსანი უკვე განვითარებული პიროვნებაა, რომელმაც შეიძინა თვითკონტროლისა და თავისი თავის „ჩხრეკის“ უნარი. ამ დროს იგი ეგუება კურისა და სასწორს, რომელთაც შეუძლიათ შეეწყონ მბრძანებელ ადამიანებს.

ახალგაზრდობაში ცუდია, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, კერძოდ, ძლიერ განვითარებული ინტელექტუალური ტიპები.

ოლქმრობაში — საშუალოა, და ისიც მაშინ, თუ მათ მეუღლეებს ძალა შესწევთ აღუსრულონ სურვილები.

მშვილდოსანთან შეთანაწყობის საუკეთესო პერიოდია 35 წლის შემდეგ და განსაკუთრებით მაშინ, თუ მშვილდოსნის პარტნიორი უცხოელია.

მ შ ვ ი ლ დ ო ს ნ ე ბ ო, ჩ ვ ე ნ, ა ს ტ რ ო ლ ო გ ე ბ ი მ ო გ მ ა რ თ ა ვ თ:

რატომ არის ასეთი ხანმოკლე თქვენი ყველა სასიყვარულო რომანი? რატომ იხევთ უკან, სულ მცირე არასრულყოფილობის გამოვლენისთანავე?

რატომ არა გაქვთ მოსმენის სურვილი, ჩვენ ხომ ვიცით, რომ თქვენ დაუფლებული ხართ საუბრის ხელოვნებას?

რატომ არის, რომ როცა თქვენ იწვნევთ უარს ანდა გულგატეხილობის სიმწარეს, გაქცევით ცდილობთ თავდახსნას? შეჩერდით და გააანალიზეთ სიტუაცია.

დაბოლოს, რატომ მოგმადლათ ვარსკვლავებმა ასეთი საინტერესო და ალმასისებური ბრწყინვალება?

თხის რქა

22 დეკემბერი — 20 იანვარი
მე-10 ნიშანი ზოდიაქოსი
მე-3 მიწის ნიშანი
მე-4 ძირითადი ნიშანი
მართავს პლანეტა სატურნი
ბედნიერი რიცხვია: 8 და ყველა ის ციფრი, რომელიც 8-ზე იყოფა.
ასტროლოგიური სიმბოლოა: თხა.

ასტროლოგიური ფერებია: შავი, მუქი ყავისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი და ღია ყვითელი.
ასტროლოგიური ქვებია: ფირუზი, ღლაქვა (ლაზურიტი), ონიქსი, მთვარის ბროლი
თხის რქა მართავს ჰოროსკოპის მე-10 სახლს.

პიროვნების ზოგადი დახასიათება

თხის რქის პლანეტის — სატურნის ასტროლოგიურმა დახასიათებამ ინგლისურ სიტყვიერებას შემატა ახალი ზედსართავი სახელი „სატურნისებრი", რაც ნიშნავს მოღუშულს, ქუფრს. ჩვეულებრივ მხედველობაშია დუნე, ინერტული, მძიმე ხასიათი. ასტროლოგებს მიაჩნიათ, რომ ეს თხის რქის ნიშნის ადამიანის ყველაზე ზუსტი დახასიათებაა.

ერთი შეხედვით, თხის რქა დამყოლი და მორჩილი ჩანს, მაგრამ ნუ მოგატყუებთ მისი გარეგნობა. ისინი იშვიათად არიან კმაყოფილები იმით, რასაც სხვები წარმატებად მიიჩნევენ, თხის რქას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მოიპოვოს რაღაც ექსტრაორდინარული. ეს მათი მოვალეობაა. ანდა რატომაც არა? განა ისინი არ განაგებენ ჰოროსკოპის მე-10 სახლს, წარმატების სახლს? განა ეს ძირითადი ნიშანი არ არის, მას რომ უნიკალური ძალით აჯილდოებს? და განა იგი დედამიწის ნიშანი არ არის — ზეპრაქტიკული პიროვნება, შეუვალი დისციპლინისა და მიწიერი შეხედულებისა სამყაროზე? ყოველივე ერთად აღებული, მას დიდ უპირატესობას ანიჭებს მეტოქეებთან შედარებით.

დიახ, ისინი ამ თვისებებით არიან დაჯილდოებულები. მაგ-

რამ, თურმე, თხის რქები როდი განიცდიან ტკბობას ამის გამო, როგორც მათ ადგილზე მყოფი სხვა ადამიანები? — რატომ? იქნებ იმიტომაც, რომ თხის რქები ჩვეულებრივ იზოლაციისაკენ ილტვიან, უბრალოდ მორცხვი ბავშვები არიან და მუდამ განმარტოებით თამაშობენ. ესენი გახლავთ წარჩინებული მოსწავლეები. ჭაბუკობაში თხის რქები დამჯერნი და შრომისმოყვარენი არიან, მაგრამ დუნენი და მოთმინებით ელოდებიან ისეთ მესაძლებლობას, როცა უფროსის ადგილს დაიკავებენ. ისინი ჭეშმარიტ რეალისტებად გვევლინებიან.

თხის რქებმა კარგად იციან, რომ ყველა როდია მათსავით მოღუშული. ამიტომაც ცდილობენ ალღო აუღონ თანაზიარობას, მხიარულებას და ადამიანთა აღფრთოვანებას. თხის რქები იმისთვის ზრუნავენ, რომ გვერდით ჰყავდეთ ადამიანი ანდა მახვილგონივრული ჭკუის კომპანია, უზრუნველი ხალხი, რათა გაიხალისონ თავიანთი კონსერვატული გუნებ-განწყობილება. თხის რქებმა უნდა გადალახონ მიდრეკილება სულის დათრგუნვისა და შეიგნონ, რომ ამქვეყნად არაფერია მუდმივი, ყოველივე იცვლება და ხანდახან უკეთესობისკენაც. სულ ერთია, ვარსკვლავები დაიყვანენ თხის რქებს მათივე პატივმოყვარე მიზნებამდე, ვინაიდან ეს მათი მე-10 სახლის დანიშნულებაა. ამ დროს ისინი გულხელდაკრეფილები კი არ უნდა ისხდნენ და ელოდნენ, არამედ უნდა გამხნევდნენ, ყველაფერს იოლად შეხედონ და ბოლომდე იბრძოლონ.

ფსიქოსექსუალური დახასიათება

სატურნის ზეგავლენით თხის რქა სექსუალურ ამბებში, ჩვეულებრივ, მორცხვი და თავშეკავებულია. სატურნი — ნელი პლანეტაა და ზოდიაქოს პირველ ციკლს 29,5 წელიწადში ასრულებს, თხის რქაც მას ჰგავს. თხის რქის სექსუალური ასპექტი შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს.

პირველი პერიოდი — ყრმობის წლები. ამ დროს თხის რქა ძალზე თავშეკავებულია სექსუალურად და ცდილობს მეტად იფიქროს სწავლაზე. ვინაიდან მის პიროვნებაში დიდი ენერგიაა დაგროვილი (მართავენ წარმატებების სახლს), ხშირად თრგუ-

ნავს სექსუალურ სურვილებს და მანამ, სანამ არ დაასრულებს სწავლას, ფეხზე არ დადგება.

ეს პერიოდი თხის რქისათვის ხშირად ანგარიშიანი ქორწინებით მთავრდება, მოსამსახურეებისათვის კი საქმიანი მიზნების მიღწევით.

სექსუალური ცხოვრების მეორე პერიოდში თხის რქები (დაახლოებით 30 წლიდან) ჩვეულებრივ საქმიანობაში რაიმე წარმატებებს აღწევენ და, უკვე უფრო მეტად თვითდაჯერებულები, იწყებენ ექსპერიმენტებს სექსში; უამრავი ძვირფასი დროის დაკარგვის შემდეგ ისინი ცდილობენ დაეწიონ თავიანთ ასტროლოგიურ და-ძმებს და ნაღდ თავაშვებულობაში გადადიან. მამაკაც-თხის რქას იშვიათად აქვს ვერძის დახვეწილი მანერები და ტყუპების სექსუალური დინამიზმი. მაგრამ ისინი ფინანსურ სამყაროში თავს მშვიდად გრძნობენ, იციან ყველაფრის ფასი და ისიც, თუ რითი უნდა გადაიხადონ. სასიყვარულო კავშირებსაც მხოლოდ ფიცისა და ძალის პოზიციით იყენებენ. თხის რქას არ ძალუძს ლამაზი სიყვარულის გასამაშება, არ შეუძლია ფარისეველობა, თუმცა საკმარისი ჭკუა აქვს, რათა გარეგნულად მაინც გაალამაზოს თავისი ინტერესი, მაგალითად, სატრფოს უძღვნას თაიგული, კონფეტები, თეატრის ბილეთები. ქალისადმი ტრფობაში იგი თავის სტატუსსა და ღირსებებს იყენებს და ჰგონია, რომ ამით დაიმსახურებს სიყვარულის მადლობას. იგი ქალის დაპყრობისათვის ისე იბრძვის, როგორც სამსახურში წარმატების მისაღწევად. თუ თხის რქა ჯერ კიდევ ლამაზია, ქალს აცდუნებს ეს გარეგნობა და იმედი ექნება, რომ იპოვა თავისი იდეალი. მაგრამ, მოდით, გულახდილნი ვიყოთ: თხის რქა მგზნებარე სატრფო არ გახლავთ. იგი საკმაოდ ავხორცია, მაგრამ ცივი და თავშეკავებული, ამასთან აქვს უნარი, რომ სიყვარულისთვის რომანტიკული ვითარება შექმნას.

თხის რქა-ქალი კი არც დაფიქრდება, ისე გაეყრება ქმარს, თუკი უფრო იღბლიანი (ახალი პარტნიორის კარიერისა და მისი ფინანსური მდგომარეობის თვალსაზრისით) ქორწინებაა მოსალოდნელი. მას ძალა შესწევს დაარწმუნოს სატრფო, რომ იგი „საბედისწერო ქალია", მისი პასიურობა სხვა არაფერია, თუ არა გულგრილობა ნაზი და მგზნებარე სიყვარულისადმი.

მესამე პერიოდში თხის რქა თავის თავს წარმოგვიდგენს 40 წლის შემდეგ. იგი, ჩვეულებრივ, დიდი ხნის სასურველ ძეთილდღეობას აღწევს და ცდილობს დაანგრიოს მდორე და თავშეკავებული სექსუალური ცხოვრების ფასადი.

თუ ზემოთ ნათქვამს დავაჯამებთ, შეიძლება ასეთი დასკვნა გაკეთდეს; ძალიან ცოტა თხის რქა თუ აღწევს ჰარმონიას თავისი პიროვნების რომანტიკულსა და სექსუალურ ასპექტებს შორის. ეს ორი სფერო ერთმანეთთან განუწყვეტელ ჭიდილშია.

როგორ დავაკმაყოფილოთ თხის რქა

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შევიგნოთ, რომ რომანტიკული ასპექტი თხის რქასთან დამოკიდებულებაში იშვიათად თუ გრძელდება სამ თვეზე მეტად (საკმარისად დიდი დროა ურთიერთობათა განსამტკიცებლად). შემდგომში სექსუალური ასპექტი, ჩვეულებრივ, აუცილებლობამდე დაიყვანება.

სინამდვილეში კი, თხის რქებს უყვართ ცხრილის შედგენა ამ სფეროში და მათმა პარტნიორებმაც, საქმიანი შეხვედრების მსგავსად, უნდა მიიღონ იგი. მაგრამ თავდაპირველად თხის რქას უნდა ჩამოვაშოროთ გარეგნული თავშეკავებულობა. თუ ამას მოვახერხებთ, უმჯობესი იქნება დამატებით მივცეთ ალკოჰოლური სასმელები ანდა სხვა მასტიმულირებელი საშუალებები, რაც განსაკუთრებით გამოსადეგია ახალგაზრდა თხის რქათა „მერყეევი შემადგენლობისათვის". თხის რქამ კი როგორმე უნდა ჩამოიშოროს სატურნის ცივი ხვევნა-კოცნა და დაამტკიცოს, რომ მათ ძარღვებში მაინც წითელი სისხლი ჩქეფს. ასევე უნდა შეიგნოს, რომ ფული ყოველთვის ვერ შეცვლის სიყვარულს.

დადებითი თვისებები

თხის რქები ორგანიზებული, ერთგული ხალხია და სამეგობროდ ვარგისი. ისინი თავიანთი ბედ-იღბლის განმგებლები გახდავთ და გამოირჩევიან შორსმჭვრეტელობით, ამასთან ზოდი-

აქოს ყველა ნიშანს შორის გამორჩეული მოთმინებით არიან დაჯილდოებულები.

სიტყვა „კარიერა“ სინონიმურია თხის რქის ნიშნისა. მამაკაცი — თხის რქები ყველაზე უკეთ უზრუნველყოფენ ოჯახს. ქალები კი შესანიშნავი დედები დგებიან და ასევე კარგი დიასახლისები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ცოტა არ იყოს, მკაცრნი არიან შვილების მიმართ და არ გამოირჩევიან განსაკუთრებული უნარით — მხიარული გუნებ-განწყობა შეიტანონ ოჯახში.

ზემოთ მიმავალი თხა, თხის რქის სიმბოლოა, რომელიც ჩვეულებრივ მუდამ აღწევს წარმატების მწვერვალს. მისმა ვარსკვლავმა დააჯილდოვა იგი იმ ნიჭით, რათა გადალახოს ყოველგვარი წინააღმდეგობა, რომელიც მას გზას უღობავს. დაჟინებულობა, შეუპოვრობა, შორსმჭვრეტის უნარი — აი, ის თვისებები, რომლითაც დაჯილდოებულია თხის რქათა უმეტესობა.

უარყოფითი თვისებები

თხის რქის ყველაზე დიდი უარყოფითი თვისებაა ტენდენცია მელანქოლიისა და მოწყენილობისაკენ. იგი შიშით შეპყრობილი უყურებს თავის მომავალს. ამიტომ თხის რქებმა უნდა გამოიმუშაონ „იუპიტერისებრი“ (ოპტიმისტური) შეხედულება ცხოვრებაზე და რწმენა იმისა, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება, ვიდრე დღევანდელი; მაშინ ყველაფერი კარგად აეწყობა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, აგრეთვე, თხის რქის ეგოიზმიც, რომელსაც შეუძლია ტანჯვა-წამების მოტანა. მათ ბრძოლას მიზნების მისაღწევად დაუდგება განხეთქილებისა და დეპრესიის პერიოდებიც. მაგრამ, თუკი მათ ეჩვენებათ, რომ ყველაფერი რიგზეა და ცვლილებები არ ხდება, მხნეობა მართებთ, სატურნი დაეხმარება. მაგრამ ეს პლანეტა ისე ნელა მოძრაობს, რომ თხის რქამ ფეხი უნდა აუწყოს მის რიტმს და შეეჩვიოს კიდეც. იგი ასევე უნდა მიხვდეს, რომ ფულის დანიშნულებაა

ხარჯვა და ყველაზე დიდი შიში თხის რქისა მომავლის წინაშე — გაუმართლებელია. მან თავი უნდა ანებოს ეჭვიანობას, რადგან, ეს მისი საკადრისი არ არის.

სიყვარულის ეკონომიკა

თხის რქებმა, ჩვეულებრივ, ყველაფრის ფასი იციან და ხშირად ისინი ნივთებს, მათ რიცხვში სექსსაც, წინასწარ ყიდულობენ. თხის რქებს, ალბათ, ძლიერ აქვთ განვითარებული მემკვიდრეობითი გრძნობა არასრულყოფილობისა და ამის საკომპენსაციოდ შოულობენ დიდძალ ფულს, რათა მოიპოვონ ძალაუფლება სიყვარულზე.

თხის რქების უმრავლესობა ღრმა სიბერემდე აღწევს და ბოლო წლებში კარგი პოსტებიც უჭირავთ. ისინი ამ ძალაუფლებას არავის უყოფენ, დაუნდობელნი არიან, მაგრამ ამას ხშირად ფარულად აკეთებენ, რადგან არ უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა. მაგრამ მათ სურთ და მოქმედებენ კიდეც თავისებურად. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სურვილი ჰკლავთ აინაზღაურონ ყრმობის წლებში დაკარგული იმ ფასად, რაც მათ თავიანთი წარმატებისთვის გაიღეს.

შესაფერისი პარტნიორები

29,5 წლამდე ყველაზე შესაფერისი პარტნიორები თხის რქისთვის კუროსა და ქალწულის ნიშნებშია. სამივე დედამიწის ნიშანია. ცოტაოდენი პასიურობის მიუხედავად, მათ შორის ურთიერთობა ადვილად მყარდება, რომელსაც სტაბილობა არ აკლია.

29,5 წლის შემდეგ თხის რქები თავშეკავების უნარს კარგავენ და ნაკლებად მკაცრნი გვევლინებიან. ამ დროს კარგად ერწყმიან მერწყულისა და ღრიანკალის ნიშნებს. მერწყული ასწავლის მას სიკეთეს და კეთილშობილებას, ცხოვრებისადმი ჰუმანურ დამოკიდებულებას. მაგრამ ღრიანკალი უკეთესი არ-

ჩევანია, ვინაიდან იგი უფრო ჭკვიანი, ცბიერი და საქმიანია. თხის რქებიც აღფრთოვანებულები იქნებიან.

41,5 წლის შემდეგ თხის რქები, ჩვეულებრივ, აღწევენ თავიანთ მიზნებს და გონიერების მწვერვალებსაც იპყრობენ. მაშინ ისინი კარგად ერწყმიან თევზებსა და ყველა იმ ნიშანს, რომლებიც თავგანწირვისკენ ისწრაფვიან, რაც თხის რქას სულიერ სიმხნევეს მატებს.

ერთგულების შეფასება

ახალგაზრდობის წლებში (20 წლამდე) ისინი თავმდაბლები არიან და ოჯახზე ზრუნავენ.

ცოლქმრობაში ძალიან კარგია 35 წლამდე. პლანეტა სატურნი, რომელიც მართავს თხის რქას, აიძულებს მას ერთგულების ვიწრო ბილიკებით იაროს, თუმცა, იგი ცოტაოდენ თავშეკავებას იჩენს.

ო ხ ი ს რ ქ ე ბ ო, ჩ ვ ე ნ, ა ს ტ რ ო ლ ო გ ე ბ ი, გ ე კ ი თ ხ ე ბ ი თ:

როდის უნდა მოეგოთ გონს, და მიხვდეთ, რომ ცხოვრებაში წარმატების ერთადერთი საწინდარია ადამიანის ჭკუა და არა უხვად ნაშოვნი ფული საბანკო ანგარიშზე?

რატომ ხართ ბიზნესის სამყაროს მეთაურები, ნუთუ არ გესმით, რომ თქვენი დაუნდობელი ვაჭრული სული თითქმის კლავს თქვენში ყოველივე ჰუმანურს?

დაბოლოს, ჩვენ ვიცით, რომ თქვენ სიმშვიდეს მოკლებულნი ხართ და გაშინებთ ყოველივე, მიუხედავად იმისა, რომ ინარჩუნებთ გარეგნულ სიცივესა და თავშეკავებას. მაშ რატომღა განდოთ ვარსკვლავებმა წარმატებათა სახლის მართვა, როცა წარმატება არასოდეს განიჭებთ სრულ კმაყოფილებას?

მერწყული

21 იანვარი — 18 თებერვალი
მე-11 ნიშანი ზოდიაქოსი
მე-4 მუდმივი ნიშანი
მე-3 ჰაერის ნიშანი
მართავს პლანეტა ურანი
ბედნიერი რიცხვია: 4 და ყველა ის რიცხვი, რომელიც 4-ზე იყოფა.
ასტროლოგიური სიმბოლოა მერწყული.

ასტროლოგიური ფერებია: ლურჯ-მწვანე, ულტრამარინი, იისფერი.
ასტროლოგიური ქვებია: ძოწი, ამეთვისტო, ლილაქვა.
მერწყული მართავს ჰოროსკოპის მე-11 სახლს.

პიროვნების ზოგადი დახასიათება

მერწყულს მართავს პლანეტა ურანი. ასტროლოგების აზრით, მზის სისტემის პლანეტებიდან ყველაზე ექსცენტრიული მოქმედება მას აქვს. მაგალითად, მისი ღერძი გადახრილია ორბიტის სიბრტყიდან 98°-იანი არაბუნებრივი კუთხით, იგი თითქოს გვერდზე წევს. როდესაც მზე იმყოფება ურანის სამხრეთით პოლუსის პირდაპირ, პლანეტის მთელი ჩრდილოეთი ნახევარი აბსოლუტურ სიბნელეშია დაახლოებით 20 წლის განმავლობაში.

ურანის ის თავისებურებები, რომლებიც მას სხვა პლანეტებისგან განასხვავებს, ესადაგება აგრეთვე მერწყულის ნიშნის მქონე მრავალი ადამიანის თავისებურებების აღწერას. ეს ხალხი, დაწყებული უბრალო ადამიანებით და დასრულებული გენიოსებით, ამ დიაპაზონით განისაზღვრება.

მერწყული—გულუხვობის ნიშანია. იგი იმ ადამიანს ასახიერებს, რომელიც წყალს ღვრის. ამ ნიშნის ადამიანები ცდილობენ გააკეთილშობილონ კაცობრიობა. ისინი არაფერს იშურებენ და, ჩვეულებრივ, მის ნაყოფსაც იმკიან: დიდებას, სიმ-

დიდრეს და კუთვნილების ღრმა გრძნობას, რომელიც, სამაგიეროდ, ჯილდოვდება.

მერწყული იმ ძალას ფლობს, რომელიც, როგორც ასტროლოგები ამბობენ, პრაქტიკულად აუცილებელია. ჯერ ერთი, იგი ჰაერის ნიშანია და ძლიერი გონებით არის დაჯილდოებული, მეორეც, იგი მუდმივი ნიშანია: ეს ადამიანები შეუპოვრები და დაჟინებულები არიან და მესამე: მმართველი პლანეტის გამო მისი ცხოვრება თავისუფალია წვრილმანი, მიწიერი საქმეებისაგან, რაც ხელს უშლის სხვებს, მიაღწიონ თავის მიზნებს. ამიტომ, სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ სხვადასხვა დარგის ცნობილი ადამიანები სწორედ ამ ნიშნის ქვეშ არიან დაბადებულნი. განმასხვავებელი ნიშნები ურანის თვისებებისაგან — ორიგინალობა და თვითდამკვიდრებაა. შეუძლებელია მერწყული აიძულო, რომ არ ილაპარაკოს და არ გააკეთოს რაიმე ისე, როგორც მას სურს. სრულიადაც არ დაგიდევთ, თუ რა შედეგი მოყვება ამას. სინამდვილეში მერწყული სინონიმია „თვითდამკვიდრებისა“.

მერწყული გაწონასწორებულია და ადვილად არ განაწყენდება, სანამ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ არ გადაწყვეტს, რომ მას უსამართლოდ მოექცნენ. მართალია, მათ განსჯის უნარი აქვთ, მაგრამ დარწმუნებულები არ არიან თავიანთ თავში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კარგად ეგუებიან ცხოვრების სხვადასხვა პირობებს. შიში იმისა, რომ დაკარგავენ კეთილდღეობას, არა აქვთ.

მერწყულში შეიმჩნევა განდგომილების გრძნობა, რის გამოც იგი ხშირად მიუკარებელ ადამიანად გეჩვენებათ, მაგრამ ეს მოჩვენებითი გულგრილობაა, რადგან მერწყული თავის „წყალს“ მთელ კაცობრიობას სთავაზობს.

ფსიქოსექსუალური დახასიათება

მერწყულს აღაგზნებს ყოველივე ახალი, ამიტომაც ეძებს იგი ახალ-ახალ საინტერესო ადამიანებს. მას სტიმულს აძლევს სექსუალური პარტნიორების მრავალრიცხოვნობა, მაგრამ ეს სექსუალური ანომალიის ნიშანი კი არ არის, არამედ „მერწყულის“ ცხოვრებაა ასეთი. მერწყულის ნიშანში ჩადებულია

შინაგანი კონფლიქტი. რაკი იგი მუდმივი წიშანია, მას სურს გაიმაგროს სტატუს-ქვო და მეორე მხრივ ცვლილებების წყურვილი კლავს. ამიტომაც ისინი პირადი ურთიერთობისას ხშირად ებმებიან კონფლიქტებში, მერწყული ყოყმანობს და დიდხანს არ ქორწინდება. მაგრამ, თუ მაინც შეარჩევს მეუღლეს, ეს ერთადერთი იქნება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ზოდიაქოს ნიშნებიდან მერწყული ყველაზე ადრე ცდილობს თავის განთავისუფლებას საზოგადოებრივი თუ მშობლების დარიგებისაგან.

მერწყული იმათ რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც ურთიერთკავშირის დროს უწესობას ავლენენ. ქალი-მერწყული იშვიათად იცავს ტრადიციას, რომელიც განსხვავებას ამყარებს ორ სქესს შორის და ადვილად იქცევა სატრფო-ამხანაგად. კარგად არის გარკვეული ბიზნესისა და პოლიტიკის სფეროებში. ასეთი ქალი ხშირად ტრიალებს იმ მამაკაცთა წრეში, რომლებიც მას მეგობრად მიიჩნევენ. მერწყული ქალი თავის მხრივ ძალზე პირდაპირია და თავისუფალია სექსის მიმართ. ერთადერთი საშიშროება, რომელიც მას ემუქრება, ის არის, რომ „სექსუალურ ობიექტს" ისე ეპყრობიან, როგორც მოსახერხებელ პარტნიორს და არა მგრძნობიარე ქალს. სინამდვილეში ეს მართლაც ასეა.

მერწყული-ქალი უფრო მეტ სიბრძნეს გამოიჩენს, თუ არ მოინდომებს და ინტელექტუალურად და ნაკითხად არ მოაჩვენებს თავს საწინააღმდეგო სქესს. მანამ, სანამ არ მოხიბლავს თავის მამაკაცს და არ დაუმტკიცებს, რომ იგი ქალია.

მამაკაც-მერწყულს, ჩვეულებრივ, სექსი ბიოლოგიურ აუცილებლობამდე დაყავს და ამიტომ ნებისმიერ ხელმისაწვდომ პარტნიორს ირჩევს.

როგორ დავაკმაყოფილოთ მერწყული

ღმერთმა დაგიფაროთ და არ შეგნიშნოთ მერწყულმა თქვენი უპატივცემულო დამოკიდებულება მისი გონიერებისა და ინდივიდუალობისადმი, ნუ აფიქრებინებთ მას, რომ იგი მხოლოდ გასართობია თქვენი კმაყოფილებისა, რადგან ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეეგუება ამას. ნუ შესთავაზებთ მერწყულს,

რომ თუნდაც ერთი ღამე გაატაროთ მასთან, სულ ერთია, მაინც უარით გამოგისტუმრებთ. მერწყულმა უნდა შეიცნოს თავისი პარტნიორი. დაიმახსოვრეთ, იგი მეგობრობის მე-11 სახლს მართავს და სჯერა, რომ სქესობრივი აქტის შედეგად შეიძენს ახალ მეგობარს.

ურანის შვილები, ჩვეულებრივ, მომხიბვლელები არიან გარეგნულად, მაგრამ რაც შეხება პირად ჰიგიენას, ნაკლებად ზრუნავენ მასზე.

როდესაც ბოლოს და ბოლოს მერწყული ცოლს შეირთავს, იგი ძალიან პირდაპირია სექსუალური სურვილების გათქმაში. თუმცა, მერწყული უკმაყოფილოც რომ აღმოჩნდეს ამ მხრივ, იშვიათად თუ გაეყრება მეუღლეს, რადგან ცოლს ირთავს ანგარიშით და არა სიყვარულის გამო. იგი დაუფარავად სხვა ქალებს დაუწყებს ძებნას სურვილის აღსასრულებლად.

მერწყული ძნელად თუ ეგუება ჩვეულებრივ ჩარჩოებს და ყველაზე უწინ აღსდგება სხვა ნიშნებთან შედარებით. ხანგრძლივი სექსუალური ურთიერთობები მასთან შეუძლებელია, ვინაიდან საკმარისია რამდენიმე თვე იწტიმური ურთიერთობისათვის, რათა მერწყულის სატრფო მისი საუკეთესო მეგობარი გახდეს, ხოლო შემდგომ ძალზე საყვარელი ადამიანიც. მერწყული იშვიათად ტოვებს თავის მეგობარს მარტოდმარტოს შიწ მაშინაც კი, როდესაც ახალი საყვარლის საძებნად მიეშურება. მერწყული ჰუმანურობის მქადაგებელია ყველაფერში.

დადებითი თვისებები

მერწყული კეთილი და დამყოლი ნების ნიშანია, მუდამ მზადაა დაეხმაროს ადამიანს და განსაკუთრებით კმაყოფილია მაშინ, როცა მას რჩევისათვის მიმართავენ. ისიწი მართლაც რომ შესანიშნავი მრჩევლები გახლავთ. მერწყული მორიდებულია და იშვიათად ცდილობს უპირატესობის მოპოვებას ამხანაგებზე.

მერწყული არაჩვეულებრივი ინტელექტით არის დაჯილდოებული და ადვილად ეუფლება ცოდნასა და გამოცდილებას.

მაგრამ, მიუხედავად ამ ნიჭისა, იშვიათად თუ განიზრახავს ამ უპირატესობის გამოელინებას.

სიყვარულში ძლიერ ერთგულნი (სულიერად თუ ფიზიკურად), მაინც თავშეკავებულნი არიან და არ უყვართ თავიანთი ემოციების გამჟღავნება.

უარყოფითი თვისებები

მერწყულის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მტერია საკუთარი ტენდენცია, თავისი ნიჭი ფლანგოს საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობის დასაკავებლად. იგი ბევრს ლაპარაკობს მომავალზე, მაგრამ რეალურად იშვიათად ხორციელდება მისი იდეები. სურვილი აქვს აკეთოს ის, რაც მოესურვება და არ ფიქრობს არც შედეგებზე, არც სხვა ადამიანთა მოსაზრებაზე, ამიტომაც ასამართლებს ხალხი მას გარეგნობის მიხედვით და ვერ წვდება მერწყულის გულწრფელობას თუ სხვა სიკეთეებს. შეიძლება იგი ზერელე კაცად დარჩეს.

სინამდვილეში მერწყულს ტენდენცია აქვს თვითნგრევისა. არსებითად ხომ ინტელექტის ბედისწერა — მარტოობაა.

სიყვარულის ეკონომიკა

ვაი, რომ მერწყული ყველაზე მეტად წაგებული გამოდის სიყვარულის ეკონომიკის თამაშიდან. სინამდვილეში, საშუალო მერწყული თავს არიდებს ყოველგვარ საქმეს, რაც კი ეკონომიკას ეხება. მერწყულები ძალზე დაკავებულები არიან არსებობის ადამიანური ფასეულობებით, სულისა და გონების სიმშვიდით, და ვერ შეუნიშნავთ, თუ როგორ უხრის მუხლს ადამიანთა უმრავლესობა ოქროს ხბოს (კუროს).

მიამიტი მერწყული თავის კეთილშობილებას ნებას რთავს მივიდეს ისეთ უკიდურესობამდე, რომ არსებობის საშუალებაც აღარ დარჩეს.

მაგრამ, საბედნიეროდ, ამ ნიშნის ყველა წევრი როდი გახლავთ ასეთი უზრუნველი ფილანტროპი.

იშვიათად თუ მოიძებნება ამ ნიშნის მქონე კაცი, რომ არ

ლაეხმაროს იმას, ვინც გაჭირვებულია და ამიტომაც მიაჩნიათ მერწყულები უეშმაკო ადამიანებად. მათ მუდამ ახასიათებთ სულისა და გონების სიმდიდრე.

შესაფერისი პარტნიორები

29,5 წლამდე მერწყულისათვის ყველაზე შესაფერისი პარტნიორი უნდა ვეძებოთ ტყუპებისა და სასწორის ნიშნებში. სამივე ჰაერის ნიშანია, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება არამტკიცე და ცვალებადია. მერწყულები გვთავაზობენ ინტელექტუალურ კავშირსა და მხიარულ ამხანაგობას, სასწორი კი წონასწორობასა და ჰარმონიას.

29,5 წლის შემდეგ მერწყული უფრო მეტად არის დაინტერესებული პრაქტიკულობით და მიწიერი ამბებით, რის გამოც ხშირად კარგად ეგუება ქალწულისა და ვერძის ნიშნებს. ქალწულის მახვილი გონება და მისი უნარი, დაუღლელად შრომობდეს, შეიძლება დაეხმაროს მერწყულს, რათა პრაქტიკულობა შეიძინოს. ვერძი სთავაზობს მერწყულს უკიდურეს ამბიციებს, რაც ამ უკანასკნელისათვის კარგი მაგალითია საკუთარი „მეს“ დასამკვიდრებლად.

41,5 წლის შემდეგ მერწყული ცხოვრებასა და მუშაობაში დადებით მიმართულებას იძენს და მზადაა მაღალი წრის საზოგადოებაში იტრიალოს. აი სწორედ ამ დროს არის იგი ძალზე შეთანაწყობილი თავის საპირისპირო ნიშან ლომთან, რომელიც უკვე მერწყულის არჩეული გზით მიდის.

ერთგულების შეფასება

მერწყულები ჩვეულებრივ ძლიერ ერთგულობენ ადამიანთა ყოველგვარ ურთიერთობებს. იგი მუდმივი ნიშანია და ეს ხალხი თავს კარგად გრძნობს, როცა ირგვლივ ნაცნობ სახეებსა და ასევე ნაცნობ ადგილმდებარეობას დალანდავს.

ახალგაზრდობის წლებში ერთგული და დამყოლი მეგობარია და ამ მეგობრობას ღრმა მოხუცებულობამდე ერთგულად ემსახურება.

ცოლქმრობაში? შეიძლება მუდამ რომანტიკულად არ წარიმართოს საქმე, მაგრამ ერთნაირად თანამიმდევრული, მშვიდი და ოდნავ თავშეკავებულია.

მერწყულო ჩვენ, ასტროლოგები, გეკითხებით:

რატომ არის, რომ, როცა სისტემის წინააღმდეგ ილაშქრებთ ხოლმე, ასეთ არაორგანიზებულობას იჩენთ და არავითარი სტრატეგია არ გაგაჩნიათ? რა გიშლით ხელს, რომ შეიმოსოთ მეტრის პირობითი სამოსით და შეაღწიოთ მის ზურგში, რათა თქვენი ჭკუით უფრო სწრაფად განახორციელოთ რეფორმები, ვიდრე ასე თავგზააბნეულმა ირბინოთ მის ირგვლივ?

ახლა თქვენ პირველი და ცენტრალური ნიშანი ხართ და ყოველგვარი ყურადღება თქვენკენაა მოპყრობილი. არასოდეს ყოფილა კაცობრიობა ასე ძალუმად დამოკიდებული თქვენზე, როგორც ახლა. თქვენი საუკუნის დაფიონიც ამობრწყინდება და ეს იქნება მერწყულის საუკუნე! მაშ, ნუ დაუკარგავთ იმედს კაცობრიობას!

თევზები



19 თებერვალი — 20 მარტი
ზოდიაქოს მე-12 ნიშანი
მე-3 წყლის ნიშანი
მე-4 ცვალებადი ნიშანი
მართავს პლანეტა ნეპტუნი
ბედნიერი რიცხვი: 7 და ყველა რიცხვი, რომელიც 7-ზე იყოფა.
ასტროლოგიური სიმბოლოა: ორი თევზი, რომლებიც ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით ცურავენ.
ასტროლოგიური ფერებია: ზღვის ტალღისფერი, ღია იისფერი, ფოლადისებრი ლურჯი და მოწითალო-იისფერი.

ასტროლოგიური ქვებია: საფირონი, მარგალიტი და ამეთვისთევზები მართავენ ჰოროსკოპის მე-12 სახლს.

პიროვნების ზოგადი დახასიათება

უდიდესი ასტროლოგი ევანტელინა ადამსი ეუბნებოდა თევზების ნიშნის ადამიანებს: ორი თევზიდან ერთ-ერთი მდინარის დინებას მიყვება, მეორე — საწინააღმდეგოს. სწორედ ეს გახლავთ თევზების ნიშნის — ამ რთული პიროვნების ტიპი. მის ადამსი კარგად იცნობდა თავის „პაციენტებს", კერძოდ, თევზებს.

ბევრი ასტროლოგი დაგვეთანხმება, რომ თევზები ყველაზე ექსცენტრული პიროვნებებია ზოდიაქოს ნიშნებს შორის. მათ მართავს ნეპტუნი. რევოლუციური, მისტიკური, რომანტიკული, ზოგჯერ შეშლილიც, მაგრამ მუდამ განზე მდგომი, ქვეშევრდომებს ანერვიულებს და აფორიაქებს, უფრო ხშირად კი განაწყობს (ხანდახან ქვეშეცნეულად) სიცრუისა და თვალთმაქცობისკენ. მას შეუძლია აღაფრთოვანოს კიდეც და დეზორგანიზებაც შეიტანოს. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აღიქვამენ განსხვავებული ადამიანები მის ძლიერ ზემოქმედებას და რა ფაქტორები ახდენენ ზეგავლენას მათ პირად ჰოროსკოპებზე.

თევზები, ჩვეულებრივ, გატაცებულნი არიან საიდუმლო რელიგიით, სიზმრის ახსნით, სპირიტიზმით და ტელეპატიით. როდესაც მათზე ნეპტუნი უარყოფით ზეგავლენას ახდენს, ისინი ცდილობენ იცხოვრონ თვალთმაქცობის და ილუზიის იზოლირებულ სამყაროში და ფაქტების ინტერპრეტაცია მოახდინონ ფანტასტიკური და საოცნებო მანერით. ნეპტუნის დადებითად მოქმედებისას კი ფსიქიკაში უმაღლეს წვდომას იძენენ და იყენებენ კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ამ ნიშნის ადამიანები უფრო თანამგრძნობნი არიან.

თევზები ზოდიაქოს უკანასკნელი ნიშანია და ამ ნიშნის ადამიანებიც თავის თავს ბოლო ადგილზე აყენებენ. ისინი უანგაროდ ანიჭებენ სიამოვნებას გარეშეებს. თევზები მე-3 წყლის ნიშანია და ამ ნიშნის ხალხი გადამეტებით ემოციური და თავისებურად მგზნებარე გახლავთ. მათი დიდი ემოციები და

გზნებები თუ დადებითად არის მიმართული, შემოქმედების ძლიერი იარაღია, მაგრამ თუ მოისუსტებს, მაშინ ამ თვისებებმა შეიძლება ისინი თვითგანადგურებამდეც მიიყვანოს. ყველაზე ადრეულ ასაკში თევზებმა უნდა აირიდონ ურთიერთობები ძალზე ემოციურ ადამიანებთან, რადგან ისინი, ასე თუ ისე, ხელს უწყობენ მათ მერყეობას.

თევზები მართავენ საიდუმლოებებს და ილუზიებს, მათ უყვართ ცხოვრება საკუთარი ოცნებებით. ილტვიან ნარკოტიკებისაკენ.

თევზებმა უნდა იბრძოლონ და დაიცვან თავი მკაცრი კრიტიკისაგან, მათგან, ვინც ვერ უღებს ალღოს თევზების მისტიკურ სამყაროს, რადგან ეს მათ სულიერ ტკივილად დიდხანს გაჰყვებათ ხოლმე. თევზები ისე მოქმედებენ, რომ იშვიათად არკვევენ სიტუაციას. მათ პიროვნებაში სიმართლე მრავლადაა, მაგრამ ისინი მოგებულნი იქნებიან, თუ ცოტაოდენ რეალიზმს გაითვალისწინებენ და მკაცრ დისციპლინას დაიცავენ, პრაქტიკულობას გამოიჩენენ.

თევზებს მოსწონთ მოწამებრივი როლის თამაში და ისინი უნდა უფრთხოდნენ საკუთარი თავის შეცოდების ტენდენციას, ასევე დამამცირებელ თვითპატივისცემას. თევზები თავმდაბლები და მორიდებულნი გახლავთ, თუმცა ნერვიულებიც, ენერგიით სავსენი და ყოველივე ეს ერთად აღებული მათ ისეთ სახეს აძლევს, თითქოს მუდამ არამტკიცენი და გაოგნებულნი არიან. მათ შეუძლიათ ძალიან ბევრი იღელვონ და ძლიერ იდარდონ კიდეც არაფრის გამო.

ამ ნიშნის ადამიანები აგრეთვე დაბნეულები და უყურადღებონი გახლავთ, ისინი ხშირად კარგავენ საკუთარ ნივთებს ანდა ავიწყდებათ, სად შეინახეს ისინი. საოცრად მგრძნობიარენ არ ყოფნით ლოგიკა და თანამიმდევრობა.

თევზები დიდად არიან დამოკიდებულები იმ ადამიანებზე, რომლებთანაც ახლო ურთიერთობები აქვთ და, ძალიან მიმნდობი ბუნების გამო, შეიძლება ადვილად მოტყუვდნენ. მაგრამ, თუ მიხვდნენ, რომ მოატყუეს, საოცრად ეჭვიანები და გულჩათხრობილები ხდებიან. მათი ინტელექტი მერყეობს: ხან გამობრწყინდება და მახვილგონივრულია, ხან კი, პირიქით — მოდუნებული და მელანქოლიური ჩანს.

თევზებმა არ უნდა ინაღვლონ ამ ნაკლის გამო, ვინაიდან შეიძლება თავიდან აიცილონ ისინი და გამარჯვებასაც მიაღწიონ. მათ შორის ბევრია ისეთი ცნობილი ადამიანი, რომლებიც იშვიათი ნიჭიერებით გამოირჩევიან. ამ ნიშნით იყვნენ შობილნი ჯორჯ ვაშინგტონი, მიქელანჯელო, გროვერ კლივლენდი, ვიქტორ ჰიუგო, ალბერტ აინშტაინი, ენრიკო კარუზო და ფრედერიკ შოპენი.

თევზები დიდ წარმატებას აღწევენ იმ პროფესიებში, რომლებსაც საერთო მოეძებნება წყალთან. ისინი ზღვის ღელვას ემორჩილებიან და ძალებს იკრებენ ნავსა და ხომალდზე. ბევრ დროს უთმობენ აგრეთვე რელიგიას, მაგრამ თავს ნებას ნუ მისცემენ, რომ იგი ფანატიზმში გადაიზარდოს. ამ ნიშნის ადამიანები დიდ წარმატებებს აღწევენ ხელოვნებაში. მათ შორის აღმოაჩენთ შესანიშნავ მუსიკოსებს, მწერლებს, პოეტებს, მხატვრებსა და მომღერლებს. საოცარია, მაგრამ თევზები ყველაზე მეტად ზრუნავენ კეთილდღეობაზე.

ფსიქოსექსუალური დახასიათება

ზოდიაქოს 12-ვე ნიშნიდან, ყველაზე ძნელია თევზების აღწერა. თუკი შეიძლება მოეძებნოს გასაღები მათ სექსუალურ ცხოვრებას, საერთოდ, იგი უნდა ვეძებოთ ნეპტუნის და ვენერას გავლენაში, თევზებს რომ ზეიდეალურად წარმოგვიდგენს. თევზები უმალ დაგეთანხმებათ, რომ ისეთი ადამიანის პოვნა, რომელსაც ისინი ეძებენ, პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ არც ცდილობენ ამას.

მათი სექსუალური ცხოვრების გასარკვევად საჭიროა შესწავლილ იქნეს განსხვავებული ტრადიციული დახასიათებები, რომლებიც ასტროლოგებმა მიაწერეს ჰოროსკოპის მე-12 სახლს, თევზები რომ მართავენ. ისინი გონებრივად არიან დასნეულებულები, შეეინიშნებათ სექსუალური გადახრები, ნარკომანია, იმპოტენცია. თევზები მართავენ ადამიანის ცხოვრებაში გაუთვალისწინებელ ტრაგედიებსაც — გრძნობათა ორგანოები დაზიანებული აქვთ, ისწრაფვიან განმარტოებისაკენ და შესაძლებელი ჰოსპიტალიზაციისაკენ.

დიახ, ყველა ეს უსიამოვნება გარს ერტყმის თევზების

წიშნებს, მაგრამ ასტროლოგები ურჩევენ მათ, მიხედონ თავიანთი წიშნის უფრო ნათელ მხარეებს. საჭიროა გამოიყენონ მათიგე მმართავი ნეპტუნის დადებითი ასპექტები და შეეგუონ სექსუალური რეალობის სამყაროს, განთავისუფლდნენ ყოველგვარი უცნაური უარყოფითი ჩვევებისაგან.

ზოდიაქოს ყველაზე დიდი რელიგიურობის ნიშანი, თევზები, ხშირად ებრძვიან საკუთარ თავს სექსის ფიზიკური ასპექტების გამო. ისინი გამუდმებით ეძებენ სულიერ სამყაროს და ადვილად აფუჭებენ ურთიერთობებს სატრფოსთან თავიანთი მიუკარებლობით. ამიტომ ხშირად ეგუებიან ქალწულისა და სასწორის ნიშნის ადამიანებს, განსაკუთრებით სულიერი ემოციების სფეროში, რადგან ამ ნიშნებს აქვთ თავისებური სიძნელეები სიყვარულის ფიზიკურ მხარესთან.

ასტროლოგთა ჩანაწერებისა და გამოთვლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თევზებს მიდრეკილება უჩნდებათ ილტვოდნენ „მონა-მეპატრონის“ ტიპის ქალისა და მამაკაცის ურთიერთობისაკენ. თვითონ ხშირად მონის როლში გვევლინებიან. სურვილი, რათა იმყოფებოდნენ ძალაუფლების ქვეშ, აიძულებთ მათ ეძებონ ძლიერი ნებისყოფის ადამიანები, რომლებიც გაბატონდებიან მათზე ცხოვრების ყველა სფეროში.

თევზებს მუდამ გვერდით უნდა ჰყავდეთ ისეთი ადამიანი, რომელიც მოთმინებით მოეკიდება მათ სექსუალურ ჭირვეულობას. ზოგჯერ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, თევზები უეცრად წყვეტენ ხანგრძლივ ურთიერთობებს, ვინაიდან, ჩვეულებრივ, უნარი აღარ შესწევთ გაუმკლავდნენ საკუთარ მოთხოვნილებებს. ამ კრიზისების მომენტში თევზები ნებისმიერ დროს მოდიან და ეძებენ თანაგრძნობას. მათი სურვილია, ახსნან ისეთი ქცევა, რომელიც ამოუცნობია მათთვისაც კი. ამიტომ ისინი უნდა დაელოდონ დროის განსაზღვრულ პერიოდს, სანამ ზეციური სხეულები არ დაუახლოვდებიან. მაშინ, შესაძლებლია, მათი ისრები უკუღმა დატრიალდნენ და ისინი კვლავ ნორმალურ პირობებში აღმოჩნდნენ სიყვარულის ფიზიკურ ასპექტში. დასასრულს, თევზებმა უნდა აღიქვან თავიანთი სხეული და ასევე სექსუალური სურვილი, როგორც განუყოფელი ნაწილი საკუთარი თავისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მარტონი დარჩებიან.

თევზთა უმრავლესობა ილუზიის სამყაროში ცხოვრობს. როგორი ლიბერალობაც არ უნდა გამოიჩინონ მათ სექსუალური ურთიერთობის დროს, მათთან აუცილებლად უნდა მოიკატუნოთ თავი. ისინი ხშირად ისე იჭერენ თავს, თითქოს ეს აქტი ნამდვილად კი არ ხდება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პარტნიორის სურვილის დასაკმაყოფილებლად. მათი თანხმობისათვის სჯობს ასეც იყოს.

უმეტესწილ ქალ-თევზები სექსუალურად ფრიგიდულნი არიან და საყვარელ მამაკაცთან მზაკვრობენ, მბრძანებლობენ, უხეშობენ, და შეურაცხყოფენ კიდეც იმის გამო, რომ აინაზღაურონ თავიანთი არაჯანმრთელი დამოკიდებულება სექსისადმი ლტოლვისა. ასეთი ტიპის ადამიანები ხშირად იფარებენ კეთილშობილების თუ თავგანწირულობის ნიღაბს და აღწევენ მიზანს.

მამაკაცი-თევზებისათვის სრულიადაც არ არის დამახასიათებელი ასეთი საქციელი, რადგან, ჩვეულებრივ, რომანტიკული, ყურადღებიანები და ერთგული სატრფოები თუ ქმრები არიან, რომელთა სურვილია ასიამოვნონ პარტნიორს. თუ ცოლქმრობაში შეუთავსებლობა იჩენს თავს, მაინც იშვიათად განქორწინდებიან და ურთიერთობებში პოზიტიურ ასპექტებს აძლიერებენ.

ვინაიდან თევზები წყლის ნიშანია და ამასთან ძლიერ ემოციურიც, ისინი მთლიანად სატრფოებზე არიან დამოკიდებულები. განუწყვეტლივ ამოწმებენ პარტნიორებს, რათა ამით დაუმტკიცონ თავიანთი სიყვარული და აგრეთვე ის, რომ თევზების შიში და იჩვი — მხოლოდ ფანტაზიაა. თევზები უნდა ერიდონ პარანოიკებს და იმ გრძნობას, რომ ისინი გაცვალეს. მათ უნდა გაანაგითაროს თავიანთი დადებითი თვისებები — თანაგრძნობის, სტუმართმოყვარეობის, გულუხვობის. ისიც უნდა ერიდონ აგრეთვე ზემგრძნობელობას, გაღიზიანებასა და უსაფუძვლო საუბრებს.

დადებითი თვისებები

თევზებს უამრავი დადებითი თვისება ახასიათებთ, მაგრამ მათი თვითნგრევისა და ნეგატივიზმისადმი მიდრეკილების გამო უფრო მეტი ბრძოლა უხდებათ კარგი თვისებების გამოსავლინებლად, ვიდრე დანარჩენებს.

მათ, ჩვეულებრივ, პატიოსანი მიზნები ამოძრავებთ და სხვა ადამიანებისაგან ამის მოლოდინში არ არიან. ისინი მიმტევებლები გახლავთ შეცდომების მიმართ. უყვართ ბუნების სილამაზე და ტკბებიან პოეზიითა და მხატვრობით. ცოდნას თითქოს ქვეშეცნეულად იძენენ და ხშირად ახდენენ ფაქტებისა თუ ჭეშმარიტების კონსტატირებას, რომლებიც ბოლომდე არცა აქვთ გათვითცნობიერებული, მათ ძლიერ აქვთ განვითარებული იუმორის გრძნობა.

მრავალი გამოჩენილი კომიკოსი იყო დაბადებული თევზების ნიშნის ქვეშ.

ისინი ხშირად გადაჭარბებულ.კეთილსინდისიერებას იჩენენ მუშაობაში, მაგრამ საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ უფრო მეთოდურნი და ორგანიზებულები იყვნენ. თევზებს ასევე მეტი თვითდაჯერება მართებთ საკუთარი ნიჭის მიმართ, უნდა ენდონ თავიანთ ინტუიციას. ისინი თანაგრძნობით ეკიდებიან ნაკლოვანებებს, მათ არ ძალუძთ და არც სურთ იცოდნენ სხვათა დარდის შესახებ. განვითარებული აქვთ დარდისადმი მოთმინება. და ამასთან, შესაძლოა, ძალზე ძლიერადაც. თუ მათი თანაგრძნობა ძლიერად არის გამოხატული, საჭიროა ხელი მიჰყონ მედიცინას ანდა გახდნენ უფრო რელიგიურები.

ნეპტუნი მფარველობს ხელოვნებასა და ესთეტიკაში. ფილანტროპთა დიდ ნაწილს ჰოროსკოპებში თევზების დიდი გავლენა ემჩნევა.

უარყოფითი თვისებები

ისინი ძლიერ მგრძნობიარენი არიან.

შესაძლებელია, რომ თევზების ყველაზე დიდი ნაკლი სხვა ადამიანებმა ნაკლად არც მიიჩნიონ, მაგრამ თევზებისათვის ეს უარყოფითი თვისებაა; კერძოდ, ურჩევნიათ სწრაფად გა-

ეშურონ თავიანთი გამოგონილი სამყაროსაკენ, ვიდრე პირისპირ დადგნენ რეალური ცხოვრების წინაშე. ძალიან დარდობენ საკუთარ თავსა და ამ ქვეყნის მდგომარეობაზე. ისინი უფრო მშვიდად იქნებოდნენ, თუ დღევანდელი დღით ცხოვრებას ისწავლიდნენ.

თევზები უნდა ცდილობდნენ თავიანთი პიროვნების სტაბილიზებას და აღუდგნენ ქარებს, რომლებიც მათ ყველა მიმართულებით ფანტავს. ისინი, აგრეთვე, უნდა ეშურებოდნენ, რომ მოიკრიბონ გონება და დაიკავონ განსაზღვრული პოზიცია. თევზებმა ზოგჯერ შეიძლება იგრძნონ, რომ მათი შემართება მოულოდნელად მკვეთრად შეიცვალა, რაზედაც მერე სინანულსაც გამოთქვამენ, რაკი სწორი არჩევანი ვერ გააკეთეს, მაგრამ ეს უკეთესია, ვიდრე მუდმივი ორჭოფობა.

სიყვარულის ეკონომიკა

ყოველივე ამან, შეიძლება გაფიქრებინოთ, რომ ისინი სუსტნი და უმწეონი არიან, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ თევზები ყველაზე მოხერხებული მოთამაშეები გახლავთ სიყვარულის ეკონომიკაში.

თევზები თავიანთი ორჭოფობისა და დაურწმუნებლობის გრძნობათა გამო, ჯერ კიდევ ძალიან ადრეულ ბავშვობაში შეიცნობენ ხოლმე ფულის ძლიერ გავლენას. თუ ისინი თვითონ ვერ შეძლებენ მათ მოპოვებას, მაშინ შესანიშნავი ოსტატობით იყენებენ იმ ადამიანებს, რომელთაც ამის კეთება ძალუძთ. თუკი არის ასეთი კაცი, რომელსაც ბლომად აქვს ფული და არ იცის რაში დახარჯოს იგი, მან კონტაქტი უნდა დაამყაროს თევზებთან, რომელთაც ბრწყინვალე გემოვნება აქვთ და მაშინვე დაეხმარებიან ჭარბი ფულის განაღდებაში.

შესაფერისი პარტნიორი

29,5 წლამდე ყველაზე შესაფერისი პარტნიორები თევზებმა უნდა ეძებონ კირჩხიბისა და ლრიანკალის ნიშნებს შორის. სამივე წყლის ნიშანია და 29,5 წლამდე მათი ურთიერ-

თობები ძალზე მტკიცე, ემოციური, მგზნებარე და ხშირად ბობოქარიც გასლავთ. ყრმობის წლებში თევზებს იზიდავს ღრიანკალი — მბრძანებლური ხასიათის გამო და ასევე ბავშვივით არაპრაქტიკული პიროვნება კირჩხიბის სახით.

29,5 წლის შემდეგ ისინი კარგად ეგუებიან სასწორის ნიშანს. სასწორი იზიდავს თევზებს მშვიდი გრაციულობითა და გაწონასწორებულობის გრძნობით. მოწიფულმა თევზებმა შეიძლება მიიზიდონ მერწყული, რომელიც აფართოებს მათი ურთიერთობის სფეროს და ეხმარება გადაჭარბებული ემოციურობის დაოკებაში.

41,5 წლის შემდეგ თევზები უკვე სტაბილურნი ხდებიან და უახლოვდებიან თავიანთ ყველაზე საუკეთესო მეგობარსა და პარტნიორს — ქალწულს, თევზების ამ საპირისპირო ნიშანს. ორივე ნიშანი, მართლაც, რომ იტყვიან, ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო, ისეა და თანასწორი ასტროლოგიური საფარის ქვეშაც იმყოფებიან. ისინი ამაგრებენ ერთურთს და ორივენი გულგრილნი არიან სექსის მიმართ.

დასასრულს, მინდა ვურჩიო თევზებს, რომ გასაღები მოუძებნონ მეთორმეტე სახლის თითოეულ წევრს, რადგან თევზებისათვის ყველაზე რთული — პარტნიორის მონახვაა.

ერთგულების შეფასება

თევზები, ჩვეულებრივ, ძალიან ერთგულნი არიან, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჟამს, როდესაც ეძებენ ღრმა და ხანგრძლივ კავშირებს ძლიერ პიროვნებებთან, კერძოდ, იმათთან, ვინც წარმართავს მათ ურთიერთობებს და იბატონებს კიდეც მათზე. თუმცა ისინი მოთმინებით იტანენ თევზების მორიღებულ და თავმდაბალ ხასიათს.

თევზებო, ჩვენ, ასტროლოგები გეკითხებით:

რატომ არ გინდათ მოიკრიბოთ მთელი ძალები, რათა მონახოთ მათთან სექსუალური შეთანაწყობა?

თევზებო, თქვენ ძალზე ადვილად იხევთ უკან. რატომ არა გსურთ ისეთი პროფესიის გამონახვა, სადაც გამოიყენება და სწორად შეფასდება თქვენი შემოქმედებითი შესაძლებლობები და ფანტასტიკური წარმოდგენები? მაშინ ხომ თქვენი ოცნებები ახდებოდა. იმედია, მიხვდებით და ადრევე შეუდგებით წვრილ-წვრილ მიწიერ სამუშაოებს, ვიდრე გაბედავთ და ნაბიჯს გადადგამთ თქვენთვის უცნობი სამყაროსაკენ.

იცით თუ არა თქვენ, რომ თქვენი თავგანწირვა ეს არის შედეგი დიდი შიშისა იმის გამო, რომ თქვენ მეორე უკიდურესობაში ხართ გადავარდნილი?

იცით თუ არა, რომ თქვენი კერძომესაკუთრეობა დამანგრეველი ძალაა თქვენთვისაც და სხვისთვისაც?

შეგიძლიათ თუ არა შეიგნოთ, რომ სრულყოფილობას ადამიანი ვერ მიაღწევს, ვინაიდან ყველა ჩვენგანი მოკვდავი და არასრულყოფილია?

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ზოდიაქოს ნიშნებიდან ყველაზე მდიდარი წარმოდგენები გაქვთ, მაგრამ უნდა გამოძვრეთ ნაჭუჭიდან და თქვენი ნიჭი სხვებსაც მოახმაროთ.

აღმოსავლური ჰოროსკოპი

იაპონური

ჩინური

მაიმუნი	მამალი	ძაღლი	გარეული ღორი (ტახი)	ვირთხა
(გვ. 172)	(გვ. 175)	(გვ 177)	(გვ. 180)	(გვ 151)
1920	1921	1922	1923	1924
1932	1933	1934	1935	1936
1944	1945	1946	1947	1948
1956	1957	1958	1959	1960
1968	1969	1970	1971	1972
1980	1981	1982	1983	1984
1992	1993	1994	1995	1996

ხარი	ვეფხვი	ზოცვერი	დრაკონი	გველი
(გვ 153)	(გვ.156)	(გვ. 159)	(გვ. 161)	(გვ. 164)
1925	1926	1927	1928	1929
1937	1938	1939	1940	1941
1949	1950	1951	1952	1953
1961	1962	1963	1964	1965
1973	1974	1975	1976	1977
1985	1986	1987	1988	1989
1997	1998	1999	2000	2001

ცხენი	ცხვარი
(გვ. 166)	(გვ. 169)
1930	1931
1942	1943
1954	1955
1966	1967
1978	1979
1990	1991
2002	2003

იაპონური ჰოროსკოპი

იაპონიასა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მიღებული კალენდრების მიხედვით, 12-წლიანი ციკლის საზღვრებში ყოველი წელიწადი რომელიმე ცხოველის ნიშნით მიედინება. განსაზღვრულ წელს დაბადებული ადამიანი თანდაყოლილ თვისებებს იძენს, რომელთა შესაბამისადაც იქნება მისი ბედი. აღმოსავლეთში ეს კალენდარი დიდი პოპულარობით სარგებლობს. დაბადების წლის მიხედვით დაუბრკოლებლად მოძებნით ზედ დართულ ცხრილში თქვენთვის საჭირო ნიშანს, ხოლო შესაბამის ნაწილში ამოიკითხავთ ცნობებს თქვენსა და თქვენი ნაცნობების შესახებ. ყოველ ნაწილში დახასიათების ბოლოს ჩამოთვლილია ადამიანების სამი ჯგუფი (ცხოველთა დასახელების ქვეშ), რომლებიც ა) იდეალურად გესადაგებათ თქვენ, როგორც მეგობრები ანდა ცხოვრების თანამგზავრი; ბ) ასე თუ ისე გესადაგებათ; გ) სრულიად არ გესადაგებათ და სავსებით საწინააღმდეგოა თქვენი, ამასთან შეიძლება უბედურებაც კი მოგიტანოთ.

მაიმუნის წელიწადი. ეს ადამიანები ყველაზე გაუტანლები და წინააღმდეგობებით სავსენი არიან. ჭკვიანები, მოხერხებულები, გამომგონებლები, ორიგინალურები, ადვილად წყვეტენ ყველაზე რთულ პრობლემებს. თითქმის არ მოიძებნება მოქმედების ისეთი არე, სადაც ვერ შეძლონ თავის გამოვლენა. თუმცა ძალიან ადვილია მათი გადაბირება და გადარწმუნება. მათ სურთ ყველაფერი აქვე და მაშინვე მოიმოქმედონ. ყველაზე მცირე წინააღმდეგობასაც კი შეუძლია ხასიათი გაუფუჭოს, მისი გეგმები არივ-დარიოს. უმრავლესობა გამოირჩევა გაუბედაობით. ისინი ტემპერამენტიანი და თავნება ადამიანები გახლავთ, ფიცხებს წყენის გულში ჩადება არ უყვართ. შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება, აქვთ საღი გონება. ბევრ მათგანს ხელეწიფება დაეუფლოს დიდების მწვერვალს, თუკი წინ არავინ ეღობება.

ა) დრაკონი, ვირთხა.

ბ) ბოცვერი, ცხვარი, ძაღლი, მაიმუნი.

გ) გველი, გარეული ღორი, ვეფხვი.

ბამლის წელი. ღრმა მოაზროვნენი და ნიჭით დაჯილდო-

ებული პიროვნებებია. უყვართ შრომა და საქმის ერთგულნი არიან. ცდილობენ შეასრულონ ნებისმიერი დავალება, თუნდაც ისეთი, რომელიც მათ ძალებს აღემატება და ძალზე განიცდიან, თუ ამ საქმეში ხელი მოეცარებათ. ზოგჯერ ცოტათი ექსცენტრიულებს უჭირთ კონტაქტების დამყარება გარეშეებთან. მუდამ დარწმუნებულები არიან თავიანთ სიმართლეში და ხანდახან მართლაც რომ ასეა. ხშირად ეს ადამიანები მარტოხელები და გულჩათხრობილები გახლავთ. თუმცა შეუძლიათ გაბედული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვონ, მაგრამ ბუნებით ფრიად მორცხვები არიან. გეგმები, რომელთაც ისინი სახავენ, არასოდეს ხორციელდება. მათ გრძნობების მკვეთრი აღმავლობისა და ასევე მკვეთრი დაცემის პერიოდები გააჩნიათ, ცხოვრებაში წარმატებები და ხელმოცარვები მოსაცვლეობენ. ისინი ზოგჯერ ეგოისტებიც გახლავან, მაგრამ ძალიან პირდაპირები და უნარი შესწევთ თავგანწირული და ვაჟკაცური მოქმედებისა. მუდამ საინტერესოები არიან.

ა) ხარი, გველი, დრაკონი.

ბ) ვირთხა, მამალი, ძაღლი, ბოცვერი.

გ) ვეფხვი, ცხენი, მაიმუნი, ცხვარი, გარეული ღორი.

ძაღლის წელი. ამ ნიშნით დაბადებულთ საუკეთესო ადამიანური თვისებები ახასიათებთ — ერთგულება, პატიოსნება. ისინი ნდობას იმსახურებენ, რადგან შეუძლიათ საიდუმლოების შენახვა. თუმცა, რამდენადმე ეგოისტურები, ექსცენტრიულები და გაუგონრად ჯიუტები არიან. სიმდიდრისაკენ არ ისწრაფვიან, მაგრამ ფული მუდამ აქვთ. შეუძლიათ ემოციურად გულცივნი და ნაკლებად გულღიანი იყვნენ: ბევრ რამეს კრიტიკულად უყურებენ. განთქმულნი არიან ენამახვილობით. იციან რისთვის იბრძვიან და სამართლიანობას უბამენ მხარს. საქმე ბოლომდე მიჰყავთ და ჩვეულებრივ იმარჯვებენ კიდეც. მათგან მშვენიერი ხელმძღვანელები დგებიან.

ა) ცხენი, ვეფხვი, ბოცვერი.

ბ) ვირთხა, გველი, მაიმუნი, ძაღლი, გარეული ღორი.

გ) დრაკონი, ცხვარი.

გარეული ღორის წელი. ეს ადამიანები გამოირჩევიან სიმამაცითა და თავგანწირვით. რა საქმესაც მოჰკიდებენ ხელს, მთელ ძალებს შეალევენ. ისინი მხოლოდ პირდაპირი გზებით

მიიწევენ და არ იციან უკან დახევა. არიან ძალიან პატიოსნები და მამაცები. სხვებთან ძნელად თუ გამონახავენ საერთო ენას, მაგრამ თავიანთი მცირერიცხოვანი მეგობრებისათვის ბოლომდე ერთგულნი რჩებიან და არ ტოვებენ მათ უბედურებაში. სიტყვაძუნწები, თუმცა ფრიად ცნობისმოყვარენი, ბევრს კითხულობენ, კარგად არიან გათვითცნობიერებულები. ადვილად აღიგზნებიან, მაგრამ არ უყვართ კინკლაობა და ჩხუბი. კეთილები და ყურადღებიანები არიან საყვარელი ადამიანებისა და ნაცნობების მიმართ, თუმცა მათი ოჯახური საქმეები ხშირად არცთუ კარგად მიმდინარეობს. ცდილობენ ყოველგვარი კონფლიქტის მოგვარებას და არ სურთ მათი გახანგრძლივება. როგორი რთული პრობლემებიც არ უნდა იდგეს მათ წინაშე — ისინი არასოდეს იხევენ უკან, თუმცა წუთიერი აღტკინების გავლენის ქვეშ ექცევიან.

ა) ბოცვერი, ცხვარი.

ბ) ვირთხა, ვეფხვი, ხარი, დრაკონი, მამალი, ძაღლი, გარეული ღორი.

გ) გველი.

ვირთხის წელი. ამ ნიშნით დაბადებულნი სასიამოვნო გარეგნობით გამოირჩევიან, არიან მომხიბვლელები, მიზანმიმართულნი, შრომისმოყვარენი და ისწრაფვიან სიმდიდრის მოსახვეჭად. მომჭირნეობენ და უყვართ ფულის ეკონომია. მომჭირნეობას მაშინ ივიწყებენ, როდესაც გატაცება აქვთ ან დიდი გრძნობა ეუფლებათ. გულუხვობას იჩენენ მათ მიმართ, ვინც უყვართ. პედანტობამდე აკურატულები, ბევრ რამეში ულოგიკობას ამჟღავნებენ. პატივმოყვარეობა ახასიათებთ. როგორც წესი, წარმატებით აღწევენ მიზანს. არ გააჩნიათ თავდაჭერის უნარი, ადვილად განრისხდებიან ხოლმე. ჩვეულებრივ პატიოსნებსა და გულახდილებს ზოგჯერ ჭორიკნობაც უყვართ.

ა) დრაკონი, მაიმუნი, ხარი.

ბ) გველი, ვეფხვი, ძაღლი, გარეული ღორი, ვირთხა.

გ) ცხენი.

ხარის წელი. ეს ადამიანები მომთმენნი და სიტყვაძუნწნი? გახლავთ. ისინი ნდობას იმსახურებენ. თუმცა, ზოგჯერ შეიძლება ექსცენტრიულნიც იყვნენ, ადვილად გამოვიდნენ წყობიდან. ამ დროს საჭიროა თავის არიდება, რადგან ხარის გა-

აფთრებას საზღვარი არა აქვს. ჩვეულებრივ სიტყვაძუნწნი, გატაცების მომენტში უხვსიტყვაობენ. შესანიშნავი გონებრივი და ფიზიკური მონაცემებით არიან დაჯილდოებულები. მსუბუქი ხასიათის ადამიანებად ითვლებიან, თუმცა ამასთან ხშირად იჩენენ სიჯიუტესაც — არ უყვართ წინააღმდეგობა, ზოგიერთი მათგანი სიყვარულს სპორტად მიიჩნევს, რაც გაუგებრობას ბადებს ახლობლებში.

ა) გველი, მამალი, ვირთხა.

ბ) დრაკონი, ბოცვერი, მაიმუნი, გარეული ღორი, ხარი.

გ) ცხვარი.

ვეფხვის წელი. ამ ნიშნის მქონე ადამიანები მგრძნობიარენი არიან და მიდრეკილება აქვთ განსჯისაკენ, მაგრამ ადვილად ღიზიანდებიან. ჩვეულებრივ პატივისცემით სარგებლობენ, თუმცა ხშირად მოსდით კონფლიქტები უფროსებთან ან კიდევ ხელმძღვანელებთან. არცთუ იშვიათად წინდაუხედავად წყვეტენ საქმეს ანდა სწორ გადაწყვეტილებას ძალიან გვიან იღებენ. სართოდ კი ისინი მამაცი და ძლიერი ხალხია და, როგორც წესი, ღირსეულად ფასდებიან კიდეც.

ა) ცხენი, დრაკონი, ძაღლი.

ბ) ვირთხა, ხარი, ბოცვერი, ვეფხვი, ცხვარი, მამალი, გარეული ღორი.

გ) გველი, მაიმუნი.

ბოცვერის წელი. მას გამოკვეთილი ინდივიდუალობა ახასიათებს, ნიჭიერი და პატივმოყვარეა, სათნოა. თავშეკავებული და გამოირჩევა უზადო გემოვნებით. საერთო აღტაცებას და ნდობას იმსახურებს. მატერიალურად უზრუნველყოფილია. ამ ადამიანებს ზოგჯერ ჭორიკნობაც უყვართ, მაგრამ ამავე დროს ინარჩუნებენ ტაქტს და არ არიან ბოროტები. სინაზით ეპყრობიან მას, ვინც უყვართ, მაგრამ ახლო ნათესავებთან იშვიათად გამონახავენ ხოლმე საერთო ენას. თითქმის არასოდეს კარგავენ წონასწორობას, შესანიშნავი საქმიანი თვისებებით ხასიათდებიან. პატიოსნებსა და დაუზარელთ ზოგჯერ პედანტობაც შეეპარებათ და მიდრეკილება უჩნდებათ მელანქოლიისადმი. ისინი კარგი მოთამაშეები დადგებოდნენ, მაგრამ თამაშობენ იშვიათად, რადგან კონსერვატიულები და წინდახედულები არიან.

ა) ცხვარი, გარეული ღორი, ძაღლი.

ბ) ვირთხა, ბოცვერი, დრაკონი.

გ) მამალი.

დრაკონის წელი. ამ ნიშნით დაბადებული ადამიანები მშვენიერი ჯანმრთელობით გამოირჩევიან. ენერგიულები, ადვილად ღიზიანდებიან, ზოგჯერ სიჯიუტესა და უკმეხობასაც ავლენენ. პატიოსნებს, ემოციურებს, მტკიცეს შეიძლება, რომ ენდოთ. გამოირჩევიან თავნებობით. გულახდილობა ამშვენებთ. მათი აზრი მუდამ დასაბუთებულია. ნიჭიერები არიან, არ უყვართ ფულის სესხება და სიტყვით გამოსვლა. კეთილი გულის ხალხია და ხშირად აძლევენ უფლებას სხვებს, რომ თავი მათზე მაღლა დაიჭირონ. მაგრამ ცოტა ხნით. ისინი მალე ასწორებენ თავიანთ შეცდომებს. ცოლს თხოულობენ და თხოვდებიან ჯერ კიდევ ადრე ახალგაზრდობაში, ანდა საერთოდ არ ქორწინდებიან. საერთო სიყვარულს იმსახურებენ.

ა) ვირთხა, გველი, მაიმუნი, მამალი.

ბ) ვეფხვი, ცხენი, ცხვარი, გარეული ღორი, დრაკონი.

გ) ძაღლი.

გველის წელი. რთული ბუნების ადამიანებია და დაბადებიდანვე სიბრძნით არიან მოსილნი, თუმცა სიტყვაძუნწობენ. მათი საქმეები მუდამ შესანიშნავად მიდის. მაგრამ ისინი ხშირად არიან ხელმოჭერილები. ხანდახან ეგოისტობენ კიდეც და პატივმოყვარეობასაც ამჟღავნებენ. თუმცა შეუძლიათ აქტიურად აუბან მხარი ნაკლებად იღბლიან თანამოძმეებს. ძალიან ხშირად ღუნავენ ჯოხს თავიანთ სასარგებლოდ. არ ჰყვებიან სხვათა მსჯელობებს, რადგან მხოლოდ საკუთარ თავს ენდობიან. მტკიცე და მიზანდასახული ხასიათის მქონენი, მწვავედ განიცდიან თავიანთ ხელმოცარვებს. გარეგნულად მშვიდები არიან, თუმცა ძალზე მგზნებარე ბუნება აქვთ. ჩვეულებრივ გამოირჩევიან როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი ხიბლით, რასაც მათი თავქარიანობის გამო ოჯახური უსიამოვნებები მოჰყვება ხოლმე.

ა) ხარი, მამალი.

ბ) ვირთხა, ბოცვერი, დრაკონი, გველი, ცხენი, ცხვარი.

გ) ვეფხვი, გარეული ღორი.

ცხენის წელი. ეს ადამიანები დიდად პოპულარულნი არიან.

მხიარული ხასიათით გამოირჩეიან, ფული გამოყენების შნო აქვთ. ჭკვიანები და გამჭრიახები, ზოგჯერ ბევრს ლაპარაკობენ. ნიჭიერებს ყველაფერი ხელეწიფებათ, ყურადღებას იქცევენ გამომწვევი ჩაცმულობით და თავისუფალი ქცევით. თავდაჯერებულებმა იციან თავიანთი თავის ფასი და გულგრილობას როდი ამჟღავნებენ (მამაკაცები) ქალების მიმართ. უნარი აქვთ დაივიწყონ ყველაფერი, როცა საქმე მათ გრძნობებს ეხება. ყველაფერში ძალების მაქსიმუმს აქსოვენ, გარდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისა. უყვართ გართობები და ხალხმრავლობები, ასევე მოვლენების ცენტრში ყოფნა. ძალზე დამოუკიდებლები იშვიათად იზიარებენ სხვათა რჩევებს და ამასთან თავიანთი ნება-სურვილით მოქმედებენ.

ა) ვეფხვი, ძაღლი, ცხვარი.

ბ) დრაკონი, გველი, მაიმუნი, მამალი, გარეული ღორი.

გ) ვირთხა.

ცხვრის წელი. ამ ნიშნის ხალხი დაჯილდოებულია ხელოვნების ნიჭით. ერთი შეხედვით მათ სხვებთან შედარებით ყველაფერი გამოუდით ხელიდან. მაგრამ ისინი ხშირად ყრიან ფარ-ხმალს ცხოვრების წინაშე, რადგან ბუნებით მორცხვებს მიდრეკილება უჩნდებათ პესიმიზმისადმი, გაუბედავებს უჭირთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. ჩვეულებრივ ისინი რელიგიურები არიან. მათგან ბელადები იშვიათად დგებიან. ისინი უხვსიტყვაობით არ გამოირჩევიან, მაგრამ საკუთარ მრწამსს იცავენ და თავიანთი საქმე უყვართ. ფული საკმაოდ აქვთ და აფასებენ კეთილდღეობას, რომელიც მათზეა დამოკიდებული. წინდახედულნი, დამყოლნი, კეთილმოსურნენი, კარგი გემოვნებით გამოირჩევიან.

ა) ბოცვერი, გარეული ღორი, ცხენი.

ბ) ვეფხვი, დრაკონი, გველი, ცხვარი.

გ) ხარი, ძაღლი.

ჩიწური ჰოროსკოპი

ვირთხა

(აგრესიულობა)

ვირთხა დაბადებულია ხიბლისა და აგრესიულობის ნიშნით. ერთი შეხედვით იგი მშვიდი, გაწონასწორებული და მხიარულია. მაგრამ ნუ ენდობით მას. ესაა მოჩვენებითობა, რადგან მალავს გამუდმებულ აგზნებადობას და აგრესიულობას. საკმარისია მასთან ხანგრძლივი ურთიერთობა, რათა გამოაშკარავდეს მისი ნერვოზი, ქოლერიკის მოუსვენრობა და ტემპერამენტი.

ვირთხა ქმნის არეულობას და ზოგჯერ მანიაკიც არის. ყოველ შემთხვევაში, ჩხუბისთავია. უყვარს მეგობრების თავშეყრა და სიამოვნებით ჭორიკნობს. არც ავყიობას ერიდება, ამიტომ მას უფრო მეტი ნაცნობები ჰყავს, ვიდრე ნამდვილი მეგობრები. იგი არასოდეს და არავის ენდობა. თავშეკავებულია და თავის საზრუნავს არავის უმხელს. გარდა ამისა, ისინი, ვინც ამ ნიშნით დაიბადნენ, ისწრაფვიან ყველაფრიდან მიიღონ მოგება და პირადი სარგებლობა: მეგობრები იქნებიან თუ ნაცნობები, საკუთარი თუ მეგობართა ფული, საკუთარი მომხიბვლელობისგანაც კი თუ დასჭირდა, სახიფათო ხიბლს ვირთხა იყენებს კიდეც, თანაც ბოროტად და თავშეუკავებლად.

მოთამაშე და გურმანი ვირთხა არაფერში იზღუდავს თავს და ამავე დროს გამუდმებით შიშობს მომავალზე. თუმც ინტენსიურ ცხოვრებას ეწევა აწმყოში, სულ მუდამ ეკონომიაზე ოცნებობს და სურს უზრუნველყოფილი ჰქონდეს სიბერე.

ქალი-ვირთხა, ამავე მიზეზთა გამო გამოირჩევა აშკარად გამოხატული დამგროვებლობით, რაც ხშირად აბსოლუტურად არ ესაჭიროება. მას შეიძლება შეხვდეთ სავაჭროდ გამოსულს გულმოდგინედ რომ ყიდულობს ყველაფერს, რაც შეხვდება, იმ იმედით, იქნებ გამოსარჩენი რამ ვნახოო.

ვირთხას განვითარებული წარმოდგენები აქვს, შეუძლია ზოგჯერ შემოქმედიც იყოს, მაგრამ ხშირად იგი შესანიშნავი

კრიტიკოსია. ენდეთ მის რჩევებს. ზოგიერთ ვირთხას ეს თვისება შეიძლება ნაკლოვანებად ექცეს და დაადგეს საშიშ ნგრევათა გზას, ისინი ყველაფერს ანადგურებენ პირადი სიამოვნებისათვის. მომავალში დაწვრილმანებული მეშჩანი ვირთხა პატიოსანი რჩება და უნარი შესწევს ბოლომდე მიჰყვეს საქმეებს, რომელთაც იგი აწარმოებს, თუნდაც ეს საქმე ღასაღუპად იყოს განწირული. მას შეუძლია მოაწყოს თავისი ცხოვრება და წარმატებებსაც მიაღწიოს, თუკი მოახერხებს და დათრგუნავს მუდმივ უკმაყოფილებასა და მეტისმეტად განვითარებულ გემოვნებას.

ნებისმიერ ვირთხას ურჩევნია იცხოვროს ცბიერებით და არა შრომით. ბევრს აღწევს ცხოვრებაში იმათ ხარჯზე, რომლებიც ოფლისღვრამდე მუშაობენ მისთვის. უარეს შემთხვევაში შეიძლება იგი გენიალური პარაზიტი და მფლანგველი გახდეს. სიზარმაცემ და უსაფრთხოებამ ზოგიერთი ვირთხა შეიძლება ჩიწოვნიკად და „კანცელარიის ვირთხად“ აქციოს. მას შეუძლია წარმატებას მიაღწიოს საქმეებში, პოლიტიკაში, გახდეს პოპულარული მსახიობი. იგი გონებრივ-სამუშაოს მეტი სიამოვნებით ასრულებს, ვიდრე ფიზიკურს.

სამწუხაროდ, ვირთხა ფულს კი აგროვებს, მაგრამ მაშინვე ხარჯავს მას. არაფრით იზღუდავს თავს და თუ იგი სესხად გასცემს თანხას, არა უანგაროდ. ვირთხას შეუძლია დიდსულოვნება გამოავლინოს მისადმი, ვინც უყვარს, თუნდაც იგი არ პასუხობდეს სიყვარულზე, ვინაიდან სწორედ სიყვარულში ამჟღავნებს ვირთხა თავის თავს. ვირთხები გურმანები, ლოთები და აზარტული მოთამაშეები არიან.

იგი იღბლიან არჩევანს გააკეთებს, თუ ბედს დაუკავშირებს დრაკონს, რომელიც თავის ძალას შემატებს, სამაგიეროდ ვირთხა კრიტიკული ჭკუაგონებით დააჯილდოებს. ხარი დაამშვიდებს მას, ხარს მინდობილი თავს უშიშრად იგრძნობს. მაიმუნი მოაჯადოებს მაშინაც კი, თუ მოინდომებს მხოლოდ მასხრად აიგდოს. იგი უნდა უფრთხილდეს ცხენს. ეგოისტი და თავისუფალი ცხენი ვერ იტანს ვირთხის მესაკუთრულ ხასიათს. ნამდვილ კატასტროფამდე მივა საქმე, თუ მამაკაცი ვირთხა შეუუღლდება ცეცხლოვან ცხენს (1906, 1966 წ.წ.). ცეცხლოვანი

ცხენის წელი კი 60 წელიწადში ერთხელ დგება, რითაც ხიფათი ნაწილობრივ მაინც მცირდება...

ცხოვრების მეორე ნაწილი ზოგჯერ მშფოთვარე აქვს. შეიძლება დაკარგოს მთელი ქონება უიღბლო საქმეში, ანდა ბედნიერება — სანტიმენტალობის წყალობით. ცხოვრების მესამე ნაწილი კარგად წარიმართება და სიბერეც ისეთი მშვიდი ექნება, როგორიც შეიძლება ისურვოს კაცმა. მაგრამ შეიძლება პირიქითაც მოხდეს, ეს დამოკიდებულია იმაზე, ვირთხა როდის დაიბადა — ზაფხულსა თუ ზამთარში. თუ ზაფხულში, მაშინ იგი იძულებული იქნება საკვების ძებნაში გაატაროს სიცოცხლე, ამასთან ყურადღებით უნდა იყოს, გზაში დაგებულ მახეში არ გაებას. შეიძლება ყველაფერი ციხით ანდა უბედური შემთხვევით გამოწვეული სიკვდილით დასრულდეს.

ხარი

(სამსახური, ოჯახი, სამშობლო)

ჭირთამთმენი და სიტყვაძუნწი, თავძეკაკებული და სელი, შეუმჩნეველი და გაწონასწორებული, ზუსტი და მეთოდური. ხარი თავის ორიგინალურ ჭკუას რამდენადმე სოფლური გარეგნობით ფარავს, ფლობს წიკს — გამოიწვიოს ადამიანები გულახდილ საუბარში, ესაა ძირითადი მიზეზი (კოზირი) მისი წარმატებისა. მას მკვრეტელური გონება აქვს და შეიძლება ამიტომაც უყვარს მარტოობა.

ხარი შეიძლება სექტანტი გახდეს თითქმის ფანატიკოსობამდე. იგი ხშირად გვევლინება შოვინისტად და ზოგჯერ ფარისევლადაც, რის გამოც აკრიტიკებენ.

მიუხედავად მისი მშვიდი გარეგნობისა, იგი ქოლერიკია. თავშეკავებული, მაგრამ შეპყრობილი. მართალია ბოლმას იშვიათად გადმოანთხევს ხოლმე, მაგრამ ამის გამო იგი უფრო საშინელია. უკეთესი იქნება, თუ წინააღმდეგობას არავინ გაუწევს, რადგან შეიძლება ხიფათს გადაგყაროთ. მიუხედავად მისი აღუშფოთველი გარეგნობისა, ჯიუტია და ვერ იტანს მის მიერ წამოწყებული საქმის ჩავარდნას. ვაი მას, ვინც წინ გა-

დაელობება. იგია უფროსი, ხელმძღვანელი. ჩვეულებრივ გულდახურულია, მაგრამ უხვსიტყვაობასაც იჩენს, თუ ეს უკიდურესად აუცილებელია.

ხარს სძაგს ახალშემოღებული წესები, რომელთაც ძალუძთ მისი მშვიდი სულიერი მდგომარეობის შერყევა. იგი იმათგანია, ვინც დასცინის პიკასოს, ახალ ჯაზს, მინი-ქვედა ბოლოსა და გრძელ თმებს; არ დაუშვებს, რომ ამ სიახლის მიმდევარი მისი ოჯახის რომელიმე წევრი ანდა ახლობელი გახდეს. იგი მბრძანებელია, მის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს ოჯახს და პირობითობისა და ტრადიციების მიმდევარია.

ამ ნიშნის ქალს შეიძლება ენდოთ. შეიძლება შეიმოსოს ვითარებათა შესაბამისად, მაგრამ ნუ შეეცდებით ამოიკითხოთ მის სამოსში გაბედულება ან ფანტაზია.

ხარი — ჭეშმარიტი მუშაა და ოჯახის სიკეთის მომტანი. მისი ყოფნა შინ უკვე სასიკეთოა, რადგან, როგორც წესი, მას თავისი საქმე აქვს და მისთვის მუშაობს. მას უხდება თავისუფალი პროფესია. იგი მოხერხებულია როგორც ფიზიკურ, ასევე ინტელექტუალურ ასპექტში, შეუძლია იყოს კარგი ხელმძღვანელი. განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული სოფლის მეურნეობის დარგში.

კომერციასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში ცუდად ერკვევა. უკეთესი იქნება, თუ არ აირჩევს ისეთ პროფესიას, რომელიც დაკავშირებული იქნება მგზავრობებთან, მოგზაურობებთან, რადგან იგი კარგავს წონასწორობასა და ჯანმრთელობას.

ქალი-ხარი — შინაყუდაა და დიდად ზრუნავს საკუთარ კერიაზე. შესანიშნავი და ყურადღებიანი დიასახლისი გახლავთ და ხშირადაც მართავს „ოჯახურ ხომალდს“.

სამწუხაროდ, ხარს იშვიათად უგებენ ირგვლივ მყოფნი. იგი ჯიუტი სექტანტია, მაგრამ უყვარს თავისი ოჯახი და ამაყობს საკუთარი შვილებით. თავის ძალაუფლებას იყენებს ყოველგვარი ტაქტის გარეშე, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ ოჯახის მეთაურია და მისთვის ყოველგვარ მსხვერპლს გაღლებს.

მისდა საუბედუროდ, სიყვარული მისთვის მხოლოდ თავაზიანი თვითნებური ხუმრობაა. იგი შეიძლება იყოს ნაზი, ერთ-

გული, მგრძნობიარე, მაგრამ არასოდეს გახდება რომანტიკოსი. ეზიზღება სასიყვარულო ფლირტი და ვნებებს არ აჰყვება. მატერიალისტური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი მისთვის ბევრი საწყენის წყაროა, მათ შორის ცოლქმრულისაც.

ხარი არ იეჭვიანებს თავისი ქმრის ან ცოლის გამო, მაგრამ ცოლქმრული ერთგულება მისთვის უპირველესი პროგრამაა და ძირითადი უპირატესობაა. თვითონ ერთგულია გრძნობებისა, მაგრამ დიდად არავინ აფასებს მას.

მის ბავშვობასა და ჭაბუკობაში არაფერი მოხდება. ცხოვრების მეორე ნაწილში ძნელბედობის გადატანა მოუწევს ქმრის ან ცოლის გამო. მისმა თანამგზავრმა შეიძლება მოაწყინოს გულგრილობისაგან და რომანტიკის ძებნას მოყვეს, რაკი იგი შინ ვერ ჰპოვა. ასეთ შემთხვევაში ხარი თუ თავის თავს საკუთარი ნიჭის წყალობით ვერ დაიმორჩილებს, გამოიწვევს ანტიპათიას და ირგვლივ მყოფთაც თავის წინააღმდეგ განაწყობს.

სინამდვილეში იგი მშრომელია, მეოჯახე და ვერ გაუგია რატომ განსხვავდება მისი თვალსაზრისი ირგვლივ მყოფთა შესედულებებისაგან. ცხოვრების მესამე პერიოდში მას დიდი სიძნელეები შეხვდება, მაგრამ თუ მოახერხებს მათ უგულვებელყოფას, სიბერე მშვიდი ექნება.

ხარისათვის იდეალურია მამალთან შეუღლება. ორი კონსერვატორის ურთიერთშეთანხმება შესანიშნავად ჩაივლის. ყოველივე კარგად წარიმართება ვირთხასთან, რადგან ხარზე შეყვარებული სიკვდილამდე მისი ერთგული იქნება. გველი თუმცა ხშირად არ არის ერთგული, მაგრამ იმდენ ჭკუას კი იჩენს, რომ არ გაამყღავნოს თავისი გრძნობები ან, ყოველ შემთხვევაში, არ მიატოვოს იგი. სამწუხაროდ, გველთან მშვიდობიან ცხოვრებას, რომელიც ასე მნიშვნელოვანია მისთვის, ვერ მოიპოვებს. ვირთხის მსგავსად ხარს მოხიბლავს მაიმუნი. წარმატებისათვის დასჭირდება მთელი თავისი ფანტაზიისა და წარმოდგენების მოშველიება. სიფრთხილე მართებს თხასთან: ჟირაფს და თაგვარიანს შეუძლია თავისი მერყეობით დრამის გამოწვევა.

ხალხური სიბრძნე ღაღადებს, რომ ხარს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ვეფხვთან ერთად ცხოვრება! ეს ბრძოლის

მომასწავებელია და დამთავრდება ვეფხვის წასვლით ან მისი გაუჩინარებით. ძლიერი ხარი გამუდმებით ზემოქმედებს მასზე და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ არ გაანადგურებს ვეფხვს. დედა-ხარი ვერასოდეს გამონახავს ურთიერთობას ბავშვ-ვეფხვთან. ამ უკანასკნელმა სახლი უნდა დატოვოს.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ხარი, რომელიც ზამთარშია დაბადებული, უფრო ბედნიერია: მას ნაკლები შრომა დასჭირდება. ზაფხულში დაბადებულს სულის მოთქმის საშუალებაც არ ექნება და დიდი გარჯა მოუწევს მთელი წლის მანძილზე.

ვ ე ფ ხ ვ ი

(ენერგია)

ვეფხვი — ფრონდერია. უდისციპლინოს ფიცხი ხასიათი აქვს. ჩინით მასზე უფროსს ვერა და ვერ ეპუება. იგი იმ მასალიდან არის შექმნილი, რისგანაც რევოლუციონერები და ბელადები.

საუბედუროდ, როგორც ყველა უფროსი, ყოველთვის როდი იმსახურებს ნდობას, რომელსაც მას უცხადებენ და როცა იგი ყვირის „წინ“ — საქმესა თუ სიყვარულში, ანდა თუნდაც ომში, ადამიანებმა ჯერ უნდა გაიაზრონ, ვიდრე ამოქმედდებიან, და მაგრადაც უნდა დაქაჩონ კაბის კალთები. ვეფხვს შეუძლია სხვები კატასტროფამდე მიიყვანოს. რისკის გაწევა სისხლში აქვს გამჯდარი და გონებას ურევს, შეუცნობელი მოქმედებისკენ უბიძგებს.

ძნელია წინ აღუდგე მის მიზიდულობას. ბუნებრივი ძალა რაღაც ოდენობით პრესტიჟს ანიჭებს. თვითონ არ უყვარს მორჩილება, სხვებს კი აიძულებს უსმინონ. მას პატივს სცემენ. ვერავინ ბედავს სიმართლის თქმას მაშინაც კი, როცა მის განადგურებას ცდილობენ, პატივით ეპყრობიან და ეთაყვანებიან.

თუ იგი მოახერხებს და მოქმედების დაწყებამდე იფიქრებს, თანაც გაითვალისწინებს გაფრთხილებას, შეუძლია დიდ წარმატებას მიაღწიოს. თავისი ბუნებით მებრძოლი, უკმეხი და

ფიცხი თავს გასწირავს საქმის გამო. შეუპოვარი და ჯიუტი, მოდავე და მეწვრილმანე ხშირად აწყობს კონფლიქტებს. წვრილმანებში ეგოისტს უნარი შესწავს უანგაროდ ემსახუროს დიდ საქმეებს. გონებაშეზღუდული არავის ენდობა.

ვეფხვი მუდამ წინ მიიწევს, სძაგს არსებული ხელისუფლება, იერარქია და კონსერვატული გონება. პარადოქსულია, მაგრამ მას შეუძლია უკან დაიხიოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, იმ მომენტშიაც კი, როცა მისი მიღება უკვე დაგვიანებულია. ვეფხვი შეიძლება იყო მხედართმთავარი, ანდა წარმოების ხელმძღვანელი, შეუძლია გახდეს საშიში დამნაშავეც. მას ყოველგვარი მოღვაწეობა იტაცებს, თუ იგი რისკთანაა დაკავშირებული.

იგივე ითქმის ქალ-ვეფხვებზე, რომლებიც მუდამ პირველები აცხადებენ ომს ჩვეულებრივ რაიმე უფლების მოსაპოვებლად. ვეფხვი არასოდეს ავლენს დიდ დაინტერესებას ფულით, მაგრამ ქონების დაგროვების უნარი აქვს.

ვეფხვი ეს არის არაჩვეულებრივი მოქმედების, გამორჩეული ბედის და მოულოდნელი სიტუაციების ადამიანი. იგია მებრძოლი, მგრძნობიარე, ემოციური, რომელსაც ღრმად აზროვნების და ძლიერი სიყვარულის უნარი აქვს. მაგრამ შემდგომში დიდი ვნებების მქონე, იშვიათად არის ბედნიერი სიყვარულში. ქალ-ვეფხვს უამრავი თავგადასავალი ეადახდება თავს, რაც ხშირად შეიძლება ცუდადაც დამთავრდეს.

ვეფხვს შეუძლია თავისი ცხოვრება დაუკავშიროს პატიოსან ცხენს, დრაკონს, რომლებიც მას ძალასა და სიფრთხილეს ჰმატებენ. ასევე ძაღლს, მუდამ გვერდით რომ უდგას. დიადი საქმეებისთვის ბრძოლის ჟამს ვეფხვი უნდა უფრთხოდეს ძალიან ჭკვიან გველს, რომელსაც მისი არა გაეგება რა, და ძალიან ცბიერ მაიმუნს. ერთი სიტყვით, ვეფხვი მუდამ ხიფათშია. სიყვარულში, მეგობრობასა და საქმეებში არ შეიძლება ენდოს მაიმუნს, არაკეთილსინდისიერსა და მოხერხებულს, ასე რომ აბრიყვებს მას. მან უარი უნდა თქვას ხართან კავშირზეც, რადგან იგი ვეფხვზე ძლიერია და დაუყოვნებლივ დაესხმის თავს გასანადგურებლად. თუ ვეფხვი და ხარი ერთ სახლში მოხვდებიან, ვეფხვმა უნდა დასტოვოს იქაურობა, თორემ მოსპობა ემუქრება (იხ. „ხარი“).

რაც შეეხება კატას, იგი ვერასოდეს შეეგუება ვეფხვს. ხალხი ამბობს: ვეფხვის გასაბრაზებლად კატა ხეზე ძვრება, სადაც მძიმე ვეფხვს ასვლა არ შეუძლიაო. ნამდვილად კი ისინი მაინც უგებენ ერთურთს, ვინაიდან ერთი გვარისანი არიან.

ვეფხვს ცხოვრების პირველი ფაზა მშვიდი ექნება და სიძნელეები არ შეხვდება, მეორე—ვნებებით სავსე და ბობოქარი. მას ყოველგვარი პრობლემის გადაწყვეტა მოუწევს: ფინანსურიც, პირადი ურთიერთობის, ცოლქმრულიც, ოჯახურიც, ერთი სიტყვით, არაფრისგან იქნება დაზღვეული. თუ ამ პრობლემებს არ მოაგვარებს, ისინი შეიძლება მესამე ფაზაში გადავიდნენ და ეს იმით დამთავრდება, რომ ვეფხვს სიმშვიდესა და ზავს მოუტანს, თუკი სიბერემდე მიატანს. მაგრამ ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, როდისაა დაბადებული ვეფხვი — ღამით თუ დღისით. ღამით და განსაკუთრებით შუაღამისას დაბადებული ვეფხვი, თავს არიდებს ყველანაირ მახეს და მისი ცხოვრება უფრო უშფოთველად წარიმართება, ვიდრე იმ ვეფხვისა, რომელიც მზის ამოსვლის შემდეგ, კერძოდ, შუადღეს არის დაბადებული. იგი იქნება მგზნებარე, უკმეხი და მრავალ ხიფათს გალევს. ყოველ შემთხვევაში, არასოდეს მოიწყენს. ვეფხვმა, სულ ერთია როდის იქნება ის დაბადებული, დღისით თუ ღამით, არასოდეს არ უნდა იფიქროს მდორე ცხოვრებაზე. თუმცა, იგი არც არის მისი მოსურნე. შემთხვევითობებით სავსე ცხოვრება მგზნებარე და მღელვარე ექნება, ხოლო რისკი უბიძგებს განუწყვეტლივ ეთამაშოს თავის ბედს.

ესაა ადამიანი განწირული, ასევე ადამიანი ილბლიანი. არავის უღიმის ბედი ისე, როგორც ვეფხვს. აზიის ქვეყნების ხალხებისათვის ვეფხვი შესანიშნავი ნიშანია და იგი ასახიერებს დედამიწის სიძლიერეს, ამასთან წარმოადგენს ადამიანური ცხოვრების დაცვის ემბლემას.

ვეფხვს შეუძლია ოჯახი ააცილოს სამ უბედურებას: ქურდობას, ცეცხლს, სიცბიერეს. მაგრამ თუ სახლში ორი ვეფხვია, ერთ-ერთი უნდა გაქრეს!

კატა (ბოცვერი)

(მშვიდი ადამიანი)

კატა მუდამ თათებით ეცემა. იგი ბედის ნებიერია. ნიჭიერია, ზომიერად პატივმოყვარე, სასიამოვნო კომპანიონია, მორიდებული, თავდაჭერილი, დახვეწილი, კეთილმოსურნე. ეს ყველამ იცის. კარგად ლაპარაკობს და საკუთარი თავის ფასი იცის, მაგრამ ღირსებებით სავსეს, ერთი პატარა ნაკლიც გაჩნია, არცთუ ნაკლებმნიშვნელოვანი: კატა ზერელე ადამიანია და მისი საუკეთესო თვისებები ასევე ზერელეა. მას უყვარს საზოგადოება და საზოგადოებასაც უყვარს იგი. ხიბლავს მაღალი წრის შეკრებები და ზოგჯერ ჰორიკნობს კიდეც, მაგრამ ამას დახვეწილად, ტაქტითა და სიფრთხილით აკეთებს.

უყვარს სტუმრების მიღება და შინ მას ყველაფერი დახვეწილი გემოვნებით აქვს გაკეთებული. ესაა მაღალი წრის ადამიანი, ზოგიერთი მას სნობად მონათლავდა. იგი პედანტურია.

ქალი-კატა თავის კულტურას წარმოაჩენს დამტკბარს. ზოგიერთი საგნის ღრმად შესწავლას ცდილობს მხოლოდ ერთი მიზნით — გაიბრწყინოს მაშინ, როცა უფრო მნიშვნელოვან საგნებზე მას არავითარი წარმოდგენა არ გააჩნია.

კატა არასოდეს კარგავს წონასწორობას. იგი მშვიდია, არაფერი აშფოთებს. მასში სანტიმენტალობა უფრო სჭარბობს, ვიდრე ნამდვილი მგრძნობიარობა, სულ პატარა პირადი წყენა უფრო მეტად გაანაწყენებს მას, ვიდრე სხვა ადამიანთა დიდი უბედურებები. ომი და შიმშილობა მსოფლიოში მას იმ შემთხვევაში შეძრავს, თუკი ამის გამო პირადად იგი დაზარალდება, მაგრამ იტანჯება ისე ძლიერ, რომ შეიძლება ვერც აიტანოს და მოკვდეს. მას უმნიშვნელო მიზეზის გამო შეუძლია ტირილი, მაგრამ ადვილად მშვიდდება. ამ ნიშნის ქალთა მელანქოლია — ერთ-ერთი მთავარი იარაღია ხიბლისა.

კატა კონსერვატორია. სძაგს ყველაფერი, რაც მას ცხოვრებას შეურყევს; ყველაფერი, რასაც შეუძლია გართულებების გამოწვევა. ყველაზე მეტად ისწრაფვის კომფორტისა და უსაფრთხობისაკენ. ნაბიჯს არ გადადგამს ისე, თუ არ აწონ-

დაწონა ყველაფერი წინასწარ. მისი სიფრთხილე აღაფრთოვანებს ადამიანებს და ენდობიან კიდეც მას.

ფინანსურ ურთიერთობებში მუდამ ბედნიერია. ეხერხება საქმეების მოგვარება და კონტრაქტებს არ გაურბის. იგი გაქნილი სპეკულანტია და ნიჭი აქვს შესაფერისი შემთხვევებიც გამონახოს. მოკლედ, მშვიდი კატა საშიშია როგორც საქმოსანი კაცი. იგი წარმატებას მიაღწევს ვაჭრობაში. უზადო გემოვნების მქონეს, შეუძლია იყოს ანტიკვარული მაღაზიის მფლობელი. ხელეწიფება იურისტობაც (ადვოკატობა, ნოტარიუსობა) და დიპლომატობაც, მხოლოდ ერთი პირობით, რომ მისი ცხოვრება რისკით სავსე არ იქნება.

ამ ნიშნის ქალს შეუძლია ყოველგვარ საქმიანობაში იყოს გამორჩეული, რასაც კი გემოვნება, სტუმართმოყვარეობა და კარგი წარმომადგენლობა სჭირდება. პოლიტიკის კაცმა ცოლად კატის ნიშნით დაბადებული ქალი უნდა შეარჩიოს, რომელიც ერთდროულად მაღალი წრისაც იქნება და მორიდებულიც.

ალერსიანი და დაუზარელია მათ მიმართ, ვინც უყვარს. კატა ადვილად ტოვებს თავის ახლობლებს მეგობრის გამო. მას არ გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა ოჯახის მიმართ და ხშირად მშობლებსა და შვილებს ისე ექცევა, როგორც უცხო ადამიანებს, მათ თავს ურჩევნია მეგობრები, რომელთაც თვითონ ირჩევს. დედისეული ინსტინქტი ამ ნიშანს ძალზე შეზღუდული აქვს, მაგრამ დედები მუდამ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს.

კატა კარგად ეგუება თხას, და მასში აფასებს არტისტულ გემოვნებას, რაც მას საკუთარ კომფორტს შეუქმნის, ხოლო მისი კაპრიზები ვერას დააკლებს. ყველაფერი კარგად წარიმართება. ძაღლთან და სკრუპულოზურ ღორთან. მაგრამ მამალს გამოჰყავს იგი წყობილებიდან თავისი ყოყლოჩინობით. ცირთხას კი უნდა გაურბოდეს, როგორც შავ ჭირს.

ვეფხვთან სიყვარულსა თუ საქმეში დაძაბული დამოკიდებულება ექნება კატას, რომელიც ჩამორჩება მას სიძლიერეში, მუდამ ექნება იმის შესაძლებლობა, რომ გააკეთოს პირუეტი და გამოვიდეს თამაშიდან — ისინი ერთი და იგივე ჯაშუსს ჰრიან და კატას არ ეშინია ვეფხვისა (იხ. „ვეფხვი“).

კატას მშვიდი ცხოვრება ექნება თავისი სიცოცხლის სამ

ფაზაში, მაგრამ ერთი პირობით: თუ მას არ შეხვდება განსაკუთრებული სიტუაციები, დრამატული შემთხვევები, გადაულახავი წინაღობები, ომები, რევოლუციები, კატასტროფები, — ეს მისი საქმე არ გახლავთ, რადგან არ უყვარს მოწინააღმდეგის როლში გამოსვლა. თუ იგი წინააღმდეგობას ვერ გიწევთ, შეიძლება ჭკუიდან შეიშალოს, თავის მოკვლა გადაწყვიტოს ანდა დატოვოს სამშობლო.

აზიური ქვეყნების ხალხები ეჭვის თვალით უყურებენ კატას. ამბობენ, რომ ჯადოქრები კატებად იქცევიან. ევროპაში მათ ცოცხლად წვავდნენ, რადგან ადანაშაულებდნენ გრძნეულებთან შეთქმულებაში. ეგვიპტელები, მაგალითად, კატას ისე ეთაყვანებოდნენ, როგორც ღმერთს. ღმერთი, ჯადოქარი თუ ადამიანი, მის წარმოდგენებში რაღაც მისტიკურია. კატის მოჩვენებითი სისუსტე შეიძლება საშიშ ძალაში გადაიზარდოს!

დრაკონი

(„რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის")

დრაკონი ძალზე ჯანმრთელია, მოჭარბებული აქვს სიცოცხლისეული ძალები, აქტიურობა. გულღია და სპეტაკია, ვითარცა ოქრო, მას არ შეუძლია წვრილმანებზე ფიქრი, ფარისევლობა, ავყიალობა, არ გააჩნია სულ მცირედი დიპლომატიის უნარიც კი. მართალია, იგი გულუბრყვილო არ გახლავთ, როგორც კეთილი ღორი, მაგრამ მიმნდობია და ყოველთვის შეიძლება მოტყუება. დრაკონი მგრძნობიარეა. ხშირად არაფრის გამო ბობოქრობს. იგი ისწრაფვის სრულყოფილობისაკენ და ამიტომ საკუთარი თავისადმიც მომთხოვნია და სხვების მიმართაც. იგი სკრუპულოზურია. ბევრს თხოულობს, მაგრამ უფრო მეტს გასცემს.

ადვილად ღიზიანდება. დრაკონი ენაგრძელია და სიტყვები უსწრებს გონებას. ამასთან გასათვალისწინებელია მისი აზრებიც, კარგად იქნება ნათქვამი თუ ცუდად, ვინაიდან იგი კარგ რჩევებს იძლევა.

დაუოკებელ ენთუზიასტს ადვილად შეუძლია გატაცება. იგი

ამაყია, მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანი, ინტელიგენტური, ნებისყოფიანი, ამტანი და დიდსულოვანია. მის რჩევას ყურს უგდებენ. გავლენაც არ აკლია.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დრაკონი ყველაფრით უზრუნველყოფილი იქნება. შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს ნებისმიერ საქმეში. მსახიობის კარიერას აირჩევს იგი თუ მღვდლისას, მებრძოლის, ექიმის თუ პოლიტიკოსისას, მუდამ გამორჩეული იქნება. თუ მოუწია, თავს შესწირავს საქმეებს და ყოველთვის მიაღწევს მიზანს. საუბედუროდ, მას ასეთივე წარმატებით შეუძლია ცუდ საქმეში გახვევაც. მაგრამ იგი მაინც მუდამ გამარჯვებულია!

დრაკონს ხშირად იყვარებენ, მაგრამ თვითონ იშვიათად შეუყვარდება ვინმე. იგი არასოდეს იქნება სიყვარულში ხელმოცარული ანდა ტანჯული. ამასთან, შეიძლება დრაკონი ზოგჯერ დრამისა და მწუხარების მიზეზი გახდეს. ამ ნიშნის ქალები დიდ წარმატებებს აღწევენ და მათ ხშირად სთხოვენ ხელსა და გულს.

დრაკონი იშვიათად ქორწინდება ჭაბუკობაში, ზოგიერთი ბერბიჭადაც რჩება. მას მიდრეკილება აქვს მარტო ცხოვრებისაკენ. მარტოობაში იგი უფრო ბედნიერად გრძნობს თავს.

მას შეუძლია თავისი ცხოვრება დაუკავშიროს ვირთხას. რადგან შეყვარებული ვირთხა ყველაფერს იტანს, ამასთან გულგრილობასაც. ვირთხა ყველაფერს გამოიყენებს, რასაც დრაკონი მოუტანს და თავის მხრივ დაეხმარება მას თავისი კრიტიკული ჭკუითა და ფულისადმი სიყვარულით. იგივე შეიძლება ითქვას გველის მიმართაც. ყოყლოჩინა მამალს შეუძლია საერთო ენა გამონახოს დრაკონთან. სიამოვნებით მიითვისებს მისი წარმატების ნარჩენებს როგორც სიყვარულში, ასევე საქმეშიც. მაიმუნი ავსებს მას, ამდიდრებს თავისი ცბიერებით, დრაკონი კი თავისი ძლიერებით. მათ აუცილებლად სჭირდებათ ერთმანეთი, მაგრამ ამას მხოლოდ მაიმუნი შეიცნობს. დრაკონი კი ფრთხილად უნდა იყოს. ყველა ნიშნიდან მხოლოდ მაიმუნს შეუძლია დასცინოს მას, რადგან მისი იუმორი ხშირად არბილებს დრაკონის სიამაყეს.

მამაკაც-დრაკონს მუდამ იტაცებს სილამაზე ქალ-გველისა,

რითაც იგი ამაყობს კიდეც. კავშირი ვეფხვთან სიმშვიდეს ვერ მოუტანს. მაგრამ ყველაზე მეტად დრაკონმა თავი უხდა ააიდოს მოუსვენარ ძაღლს — პესიმისტსა და რეალისტს, რომელიც არ ენდობა მას.

ცხოვრების პირველ ფაზაში დრაკონს ცოტაოდენი სიძნელეები ხვდება, ვინაიდან ბევრს ითხოვს ახლობლებისგან. მისი არტისტული ტემპერამენტი მრავალი პრობლემის მიზეზია ცხოვრების მეორე ფაზაში.

ირგვლივ მყოფთა შორის ერთი თავით მაღლა მდგომ დრაკონს ხშირად ექნება გაუგებრობის გრძნობა. სინამდვილეში კი მისით აღფრთოვანებულებიც იქნებიან და დაუჯერებენ კიდეც. რაც უფრო წაღველი შემოაწვება, მით უფრო დიდ წარმატებას მიაღწევს. იგი მძიმე ხასიათისაა და ეწამება დაუკმაყოფილებლობის გამო, მაგრამ ბედნიერი იქნება თავისი ცხოვრების ბოლო ფაზაში, რომელიც მას ყველაფერს მოუტანს, რასაც კი ისურვებს. ესაა წარმატების ნიშანი, ნიშანი ზეციური ძლიერების და ყველაზე კეთილშობილური ასტროლოგიური მოქმედების. იგი სიმბოლოა ცხოვრებისა და მისი განვითარების. დრაკონს მოაქვს სიმდიდრე, სიკეთე, ჰარმონია და ხანგრძლივი სიცოცხლე.

მაგრამ მვდალს მეორე მხარეც აქვს და თუ შეიქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ დრაკონს ილბალი მუდამ თან სდევს, ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ილუზიაა. დრაკონი განუწყვეტლივ ბრწყინავს, მაგრამ ეს ბრწყინვალება ისეთი სიკაშკაშის არ გახლავთ, რომ ვინმე დააბრმავოს. მისი ძლიერი პიროვნება მხოლოდ მოჩვენებითობაა და არ არის რეალური — ესაა საპარადოდ გამზადებული პირუტყვი, საკარნავალო ფიგურის ტიპი, უდრტვინველი და ძლიერი.

თავისი სურვილის შესაბამისად გადმოანთხევს ცვცხლს, ოქროსა და წყალს, მაგრამ მას ზეიმის შემდეგ შეჭამენ და ვითარცა ფენიქსი, ხელმეორედ აღდგება ფერფლისგან შემდგომი ზეიმისათვის. იგი ქიმერული ცხოველია.

გველი

(სიბრძნე)

თუ გველი ქრისტიანულ სამყაროში ცუდი რეპუტაციით სარგებლობს, აზიის ქვეყნებში იგი, პირიქით, პატივისცემას იმსახურებს თავისი სიბრძნის, გამჭრიახობისა და ნებისყოფის წყალობით. მამაკაცი-გველი სანტიმენტალური და სასიამოვნო პიროვნებაა, იუმორის გრძნობაც გააჩნია. ქალი-გველი ლამაზია და თავისი სილამაზის წყალობით ხშირად სარგებლობს წარმატებებით. იაპონიაში, როდესაც სურთ ქალი კომპლიმენტით დააჯილდოონ, ჩვეულებრივ ეტყვიან „ჩემო ძვირფასო, თქვენ ნამდვილი გველი ხართ". ეს კომპლიმენტი რამდენადმე სხვაგვარად გაიგებოდა დასავლეთის ქვეყნებში.

გველი იცვამს ძალზე დახვეწილად და რამდენადმე იჩხიზად. ცოტათი დენდია. ქალს აქვს მანია დახვეწილი აქსესუარისადმი. არ არის ყბედი და ღრმად აზროვნებს. ინტელექტუალი და ფილოსოფოსია, თუმცა იგი ბრძენია, მაგრამ შეეძლო მის გარეშეც ყოფილიყო, ვინაიდან შესანიშნავი ინტუიცია აქვს. თუ განათლებულია, მისი ინტუიცია შეიძლება წინასწარმეტყველურიც იყოს. გველი უფრო ერწმუნება შთაბეჭდილებებს, შეგრძნებებსა და სიმპათიებს, ვიდრე ფაქტებს, საკუთარ თუ სხვათა გამოცდილებას, მსჯელობებსა და რჩევებს. თითქოს მას მეექვსე გრძნობაც დაჰყვება.

იგი ძალზე მტკიცედ აბოლოებს წამოწყებულ საქმეს. სძულს ჩავარდნები და თუმცა თავისი ბუნებით მშვიდია, გადაწყვეტილებებს სწრაფად იღებს. ოღონდ დასახულ მიზანს მიაღწიოს და დედამიწას გადააბრუნებს. ცუდი მოთამაშეა.

გველს არ უყვარს გავალება, მაგრამ ზოგჯერ, სიმპათიის გამო, შეუძლია დახმარების ხელიც გამოგიწოდოთ. ოღონდ ფულს ნუ გააღებინებთ და სანაცვლოდ სამსახურს შემოგთავაზებთ. სამწუხაროა, მაგრამ იგი ხშირად ვარდება უკიდურესობაში და თავისი კეთილი ნება — დაეხმაროს სხვებს, მთლიანად იპყრობს მას. გველისათვის დამახასიათებელია ამბის გაბერვის ტენდენცია და თუ ვინმეს დახმარება გაუწია, დაიმორცხვებს, მერე ყელზე შემოეხვევა მევალეს და დააღრჩობს კი-

დეც. ამიტომ, ჯერ იფიქრეთ, ვიდრე დახმარებისთვის გველს ეხმობთ. შეიძლება ინანოთ ამის გამო.

რაც შეეხება ფულს, გველს ბედი სწყალობს. ამაზე არც წუხს ხოლმე. რადგან როცა დასჭირდება, ყოველთვის შოულობს. მან ეს იცის, უფრო კი გრძნობს იმდენად, რომ არც შფოთავს ამის გამო. სიბერეში შეიძლება გაძუნწდეს.

ოღონდ რისკთან ნუ იქნება დაკავშირებული და გველს ნებისმიერი სამუშაოს შესრულება შეუძლია, თუნდაც სამეშაო თავზე საყრელი იყოს. მიუხედავად ამისა, გველი მაინც ზარმაცია...

სიყვარულში იგი თვითონვე ირჩევს პარტნიორს. მოუთმენელი და ეჭვიანია, მაშინაც კი, როცა აღარ უყვარს. ნებისმიერ შემთხვევაში თავს არ ანებებს და ირგვლივ ერტყმის, არ აძლევს თავისუფლად მოძრაობის საშუალებას, ხშირად სულ უბრალო ეჭვისა და თავქარიანობის გამო, განსაკუთრებით ეხება ეს მამაკაც-გველებს.

მამაკაცი თუ ქალი გველი ისწრაფვის უქორწინო კავშირისაკენ. ეს ართულებს მის ცხოვრებას. სასურველია, რომ იგი იბრძოდეს ამ ტენდენციის წინააღმდეგ. თუკი შეძლებს და თავის საუკეთესო გრძნობებს ოჯახს მიუძღვნის, მისი ცხოვრება ჰარმონიულად და უდარდელად წარიმართება. ეს მტკივნეული ადგილია. გველი ხშირად ცდილობს შებოჭოს თავისი პარტნიორი ამა თუ იმ საშუალებით, და კერძოდ, დიდი ოჯახით.

გველი ბედნიერი იქნება ხართან, რომელიც სიამოვნებით რთავს უფლებას გველს ხელთ იგდოს იგი, მაგრამ ერთი პირობით, რომ მან მთავარი როლი უნდა შეასრულოს, გველიც სიამოვნებით უთმობს.

გველის ბრძოლა მამლის წინააღმდეგ, თუ ისინი მეუღლეები არიან, მეგობრობენ ან საერთო საქმე აკავშირებთ, კეთილ გავლენას ახდენს ორივეზე, რათა გამოსწორდეს ნაკლოვანებები. საცოდავია ღორი, როცა იგი, ასე ვთქვათ, გველს ჩაუვარდება ხელში. იგი პარალიზებული და მახეშია გაბმული. გველი არას დაიშურებს, რომ გამოშიგნოს ღორი, რადგან იცის, რომ ამისათვის არავინ დასჯის. ცხოვრებაში

გველმა ახლოს არ უნდა გაიკაროს ვეფხვი, რადგან იგი გა-
სადგურებას უქადის.

გველის ცხოვრების პირველი ფაზები შედარებით მშვი-
დია. ყურადღება უნდა გამახვილდეს უკანასკნელ ფაზაზე:
სწორედ ამ მომენტში მისმა სანტიმენტალურმა და ვნებიანმა
ხასიათმა, მიდრეკილებამ თავგადასავლებისაკენ შეიძლება
ცუდი სამსახური გაუწიოს, მაშინაც კი, როდესაც შეეძლო
მშვიდი სიბერე ჰქონოდა. ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს
იმისდა მიხედვით, გველი ზაფხულში დაიბადა თუ ზამთარ-
ში, ღამით თუ დღისით, როგორ ამინდში. მას მხოლოდ სით-
ბო უხდება. გაურბის სიცივეს, გრიგალს, უამინდობას. მოკ-
ლედ, იგი გაცილებით ბედნიერი იქნებოდა, რომ დაბადებუ-
ლიყო ცხელ ტროპიკულ ქვეყანაში, ცხელ დღეს და არა ცივი
დეკემბრის ღამეში. ქარიშხლიან დღეს დაბადებულ გველს
მთელი ცხოვრება ხიფათით სავსე ექნება.

ცხენი

(პატიოსანი ადამიანი)

ცხენი წარმოსადეგია, მას კარგი ნაკვთები აქვს, ეხერხება
კარგად ჩაცმა. უყვარს სანახაობები, თეატრი, კონცერტები,
შეკრებები, სპორტული შეჯიბრებები, ერთი სიტყვით, ყვე-
ლაფერი, რაც ხალხთან არის დაკავშირებული. ხშირად მის-
დევს სპორტის ამა თუ იმ სახეობას და საკმაო წარმატები-
თაც. შნო აქვს კომპლიმენტის თქმისა, მხიარულია, მოლაქ-
ლაქე, სიმპათიური და პოპულარულიც კი.

ცხენს შეუძლია წარმატება მოიპოვოს პოლიტიკაში, რაც
მას დიდ სიამოვნებას მოჰგვრის. უყვარს და შეუძლია კიდეც
მართოს ხალხის მასა. მისი გონება სწრაფად აღიქვამს სხვა-
თა აზრებს ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ისინი ამის გამოთქმას
მოასწრებენ. მიუხედავად ამისა, ცხენს უნარი აქვს არა მარ-
ტო გონებრივი, არამედ ფიზიკური შრომისაც. უფრო მოხერ-
ხებულია, ვიდრე ინტელიგენტური, სინამდვილეში (და მან ეს
კარგად იცის) იგი არ არის დარწმუნებული თავის თავში. და
მაინც მუდამ დამაჯერებლად უჭირავს თავი.

ცხენს ცხელი სისხლი აქვს (აქედან გამოთქმა „ცხენისებური ციებ-ცხელება"), ადვილად გამოდის მოთმინებიდან და ამიტომ ხშირად კარგავს მიღწეულს თავისი ცნობილი გაცხარებით. ის, ვინც თუნდაც ერთხელ ყოფილა მისი გააფთრების მოწმე, არასოდეს იწამებს მისას, რადგან ეს გააფთრება რაღაც თავაწყვეტილია. წარმატებას რომ ბრძოლიოს, მან უნდა დათრგუნოს იგი.

ცხენი ეგოისტია. იგი გათელავს, ვინც გზას გადაუღობავს და სინდისის ქენჯნასაც არ იგრძნობს ამის გამო, რადგან ძალზე დიდი პატივმოყვარეა. იგი ეგოცენტრულია და უმეტესწილ დაინტერესებულია მხოლოდ საკუთარი პრობლემებით, მაშინაც კი, როცა სხვის საქმეში უხდება ჩარევა. ძალზე დამოუკიდებელი ბუნებისაა, ყურს არ უგდებს დარიგებებს და ისე იქცევა, როგორც მოეგუნებება. კარგი იქნებოდა, თუ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დატოვებდა ოჯახს და იცხოვრებდა თავისი ცხოვრებით. თუმცა, ამასაც სიამოვნებით გააკეთებს, რადგან მას სულს უხუთავს ოჯახური კერა.

როდესაც საკუთარ ოჯახს შექმნის, მისი ცხოვრება სასურველ მიმართულებას მიიღებს. იგი იქნება ცენტრალური ფიგურა, რაც ასე სიამოვნებს მას. ყველაფერი მისი მდგომარეობის, მისი პრობლემების, პერანგებისა და შარვლის ნაოჭების უთოობის გარშემო იტრიალებს. უნდა ითქვას, რომ ასეთი დამოკიდებულება გამართლებული იქნება ოჯახში მისი როგორც ოჯახის მფარველის ყოფნის ფაქტით. თუ იგი გაქრა, ყოველგვარი ოჯახური სიკეთე ხუხულასავით ინგრევა.

თუმცა იგი ეგოისტია და მხოლოდ საკუთარი თავისათვის, პირადი სიამოვნებისა და წარმატებისთვის მუშაობს, მაგრამ ამ მუშაობის ნაყოფს ყველა იმკის. ცხენი ინდივიდუალისტი და მშრომელია, მოხერხებულად იყენებს ფულს და კარგი ფინანსისტიც გახლავთ. საუბედუროდ, თავისი ცვალებადი ხასიათის წყალობით იგი ადვილად იღლება, რადგან ყველანაირი საქმის წამომწყებია: სამსახურშიც, საქმიანობაშიც და სიყვარულშიც. მოგვიანებით კვლავ წარმატებითა და ძველებური გაქანებით უბრუნდება ამ საქმეს. შეუძლია ჰქონდეს ნებისმიერი სპეციალობა, რომელსაც არ სჭირდება მარტოობა და განსვენება. მას მუდამ აქვს მოთხოვნილება, იტრი-

ალოს ხალხის წრეში, იყოს პატივცემული და ისმენდეს მისი მისამართით ნათქვამ ქებას.

საპირისპირო სქესისადმი ცხენი სისუსტეს იჩენს. სიყვარულის გამო შეუძლია ყველაფერი მიატოვოს. შეყვარებული ცხენის ვნება იმდენად დიდია, რომ შეიძლება ყველაფრის მიმართ გულგრილი გახდეს. ამიტომაც ხშირად ითმენს ხელმოცარვას მიუხედავად იმისა, რომ უცილობელი თვისებები აქვს. თუკი მოახერხებს დათრგუნოს ეს სისუსტე და გონებას ვნებებზე მაღლა დააყენებს, იგი შეძლებს იყოს ბედნიერი და ჰქონდეს წარმატებები.

ცხენს შეუძლია დაუკავშიროს თავისი ცხოვრება თხას. ისინი თანამონაწილენი იქნებიან და ერთად გაივლიან უფსკრულის პირას — თხის ქინიანი და ცვალებადი ხასიათი დათრგუნავს ცხენის ეგოიზმს. სხვადასხვა მიზეზთა გამო კარგი კავშირი შეუძლია ვეფხვთან და ძაღლთან. ეს უკანასკნელი, დაბრმავებული უდიდეს პრობლემათა, თუ გრანდიოზული პერსპექტივების გადაწყვეტით, არავითარ ყურადღებას არ აქცევს ცხენის ცვალებად გრძნობებს. მას შეუძლია იცხოვროს თავისი ცხოვრებით. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუკავშიროს თავისი ბედი ვირთხას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ცხენი ქალია და მით უმეტეს, თუ იგი ცეცხლოვანი ცხენია. ამ შეშლილთა კავშირი შეიძლება დრამამდე მივიდეს.

ცხენის ცხოვრების პირველი და მეორე ფაზები სიმშვიდეს იქნება მოკლებული. ახალგაზრდობაში შეიძლება ოჯახიც მიატოვოს, რასაც უსიამოვნებები მოყვება. გრძნობათა სფეროც ბობოქარი აქვს. ცხოვრების მესამე ფაზა მშვიდობიანი ექნება. არ შეიძლება ცხენზე ლაპარაკი, თუ არ ვიტყვით ცეცხლოვანი ცხენის წლებზე, რომლებიც 60 წელიწადში ერთხელ (1906, 1966, 2026 წწ.) მოდის. ამ ადამიანებმა ნებისმიერი კეთილშობილური ზეგავლენა შეიძლება გამხრწნელად გადააქციონ. ცეცხლოვანი ცხენის წლები არასასურველია ყველა სახის ცხენისა და მათი ოჯახებისთვის. ამ წლის უბედურებები, სნეულებები, კატასტროფები ცხენთა ოჯახების ხვედრია.

ცეცხლოვანი ცხენის წელს დაბადებული მამაკაცები და

ქალები იმავე ხასიათებით გამოირჩევიან, როგორც ჩვეულებრივი ცხენები. მაგრამ ეს ხასიათები არსებითად ძლიერდება როგორც კარგი, ასევე ცუდის მხრივ. ერთდროულად ძალიან მშრომელი, ძალიან მოხერხებული და ძლიერ ნიჭიერი, სამწუხაროდ, შეპყრობილი იქნება აგრეთვე ეგოიზმით და ეს ვნებააშლილი ტემპერამენტი უბიძგებს მას ნებისმიერი უკიდურესობისაკენ, თუკი შეყვარებულია. ზოგიერთს იგი უფრო ოჯახისთვის საჭიროდ მიაჩნია, მაგრამ ხალხური ცრურწმენით, ცეცხლოვანი ცხენი ართულებს ცხოვრებას იმ სახლში, სადაც იგი დაიბადა და იმ ოჯახში, რომელსაც იგი შექმნის.

მისი ცხოვრება უფრო გამორჩეული, მოულოდნელობებით სავსეა, ვიდრე ცხოვრება ჩვეულებრივი ცხენისა. მას აქვს შესაძლებლობა იყოს გამოჩენილი და არა აქვს მნიშვნელობა რაში გამოიხატება იგი — ბოროტებაში თუ სიკეთეში.

თხა (ცხვარი)

(ვირეული)

ელეგანტურ, არტისტულ, ბუნებაზე შეყვარებულ თხას შეუძლია გახდეს ყველაზე მომხიბვლელი ნიშანთაგანი, თუ არ იქნება ასევე პესიმისტური, მოუსვენარი, აბეზარი, მუდამ ორპოფული და ბედის უკმაყოფილო. მას თავისი ჭირვეულობით სასოწარკვეთილებამდე მიყავს ყველა. იგი დამპყრობია, თუმცა თვითონ ამას არ ცნობს. უდისციპლინობა, სისტემატური დაგვიანებები, რაკი არ გააჩნია დროის შეგრძნება, აუტანელს ხდის მას, თუმცა ამასთან უნარი შესწევს მოხიბლოს სხვები, თუკი ეს მისი ინტერესებიდან გამომდინარეობს, გამოიყენოს ისინი და იცხოვროს მათ ხარჯზე. მიუხედავად ამისა, არ არის დამოუკიდებელი, თუმცა ადვილად ეგუება ცხოვრების ყოველგვარ წესს იმ მომენტიდან, როცა მას ააცილებენ სულ მცირე ხიფათსაც კი.

მოკრძალებულს, ქალურად ნაზს, ზოგჯერ გასათუთე-

ბულს, უყვარს წუწუნი. მოსწონს, როცა მასზე ლაპარაკობენ, მართავენ, რჩევას აძლევენ, მხარს უბამენ მის გამუდმებულ ყოყმანს, ფანდებს და ჩივილს. მან არასოდეს არ იცის, რა მიმართულება უნდა აირჩიოს და მუდამ სხვებზეა დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, რომ იგი უშფოთველი პესიმიზმის მატარებელია.

თხის მანერები ბრძნული და ნაზია, მაგრამ ჭირვეული ხასიათი აქვს. ხშირად რელიგიურია. ამასთან გატაცებულია ყოველივე ფანტასტიკურითა და ზებუნებრივით, ოკულტიზმით, ჰოროსკოპებით. თხა კეთილი და საყვარელია. მას მიდრეკილება აქვს ქველმოქმედებისადმი. სიამოვნებით უწილადებს ყოველივეს სხვებს, უფრო უბედურთ, ვიდრე თვითონაა. სამწუხაროდ, ყველაფერი ის, რასაც იგი გაიღებს, მას როდი ეკუთვნის. უნდა ითქვას, რომ თხას საკუთრების არავითარი გრძნობა არ გააჩნია. ხალხური სიბრძნე ღაღადებს, რომ ის თხა, რომელიც კარგ მდელოზე ძოვს, უფრო მშვიდი და დამჯერია, ვიდრე ცუდ მდელოზე მძოვი. ასეთი განუწყვეტლივ წუწუნებს და კიკინებს. მისი ცხოვრება თვით მასზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ სხვებზე, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ვიღაცის ნება-სურვილზე. რაც არ უნდა მოხდეს, მას არასოდეს მიუძღვის ბრალი ამაში.

მაგრამ თხის არაკეთილსინდისიერებამ შეიძლება დაბნეულობა გამოიწვიოს. მას არავითარი პასუხისმგებლობის გრძნობა არ გააჩნია, არავითარი ინიციატივა, არც ნებისყოფა. არ შეუძლია ხელმძღვანელობა, რადგან იგი შექმნილია მორჩილებისთვის და კარგი ზეგავლენით წარმატებასაც მიაღწევს. გამორჩეულიც იქნება ხელოვნების რომელიმე დარგში. გემოვნებითა და ნიჭით დაჯილდოებული, შეიძლება კარგი სპეციალისტიც იყოს, წარმატებითაც შეასრულოს სამუშაო, რომელიც ამავე დროს შეთანაწყობილია ტექნიკურ და არტისტულ ხელოვნებასთან. თხა ჭკვიანია, მაგრამ იგი ვერასოდეს ითამაშებს მთავარ როლს და ეს მისთვის უკეთესიც არის. მისი არსება საესეა ფანტაზიებით და ამიტომ მტკიცე ხელი სჭირდება.

იგი ქალის ნიშანია. ჩვენმა აღზრდამ და ტრადიციებმა მიგვაჩვიეს, ადვილად ვაპატიოთ ქალს დამოუკიდებლობა.

თხას სურს იცხოვროს მშვიდად და ოცნებობს ისეთ შეუღლებაზე, რომელიც სიმდიდრეს მოუტანს, ანდა გამოსადეგ მეგობარსა და მეცენატზე. შეუძლია იცხოვროს აგრეთვე მდიდარი მშობლების ხარჯზე. იგი იმ მასალიდან არის შექმნილი, რისგანაც შემდგომ კურტიზანები, სუტენერები და აგრეთვე უდიდესი მსახიობები და მწერლები გამოდიან. ყველაფერი დამოკიდებულია წარმატებაზე, გავლენაზე, „მინდორში ბალახის ხარისხზე...“

უკეთესია, თუ თხა კომერციას თავს აარიდებს. იგი საცოდავი გამყიდველია. მისი სიტყვა ზოგჯერ უთავბოლოა. თავის აზრებს მძიმედ გამოთქვამს, ხან ძალიან სწრაფად ლაპარაკობს, ხან კი ძლიერ ნელა, მოჩლექით.

დაე, ნუ წავა საომრად — იგი ვერასოდეს გაიმარჯვებს, არც მეთაურად ივარგებს და არც ჯარისკაცად. თუ ბედი ცუდად მოუტრიალდება, თხამ შეიძლება ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულოს. მისთვის არ არსებობს სერიოზული პრობლემები იქ, სადაც სიტყვა ეხება ჩაცმულობას, სუფრას, კომფორტს, ვინაიდან დიდი ნიჭი აქვს იმ კარს მიადგეს, რომელიც სჭირდება. თუ თქვენ კეთილმოწყობილი სახლი გაქვთ ქალაქგარეთ და მუდამ სავსე მსახიობებით, შეეცადეთ არ შეუშვათ თხა და არც იმის წება მისცეთ, რომ მოეწყოს იქ. თქვენ რისკს გასწევთ, რადგან ვერასოდეს დაიხსნით თავს მისგან. კომფორტი აუცილებელია მისი გაწონასწორებულობისათვის, მსახიობთა ნახვა კი მისი გაფურჩქვნისათვის. სოფელი — „მას ძლიერ უყვარს“. თხას ხშირად ექნება შეხლა-შემოხლა სასიყვარულო პრობლემებთან, მისი ცხოვრებაც მღელვარედ წარიმართება.

თუ თხა თავის ცხოვრებას დაუკავშირებს კატას, ღორს ანდა ცხენს, მაშინ ყველაფერი კარგად წარიმართება. მათ შეუძლიათ იგი უზრუნველყონ მყუდროებით. მისი ჭირვეულობა გაართობს კატას, ღორიც ასევე ეგუება მათ (განსაზღვრულ ვითარებამდე), ისინი მყუდროებას არ ურღვევენ ეგოისტ ცხენს.

არც ერთ სხვა ნიშანს არ შეუძლია გაუძლოს თხას ძალიან დიდხანს. განსაკუთრებით ხარს, თუ ხარი უზრუნველყოფს

სიმშვიდეს თავის ოჯახში, იგი სამაგიეროდ ბევრსაც ითხოვს, თხა კი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. რაც შეეხება თხისა და ძაღლის წყვილს, მათი სიყვარულიცა და სამუშაოც განწირულია დასაღუპად. ეს ორი პესიმისტი მთელი ცხოვრება რკინის საყელურით იქნებოდნენ შებოჭილები, უკმაყოფილონი ერთმანეთისა. ყოველ შემთხვევაში, რომელი ნიშნისაც არ უნდა იყოს მისი პარტნიორი, თხას არასოდეს ეყოლება იგი „ქუსლის ქვეშ".

თხის ცხოვრების მეორე ფაზა მის გრძნობებს აახმიანებს, მაგრამ ილბლიანი იქნება შემდგომ ორში. საჭიროა იმის დახსომება, რომ კარგ მდელოზე, მატერიალური საზრუნავის გარეშე და მრჩეველთა შორის, თხას შეუძლია წარმატების მიღწევა.

მაიმუნი

(ცბიერება)

მას ყველაზე ახირებული ხასიათი აქვს ზოდიაქოს ყველა ნიშანს შორის. მაიმუნი ხშირად არის საზოგადოების სული და გული, მას ახასიათებს იუმორი, მაგრამ მუდამ მზაკვრული და ცბიერია. იგი გულგახსნილია და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს თანხმობაშია ყველა ნიშანთან. მაგრამ ეს თანხმობა მაცდუნებელია. მაიმუნი ძალზე ანგარებიანია. გიჟმაჟი, თავაზიანი და დაუზარელიც კი, თავის უგვანო აზრს სხვების შესახებ მოჩვენებითი თავაზიანობით და თბილი მოპყრობით ფარავს. სინამდვილეში კი სძაგს ყველა დანარჩენი ნიშანი და თავი ყველაზე მაღლა უჭირავს. იგი პატივმოყვარეც გახლავთ.

მაიმუნი ინტელექტუალურია, ცოდნისადმი დიდი წყურვილი აქვს. ნაკითხია, იცის უამრავზე უამრავი რამ, მუდამ მსოფლიოში მომხდარი ამბების კურსშია. კარგი განათლება აქვს და შესანიშნავი მეხსიერების პატრონია, რაც საშუალებას აძლევს გაიხსენოს სულ უმნიშვნელო დეტალებიც კი ნანახი, წაკითხული თუ გაგონილი ამბებისა. თუმცა, მეხსი-

ერება მისთვის აუცილებელია, რადგან ყველაფერი ეს მოუწესრიგებელი აქვს. საოცარი გამომგონებლობის ნიჭით დაჯილდოებულს შეუძლია უმალ გადაჭრას ურთულესი პრობლემები. მაგრამ, თუ ისინი მაშინვე არ განახორციელა, დაწყებულ საქმეს მიატოვებს. მაიმუნში ჭარბობს საღი გონება და შესაშური მოხერხებულობით აბრიყვებს ადამიანებს. მას დრაკონის გამასხარავების ძალაც შესწევს, რომელიც ყველაზე ძლიერი, ამტანი და მოხერხებულია.

მაიმუნი არ ემორჩილება ვეფხვის მაგნეტიზმს და დასცინის მას. შემდეგში ძალზე დიპლომატიურ და ცბიერ მაიმუნს ყოველთვის ადვილად შეუძლია დაიძვრინოს თავი ყველაზე ძნელი სიტუაციებიდან. იგი დამოუკიდებელია, ბუნებით ინდივიდუალისტი. მას ვერაფერს მოახვევთ თავზე და ვერც ვერაფერს შეაგნებინებთ. იგი თვითონვე ირჩევს თავის ვარიანტს. არ არის ფაქიზი და არც შეყოყმანდება, თუკი საკუთარი ინტერესებისათვის უსინდისობა ანდა ტყუილი დასჭირდა, შეუძლია უბედურების ჩარხი დაატრიალოს, თუკი დარწმუნებულია, რომ არ დასჯიან. თუმცა ძნელიცაა მისი დაჭერა.

ზოგიერთი მაიმუნი ასეთ მოქნილ ჭკუას ქურდობამდე მიჰყავს, მაგრამ ისინი ყველანი ასეთები როდი არიან და არც ყველა მათგანია მატყუარა. რაც არ უნდა მოხდეს, ძალიან ნუ გაუბრაზდებით, ვინაიდან ძალა შესწევს მოგხიბლოთ და მოგაწონოთ თავი. მოკლედ, მაიმუნი — კარიერისტია. ამისათვის მას ყველა საფუძველი და შანსი აქვს. მიუხედავად მისი ამ უარყოფითი თვისებებისა (პატივმოყვარეობა, სიცრუე და უწესობა), გამჭრიახი ჭკუის გამო ყველა ნიშანი მასთან დაახლოებას ცდილობს. იგი მოხერხებულობას იჩენს დიდი გაქანების საქმის წარმოებაში, ცბიერია საფინანსო გარიგებებში, შესანიშნავი მუშაკია ყველა სფეროში, რომელიც მოსაზრებულობას და ჩახედულობას ითხოვს. მაიმუნს შეუძლია წარმატებას მიაღწიოს ნებისმიერ სარბიელზე. პოლიტიკა, დიპლომატია, კომერცია, მრეწველობა — მისთვის დიდი საიდუმლო არ გახლავთ, მას შეუძლია ყველაფერი წამოიწყოს, ყველაფერს იკადრებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ უმაღლესი განათლება აქვს. ხშირად ცნობილიც ხდება, თუ თავის მო-

წოდებას გაყვება. მაწ ადამიანები რომ არ დაღალოს, თავი უნდა აარიდოს უხვსიტყვაობას. მიუხედავად ზოგიერთი საფინანსო დაბრკოლებისა, მას საერთოდ კარგი მდგომარეობა უჭირავს. სიყვარულში ბედნიერებას ვერ ეწევა. ქალსა და მამაკაცს ცუდი ურთიერთობა ექნებათ. ვნებიანი, ადვილად იპოვის გატაცებას, თუმცა მალევე მოყირჭდება და ძებნას დაუწყებს ახალ სიყვარულს. სამწუხაროდ, ეს ძიება ცუდუბრალოა, რადგან ცვალებადი ხასიათი აქვს. ამასთან, მიუხედავად მისი ვნებიანობისა, განმკვრეტი და კრიტიკული გონება სწრაფად ებინდება, თუმცა თანდაყოლილ იუმორს შეუძლია მისი დახსნა განწირულობისაგან. მეტიც, მას შეუძლია დასცინოს თავის მწუხარებას და შესაბამისი დასკვნებიც გამოიტანოს.

მაიმუნმა შეიძლება კარგი კავშირი დაამყაროს დრაკონთან. თავის თავსაც შესთავაზებს და სიცბიერესაც, სამაგიეროდ მის ძლიერებას გამოიყენებს. მათ შეუძლიათ კომპანიონობა საქმეში, თუმცა მაიმუნი ჩუმად მუდამ იმის ცდაშია, რომ დრაკონი გააცუროს. მაიმუნს შეუძლია კარგი ურთიერთობის დამყარება ვირთხასთანაც, რომელსაც იგი მოხიბლავს. ვირთხა ყველაფერს აიტანს მაიმუნისაგან და მთელი ცხოვრება გატაცებით ეყვარება, მაშინაც კი, თუ მაიმუნი სამაგიეროთი არ უპასუხებს. მართალია, მაიმუნი დასცინის ვეფხვს, მაგრამ აჯობებს, რომ გაერიდოს მას. ყოველგვარი კავშირი, სასიყვარულო იქნება ეს თუ საქმიანი, მაიმუნსა და ვეფხვს შორის უთანხმოებით და შფოთით მთავრდება. ასეთმა ალიანსმა იგი შეიძლება მსხვერპლადაც შეიწიროს. ვინც არ უნდა იყოს მისი თანამგზავრი, იგი განწყობილია მრავალშვილიანობისადმი.

მაიმუნის ცხოვრების პირველი ნაწილი ბედნიერი იქნება, მეორე — მღელვარე, არეული, გეგმები განუხორციელებელი. მესამე ნაწილი მშვიდია, მაგრამ სიბერეში მარტოობა ემუქრება. იგი ოჯახისაგან შორს კვდება, შეიძლება, უბედური შემთხვევითაც კი.

მამალი

(ფანფარონი)

ვიეტნამელები ხშირად „წიწილს“ ეძახიან, რაც სრულიადაც არ მოსწონს მამალს. იაპონელები „მამალზე“ ბევრს ლაპარაკობენ და ეს მეოცნებეც ამას სერიოზულად იღებს, რადგან უყვარს, როცა პირში აქებენ. მამალი უკან არ იხევს და ავყიაობს, ზოგჯერ კი ძალიან აგრესიულობს. ამ დროს შეხლა-შემოხლას ვერ ასცდებოდნენ, მსხვერპლს რომ ასეთი დამოკიდებულება გულახდილობად და ექსცენტრულობად არ მიაჩნდეს. მისი მსხვერპლი თავს არ იტყუებს. მამალი ჭეშმარიტად იმას ამბობს, რასაც ფიქრობს და თანაც ყოველგვარი ქარაგმების გარეშე. მაგრამ ეს გულღიაობა, უმეტესწილად ტენდენციაა ეგოისმისაკენ სწრაფვისა... მას სრულიად არ აღელვებს სხვათა გულის ტკივილი და მიაჩნია, რომ არ არსებობს არავითარი მიზეზი მათ დასანდობად. ასეთი თვისება, რასაკვირველია, გზას უღობავს დიპლომატიური კარიერისაკენ.

რაც შეეხება მამლის ექსცენტრულობას, ეს მხოლოდ მოჩვენებითია. რა თქმა უნდა, მას უყვარს, როცა ამჩნევენ, იცვამს კიდეც თვალში მოსახვედრად. მაგრამ, სინამდვილეში, მამალი ნაღდი კონსერვატორია, რაც პოლიტიკურ შეხედულებებსაც ემჩნევა, და რასაკვირველია, თავის საზიანოდ. მას ჰგონია, რომ სავსებით მართალია და იცის, რა უნდა აკეთოს. არავის ენდობა, მხოლოდ თავისი თავის იმედით არის. ამასთან გულუხვად არიგებს რჩევებს. მამალი თითქოს თავგადასავლების მაძიებელიც გახლავთ, მაგრამ ნუ დაუჯერებთ, მას გულს უხეთქავს აბსურდული და განუხორციელებელი პროექტები, რომლებიც აუხდენელი ოცნებებია. უყვარს ოცნება, ჰვრეტა, საკუთარი თავის წარმოდგენა გმირად, მაგრამ ამას აკეთებს შინაურ სიმყუდროვესა და საშინაო ფლოსტებში ფეხგაყრილი. იგი ფილოსოფოსია, თუმცა ბევი აზრები აქვს და უყვარს იმპროვიზირება.

მამალი მორცხვი როდია, პირიქით, მამაცი და გაბედულია, თუკი ეს აუცილებლობით არის გამოწვეული და ისეთი

შეუპოვარია, რომ თუ დასჭირდება სიკვდილს პირზე ღიმილით შეეგებება. ამიტომაც შესაძლოა, მისგან კარგი მეომარი დადგეს. ხალხს მოსწონს იგი, მან კი შეიძლება რწმენა დაუკარგოს მათ... სინამდვილეში ბაქიაა და მუდამ მეტს ლაპარაკობს, ვიდრე აკეთებს. თავისი ბრწყინვალე განწყობით საზოგადოებაში უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ინტიმური ურთიერთობისას. მამალს მიდრეკილება აქვს ანალიზისა, მაგრამ შეიძლება სიზარმაცემ სძლიოს. იგი ხშირად უდიდესი მუშაკია. მუდამ მეტის გაკეთებას ცდილობს, ვიდრე შეუძლია და ისეთ ამოცანებს ეჭიდება, რომლებიც მის ძალებს აღემატება, ხოლო თუ ვერ ახერხებს მათ შესრულებას კარგად, ძალზე წუხს.

მას აქვს საფუძველი იმისა, რომ აქტიურობდეს. ფული უშრომლად არ უცვივდება ციდან „ნისკარტში". მან უნდა იმუშაოს, რათა უზრუნველყოს თავისი ცხოვრება და თუ მისი მოქმედების არე კეთილსასურველია, შეიძლება გამდიდრდეს კიდეც. უნარი აქვს ფული არაკეთილშობილური გზითაც იშოვოს. ვიეტნამელები ამტკიცებენ, რომ რაკი მამალმა უნდა აფხაკუნოს „ნისკარტი და ბრჭყალები", იგი მუდამ იპოვის მატლს, თუნდაც უდაბნო იყოს.

ეს სიმბოლო მანიშნებელია მუდმივი მოქმედებისა, რომელიც ასე ახასიათებს მას. მაგრამ, თუ მოულოდნელად მამალი ნებას მისცემს თავს და იოცნებებს ან წაიზარმაცებს, რაც ასე უყვარს, მაშინ შეიძლება იქცეს ერთ-ერთ იმ შემქცევ მოხეტიალე მაწანწალა-ფილოსოფოსად, რომლებიც ორმოს ქექავენ სხვათა ყურადღების მისაპყრობად.

მამალს უნარი აქვს გაუძღვეს სოფლის მეურნეობას და იმ პროფესიებს, სადაც გამუდმებული შეხლა-შემოხლა მოუხდება სხვებთან. უყვარს თავის მოწონება. იგი მფლანგველია, უმალ ხარჯავს იმას, რასაც შრომით შოულობს. მიდრეკილება აქვს დიდი ფინანსური რისკისადმი. ხშირად შეიძლება გაკოტრებამდეც მივიდეს. საოცარი მეოცნებეა და შეიძლება ამან კატასტროფამდეც მიიყვანოს. მისგან ვერასოდეს დადგება კარგი ეკონომისტი.

სიყვარულშიც სიძნელეებს აწყდება, რომ დაიპყრას და შეაკავოს საყვარელი ადამიანი. მამალი ხშირად გულგატეხი-

ლია, ვინაიდან სინამდვილე მუდამ როდი შეესაბამება მის ოცნებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის გულწრფელია.

მამაკაც-მამალს უყვარს ქალთა საზოგადოება, რომელთა შორისაც შეუძლია გაიბრწყინოს და ინავარდოს, ეტრფოდნენ და ეტრფიალოს. მაგრამ ამის იქით აღარ მიდის. ამასთან, იშვიათად თუ მოინახულებს თავის მეგობრებს. მამაკაცები თავსაც აბეზრებენ.

ქალი-მამალი შეიყვარებს სხვა ქალთა საზოგადოებას და იმ სპეციალობებს, რომლებიც მათთან დააახლოებს.

მამალი ბედნიერი იქნება ხართან, მეოჯახე და კონსერვატორთან. იგი შეძლებს გველთან ერთად იფილოსოფოსოს. სიყვარულის საქმეში გველი მოუტანს მას თავის სიბრძნეს, მაგრამ სჯობია ეს უკანასკნელი ერიდოს ზედმეტ ბრწყინვალებას, რათა მამალმა არ „ჩაუნისკარტოს". დრაკონთან მამალი საესებით დაკმაყოფილებული იქნება, თუ იმოქმედებს შუამავალი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ქალია. ერიდოს კატას! კატა ვერ იტანს მამლის ფანფარონობას და მის შებუმბვლას, მას სძულს მამალი.

მამალს ექნება აღმავლობაც და დაღმა სვლებიც ცხოვრების სამივე ფაზაში, შეეხება ეს ფინანსურ თუ გრძნობების სფეროებს. მამლის გზა სიღატაკიდან სიმდიდრისაკენ მიდის, იდეალური სიყვარულიდან ყველაზე უმსგავსო ფორმებამდე. მას ბედნიერი სიბერე ელის.

ხალხური სიბრძნე ღაღადებს, რომ „ორი მამლის ერთ სახლში ცხოვრება აუტანელია".

ძაღლი

(სამართლიანობა)

ძაღლი მუდამ მოუსვენარია, ყოველთვის გუშაგად დგას და არასოდეს ისვენებს. იგი მუდამ ფხიზლობს და დარაჯობს. ძაღლი გულჩათხრობილია. გრძნობებს მაშინ ამჟღავნებს, როცა ამისი აუცილებლობა იქნება. უკიდურესობამდე ჯი-

უტია და იცის, რაც უნდა. ხშირად იმდენად ცინიკოსია, რომ უფრთხიან მკვახე და უსიამოვნო შენიშვნების გამო. ძაღლი ისწრაფვის, რათა დეტალებში გაერკვეს, აკრიტიკოს ვინმე მიზეზითა თუ უმიზეზოდ, სისტემატურად ეძებს რაღაც განხეთქილებას. სინამდვილეში კი დიდი პესიმისტია და არაფერს ელის ცხოვრებისაგან.

ძაღლი ყოველთვის მამაცურად მოქმედებს ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ. იგი სკეპტიკოსია, მაგრამ მისი კრიტიკული გონება, იუმორის გრძნობა და სულის უდავო სიდიადე შველის, რომ არ დაწვრილმანდეს. ძაღლს არ უყვარს ბრბო. გრძნობებში თითქოს მიუკარებელია, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება მცდარია. მიუხედავად ყველა ამ ნაკლოვანებისა, მასში თავმოყრილია ადამიანური ბუნების ყოველგვარი კეთილშობილური თვისებები. იგი ლოიალურია, ერთგული, პატიოსანი, განვითარებული აქვს მოვალეობის გრძნობა. შეიძლება მასზე დაყრდნობა. იგი არ გიღალატებთ, ძაღლს ყველაზე უკეთ შეუძლია საიდუმლოს შენახვა. ძალიან თავმდაბალია, ერთი სიტყვით, არ უყვარს არც თავისი აღსარების განდობა და არც სხვათა გამოძალვა.

მას ძალზე უბრალო მეტყველება აქვს და ხანდახან ძლივს ახერხებს თავისი აზრების გამოხატვას. ძაღლი ძალზე გონიერია და არავისა აქვს ისეთი მოსმენის უნარი, როგორც მას. იგი ნდობას იმსახურებს და სავსებით სამართლიანად. ყველაფერს აკეთებს სხვებისთვის და ეს ერთგულება თითქმის საკუთარი თავის უარყოფამდეა მისული. ადამიანები დამსახურებულად ეპყრობიან პატივისცემით.

რამდენადაც ცნობილია, სიმართლის მოყვარულნი მუდამ ძაღლები გახლდათ. ყოველგვარი უსამართლობა ძაღლში პროტესტის გრძნობას იწვევს და იგი ვერ დამშვიდდება, სანამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ყველაფერს არ გააკეთებს, ძაღლი იტანჯება, როდესაც უბედურება, უმუშევრობა და ომებია. მას ტანჯავს დედამიწაზე გამეფებული შიმშილი. განიცდის წარსულს, აწმყოს და იმას, რაც შეიძლება მომავალში მოხდეს. საბედნიეროდ, ძაღლი იშვიათად უბამს პასუხს ბრიყვულ საქმეებს. იგი ფილოსოფოსი, მორალისტი,

მემარცხენე მიმართულების ადამიანი გახლავთ და არ არის დაინტერესებული ფულით.

დიდსულოვანი და უანგაროა. მიუხედავად იმისა, ძაღლი ქუჩაში ცხოვრობს თუ ფუფუნებაში, მასში მაინც ჭარბობს ინტელექტუალური საწყისი და მატერიალური კომფორტის გარეშეც კარგად გრძნობს თავს. თუ ამ კომფორტს ფლობს, მაინც არა აქვს ლუქსისადმი მიდრეკილება. მაგრამ, თუ დასჭირდა ფული, ძაღლი უკეთ უზრუნველყოფს თავს, ვიდრე მის ირგვლივ მყოფნი.

ძაღლი კარგი ხელმძღვანელია მრეწველობაში, აქტიური საზოგადო მოღვაწე, მღვდელი და აღმზრდელი. ნებისმიერ სარბიელზე მუდამ იდეალური პატიოსნებით არის გამორჩეული, შესანიშნავი ნიჭი აქვს ადამიანთა ხელმძღვანელობისა და ნებისმიერი საზოგადოება დაინტერესებულია წამოსწიოს ამგვარი ადამიანები, რადგან არავის აქვს ისეთი შრომისმოყვარეობის უნარი და პირდაპირობა, როგორიც ძაღლვბს.

სიყვარულშიც ასევე პატიოსანი და გონიერია. მთელი ცხოვრების მანძილზე უხდება მას დაბრკოლებების გადალახვა სიყვარულში, რაც გამოწვეულია ისევ თავისი ცვალებადობისა და მუდმივი მოუსვენრობის წყალობით.

ძაღლი ბედნიერი იქნება ცხენთან, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მას დაიცვას უდიდესი საქმეები დამოუკიდებლობისათვის. ვეფხვთან ერთად დიდი თავგადასავლები გადახდება, ისინი ერთმანეთს ამოუდგებიან მხარში და დაიწყებენ ბრძოლას სამართლიანობისთვის. ვითარებათა გამო მას ხშირად უხდება შეტაკება ვეფხვთან, რომელსაც წარმატებით აუბამს მხარს და თვითონ ჩრდილში დადგება. მხოლოდ დიდსულოვან და უდრტვინველ კატასთან შეძლებს ძაღლი მოიპოვოს რამდენადმე სიმშვიდე. დრაკონი მისთვის ძალიან ამაყია, და ამიტომ არ სურს ძაღლს გაიზიაროს მისი კრიტიკული და გვსლიანი დარიგება. რაც შეეხება თხას, ძაღლი ვერ გაუძლებს მის ეინიანობას, რადგან თხა მისთვის ანგარებიანი და ქარაფშუტაა.

ძაღლის ცხოვრების სამივე ფაზა მჭერყვობის ნიშნით გაივლის. მღელვარე ბავშვობა, ძნელი ყრმობა, სკეპტიციზმით

განსაკუთრებული მოწიფულობის ხანა და სიბერე, რომელიც სავსეა სინანულით იმის გამო, რომ ბევრი რამ ვერ შეასრულა.

ძაღლი, რომელიც დღე დაიბადა, გამოირჩევა დიდი სიმშვიდით, ვიდრე ძაღლი, რომელიც ღამეა ნაშობი. მუდამ გუშაგად მდგომი და ყურადაქვეტილი, იმდენს იყეფებს და ვერ დამშვიდდება, სანამ მოსული არ განშორდება. „ძაღლური ცხოვრება...“

ლორი (ტახი)

(კეთილი ბერიკაცი)

რაინდული ხასიათი (ეს ლორისთვის უმაღლესი შეფასებაა). გალანტური, თავაზიანი, მეტისმეტად წესიერი ლორი მუდამ სიწმინდის დროშას აფრიალებს. თუ თქვენ ენდობით მას, იგი არ გაგცემთ და არც არასოდეს შეეცდება, მოატყუოს ვინმე. ლორი გულუბრყვილოა, მიმნდობი, დაუცველი. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ დოყლაპიაა. მაგრამ ნუ ერწმუნებით ამ მოჩვენებით სისუსტეს, იგი მშვიდობისმოყვარეა.

ლორს ცოტა მეგობარი ჰყავს, მაგრამ ვინც ჰყავს, მთელი სიცოცხლის მანძილზე გაყვება და მათ გამო შეუძლია დიდი მსხვერპლიც გაიღოს. ძალიან ყურადღებიანია, განსაკუთრებით მათ მიმართ, ვინც მოსწონს. ამ ნიშნის ქალებს უყვართ საჩუქრების მირთმევა და პატარა დღესასწაულების მოწყობა. კარგი დიასახლისია. ლორს ცოცხალი ხასიათი აქვს, მაგრამ თუ ვინმე არ უყვარს, არასოდეს გაუწევს წინააღმდეგობას და არც დისკუსიას გაუმართავს. მოკლედ, არ არის განწყობილი დავისადმი და ეცდება ყოველგვარ დათმობაზე წავიდეს, რათა თავიდან აიცილოს სადავო პროცესები, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებულია თავის სიმართლეში. შემდგომში იმპულსური და პატიოსანი, მუდამ წაგებულია მასთან, ვინც დიდი წესიერებით არ გამოირჩევა.

ლორს შეუძლია ნებისმიერი პროფესია აითვისოს — მუდამ კეთილშობილი და შრომისმოყვარე მუშაკია. თავისი

მგრძნობიარობის წყალობით, შეუძლია მიაღწიოს წარმატებებს ხელოვნების ზოგიერთ სახეობაში, კერძოდ, პოეზიასა და ლიტერატურაში. მაგრამ მისი საქმეები შეიძლება ცუდად შეტრიალდეს. ერთ-ერთი უსიმპათიო ნიშანთაგანია „ჭუჭყიანადმი“ სიყვარული, ვინაიდან იგი მაინც ღორია...

მატერიალური თვალსაზრისით, ყოველთვის მიაღწევს იმას, რაც მისი სასიცოცხლო მინიმუმისათვის აუცილებელია. ღორს ექნება სამუშაო და ფული, რისთვისაც მას არ დასჭირდება დიდი ძალების დაძაბვა. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დახმარება არ მოაკლდება, რაც გზას გაუხსნის ყველაზე მაღალი ფინანსური სფეროებისკენ. იგი აუცილებლად უნდა ფრთხილობდეს და ნუ ენდობა ნურავის, რადგან ჩვეულებრივ, მის ნდობას ბოროტად იყენებენ.

იგივეა გრძნობათა სფეროშიც. მას ხშირად შეიყვარებენ, მაგრამ ბევრჯერაც გააბრიყვებენ და გულს გაუტეხენ. ქალი-ღორი კარგი დედა იქნება, მან თავისი ცხოვრება უნდა დაუკავშიროს კატას. ეს იქნება ყველაზე ნაღდი ხერხი, რათა თავიდან აიშოროს დავა. დაე, თავი აარიდოს გველს, ვინაიდან ხშირად იქნება მასზე დამოკიდებული.

იგი ადვილად დაყვება ნებას, ხელმოცარვებს უდრტვინველად იტანს, სხვათა ნაკლს კი — მოთმინებით.

იგი იმდენად მიუკერძოებლია, რომ, თავისი სიმართლის დარწმუნების მიზნით, უსასრულოდ უსვამს ასეთ კითხვებს თავის თავს — პატიოსნად და ლოიალურად იქცევა თუ არა ამა თუ იმ შემთხვევაში. განუზომლად გულწრფელია და სრულიად სპობს ყოველგვარ ორპოფულს, რითაც განაიარაღებს მოწინააღმდეგეს. თუ ცრუობს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ისიც თავდაცვის მიზნით. იგი ჭკვიანია, მაგრამ მასში ვერ იპოვით ეშმაკობის ნატამალსაც კი. ხშირად აკლია გაწაფულობა, იგი უმწეოა პირფერობის წინაშე და იბნევა თავის მართლებისას. ძალიან მკაცრია და იშვიათად მიდის კომპრომისზე. მას მუდამ სჯერა იმისა, რასაც ეუბნებიან და მოთხოვნილება უჩნდება დაადასტუროს თავისი მტკიცება.

ღორი საზოგადოებაში მხიარული ამხანაგია, ხშირად ოდნავ მოშვებული, იშვიათად ლაპარაკობს, მაგრამ თუ საუბარს

გადაწყვეტს, ყველაფერს ერთად გადმოაფრქვევს და ვერავინ გააჩერებს, სანამ არ ამოწურავს საუბრის თემას.

ღორი მაიმუნივით ინტელექტუალურია. მას დიდი სწრაფვა აქვს ცოდნისადმი. ბევრს კითხულობს, მაგრამ უსისტემოდ. საქმეში ჩახედული ადამიანის შეხედულება აქვს, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. თუ შევამოწმებთ მის ცოდნას, შეიძლება შევნიშნოთ, რომ „გარედან მტერს უბრმავებს თვალებს და შიგნიდან მოყვარეს". არცთუ დიდი ცოდნა აქვს, როგორც თავს გვაჩვენებს. იგი მატერიალისტია. სიყვარული აქვს ეპიკურელობისადმი, მგრძნობიარეა.

ღორი დიდ ნებისყოფას და მბრძანებლობასაც კი სათწოების ნიღბით ფარავს. როგორიც არ უნდა იყოს მისი პატივმოყვარეობა, დასახული ამოცანები და მიზნები, იგი თავისი მოვალეობისათვის არ იშურებს ძალ-ღონეს. მას იმდენად დიდი შინაგანი ძალა აქვს, რომ ვერავინ ეწინააღმდეგება, თუკი ღორმა რაიმე გადაწყვეტილება მიიღო, ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებამდე იგი დიდხანს აწონ-დაწონის ყველაფერს და შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ მერყეობს, რადგან არ იცის, რა უნდა. მან ეს მშვენივრად იცის, მაგრამ რომ აირიდოს გართულებები, იძულებულია დიდხანს იფიქროს, რაც ხანდახან საქმესაც აზიანებს.

ღორმა თავი უნდა აარიდოს გველს, რომელიც შეიძლება შემოეხვიოს მას და განძრევის საშუალებაც არ მისცეს. თხა ბოროტად იყენებს მის სიკეთეს.

ღორის ცხოვრების პირველი ფაზა შედარებით მშვიდი იქნება. მეორეში შეიძლება წამოიჭრას ცოლქმრული ცხოვრების ყოველგვარი პრობლემა, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ისინი, თავმდაბალი და მოკრძალებული ღორი არასოდეს უხმობს სხვებს დასახმარებლად. იგი თვითონვე იპოვის გამოსავალს. მისმა თავმდაბლობამ შეიძლება მასვე ავნოს, რადგან ვერავინ იგებს მის დარდს. თუ იგი დღესასწაულამდე კარგა ხნით ადრეა დაბადებული, მაშინ გაექცევა უსიამოვნებებს, მაგრამ რაც უფრო ახლო იქნება მისი დაბადების დღე დღესასწაულის დღესთან, მით მეტი შანსი აქვს იმისა, რომ „შეეჯამენ".

სიყვარული. ქორწინება

ქალი · მამაკაცი-ვირთხა ·

ვირთხა — ორ ვირთხას ნაზი ტრფობა აქვს ერთმანეთისადმი.

ხარი — მტკიცე ქორწინება ელით. ცოლს ქმარი მუჭში ეყოლება მომწყვდეული, მაგრამ შემდგომში ერთგულსა და რეალისტს, შეუძლია ქმარი გააბედნიეროს.

ვეფხვი — მომავლის გარეშეა. ქალი ვეფხვი ოცნებობს დიად საქმეებზე, ხოლო ვირთხა ერთ ადგილს ტკეპნის და ხელს უშლის მას.

კატა — თუმცა ქალი მშვიდია, მაგრამ მას მაინც აქვს ცდუნება, გადაყლაპოს ვირთხა. სჯობს ამ ქორწინებისაგან თავი შეიკავოს!

დრაკონი — რატომაც არა! ქალ-დრაკონს უყვარს, როცა მას ელაქუცებიან, მერე და ვის ძალუძს ამისი გაკეთება შეყვარებულ ვირთხაზე მეტად!

გველი — იგი ბედნიერი იქნება... მაგრამ ხშირად არცთუ ერთგული, უბედურებას მოუტანს ვირთხას.

ცხენი · — ძლიერი გრძნობებისკენ ილტვის. განქორწინება. თითქმის დანაშაულიც. თავი უნდა აარიდოს!

თხა — რის ვაი-ვაგლახით! თუ ვირთხის პორტფელი გატენილია, თხა დაკმაყოფილებულა იქნება, მაგრამ ვირთხა თხის საქციელით — არასოდეს!

მაიმუნი — ბედნიერი იქნება ვირთხასთან. ვირთხა მოხიბლულია მაიმუნით და ამიტომ ყველაფერს პატიობს!

მამალი — ჰმ! ვირთხა მოთმენია და მიუხედავად იმისა, რომ ქალი-მამალი უბედია, მას თავისი ღირსებებიც გააჩნია.

ძაღლი — საინტერესოა. ყველაფერი შეიძლება კარგად დასრულდეს, თუმცა ვირთხა ხშირად არიდებს თავს შინ ყოფნას.

ღორი — კარგია. ვირთხა და ღორი შეძლებენ იყვნენ ბედნიერნი.

ქალი **მამაკაცი — ხარი**

ვირთხა — ასჯერ — ჰოl ყველაფერი მშვიდად არის, ვირთხას შეუძლია უშფოთველად უყვარდეს,

ხარი — მატერიალისტები და კონსერვატორები დიდ აწგარიშს უწევენ „დედ-მამას“, „უფროსეზის“ რჩევებს.

ვეფხვი — ერთად ცხოვრება შეუძლებელია, ხარი გაანადგურებს ვეფხვს. ეს ქალი განწირული იქნება.

კატა — ყველაფერი შეიძლება კეთილად წარიმართოს. ისინი არცთუ კარგად შერჩეული წყვილია, მაგრამ ქალი-კატა მომთმენია, დიპლომატი და ცოტათი პურიტანელიც.

დრაკონი — კონფლიქტი, ქალ-დრაკონს უყვარს ბრწყინვალება, ხარი კი იმას არ ენდობა, რაც ბრწყინავს.

გველი — თუ გველი მოახერხებს და დაფარავს თავის ქორწინებისგარეშე ურთიერთობებს, ყველაფერი კარგად შეიძლება დასრულდეს. იგი შეეცდება ამის გაკეთებას, მაგრამ თუ გამომჟღავნდა...

ცხენი — ძნელია. მათ არ ესმით ერთმანეთის. ქალ-ცხენს, დამოუკიდებელსა და ტემპერამენტიანს, შიში ექნება ხარისა. ეწამება.

თხა — ხარი ვერ იტანს ფანტაზიებს და ყველანაირად შეეცდება არ დაიდგას რქები. ისინი ბედნიერებას ვერ ეწევიან.

მაიმუნი — ხარს უყვარს მაიმუნი. იგი ბევრნაირ დათმობაზე წავა, მაგრამ დაიტანჯება.

მამალი — სრული თანხმობაა. მამალი მშვიდად იბრწყინებს... საკუთარ ოჯახში.

ძაღლი — სირთულეები. ძაღლი რევოლუციონერია, ხარი — კონსერვატორი, ისინი სხვადასხვა იდეოლოგიისანი არიან.

ღორი — ღორი ყველაფერს აიტანს, სიმკაცრის გარდა. ხანგრძლივ ურთიერთობებში მას ეყოფა სიმამაცე, რათა რეაგირება მოახდინოს.

ქალი — მამაკაცი-ვეფხვი

ვირთხა — ჰმ! თუ ვირთხა ნებას დართავს ვეფხვს, წავიდეს თავგადასავლების საძიებლად, ვერაფერი შეუშლის ხელს, რომ ბრილიანტის ქორწილი იზეიმონ!

ხარი — არავითარ შემთხვევაში. ვეფხვს გაანადგურებენ, სჯობს თავი აარიდოს.

ვეფხვი — ისინი კარგადაც რომ ეგუებოდნენ ერთმანეთს, მაინც ყველაფერია მოსალოდნელი. თანაცხოვრება რეკომენდებული არ არის.

კატა — დაძაბული ურთიერთობაა, მაგრამ ისინი უგებენ ერთმანეთს და ქალ-კატას შეუძლია წინ აღუდგეს ვეფხვს. მას შეუძლია მასხრად აიგდოს იგი.

დრაკონი — ორი ძალაა. ქალი-დრაკონი გამოადგება ვეფხვს თავისი განსჯითა და სიფრთხილით.

გველი — თავი უნდა აარიდოს! სრული და უიმედო უთანხმოებაა. სიბრძნე და ენთუზიაზმი იშვიათად ეგუება ერთმანეთს.

ცხენი — კარგია. ცხენს შეუძლია დააკმაყოფილოს მისი დაუოკებელი ვნება და დამოუკიდებელი დარჩეს. ვეფხვი დაკავებულია....

თხა — ცუდია. გააფთრების მომენტში ვეფხვს შეუძლია შეჭამოს კიდეც.

მაიმუნი	— ძნელია, მაგრამ შესაძლებელი, თუ ვეფხვი სათავეგადასავლო ამბებს დაუწყებს ძებნას, მუდამ შეუძლია მისი მოხიბვლა.
მამალი	— ვეფხვი ამაღლდება ქალზე და ქალი ვერ შეძლებს თავისი ადგილი დაიკავოს ოჯახში.
ძაღლი	— კარგი იქნება. ისინი ერთსა და იმავე იდეებს გაიზიარებენ და ერთად იბრძოლებენ, მაგრამ დაივიწყებენ სიყვარულს.
ლორი	— უგვებს და პატივს სცემს ვეფხვს. ვეფხვი რისკსა სწევს, რათა დაღალოს იგი, ღორმა თავი უნდა დაიცვას.

ქალი — მამაკაცი — კატა

ვირთხა	— მუდამ ხიფათშია, რადგან კატა მუდამ იმის ცდაშია, გაანადგუროს იგი.
ხარი	— დიახ, შესაძლებელია... მამაკაცი-კატა მასხრად იგდებს მათ, ვინც მათი მბრძანებელია,
ვეფხვი	— ძნელია. ქალი-ვეფხვი რთულია, მაგრამ მამაკაცი-კატა საკმაოდ მოხერხებულია... და უყვარს სხვისი მასხრად აგდება.
კატა	— რატომაც არა, თუკი მათ შვილები არა ჰყავთ.
დრაკონი	— მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. თუ დრაკონი არ მოიწყენს იქვე, კუთხეში, ბუხართან.
გველი	— ისინი ერთად განუვრეტენ და ეს ორი სიამოვნებით შეიცნობს ერთურთს.
ცხენი	— შესაძლებელია, თუ ცხენი არ დაიქანცება. მაგრამ კატა იქნებ გამგები ძეგობარი აღმოჩნდეს.
თხა	— კარგია. კატას უყვარს თხის ფანტაზია. არტისტული გემოვნება მათ დააახლოებს.
მაიმუნი	— თავშესაქცევია, მაგრამ ხშირად სხვათა ხარჯზე. ისინი ერთად გაერთობიან.

მამალი — კატა ვერ იტანს მამალს თავის სახლში. ქალი-მამალი სცენებს მოუწყობს იმ სურვილით, რომ გზა გაიკვლიოს მაღალი საზოგადოებისაკენ.

ძაღლი — ყველაფერი კარგად აეწყობა, თუ ომი არ დაიწყება. ყველა საქმე, რისი ერთგულიც იქნება ძაღლი, კატის ცხოვრებას აუტანელს გახდის.

ღორი — კარგია. ძალიან კარგია... თუ ღორი თავს აარიდებს გარყვნილებას.

ქალი — **მამაკაცი-დრაკონი**

ვირთხა — კარგია. ვირთხა სასარგებლოა დრაკონისათვის და დრაკონიც მადლიერი იქნება მისი.

ხარი — არა! გამუდმებული კონფლიქტი ექნება ხელისუფლებისათვის.. და კიდევ — დრაკონი მოიწყენს.

ვეფხვი — ჰო, მიუხედავად შეხლა-შემოხლისა, დრაკონს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ვეფხვზე, რომელიც მის რჩევებს გაიზიარებს... თუნდაც ისინი ცუდი იყოს.

კატა — ძალიან კარგი კავშირია. მაღალი საზოგადოების ჩვევები და კატის დიპლომატია დააცხრობს დრაკონის პატივმოყვარეობას.

დრაკონი — ფეიერვერკია! ისინი მუდმივი კონკურენტები იქნებიან.

გველი — ძალიან კარგი კავშირია. დრაკონი იამაყებს მომხიბვლელი ცოლით, მაშინაც კი, როცა მისი ხიბლი მხოლოდ მასზე არ ვრცელდება.

ცხენი — ყველაფერი კარგია. ოღონდაც დიდხანს გაგრძელდეს და...

თხა — შეიძლება ბედნიერი იყოს. მაგრამ იგი არა მარტო დაეხმარება დრაკონს, არამედ ხელსაც შეუშლის — მისთვის სულ ერთია.

მაიმუნი — კარგია! მაიმუნი მუდამ შესანიშნავი მრჩეველი იქნება ძალზე მიმნდობი დრაკონისა, და დრაკონიც, თავის მხრივ, მას საიმედო დაცვით უპასუხებს.

მამალი — კარგია. მამალი დრაკონის წარმატებებს თავის სასარგებლოდ იყენებს.

იაღლი — დიდი რეალისტია და დრაკონს ისეთს ჭვრეტს, როგორიც სინამდვილეშია.

ღორი — დიახ. მას შეუძლია გაითამაშოს აღტაცება და დრაკონიც კმაყოფილი დარჩება.

ქალი — მამაკაცი-გველი

ვირთხა — შეიძლება ასეთი რისკი გასწიოს, მაგრამ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ვირთხა ხომ ხრმად დაჰყვება მის ნებას.

ხარი — დიახ. გველი დაუთმობს ძალაუფლებას ხარს და მუდამ მორიდებული იქნება...

ვეფხვი — მათ არაფერი აქვთ საერთო. შეიძლება ასეთი კითხვაც დაგვებადოს, როგორ მოხდა, რომ მათ ერთმანეთი მოეწონათ?

კატა — დიახ, რასაკვირველია... შინაურ ატმოსფეროში (გველისთვის განცხრომაა ცეცხლთან ახლოს ყოფნა).

დრაკონი — ძნელია! ამაყი ქალი-დრაკონი ისწრაფვის, რათა მას აღმერთებდნენ და თავს ეელებოდნენ, მაგრამ არ სურს შებოჭვა.

გველი — ძალიან კარგია: ფლირტაობა, თავგადასავლები. მუდამ ეცდებიან გაანეიტრალონ ერთმანეთი.

ცხენი — შეყვარებული ცხენი ერთგულია. თუ არ უყვარს, გაშორდება. ორგული გველი კი მარტო რჩება. ისინი უბედურები იქნებიან.

თხა — თხა გონს მოვა, თუ გველი საკმაოდ მდიდარია. მაგრამ რამდენი ისტორია თუ თავგადასავალი არ გადახდებათ!

მაიმუნი — მხოლოდ კეთილგონიერებამ შეიძლება იხსნას ეს კავშირი.

მამალი — სასიკეთოა. ისინი ერთად „ფილოსოფოსობენ“, უგებენ ერთურთს.

ძაღლი — გველს შეუძლია იცხოვროს, თავისი ცხოვრებით, ვინაიდან ძაღლი დაბმულია და ვერც ვერაფერს შეამჩნევს...

ღორი — ღორმა შეიძლება საწყალობელი ფინალით დაასრულოს სიცოცხლე: მას მოახრჩობენ...

ქალი — მამაკაცი-ცხენი

ვირთხა — არა, ემოციური პრობლემები მრავლადაა... ცუდად დასრულდება.

ხარი — ქალი-ხარი მბრძანებლური ხასიათისაა, ცხენი კი — ეგოისტი და დამოუკიდებელი. იგი გაცლას ამჯობინებს.

ვეფხვი — რატომაც არა, თუ ქალი-ვეფხვი ისეთ „დიად საქმეს“ მიაგნებს, რომელიც საჭიროებს განდგომას... ცხენი მშვიდად იცხოვრებს თავისი ცხოვრებით.

კატა — ძალიან კარგია! კატა შინ დარჩება, სითბოში, მეგობრებით გარშემორტყმული. მას მეტი არაფერი სჭირდება.

დრაკონი — არა. ცხენი ძალზე ეგოისტურია. ქალ-დრაკონს კი მხარდაჭერა და წარმატებები სჭირდება.

გველი — თუ ქალი-გველი კმაყოფილია... მას საამისოდ ჭკუა ეყოფა.

ცხენი — ორ ვნებიან ადამიანს გადაარჩენს საკუთარი ეგოიზმი.

თხა — კარგია. ისინი ერთად არ მოიწყენენ. ცხენს საკმაო პრობლემები ექნება, რათა დარჩეს შეყვარებული და თხაც მშვიდად იგრძნობს თავს.

მაიმუნი	— არ არის რეკომენდებული. ისინი ვერასოდეს გაუგებენ ერთმანეთს.
მამალი	— უკიდურეს შემთხვევაში, მაგრამ არა ყოველთვის. მამალი დაიტანჯება.
ძაღლი	— დიახ. რატომაც არა? მთლიანად დაკავებულია თავისი იდეალებით. ძაღლი უტოვებს ცხენს ამ დამოუკიდებლობას. გარდა ამისა, იგი არ არის ეჭვიანი...
ღორი	— ფრიად ეგოისტური სულის ცხენი ბოროტად გამოიყენებს ღორის ნდობას და გააუბედურებს კიდეც.

ქალი — **მამაკაცი-თხა**

ვირთხა	— ოოო... შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა! ნუ გაირჯებით, თქვენი ცნობისმოყვარეობა დაისჯება.
ხარი	— ცუდია. იმით დამთავრდება, რომ ქალი-ხარი მამაკაც-თხას შინიდან გააგდებს... ყოველგვარი სინანულის გარეშე.
ვეფხვი	— ვაი! წყალი არ გაუვა იმას, რომ ვეფხვი ადვილად მოიცილებს თავიდან თხას.
კატა	— რატომაც არა, თუ ქალი-კატა ასეთი იღბლიანია... მათ შეუძლიათ მეგობრებად დარჩნენ სიყვარულის გარეშეც კი.
დრაკონი	— არავითარ შემთხვევაში! ქალი-დრაკონი მიისწრაფვის იქითკენ, რათა აღმერთებდნენ მას და თვითონაც სხვას აღმერთებდეს. მამაკაცი-თხა კი არ აღმერთებს.
გველი	— ძნელია. შეიძლება თავი წააგოს. ვერავითარი სიბრძნე ვერ იხსნის გველს.
ცხენი	— არ არის რეკომენდებული, თუ ქალი-ცხენი უფულოა. თუ მდიდარია, მაშინ ისინი შეიძლება ბედნიერნი იყვნენ.
თხა	— ბოჰემაა! რით უნდა იცხოვრონ მდიდარი

მეცენატის მოლოდინში! საბედნიეროდ, დაღლილობა...

მაიმუნი — შეიძლება თავი ადვილად დაიძვრინოს... ნუთუ ოდესმე იმდენად გონებაწართმეული იქნება, რომ თხასთან კავშირი მტკიცედ ჩათვალოს!

მამალი — არ არის რეკომენდებული. ილუზიებიც რომ ჰქონდეთ, ისინი მაინც უბედურები იქნებოდნენ.

ძაღლი — არა! ეს ძალიან ნაღვლიანი იქნებოდა. ორივენი ძალზე პესიმისტები არიან.

ღორი — ღორი კარგად იტანს თხას... თუ ეს უკანასკნელი არ აჭარბებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღორი არაფერს დაუთმობს.

ქალი — მამაკაცი-მაიმუნი

ვირთხა — საუკეთესო კავშირია. ქალი-ვირთხა გააღმერთებს მაიმუნს და ისინი ბედნიერები იქნებიან.

ხარი — უყვარს მაიმუნი და ისიც საკმაოდ ჭკვიანია, რათა არ დაზარალდეს ამ ოჯახურ კონგლომერატში.

ვეფხვი — არცთუ სიმშვიდეა. მაიმუნს შეუძლია თავბრუ დაახვიოს ვეფხვს...

კატა — კარგი ოჯახია ერთი პირობით, თუ მაიმუნი ძალიან ნაყოფიერი არ გამოდგება.

დრაკონი — შესაძლებელია. მაიმუნი — კარგი კომედიანტია. მასში მრავალი ხიბლია! დრაკონი, როგორც ყოველთვის, რწმენას დაკარგავს, მაგრამ არ გამოავლენს.

გველი — შესაძლებელია... თუკი გველი ამას ისურვებს... ყველაფერი მაიმუნსა და ღმერთზეა დამოკიდებული.

ცხენი — არა! ცხენს ნაღდი ვნებიანი გრძნობები სჭირ-

დება, მას სძულს მოქნილობა და ცბიერება სიყვარულში.

თხა — თუ მაიმუნს ფული აქვს, მაშინ რატომაც არა? თხა მას ართობს.

მაიმუნი — ნამდვილი თანამონაწილენი არიან. შორს წავლენ.

მამალი — მაიმუნს შეუძლია მთელი სიცოცხლის მანძილზე მასხრად იგდებდეს მამალს, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერც მიხვდება. ეს მთავარია.

ძაღლი — არ არის რეკომენდებული. ძაღლი დაიტანჯება. იგი უსაშველო იდეალისტია.

ღორი — შესაძლებელია. ძალიან ადვილია ღორის გასულელება, მაგრამ მაიმუნს ამისი სურვილი არა აქვს, რადგან პატივს სცემს მას.

ქალი

მამაკაცი-მამალი

ვირთხა — ისინი გალატაკდებიან.

ხარი — შესანიშნავი იქნებოდა, რომ პატივმოყვარე მამალს სურვილი არ აღძვროდა მბრძანებლობისა. თავშეკავება მართებს.

ვეფხვი — არა. ქალი-ვეფხვი ვერ იტანს მამლის კოხტა-პრუწობასა და მას უსამართლოდ მოექცევა.

კატა — არავითარ შემთხვევაში.

დრაკონი — დიახ. თუ ქალს ბრწყინვალე სიტუაცია ექნება და არც მამალი გაუშვებს ხელიდან ასეთ შანსს.

გველი — რატომაც არა? ისინი საკმაოდ კარგად ავსებენ ერთმანეთს. გველს კი სამყოფი კეთილგონიერება გააჩნია, პირი არ შეირცხვინოს სხვათა წინაშე.

ცხენი — არა. მამალი გაექცევა ცხენს... ცხენისთვის სიყვარული სერიოზული საქმეა!

თხა — არა. თხა სიყვარულითა და სუფთა ჰაერით იცხოვრებდა, მუშაობა კი მისი საქმე არ გახლავთ. მუშა მამლის გარეგნობა ღლის მას.

მაიმუნი — მას შეუძლია ბევრი რამ დაცინცლოს მამალს; მამალი უბედური იქნება, მაიმუნი კი დაუკმაყოფილებელი.

მამალი — შეუძლებელია მათი ერთად ცხოვრება. გამუდმებული ოჯახური სცენებით უზრუნველყოფილნი იქნებიან.

ძაღლი — არა, ძაღლი ძნელად იტანს კოხტაპრუწობას და ამიტომ ძალზე ცინიკური იქნება.

ლორი — ძალიან აგრესიული მამალი დაქანცავს ლორს; ისინი არ უხდებიან ერთმანეთს.

ქალი — მამაკაცი-ძაღლი

ვირთხა — რატომაც არა? ვირთხა სანტიმენტალობასა და რეალიზმს მოუტანს.

ხარი — ძნელია, მაგრამ შესაძლებელი... თუ ქალი-ხარი მხოლოდ შინ ხელმძღვანელობით კმაყოფილდება.

ვეფხვი — კარგია, მაგრამ რაღაც შერეკილსა ჰგავს. მას წყენის გრძნობა დაკარგული აქვს.

კატა — კარგია. ქალი-კატა კარგი მრჩეველი იქნება. იგი ძაღლს მოუტანს უშფოთველობას და შინ დარჩება... მშვიდად.

დრაკონი — არა. ძაღლი ის ადამიანი არ გახლავთ, რომ ბრმად გამოხატოს აღტაცება რაიმეს გამო, იგი სხვა საქმეებით არის დაკავებული.

გველი — უკიდურეს შემთხვევაში. თუ ქალი-გველი ძალიან მომთხოვნი არ არის.

ცხენი — დიახ. ძაღლი თავის საქმეებს შეალევს ძალღონეს და ყველანი კმაყოფილები დარჩებიან.

თხა — არა! მათგან რომელს დაეწყება პირველად ნერვული დეპრესია?

მაიმუნი — შესაძლებელია. მაგრამ ძალზე თავშეკავებაა საჭირო; პრობლემატურია, ვინაიდან ორივენი ცოტათი ცინიკურები არიან და სხვათა მიმართ ილუზიებით არ განიმსჭვალებიან.

მამალი — ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში. დაე, ქალმა-მამალმა მოაწყოს ჩაის საღამოები ბრიჯით... და ყველაფერი კარგად იქნება.

ძაღლი — დიახ. მაგრამ თავიანთი უანგარობის გამო მათ ფინანსური უსიამოვნებები შეხვდებათ.

ღორი — კარგია. სიცოცხლით სავსე ღორი დააოკებს ძაღლს. ისინი ორივენი დიდსულოვნები არიან; ღორი კი, როგორც მოგეხსენებათ, ხშირად მდიდარიც გახლავთ.

ქალი — მამაკაცი-ღორი

ვირთხა — კარგია. ისინი ბედნიერები იქნებიან და ვირთხაც არ გამოავლენს ზედმეტ აგრესიულობას.

ხარი — ჰმ! რაკი ღორი შინ ვერ დაიკმაყოფილებს თავს, განზე დაუწყებს ძებნას... რის გამოც მას უსიამოვნებები შეხვდება.

ვეფხვი — რატომაც არა? ვეფხვი შეუგნებელი როდია, ბოროტად გამოიყენოს ღორის თავაზიანობა.

კატა — ყველაფერი რიგზე იქნებოდა, კატას რომ გარყვნილება უყვარდეს. მაგრამ ღორი თავს იმშვიდებს იმგვარად, რომ კატა ვერ მონახავს უკმაყოფილობის საბაბს.

დრაკონი — დიახ. მაგრამ ღორი ძალიან თავაზიანი იქნება დრაკონის მიმართ და მით უარესი მისთვის.

გველი — საწყალი ღორი! იგი ისე მოიხიბლება, რომ... ორაზროვანი ხუმრობის ძალაც აღარ ექნება.

ცხენი — ღორს დატანჯავს ცხენის ეგოიზმი, რადგან მისი ცნებები ვერ დააკმაყოფილებს მას.

თხა — ვინაიდან ღორს მუდამ ბევრი ფული აქვს, თხა ბედნიერი იქნება. რამდენი დრო დასჭირდება მის მოთვინიერებას?

მაიმუნი — რატომაც არა? მაიმუნი პატივს სცემს ღორს.

მამალი — ღორი მომთმენია და შემწყნარებელიც. მათი კავშირი შესაძლებელია.

ძაღლი — კარგია. სიყვარული დაფუძნებულია ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე.

ლორი — საიმედო კავშირია. ურთიერთდათმობაზე მიდიან. ისინი კარგად ეწყობიან ერთმანეთს.

წლები, რომლებიც ხელსაყრელია ნიშნებისათვის

ვირთხის წელი

დაზოგეთ მარაგი. ეს წელი ხელსაყრელია კონსერვების, მურაბების, კრედიტით საყიდლების, სესხისა და დაბანდებისთვის. იგი ხელსაყრელი უნდა იყოს ფინანსური საქმეებისათვის, თუმცა, შემდგომი წლების შესაძლებელ სიღატაკეს მალავს. პოლიტიკური ურთიერთობის მხრივ მოულოდნელობებით არის საესე... ბრალდებები... მსჯავრდადება. ეს წელი ლიტერატურის გაფურჩქვნის წელია. თუ თქვენი შვილი დაბადებულია ვირთხის წელს, და განსაკუთრებით ზაფხულში, ბედნიერი იქნება.

ვირთხა — იგი დაცული იქნება. ბედნიერება ელის როგორც საქმეებში, ასევე სიყვარულში. თუ იგი რომანს დაწერს, დაე, წარუდგინოს გამომცემელს წლის დამთავრებამდე.

ხარი — მან უნდა გამოიყენოს ეს წელიწადი, რათა გადაინახოს ფული. ეს წელი მისთვის ყოველმხრივ ხელსაყრელია.

ფეფხვი — მან მხოლოდ მომავალზე უნდა იფიქროს. ეს წელიწადი მას მოსაწყენი ეჩვენება და არაფერს მოუტანს.

კატა — დაე იგი ფრთხილი იყოს საქმეებში და ნუ ენდობა მეგობრებს. ეს წელიწადი შეიძლება მისთვის მუხანათური გამოდგეს.

დრაკონი — ეს წელიწადი ხელსაყრელი იქნება მისთვის. შეძლებს მის გამოყენებას დაბანდებისათვის. ვუსურვოთ ვირთხას სიყვარული.

გველი	— ოდნავ მღელვარეა გველისთვის. ეს წელიწადი არცთუ ისე არახელსაყრელი იქნება მისთვის. იგი იმდენად გონიერია...
ცხენი	— ცუდი წელია მისთვის. ვირთხა ყველაფერს იღონებს, რათა ავნოს მას. სიფრთხილე მართებს საქმესა თუ სიყვარულში...
თხა	— დაე დარჩეს სოფელში სხვების დანაზოგის იმედზე, ვინაიდან თვითონ ამას ვერ შეძლებს.
მაიმუნი	— შესანიშნავი წელიწადია მისთვის. ყველაფერს აღწევს და თუ რომელიმე ვირთხა შეიყვარებს მას, იგი უბედნიერესი იქნება ყველა მაიმუნს შორის.
მამალი	— ფრთხილად იყავით ცუდი საქმეების მიმართ. მას ტენდენცია აქვს, თავისი კვერცხი ერთ კალათში შეაგროვოს...
ძაღლი	— დანაზოგი არ იზიდავს, თუ დიდად არ დაინტერესა, მოიწყენს.
ღორი	— მას ბრწყინვალე საქმეები ელის. შეუძლია შეხვდეს სიყვარულს. ვირთხის წელიწადი — კარგი მატების წელია მისთვის.

ხარის წელი

სამუშაო ყველასათვის მომქანცველი იქნება. მოაწყვეთ თქვენი ბაღი, შეიძინეთ ფერმა, ან გააუმჯობესეთ ის, რომელიც გაქვთ. თითქმის დიქტატურაა. ძირითადად კონსერვატორები გაიმარჯვებენ. ეს წელიწადი ნაყოფიერია სოფლის მეურნობისათვის. არ იქნება არც სეტყვა, არც გვალვა, არც ნესტი, არც კალიების შემოსევა. გლეხს შეუძლია მშვიდად იძინოს! ზამთარში დაბადებულ ხარს ცოტა მუშაობა მოუწევს. ვუსურვოთ თქვენს პატარა ხარს დაიბადოს ნოემბრიდან მარტის ჩათვლით.

ვირთხა	— ვირთხამ კარგი ქნა, წინა წელს რომ ეკონომიურად იცხოვრა... ვინაიდან მას არ უყვარს მუშაობა.

ხარი — შესანიშნავი წელია. მისი მუშაობა დაფასდება. იგი დარწმუნებულია, რომ მმართველობაში არავინ შეეცილება. სასურველია სწრაფად შექმნას ოჯახი, თუკი ჯერ არ ჰყავს ცოლი.

ვეფხვი — ყველაზე ცუდი წელია ვეფხვისთვის. დაე მან არაფერი იღონოს და ნურც რისკს გასწევს რაიმესთვის.

კატა — კატა დიპლომატიას მიმართავს და ყოველმხრივი ზარალის გარეშე დაიძვრენს თავს.

დრაკონი — დრაკონი ცუდად გრძნობს თავს ძალზე დიდი უფლებამოსილებისაგან. მაგრამ იგი საკმაოდ ძლიერია, რათა წინ აღუდგეს ყოველივეს.

გველი — ძალიან ზარმაცია ხარის წელიწადში. დაე მის გალევას დაელოდოს.

ცხენი — კარგი წელია სიყვარულისთვის, არც საქმეში გაუცრუვდება იმედი.

თხა — საოცრად ცუდი წელიწადია თხისათვის. შეიძლება უყვარდეს სოფელი, მაგრამ არ არის აუცილებელი ხელი მიჰყოს სოფლის მეურნეობას.

მაიმუნი — ყველაფერი კარგად მიმდინარეობს. იგი შუამავლობით ისარგებლებს და თავს დაიძვრენს მდგომარეობიდან. ხარი მეგობრულად იქნება მასთან.

მამალი — იგი ბედნიერი იქნება, ზურგსუკან დაცინვა უყვარს. იზეიმებს... მით უარესი მისთვის, თუკი გარჯა მოუწევს, რადგან ძალა შესწევს მუშაობისა.

ძაღლი — ძალიან ცუდი წელიწადია. იგი შეთქმულებას მოაწყობს. თუ საჭირო იქნება, რევოლუციასაც მოამზადებს და მთელ რისკს თვითონ იკისრებს.

ღორი — თუმცა მას კრიტიკული ჭკუა აქვს, მაგრამ ძალა შესწევს შეგუებისა. აჯობებს კი, თუ მას მოთმინებიდან არ გამოიყვანთ.

ვეფხვის წელი

ეს წელიწადი არცთუ მთლად მშვიდობიანად წარიმართება. თვალყური ადევნეთ თქვენი ცხოვრების ცვალებადობას, მაგრამ იყავით ფრთხილად. პოლიტიკური ვითარების მხრივ პერსპექტივაში დიდი ცვლილებებია. მოულოდნელად პოლიტიკური კვანძი გაიხსნება. რევოლუცია. ომის პერსპექტივა. კატასტროფა. ხელსაყრელი წელიწადია გარდაქმნებისა და მოქმედებისათვის. თუ თქვენი პატარა ვეფხვი დაიბადა მზის ამოსვლისა და ჩასვლის ზღვარზე, მაშინ მზე დაიფარავს მას.

ვირთხა — იგი თავს უშიშრად როდი გრძნობს. დაე აკეთოს ის, რაც მას ეხება.

ხარი — იგი მოუსვენარი იქნება, აღელვებული, საშიში, კარგი დღეების მოლოდინში უმეტესად შინ რჩება.

ვეფხვი — შეუძლია აკეთოს ის, რაც მოესურვება, რადგან ბედი სწყალობს. დაე მან ხელი მოჰკიდოს უდიდეს საქმეებს. მას დაიცავენ.

კატა — ჩვენს მეოჯახე ადამიანს არ უყვარს გარდაქმნები, რომლებიც დაარღვევდა მის მშვიდ ცხოვრებას.

დრაკონი — ეს მას მოსწონს და მონახავს კიდეც საბაბს, რათა იბრწყინოს... აკი ჯილდოზეც წარადგენენ.

გველი — რა მომქანცველია ცხოვრება. მაგრამ ყოველივე ამისგან იგი კარგ გაკვეთილს გამოიტანს.

ცხენი — შესაძლებელია ისარგებლოს ამ წლით, რათა გაშორდნენ მშობლებსა და თანამგზავრებს. ყოველ შემთხვევაში, რაღაც ცვლილებები მოხდება.

თხა — ყველანი დაკავებულები არიან იმით, რომ შეცვალონ სამყარო და ის კი ფიწყდებათ, რომ თხა მოიწყენს.

ზაიმუნი — იგი ამ წელიწადს იცხოვრებს კმაყოფილი ზაყურებლის სახით. მას მოქმედების ამაოების გრძნობა აქვს.

მამალი — ყველაფერი იცვლება... რა ძნელია... რა უსიამოვნო... რა მკაცრი წელიწადია!

ძაღლი — ბოლოს და ბოლოს შემთხვევა მიეცა, რომ თავი გასწიროს. ძაღლი თავის სტიქიაშია. იგი ბედნიერი იქნება.

ლორი — ცვლილებები... იგი მათ ეგუება. და რაკი დიდსულოვანია, მშვიდად იტანს ყოველგვარ ძვრებს.

კატის წელი

ეს წელიწადი, ალბათ, მშვიდი იქნება. დაისვენეთ, ვინაიდან მომდევნო წელი შეიძლება მღელვარე იყოს. გამართეთ მიღებები. იკითხეთ, ილაქლაქეთ ცეცხლის პირას. ეს წელიწადი სასიხარულოა დიპლომატებისათვის. მოსალოდნელია ცვლილებები, განსაკუთრებით მაგისტრატურაში. წელი ნაყოფიერია კანონის მიმდევარი ადამიანებისა და იუსტიციისათვის. ბავშვი, რომელიც ამ წლის ზაფხულში დაიბადება, ბედნიერი და მშვიდი იქნება.

ვირთხა — დაე იგი ფრთხილად იყოს. კატა მოსახვევშია ჩასაფრებული. ნურაფრით ნუ იქნება გამორჩეული.

ხარი — იდეალური არ გახლავთ, მაგრამ ცოტათი უკეთესია. შეიძლება მშვიდად იმუშაოს.

ვეფხვი — დაე ისარგებლოს ამ წლით და დაისვენოს. კატა მას არაფერს ავნებს.

დრაკონი — კატა ხელს არ შეუშლის დრაკონს ბრწყინვალებაში, პირიქით, გაართობს კიდეც.

გველი — უ! იგი დატკბება დამსახურებული დასვენებით და სიყვარულზე იფიქრებს. წარმატება ექნება...

ცხენი — კარგი წელია. სიყვარული, სამუშაო, მაღალი წრის მოვალეობები... და შესაძლებელია, ცოტაოდენი პოლიტიკაც.

თხა — ბოლოს და ბოლოს ამჩნევენ, იწვევენ, აფასებენ მის კომპანიას! ძალიან კარგი წელიწადია მისთვის.

მაიმუნი — შესანიშნავი საქმეები ელის. ეს წელიწადი მისთვის ყოველმხრივ კარგია.

ზამალი — ცოტათი ტრავმირებულია წინა წლის გამო. იგი ფხიზლად არის, თუმცა არავითარ საქმეს არ კიდებს ხელს.

ძაღლი — ისვენებს. იგი თითქმის ბედნიერია. კატა მშვიდობას მოუტანს. მან ამით უნდა ისარგებლოს და დაქორწინდეს.

ღორი — ყველაფერი კარგად იქნებოდა, პაერში რომ პროცესების სუნი არ ტრიალებდეს, დაე, შეეცადოს და თავი აარიდოს ყოველნაირად, თუნდაც ძვირად დაუჯდეს.

დრაკონის წელი

იყავით პატივმოყვარე და ყოჩაღი, წინ იარეთ, ქანცის გამომცლელი წელიწადია; ბრწყინვალე წელიწადია. ჯილდოები — დიდი დღესასწაულია. გრანდიოზული გამარჯვება ანდა დამარცხება. გაფრთხილება ხანძრის წინააღმდეგ. ეს წელი ხელსაყრელია ბრწყინვალე წარმატებებისათვის ომში ანდა რომელიმე სხვა პოლიტიკურ სფეროში. მაგრამ ეს წარმატებები ძირითადად ილუზორულია. თუ თქვენი შვილი დრაკონად არის დაბადებული, ნუ იდარდებთ ამის გამო. მაგრამ თუ იგი დაიბად აჭეკა-ქუხილის დღეს — მაშინ ფრთხილად იყავით!

ვირთხა — ეს წელიწადი სასარგებლოა ვირთხისთვის. იგი კარგ საქმეებს მოჰკიდებს ხელს და დამშვიდებული იქნება.

ხარი — ფუფუნებითა და ბრწყინვალებით დამშვიდებული, იფიქრებს, რომ დაუბრუნდა სასიამოვნო დღეები, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა... დაე, მან იმუშაოს.

ვეფხვი — ეს წელიწადი მისთვის დაძაბული იქნება. დრაკონის წელიწადში არის ელვარება. მას უყვარს იგი.

კატა — კმაყოფილებით დაუწყებს თვალისდევნებას ყოველგვარ მღელვარებას. იგი შინ დარჩება და საქმეებით იქნება დაკავებული.

დრაკონი — ბედნიერია, როგორც თევზი წყალში... ეს მისი წარმატებების წელია!

გველი — სიბრძნე აკავებს მას მოუსვენრობისაგან ამ ფაცაფუცის ჟამს. ყველაფერი მშვიდადაა, ყველაფერი კარგია. ცხოვრება უღიმის მას.

ცხენი — ეს წელიწადი მას ცუდს არას უქადის. უყვარს აღლუმები. სავსებით დაკმაყოფილებული იქნება.

თხა — ყველა ამ ბრწყინვალებით ყოველი მხრიდან ცოტ-ცოტას ისარგებლებს და თავს არცთუ ცუდად იგრძნობს.

მაიმუნი — როგორ ერთობა! მას მთავარი როლი დაეკისრება. დრაკონს სჭირდება იგი.

მამალი — მას შეუძლია უხვი თავაზიანობა გამოიჩინოს. ეს წელიწადი მისთვისაა. დაე დაქორწინდეს.

ძაღლი — ყოველივე ეს გამოიწვევს სასოწარკვეთილებას და უსარგებლო მოეჩვენება. დაე იგი განზე დადგეს.

ღორი — დარწმუნებულია იმაში, რომ შეუძლია იცხოვროს სადად და უბრალოდ. ღორი იპოვის თავშესაფარს თავის მეგობრებთან.

ფუფუნება აბეჩავებს. მას კარგი საკვები ექნება.

გველის წელი

განვრიტეთ, იფუფუნეთ, იარშიყეთ... ამ წელს ყველაზე ხშირია ცოლქმრული ღალატი. ისარგებლეთ ამით... სასამართლოს აღმასრულებლები სრულ მარცხს განიცდიან. დიდი პოლიტიკური სიბრძნე. შეიძლება გადაწყვეტილება მოუძებნოთ ყველა პრობლემას. ეს წელი ნაყოფიერი იქნება დიდი აღმოჩენებით, მოაზროვნეთა და ფილოსოფოსებისათვის. მათ ნათქვამს წონა აქვს და მხარში უდგანან კიდეც. თუ თქვენი შვილი გველად დაიბადა, რაც უფრო ცხელი დღე იდგა მის დაბადებაზე, მით უფრო ბედნიერი იქნება იგი.

ვირთხა — მისი საქმეები წინ ვერ წაიწევენ. დაე ისარგებლონ ამ წლით და წერონ.

ხარი — მას შეიძლება ცოლქმრული და ოჯახური პრობლემები წარმოექმნეს. ფრთხილად იყოს ძალადობის მიმართ! ნუ იქორწინებს.

ვეფხვი — უფრთხილდეს უსაქმურობას, აუცილებლად გაეშუროს სამოგზაუროდ.

კატა — კარგი წელია. ფიქრი, ფილოსოფოსობა, თხზვა... ცოლქმრული მერყეობა მის გულს არ ეკარება.

დრაკონი — ყველაფერი კარგისკენ მიდის. იგი ელვარებს ყველანაირი ცეცხლის ალით გველის მშვიდი მზერის ქვეშ.

გველი — ეს მისი წელიწადია! სურვილისამებრ იმოქმედოს, რადგან არავითარი ხიფათი არ ელის. შესანიშნავი სასიყვარულო თავგადასავლები ექნება.

ცხენი — კიდევ ერთხელ შეუძლია სიყვარულისთვის ყველაფერი მიატოვოს. მაგრამ არ ექნება გამართლება, რადგან გველის სიყვარულის წელიწადი ხანგრძლივი არ გახლავთ.

თხა — იგი გაერთობა და დაინტერესებული იქნება მრავალი საგნით... ასევე მრავალრიცხოვანი ჭორებით.

მაიმუნი — მუდამ იპოვის თავის ადგილს. იმდენად სასარგებლოა, ეს კარიერისტი თითქმის საჭიროც კი ხდება.

შამალი — იგი დაინტერესებული იქნება. შესაძლებელია, მასაც წამოეჭრეს ოჯახური პრობლემა.

ძაღლი — იგი ერთი იმათგანია, ვინც მოაზროვნეებით, ფილოსოფოსებით და ალმოჩენებით იქნება გატაცებული... ეს წელიწადი მას ბედნიერებას ვერ მოუტანს.

ლორი — ბედნიერია ფულის მხრივ, უბედური — სიყვარულში... გველის წელი ჩვეულებრივ მას უფრო მეტ მღელვარებას მოუტანს, ვიდრე გრძნობებში სიხარულს.

ცხენის წელი

სამუშაო ყველასთვის არის!.. იფიქრეთ თქვენს თავზე. ჩაებით პოლიტიკაში, სპორტში, მონაწილეობა მიიღეთ კრებებში, მიტინგებში. რაც არ უნდა მოხდეს, დიპლომატია იზეიმებს. კულისებს მიღმა პოლიტიკა, მღელვარება, შესაძლებელი გადადგომები, სკანდალები... მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდება. წარმოდგენებისათვის ნაყოფიერი წელიწადია. ცხენისთვის უკეთესია, თუ იგი ზამთარშია დაბადებული.

ვირთხა — ვირთხისათვის ყოველმხრივ კატასტროფების წელიწადია. იგი ვალებში ჩაეფლობა

ხარი — ყველაფერი კარგად მოუგვარდება. შრომა მოგებას მისცემს. დაე ისარგებლოს ამ წლით.

ვეფხვი — აუცილებლად რაღაც გზას უნდა ეწიოს. საჭიროა, რომ რაიმე საქმით იყოს დაკავებული. ხიფათი არ ელის.

კატა	— ეს წელიწადი, საერთოდ, მშვიდი იქნება მისთვის.
დრაკონი	— იგი ისარგებლებს შემთხვევით, რათა დაწინაურდეს.
გველი	— ფრთხილად, სასიყვარულო უსიამოვნებები ელის. ეს წელიწადი ძალზე მღელვარე იქნება მისთვის და მთელი სიბრძნის მოკრება დასჭირდება ყოველივე ამის დასაძლევად.
ცხენი	—სხვა ნიშნების საწინააღმდეგოდ, ეს ცხენისთვის არასასიკეთო წელიწადია. რაც შეეხება ცეცხლოვანი ცხენის წელს, იგი შეიძლება ტრაგიკულიც აღმოჩნდეს.
თხა	— კარგი წელიწადია. ყველა მას ართობს, ყველაფერი მოსწონს და უხდება.
მაიმუნი	— თუმცა არ უყვარს წარდგენები, მაგრამ შეუძლია სარგებლიანი სამსახურის შოვნა.
მამალი	— ყველაფერი რიგზეა. ეს უსიამოვნებები — პერიპეტიები მანამ ართობს, სანამ პირადად მის ინტერესებს არ შეეხება.
ძაღლი	— გაღიზიანებულია... მას უნდოდა მოვლენათა ეპიცენტრში ეტრიალა, მაგრამ წარმატებისა დიდად არა სწამს.
ღორი	— მას თავი წესრიგში მოჰყავს. გრძნობების მხრივ უსიამოვნებები გრძელდება. უნაყოფო პერიოდი დაუდგება.

თხის წელი

ამ წელს შეიძლება იყოთ ახირებულნი, გაემგზავრეთ სოფელში, თავი მოუყარეთ მეგობრებს. პოლიტიკური და ფინანსური საქმეები შეიძლება თითქმის კატასტროფამდე მივიდეს... მაგრამ ყველაფერი მოგვარდება და მდგომარეობა თანდათან გამოსწორდება მიუხედავად იმისა, რომ კეთილგონიერება და კომპეტენტურობა ზოგჯერ მოიკოვლებს. ეს წელი სასურველია ძირითადად არტისტებისათვის, კერძოდ — კო-

მედიური ჟანრის მსახიობებისათვის. ბედი ძირითადად დარში დაბადებული თხებისთვის იქნება მწყალობელი.

ბირთხა — იგი ისევ ადის სიმაღლეზე ლა წარმატებით შეუძლია თავი გასწიროს ხელოვნებისთვის.

ხარი — ცუდი წელიწადია. იგი მღელვარე და მოქუფრული იქნება.

ვეფხვი — დაე. იგი კვლავ გაეშუროს მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ. ეს მისი მცირედი შანსია.

კატა — თხის წელიწადის პატარ-პატარა უსიამოვნებები არ ემუქრება მის სიმშვიდეს, იგი ბედნიერი იქნება.

დრაკონი — დასვენების წელიწადია. უმჯობესია თუ თავს შორს დაიჭერს ყველა ამ არაკომპეტენტურობისაგან.

გველი — მისი სიბრძნე გაჭირვებით გადაიტანს ამ უგუნურებას... თავდავიწყების ძებნაში იქნება და ხეტიალს დაიწყებს გარყვნილთა და ავაზაკთა ბუნაგებში...

ცხენი — იგი წინააღმდეგობას გაუწევს, მაგრამ ყველაფერი მშვენივრად წარიმართება!

თხა — ყველაფერი შესანიშნავია. იგი ყურადღებას იპყრობს, გრძნობს, რომ ბრწყინვალე მომავალი არ ექნება. დაე ისარგებლოს ამ წლით.

მაიმუნი — ინტრიგებს დაიწყებს, ორმაგ თამაშს ითამაშებს და ძალზე გაერთობა...

მამალი — „შემაჯანჯღარეთ, გამომაღვიძეთ!" ამ მდგომარეობაში ყოფნა მას შეუძლებლად მიაჩნია. იგი უამრავ საქმეს იჩენს.

ძაღლი — გაღიზიანებული სასოწარკვეთილებას მიეცა. მას მარტოობა ელის და რისკს სწევს, თავისი დღეები ასე ეულად გაატაროს, თუკი ხანდაზმულია.

ღორი — იმედებითაა სავსე. ყოველივე ეს უმნიშვნელო რამედ ეჩვენება. ფინანსების მხრივ ყველაფერი რიგზეა, ხოლო გრძნობები თანდათან უუარესდება.

ეს წელი შეიძლება სავსე იყოს მოულოდნელობებით. შეიძლება რისკზე წასვლა. ყველაფერი ხელეწიფება. მაიმუნს შეუძლია დროზე შეჩერდეს... ნუ ეცდებით საქმეებში გაბმას... ეს წლები დამახასიათებელია რისკით სავსე ოინებით, უხეში ხუმრობებით. ყველაფერი შეიძლება რომ მოხდეს... ცვლილებები პოლიტიკაში, რევოლუციაში, ბუნტი, ბარიკადები... მაიმუნი ერთობა. ირგვლივ უწესრიგობა და ანარქიაა და არავინ არის მოწყენილი. ეს წლები კეთილნაყოფიერია ახალი იდეებისათვის, გამოიყენეთ იგი. მაიმუნისთვის ყველაზე კარგია, თუ დაიბადება ზაფხულში.

ვირთხა — ყოველგვარი უსაქციელობა ართობს მას. ჩვენი ვირთხა საბოლოდ აღიდგენს წონასწორობას და პოულობს ბედნიერებას. თუ ყოველგვარ ღონეს იხმარს, ნაყოფსაც მოიმკის.

ხარი — ძალიან ცუდი წელიწადია. მას შიში გაუჯდება და საფრთხის მოლოდინშია. სძულს გაუთვალისწინებლობა.

ვეფხვი — დაიჯერებს, რომ დადგა დრო და თავის ძალებს ახალი იდეების წარმატებებისათვის წარმართავს. მაგრამ მაიმუნს ჩუმჩუმად ეცინება.

კატა — იგი დიდად არ აღელდება. მაიმუნს ისე იღებენ, როგორიც არის. მოიცდის, სანამ ყველაფერი მოგვარდება.

დრაკონი — წინ მიიწევს. ცუდუბრალოა მისი შეცოდება... მას არ უყვარს, როდესაც რაიმეს ასწავლიან ანდა დასცინიან.

გველი — მისი გონება დაძაბულია. იგი სკეპტიკურად იცინის... მაგრამ უნარი აქვს მონაწილეობა მიიღოს მოვლენებში, რათა ყოველივე აღიქვას... იგი ცნობისმოყვარეა...

ცხენი — ყველაფერი ეს ძალიან საინტერესოა. საერთოდ კი... შეიძლება პოლიტიკას კეთილგო-

ნივრულად მისდიოს და ამით გაიმაგროს ზურგი.

თხა — მას აღარავინ აქცევს ყურადღებას, გარდა იმ მომენტებისა, როდესაც ყველა თავს იყრის შინ. იგი მონაწილეობს თამაშში.

მაიმუნი — იგი ზეიმობს თითსაც არ დაისველებს.. თუ გარეშე თვალით შეხედავთ, შეამჩნევთ, როგორ ართობს მას ეს ფაციფუცი.

მამალი — აგრესიულია და სურს წესრიგი დაამყაროს. არაფრისმთქმელ სიტყვებს იშველიებს და მორალზე ქადაგებს. მამაცია, უნარი აქვს თავგანწირვისა.

ძაღლი — ვეფხვივით ძაღლსაც სჯერა, რომ ეს ამბავი მოხდა. სწრაფად მოქმედებს. მართალია მას სახელი გაუტყდება, მაგრამ... მზად არის თავიდან დაიწყოს ყველაფერი.

ღორი — იგი ენთუზიაზმით გააკეთებს იმას, რაც სწამს. მისი პირადი თუ ნებისმიერი საქმეები მოგვარდება და ჩვეული ხალისიანობა დაუბრუნდება.

მამლის ნელი

მკაცრი წელიწადია... ყველამ ბევრი უნდა იმუშაოს, რათა ცხოვრება უზრუნველყოს. რისკი და უმუშევრობაა. ფულს არავინ გადმოგიგდებთ ზეციდან, ხელს თუ არ გაანძრევთ... მამალს არ უყვარს უწესრიგობა. რეაქცია მძვინვარებს, წესრიგისათვის ყველგან სამხედრო რეფორმები ტარდება. ეს წელიწადი კეთილნაყოფიერია სამხედრო კარიერისათვის. ყველაზე კარგი დროა, რომ ითხოვოთ საპატიო ლეგიონის ორდენი. გაზაფხულზე შობილი თქვენი პატარა მამალი ნაკლებ-აგრესიული იქნება.

ვირთხა — მისთვის ყველაფერი კარგად მოგვარდება. გარდატეხები, რომლებიც საზოგადოებაში

მიმდინარეობს, ნაკლებად აინტერესებს, იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ იდარდიმანდოს.

ხარი — უჰ! შეიძლება დამშვიდდეს... მას დამაჯერებლობა დაუბრუნდა, იგი შემდეგში კვლავ შეუდგება შრომას.

ვეფხვი — იმედგაცრუებული და უბედურია. ეს წელი მისთვის ნამდვილი ამბოხის წელია. ბრძოლას აგრძელებს.

კატა — ყოველივე ეს ცოტათი აღიზიანებს, ვინაიდან მას მამალი და აღლუმები სასაცილოდ ეჩვენება. ანტიიმპერიალისტი კატა ცუდად გადაიტანს ამ წელს.

ტრაკოში — როგორც ყოველთვის, შემთხვევას იპოვის და თავს გამოაბრწყინებს. მაგრამ გონება ურჩევს, თავი შეიკავოს მოქმედებისგან.

გველი — მკაცრი წელია. იგი ზარმაცია და დიდი ნებისყოფაა საჭირო, რომ თავი გაიტანოს. ხშირად იქნება სასოწარკვეთილი.

ცხენი — ზურგი გამაგრებული აქვს... გაბედულად შეუძლია მუშაობას მოჰკიდოს ხელი. ყველაფერი კარგადაა მოგვარებული.

თხა — უარს ამბობს მუშაობაზე. ამ წელიწადში ისე იცხოვრებს, როგორც ბოჰემა. დაე ეს, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს.

ზაიმუში — მისი წელიწადი დასრულდა! გარემომცველნი აღარ აინტერესებს, თუმცა მამალი ძალებს არ იშურებს.

მამალი — რა კარგი წელიწადია პერსპექტივაში... მამალმა ყველაფერი დროშებით ააკრელა. მაგრამ, რა გაეწყობა, აუცილებელია შრომა, რათა თავი გაიტანოს, მკაცრი წელიწადია. საბედნიეროდ, წესრიგია გამეფებული...

ძაღლი — გულგატეხილია, ვეფხვივით ისიც მალულად განაგრძობს ბრძოლას. ეს წელიწადი მძიმე იქნება.

ლორი — შრომა ბევრ წარმატებას მოუტანს ლორს. ყოველივე კარგისკენ მიდის. სიცოცხლე მშვენიერია....

ძაღლის წელი

თქვენ შეშფოთებული იქნებით თქვენი მომავლის გამო. პესიმისტურად ხართ განწყობილი და ფხიზლობთ, მაგრამ კეთილი ნებით განიმსჭვალებით და დიდსულოვნებაც არ დაგტოვებთ. ეს წელიწადი კეთილნაყოფიერია რადიკალური ცვლილებებისათვის, დიდი საქმეების განხორციელებისა და დიდსულოვანი აქტებისათვის. იგი კარგი იქნება ძაღლის შვილისთვის — კარგია თუ ღამით დაიბადა, — მთელი ღამე არ დასჭირდება დარაჯად დგომა.

ვირთხა — თუ იგი თავისი სიყვარულით არ იქნება დაკავებული და საკუთარ საქმეებს მიხედავს — ეს წელიწადი კარგი იქნება მისთვის.

ხარი — არა, იგი არ არის კმაყოფილი, კარგი არსაიდან ისმის... მომავალი მოქუფრული ჩანს და „ო, ეს თანამედროვე ახალგაზრდობა... კარგი იქნებოდა თუ მოვთოკავთ“.

ვაფხვი — მოუსვენრობს, მაგრამ არ არის ფხიანი, ძლიერ თავგამოდებულია, მას შეიძლება მიენდოთ, როცა დიად საქმეებს შეეჭიდებით.

კატა — არც იგია დამშვიდებული. წინასწარ იღებს სიფრთხილის ზომებს და ცოტ-ცოტა პოლიტიკასაც არ ივიწყებს.

დრაკონი — ყველაფრის გაკეთება შეუძლია. იგი მუდამ მზად არის სამოქმედოდ, მოხერხებულია, დიდსულოვანი, ბრწყინვალე, მაგრამ ეს წელიწადი მისთვის საეჭვოა.

გველი — ეს წელიწადი მისთვისაც შფოთიანია... მას არაფრის რწმენა არ გააჩნია, საკუთარი გრძნობებისაც კი. ისწრაფვის კი მისკენ,

თუმცა იმდენად ზარმაცია, რომ მოქმედება არ სურს.

თხა — ცუდი წელიწადია. თითოეული იმდენადაა საკუთარი თავით დაკავებული, რომ თხაზე ჭეშმარიტი ფიქრისათვის არა სცალიათ. იგი მიტოვებულად გრძნობს თავს.

მაიმუნი — იმდენად ჭკვიანი კი არის, რომ ნამდვილად არ იშფოთოს. იგი ბოლომდე მოიცდის... ფინანსურ ხელმოკლეობას განიცდის.

მამალი — დასრულდა აღლუმები... იგი განადგურებულია. ამ წელიწადში მას დიდი ფინანსური გაჭირვება ექნება.

ძაღლი — მას მოკრძალებული ტრიუმფი აქვს. არ აჯერა თოვლის ბაბუასი, მაგრამ ყოველი ძალისხმევა უმართლებს.

ღორი — ძალზე ეგოისტურია, რათა შეწუხდეს სხვის გამო. თავგამოდებით იმუშავებს საკუთარი კეთილდღეობისათვის.

ღორის წელი

ყველაფერი უკეთესობისაკენ მიდის. კარგი საქმეებია. ფულს უკან უბრუნებენ. შეიძლება დატკბეს სიცოცხლის სიკეთით. სიუხვეა! ზოგიერთი უსიამოვნება ადმინისტრაციული ხასიათისაა. ნაყოფიერი წელიწადია როგორც ფინანსისტებისთვის, ასევე ინტელიგენციისათვის. ღორის ნიშნით დაბადებული ბავშვი სასურველია არ დაიბადოს ჩინური ახალი წლის დადგომამდე. ვინც გასუქებაში დაეხმარა, შეიძლება დიდ დღესასწაულზე მათივე ლუკმა გახდეს.

ვირთხა — ყველაფერი კარგად მიდის. იგი ბედნიერად ცხოვრობს, მ.ძავლის გეგმებს ხახავს.

ხარი — შეიძლება წელიწადი უკეთესიც ყოფილიყო; ძალიან ბევრი საშუშაოა. იგი დიდი გაჭირვებით დაასრულებს მას.

ვიფხვი — მას კარგი საქმეები ელის... რისკის ფასად დივიდენდებს იღებს. დაე, ასე გააგრძელოს.

კატა — დამშვიდებული კრუტუნებს და ირგვლივ მეგობრებს იკრებს. მისი საქმეები წინ მიიწევს. თავს უშიშრად გრძნობს.

დრაკონი — იგი ბრწყინავს! რასაკვირველია, მას არასოდეს ჰქონია ფულის გაჭირვება, მაგრამ ამ წელიწადში განსაკუთრებით კარგად აეწყო საქმეები მისი მოხერხებულობის წყალობით.

გველი — კარგი არაფერია, მაგრამ იგი ურიგდება ამ მდგომარეობას და კეთილგონივრულად ელოდება საუკეთესო დღეების დადგომას.

ცხენი — ფული ექნება და შეძლებს შეიძინოს ის, რაზედაც დიდი ხანია ოცნებობს: მანქანა, ბინა...

თხა — სხვათა წარმატებები მას ბედნიერებას მოუტანს, რადგან უნარი აქვს ისარგებლოს ამით. კარგი იქნება, თუ სიფრთხილეს გამოიჩენს. მაგრამ იგი ამ სიტყვის მნიშვნელობის იგნორირებას ცდილობს.

მაიმუნი — დასრულდა წინა წლის უიღბლობა. კვლავ საქმეები ელის. იგი თავაწყვეტილი იყო.

მამალი — სამუშაო ბევრია! დიდ სიძნელეებს განიცდის ფინანსური სიმაღლეების დასაპყრობად. საკუთარი ინტერესის წინააღმდეგ, კონსერვატორი რჩება.

ძაღლი — მას ცოტაოდენი ფიქრი მოუწევს ამ წელიწადში თავისი და ასევე ოჯახის კეთილდღეობისათვის. ეს დროდადრო სასარგებლოც არის.

ღორი — ეს წელიწადი მისთვის სასარგებლოა. იგი ბედნიერი იქნება სიყვარულსა და საქმეებში. შეიძლება მიიღოს მემკვიდრეობა ანდა მოულოდნელად მსხვილი ფულიც.

მეგობრობა

ვირთხა

ვირთხა — დიახ, მაგრამ ისინი არც იმის სიამოვნებას მოიკლებენ, ერთმანეთს პატარ-პატარა სისაძაგლეები მოუმზადონ.

ხარი

ვირთხა — მათ ბევრი თემა არ ექნებათ სალაპარაკოდ.

ხარი — არა. კონფლიქტი აქვთ ხელისუფლებისათვის.

ვეფხვი

ვირთხა — არა. ვეფხვი — ენთუზიასტია, ვირთხა — მატერიალისტი.

ხარი — არა, ხარი არ არის რეკომენდებული ვეფხვისათვის.... ვერ აიტანს.

ვეფხვი — დიახ. ერთად შეუძლიათ მთელი მსოფლიო მოიარონ და რევოლუცია მოახდინონ, მაგრამ, დაე ერთად იცხოვრონ!

კატა

ვირთხა — არა. კატას თვალი მუდამ გაურბის ვირთხისკენ... მაგრამ, სიმართლეს თუ ვიტყვით, ძნელია ამას მეგობრული ეწოდოს.

ხარი — კარგი არისტოკრატული ურთიერთობები აქვს.

ვეფხვი — ისინი მთლად კარგად ვერ უგებენ ერთმანეთს: კატა ვეფხვს სერიოზულად არ უყურებს, ვეფხვს კი ასეთები არ უყვარს!

ქატა — ჭეშმარიტება. რამდენი დღე გაუტარებიათ ბუხართან საუბარში!

დრაკონი

ვირთხა — შესაძლებელია, ვინაიდან ისინი აფასებენ ერთმანეთს.

ხარი — არა! დრაკონი არ მოსწონს ხარს.

ვეფხვი — დიახ. ისინი უგებენ ერთურთს და საერთოდ, სასარგებლონი არიან ერთმანეთისათვის.

ქატა — ჰმ... დიახ, მაგრამ ესაა და ეს!..

დრაკონი — როცა ორ ფეიერვერკს ერთად მართავენ, ისინი არ აფასებენ ერთურთს.

გველი

ვირთხა — დიახ, ვინაიდან მათ ბევრი რამა აქვთ ერთმანეთისათვის სათქმელი. მეგობრობა ყბედობით...

ხარი — ისინი, საერთოდ, უგებენ ერთმანეთს, თუმცა სხვადასხვა ბუნების არიან.

ვეფხვი — არა! ყრუთა დიალოგია.

ქატა — დიახ. მათ ექნებათ ხანგრძლივი და მღელვარე საუბრები.

დრაკონი — დიახ. ისინი საერთოდ, კარგად უგებენ ერთმანეთს და ავსებენ კიდეც ერთურთს.

გველი — დიახ. ძალიან კარგად უგებენ ერთმანეთს... როგორც ორი ფილოსოფოსი.

ცხენი

ვირთხა — არა. ლაპარაკიც ზედმეტია. მათ არ ესმით ერთმანეთისა. განსხვავებული გემოვნება აქვთ, სხვადასხვა მორალი.

ხარი — მათ განსხვავებული გემოვნება აქვთ, სხვადასხვა მორალი.

ვეფხვი — ისინი უსასრულოდ ედავებიან ერთმანეთს, მაგრამ დიდი ლტოლვა აქვთ ერთურთისაკენ.

კატა — დიდებული არისტოკრატული ურთიერთობები აქვთ. შესაძლებელია მტკიცე მეგობრობა.

დრაკონი — არა. ცხენი — დიდი ინდივიდუალობით გამოირჩევა, ბევრის მოლოდინშია, მაგრამ ცოტას იძლევა. დრაკონი თვითონაც გასცემს და სხვებისგანაც ბევრის მოლოდინშია.

გველი — დიახ. ცხენის გააფთრება გველის სიბრძნეს ვერ შეეხება.

ცხენი — დიახ. ისინი ერთმანეთსაც პატივს სცემენ და თავ-თავის დამოუკიდებლობასაც.

თხა

ვირთხა — დიახ. მაგრამ ხანგრძლივი არ არის... აფეთქებებია მოსალოდნელი.

ხარი — ძლივს იტანენ ერთმანეთს.

ვეფხვი — გაუგებარია, რა უნდა აკეთონ ერთად. თხა პროექტს ადგენს, გეგმებს სახავს, ვეფხვი კი ახორციელებს.

კატა — დიახ. კატა აღფრთოვანებულია მისი მხატვრული გემოვნებით. თხის ეინიანობა არ-თობს.

დრაკონი — ო, დიახ! თხა ისეა ნასიამოვნები, რომ გამშვენიერდება. ხოლო, როცა მას სურს იყოს მშვენიერი...

გველი — შესაძლებელია... თუკი გველი ხელს უწყობს თხას.

ცხენი — დიახ. იგი საინტერესო სანახავია უფსკრულის პირას!

თხა — თხებს კარგი ურთიერთგაგება აქვთ. ისინი ერთმანეთის იმედზე არიან.

ვირთხა — დიახ. მაგრამ ერთთავად ვირთხის ინტერესებიდან გამომდინარეა.

ხარი — ხარს მოსწონს მაიმუნი, მაგრამ ეს უკანასკნელი სულ იმის სწრაფვაშია, დასცინოს მას.

ვეფხვი — მაიმუნის ხიბლი მათ ურთიერთობას საინტერესოს ხდის. მაგრამ ორთავესთვის სასარგებლოა, თუ ეს ურთიერთობები ძალიან არ გაღრმავდება.

კატა — კარგი მეგობრები და თანამონაწილენი არიან, მაგრამ უკეთესია, თუ გვერდს აუვლით.

დრაკონი — დიახ. მაიმუნი ყველაფერს იღონებს, რათა ეს ურთიერთობები არ გაღრმავდეს. ამასთან, როგორც უნდა, ისე ათამაშებს დრაკონს. იგი მაიმუნისთვის სასარგებლოა.

გველი — არისტოკრატიულ ურთიერთობებს სითბო აკლია.

ცხენი — არა. ცხენი არ ენდობა მაიმუნს... და საკუთარ სამართლიანად.

მამალი

ვირთხა — ცოტათი... მათ ზერელე სიმპათიები აქვთ ერთმანეთის მიმართ.

ხარი — ისინი შეიძლება შესანიშნავ მეგობრებად დარჩნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ვეფხვი — მათ არა აქვთ ლტოლვა ერთმანეთისაკენ.

კატა — არა. მამალი ძალიან ხმაურიანია და ქანცავს კატას.

დრაკონი — მათ სიმპათიები აქვთ ერთმანეთის მიმართ... ესაა და ეს!

გველი — დიახ. მათ ბევრი რამ აქვთ საერთო ერთმანეთისთვის.

ცხენი — სასიამოვნო არისტოკრატიული ურთიერთობები აქვთ... ჩაი, ბრიჯი, ცეკვის საღამოები.

თხა — შეუძლებელია. მამალს ათასგვარი პირობიფობა აქვს, იგი დასაყრდენს თხაში პოულობს.

მაიმუნი — მათ არაფერი აქვთ საერთო. დამთავრდება იმით, რომ მამალი იფეთქებს.

მამალი — ჩხუბი გარდუვალია! მეგობრობა შეუძლებელი!

ძ ა ღ ლ ი

ვირთხა — არა. ვირთხა მაღალ საფეხურს არ უმიზნებს... ძაღლისთვის.

ხარი — შეუძლებელია მათი მეგობრობის წარმოდგენა.

ვეფხვი — არ შეიძლება მათ მტკიცე მეგობრობა ჰქონდეთ.

კატა — დიახ, კატა კარგი ნდობით აღჭურვილი პირი იქნება ძაღლისთვის, მაშინაც კი, თუ კატა ეფექტურად ვერ დაუჭერს მხარს.

დრაკონი — არა, ძაღლი ძალზე რეალისტია, ეს კი ფარხმალს დააყრევინებს დრაკონს.

გველი — ძნელია... უმჯობესია არისტოკრატიული ურთიერთობის დამყარება.

ცხენი — ისინი ისაუბრებენ პოლიტიკაზე და თუ შეთანხმებას მიაღწევენ, მაშინ რატომაც არა?

თხა — არა! ისინი ვაი-ვაგლახით უძლებენ ერთმანეთს.

მაიმუნი — შეიძლება... ვინ იცის? მაგრამ მაიმუნს არ ახასიათებს ერთი ნახვით, თავქარიანად აღფრთოვანება.

მამალი — მათ შორის მშვიდობაც არის და... უფსკრულიც.

ძაღლი — ორი კარგი შეხუმრებული მეგობარი...

ვირთხა — ორ კეთილ მეგობარს სეირნობაც უყვარს ერთად და ხმაურიც. ვირთხის აგრესიულობა გამოხმაურებას ვერ პოვებს.

ხარი — დიახ... ერთი პირობით, თუ ძალიან ხშირად არ ნახავენ ერთმანეთს.

ვეფხვი — დიახ. მათ კარგად ესმით ერთმანეთისა, მაგრამ ღორმა სიფრთხილე და გონიერება უნდა გამოიჩინოს.

კატა — დიახ. ერთი პირობით, რომ საზოგადოებაში ერთად არ მოხვდნენ. ღორი აცბუნებს კატას თავისი ტრაბახით.

დრაკონი — კარგი დამოკიდებულება აქვთ, არავითარი პრობლემები, მაგრამ არც არავითარი აღტკინება ჩანს!

გველი — შესაძლოა, ასეც იყოს. შესაძლოა, არა... ცხოვრება გვიჩვენებს.

ცხენი — ღორი თავშეკავებული იქნება, მას ყოველგვარი საფუძველი აქვს ამისი.

თხა — დიახ. ღორი საუბარს გაუბამს თხას... ღორს ხომ ძალიან უყვარს ყველანი!

მაიმუნი — დიახ. ორი კარგი მეგობარია. მაიმუნი პატივს სცემს ღორს.

მამალი — ღორისთვის უკეთესი იქნება, თუ მამალს ახლოს არ მიუშვებს.

ძაღლი — დიახ. მათ ღრმად უყვართ ერთმანეთი და ერთგულნი არიან ერთურთისა. ღორი ააცილებს ძაღლს უსიამოვნებებს.

ღორი — ერთი და იგივე გემოვნებები აქვთ. ორი განუყრელი მეგობარია, რომლებიც ერთად გაერთობიან რაბლეს გმირთა მსგავსად...

საქმიანი ურთიერთობები

ქალი	მამაკაცი-ვირთხა
ვირთხა	— სად არის ძირითადი სამუშაო? ეს შეიძლება დასრულდეს მევახშის ფარდულით... რომელიც წარმატებით გაფურჩქვნის გზაზეა.
ხარი	— ხარი არ არის საქმიანი, მაგრამ კარგი სამსახური აქვს, ისეთი, სადაც მას მბრძანებლობა შეუძლია.
ვეფხვი	— საბედნიეროა როგორც ვეფხვის, ასევე ვირთხისთვის. რადგან უყვართ ხელგაშლილად ცხოვრება და საერთოდ ისინი პატიოსნები არიან, თორემ შეიძლება საქმე სხვაგვარად დატრიალებულიყო.
კატა	— კატა თავს დაიძვრენს საქმიანობისას... განსაკუთრებით კარგია ვირთხისთვის.
დრაკონი	— შესანიშნავი ასოციაციაა, მხოლოდ ერთი პირობით, თუ საქმეებს დრაკონი წარმართავს.
გველი	— საინტერესოა შორიდან თვალთვალი, რა გამოვა აქედან...
ცხენი	— თანხმობით ცხოვრება შეუძლებელია. ისიხი ყველაფერს იღონებენ, რათა უმტრონ ერთმანეთს.
თხა	— თხას შეუძლია თავისი გემოვნება ვირთხასაც მოახვიოს თავს. მაგრამ შეუძლია კია უხელმძღვანელოს?
მაიმუნი	— დიახ, მაგრამ დაე ვირთხა გაფრთხილდეს და ბრმად ნუ გააღმერთებს მაიმუნს.
მამალი	— ყაჩაღანაა! მათ ცუდად წაუვათ საქმეები.
ძაღლი	— ძაღლი გულგადაკლული იდეალისტია, ვირთხა კი ძალიან ანგარებიანი.
ღორი	— ვირთხა შეეცდება მოატყუოს ღორი, მაგრამ ღორი... ღორი იღბლიანია ფულში.

ხარი — კარგი იქნებოდა ფერმა რომ შეეძინათ.
ვეფხვი — არა. ხარი შეეცდება გაანადგუროს ვეფხვი. კატასტროფული ასოციაციაა.
კატა — საწყალი ხარი... კატა ბოროტად გამოიყენებს თავის მოხერხებას, მაგრამ დაე ხარი გაფრთხილდეს.
დრაკონი — ვინ იბრძანებლებს? ხარი შეიძლება რეგვენი ეჩვენოს ჩვენს სენიორს!
გველი — მათ თავი უნდა შეიკავონ.
ცხენი — უკიდურეს შემთხვევაში. რა შრომისმოყვარენი არიან ორივენი! ცხენი ისეთივე პატიოსანია, როგორც ხარი, თუმცა უფრო მოხერხებული.
ფხა — ლაპარაკიც კი ზედმეტია.
მაიმუნი — არა! ხარს გაუჭირდება, ვინაიდან უყვარს. მაიმუნი.
ბამალი — სამუშაო დიდია, შემოსავალი კი პატარა... და კიდევ, ხარი არად აგდებს მამლის დამსახურებას. ზარმაცად თვლის მამალს.
ძაღლი — მათ არ შეუძლიათ განსაზღვრონ საერთო იდეები.
დორი — ღორს ბევრი თვისება აქვს, რომელიც ხარისთვის სასარგებლოა. ხარი აფასებს მის ეფექტურობას შრომაში.

მამაკაცი-ვეფხვი

ვეფხვი — არ არის რეკომენდებული. ძალიან დიდი რისკია. მით უფრო, რომ მათ არა აქვთ ასოციაციის უნარი!
კატა — შესაძლებელია. კატა შეიძლება ვეფხვს გამოადგეს და ისინი ავსებენ ერთურთს: ერთი ფრთხილია, მეორე თავხედი.

დრაკონი	— ორი ძლიერი ადამიანის მარჯვე ასოციაციაა. დრაკონი იფიქრებს ორივეს ნაცვლად.
ცხენი	— დიახ! რთულიც იქნება, უხეშიც, მაგრამ კეთილად დასრულდება.
თხა	— ვეფხვი თხას მიუკერძოებლად აფასებს და შემწყნარებლობასაც იჩენს. მაგრამ თხას ხშირად პანიკა მოიცავს ხოლმე ვეფხვის წინაშე.
მაიმუნი	— დაე ვეფხვი ფრთხილად მოეკიდოს მაიმუნის ცბიერებას, მაიმუნი კი ვეფხვის ძალას.
მამალი	— სულაც არა. ვეფხვი მას არ შეეფერება. ამასთან მას სწრაფად გამოეცლება ქანცი.
ძაღლი	— მათ შეუძლიათ ერთად წამოიწყონ ნებისმიერი საქმე, მხოლოდ კომერციას ნუ მოჰკიდებენ ხელს.
ღორი	— ვეფხვი იმდენად დიდსულოვანია, რომ ბევრჯერ ვერცა გრძნობს, რომ გამუდმებით საფრთხეს უქმნის ღორს.

ქალი — მამაკაცი-კატა

კატა	— დიახ, ადვოკატის, ნოტარიუსის საქმეა. საანტიკვარო დუქანი.
დრაკონი	— დიახ. კატა ნებას მისცემს დრაკონს, რომ გადაწყვეტილება მიიღოს, თვითონ კი კარგი მრჩეველი იქნება.
გველი	— დიახ. ისინი კარგად მოაგვარებენ საქმეებს. მაგრამ ერთი პირობით, თუ იმუშავებენ.
ცხენი	— ეს სპორტული სანახაობა იქნება! კატა ეშმაკია, მაგრამ ცხენს მშვენივრად შეუძლია თავის დაცვა; მერე რა არისტოკრატიული დამოკიდებულებები აქვთ!..
თხა	— კატა გემოვნებიანია და არჩევანის უნარიც შესწევს. მას შეუძლია თხა ეფექტურად წარმოგვიდგინოს. კარგი ასოციაცია იქმნება.

მაიმუნი	— უნაყოფო თამაშია! თითოეულ მათგანს შეუძლია მშვენივრად გაუმკლავდეს მეორეს... ესაა და ეს!
მამალი	— დაე მამალი ფრთხილად იყოს, თუ კატა დაუპირებს მასთან საქმის დაჭერას.
ძაღლი	— კატა სასარგებლო იქნება თავისი მოხერხებულობითა და უშფოთველობით. ძაღლი კატისთვის — თავისი ერთგულებით და რეალიზმით.
ღორი	— დიახ. კატა მარჯვეა, ღორი კი იღბლიანი. მათ შეუძლიათ ქონების დაგროვება.

ქალი — მამაკაცი-დრაკონი

დრაკონი	— პრესტიჟის საქმეა, არ ვურჩევთ.
გველი	— შესაძლებელია, მაგრამ დრაკონს მუშაობა უყვარს, გველი კი არაფერს აკეთებს. ეს შეიძლება ცუდად დამთავრდეს.
ცხენი	— საქმისთვის შეიძლება, მაგრამ დიდხანს არ უნდა გასტანოს.
თხა	— თხა შეიძლება ფასდაუდებელი აღმოჩნდეს ხელოვნების რომელიმე დარგში. დრაკონთან ასოციაციაში კი იმპრესარიოდ ან რეჟისორად გამოდგება.
მაიმუნი	— ძალიან კარგია. ცბიერება და სიძლიერე. ნუ დაშორდებიან ერთმანეთს.
მამალი	— თუ დრაკონი მამალს ხელმძღვანელობს, საზოგადოებრივი ურთიერთობებისთვის კარგია.
ძაღლი	— არა. ძაღლი წარმოაჩენს დრაკონს ისეთს, როგორიცაა იგი სინამდვილეში. დრაკონს კი ეს არ უყვარს.
ღორი	— წარმატება გარანტირებულია. განსაკუთრებით მაშინ, თუ ღორი შედარებით თავდაჭერილია.

ქალი — მამაკაცი-გველი

გველი — იმის გამო, რომ ისინი ორივენი მხოლოდ ფიქრობენ, მაგრამ არასოდეს მოქმედებენ, საქმე შეიძლება ცუდად დასრულდეს.

ცხენი — მათ შეუძლიათ ასოციაციაში შესვლა, გველი იფიქრებს, ცხენი კი იმუშავებს.

თხა — შესაძლებელია, გველი ბრძენია, მაგრამ რაკი ხელმძღვანელობის უნარი არ გააჩნია, თხა ათასგვარ სისულელეს ჩაიდენს.

მაიმუნი — პრობლემები ექნება გველს. მაიმუნში რაღაც არის ეშმაკისეული.

მამალი — ისინი ლაპარაკობენ... ლაპარაკობენ. შეიძლება ყბედობამ დაღუპოს.

ძაღლი — საბოლოოდ შესაძლებელია... მაგრამ არა მიმზიდველი.

ღორი — ღორს არ სჭირდება მისი სიბრძნე, გველი რისკსა სწევს და შეიძლება რაიმე დაუშავოს ღორს.

ქალი — მამაკაცი-ცხენი

ცხენი — თითოეული იმის ცდაშია, საბანი თავისკენ დაქაჩოს. იგი კი ერთია!

თხა — დიახ. თავისდაუნებურად თხა დიდ რისკსა სწევს, მაგრამ ცხენი საკმაოდ მარჯვეა.

მაიმუნი — ცხენი იმდენად ჩახედულია ყველაფერში, რომ უარს ამბობს მასთან საქმის დაჭერაზე.

მამალი — დიახ. მაგრამ მამალს ცხენის იმედი არა აქვს, ცხენი კი ვერ იტანს მის უმოქმედობას.

ძაღლი — რატომაც არა? დაე მათ ორივემ ერთად აკეთონ საქმეები, მაგრამ ასოციაციაში ნუ შევლენ.

ღორი — ისინი ვერ აღწევენ თანხმობას საქმეში. მათ სხვადასხვა იდეები აქვთ.

ქალი — მამაკაცი-თხა

თხა — მიზანშეწონილი არ არის. მაგრამ შესაძლებელია ექსპლუატაცია და ამასთან გაუგონარიც... „სხვისი საწარმოსი“.

მაიმუნი — თხა არაფერს კარგავს. მაიმუნმა კი მშვენივრად იცის თხის ნიჭიერების ამბავი, რათა იგი გამოიყენოს.

ძაღლი — არა. ძაღლი უფრო სერიოზული საქმეებით არის დაკავებული... ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობს.

მამალი — არა. თხა მამლისათვის უსარგებლო და თავმომაბეზრებელია... მამალი ვერ უგებს მას.

ღორი — ისინი სასარგებლონი არიან ერთმანეთისთვის და თხას შეუძლია დაეხმაროს ღორს.

ქალი — მამაკაცი-მაიმუნი

მაიმუნი — იმის გამო, რომ ორივენი ცბიერები არიან, მათ შეიძლება უსიამოვნებები ჰქონდეთ.

მამალი — საწყალი მამალი! ატყუებენ...

ძაღლი — სასიამოვნო არაფერია მათთვის. მაიმუნს ეშინია ძაღლისა, რომელიც თავს არ იტყუებს.

ღორი — მაიმუნი დაინტერესებულია, ასოციაციაში შევიდეს ღორთან ერთად, ღორმა ეს იცის და დიდსულოვნებასაც გამოიჩენს! ეს მის ინტერესებს შეესაბამება.

ქალი — მამაკაცი-მამალი

მამალი — პირდაპირ გაღატაკებისაკენ მიდის!

ძაღლი — არა. ისინი არც ერთ აზრს არ იზიარებენ. ეს კატასტროფა იქნებოდა.

დორი — ღორს არავითარი რწმენა არა აქვს მაძლის საქმიანი თვისებებისადმი და ამიტომ თავს შეიკავებს.

ქალი **მამაკაცი-ძაღლი**

ძაღლი — ისინი სრულიად უანგარონი არიან, რაც გალატაკებამდე მიიყვანს. მაგრამ განა ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მას?

ღორი — დიახ, მაგრამ ღორი „ყურებს“ ჩამოყრის, რადგან ძაღლი ფრიად დიდსულოვანია. ყველაფერს დასცინის.

ქალი **მამაკაცი-ღორი**

ღორი — შეუძლიათ ქონება დააგროვონ. ყოველ შემთხვევაში, ოლბალი ხელს უმართავს მათ.

ᲕᲝᲠᲝᲡᲙᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲯᲔᲠᲔᲑᲐ

ნიშნის სახელწოდება	სიყვარული, ქორწინება (გვ.)	წლები, რომლებიც ყოფილსასურველია ნიშნისობის (გვ.)	მეგობრობა (გვ.)	სიყმეები (გვ.)	პროსკოპთა შეჯერები (გვ.)
ვირთხა	183	195	212	218	225
ხარი	184	196	212	219	226
ვეფხვი	185	198	212	219	227
კატა	186	199	212	220	227
დრაკონი	187	200	213	221	228
გველი	188	202	213	222	229
ცხენი	189	203	213	222	230
თხა	190	204	214	223	231
მაიმუნი	191	206	215	223	232
მამალი	192	207	215	233	232
ძაღლი	193	209	216	224	233
ღორი	194	210	217	224	234

ᲕᲘᲠᲗᲮᲐ

თხის რქა — ძნელად დასაჭერი მკაცრი ვირთხაა.

მერწყული — ვირთხა ინტელექტუალურია, მწერლობის უდიდესი ნიჭითაა დაჯილდოებული.

თევზები — ვირთხას თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს. შეუძლია ყველაფერი ჩაიდინოს, მაგრამ უფრო მეტად — სიბრიყვე...

ვერძი — ვირთხა მიზანსწრაფული და აგრესიულია.

კურო — მომხიბლავია ვირთხა. კომპრომისი აქვთ „მიკი მაუსსა" და „ხარ ფერდინანდს"...

ტყუპები — საუკეთესოა ვირთხა შობილი ვირთხებისაგან. იგი ყველანაირი ხაფანგიდან დაიძვრენს თავს.

ყირჩხიბი — მეოცნებე ვირთხაა. თუმცა დროსტარება შეიძლება ძვირად დაუჯდეს.

ლომი — უცნაურია ვირთხა. თავისთავს ეწინააღმდეგება. ფრთხილად უნდა იყოს.

ქალწული — „ლაბორატორიის ვირთხაა". იპოვის ცხოვრების ლაბირინთიდან გამოსასვლელ გზას.

სასწორი — მომრიგებელი ვირთხაა. მისი აგრესიულობა ფრიად შერბილებულია.

ფრიანკალი — გესლიანია ვირთხა. ყველაფერს ანგრევს, რაც გზას ულობავს.

მშვილდოსანი — ენერგიული ვირთხა; დანაზოგის გაკეთებასაც კი შესძლებს.

ხარი

თხის რქა — სრულიადაც არ არის სასაცილო! მას ხუმრობისთვის არა სცალია!

ზერწყული — დახვეწილი ბუნების ხარია. მისი ძალაუფლება ნელ-ნელა მეღავნდება.

თევზები — შეშლილი ხარია. ფრთხილად უნდა ატრიალოთ ბერკეტები.

ვერძი — პატივმოყვარეა ხარი. უფრთხილდით რქებს!

კურო — წაზი ხარია. მაგრამ ხარი მაინც ხარია.

ტყუპები — არასერიოზული ხარია. საერთოდ — ძალიან ამტაცია.

ყირჩხიბი — ხარის ხასიათები შერბილებულია. შეიძლება ვერასრდეს ვერ გამოიყენოს თავისი შრომის წაყოფი.

ლომი — ეს არის ხარი-მეომარი. ყურადღება! შეუძლია გამოვიდეს ტრადიციული რუტინისაგან.

ქალწული — არასრულფასოვანი ხარია. უმჯობესია თავის ბაღს მიხედოს.

სასწორი — თანაზიარი ხარია. შეუძლია ინფორმაციის წყარო გახდეს.
ლრიანკალი — საშიში ხარია. ჯიუტი, უკმეხი და საშინელი.
მშვილდოსანი — ხარი დინჯია.

ვეფხვი

თხის რქა — კონებადამჯდარი ვეფხვია. შესაწიშნავად დაცლწევს თავს უსიამოვნებებს.
მერწყული — ეკვიანი ვეფხვია. შეაწონასწორებს ფიქრსა და მოქმედებას.
თევზები — ცოტათი შეშლილი ვეფხვია. სასაცილო, მაგრამ საშიში... განსაკუთრებით თავისი თავისთვის.
ვერძი — ვეფხვს მოჭარბებული რეაქცია აქვს. შეუძლია გადალახოს ბგერითი ბარიერი. უფრთხილდით!
კურო — დინჯი ვეფხვია. ათვისების გასსაკუთრებული უნარი აქვს, მეტისმეტად წესიერია.
ტყუპები — ვეფხვი წარმოუდგენელი საქმიანობისთვის არის. შეუძლია იქ წარმატებასაც მიაღწიოს.
კირჩხიბი — ვეფხვი ცეცხლთან ზის. ნაკლებაქტიური გახლავთ და დამჯდარი ცხოვრების მოსურნეა.
ლომი — იგი ისე უნდა მოიქცეს, როგორც ლომი. პრაქტიკულად ვეფხვია. მიზანს მიაღწევს.
სასწორი — მოშინაურებული ვეფხვია. სასიამოვნო კომპანიონი იქნება სავაჭრო საქმეებში.
ლრიანკალი — რთული ვეფხვია. მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.
მშვილდოსანი — ნაღდი ვეფხვია. ბევრ რამეს მიაღწევს, ძალიან ბევრს.

კატა

თხის რქა — კატა დარდიანია. შეუძლია იყოს ძალიან მკაცრი და ნაკლებად თანაზიარი.

მერწყული — ნიჟიერი კატაა. შეუძლია სასარგებლო მეგობრობა გასწიოს. მას მწერლობისთვის უნდა მიეყო ხელი.

თევზები — კატა-კატა-კატა. სამმაგი კატაა. ძალზე სასიამოვნოა საზოგადოებაში.

ვერძი — ველური კატაა.

კურო — ძალიან ნაზი კატაა. არასოდეს უშვებს ბრჭყალებს, კრუტუნებს ცეცხლთან...

ტყუპები — შინაური კატაა. კატებს შორის ყველაზე მშვიდია. რისკს გასწევს.

კირჩხიბი — დაჩოქილია კატა. უსაქმურობა სულაც არ აწუხებს. იგი მომხიბლავია, მაგრამ ოდნავ განებივრებული.

ლომი — ვეფხვივით კატაა, თუმცა საკმაოდ მშვიდი. მთელ ცხოვრებას ბრჭყალებმომარჯვებული გაივლის.

ქალწული — ბრძენი კატაა, მაგრამ უყვარს მოვლენების წინ გასწრება.

სასწორი — მელანქოლიური, ქალური სინაზით აღსავსე მომხიბვლელი კატაა. იგი მოწონებას იმსახურებს.

ღრიანკალი — ჯადოქარი კატაა. გეშინოდეთ ავი თვალისა... უფრთხილდით, არ გაითვალოთ.

მშვილდოსანი — განსაკუთრებული კატაა, ყველაზე საუკეთესო და ყველაზე დინჯი კატებს შორის.

დრაკონი

თხის რქა — მორიდებული დრაკონია. როგორც დრაკონი, არცთუ ისე თვალში მოსახვედრია.

მერწყული — დრაკონი წინასწარმეტყველია. როგორც ყველა დრაკონს, მიდრეკილება აქვს თვითკრიტიკისადმი.

თევზები — სუპერ-დრაკონია. დიდი სიბრძნე და დიდი ალმაფრენა შეუძლია და ბევრსაც მიაღწევს.

ვერძი — ზედრაკონია. გამარჯვებაში დარწმუნებული, თვალდახუჭული მიიწევს წინ.
ჭურო — დათაფლული დრაკონია, მშვიდი და მეოჯახე.
ტყუპები — მრავალფერი დრაკონია. ცეცხლს აფრქვევს.
ყირჩხიბი — ღრუბლებში დაფრინავს. ოცნების კოშკებს აგებს.
ლომი — ნაღდი დრაკონია. მხოლოდ სხვისი დაღლა შეუძლია.
ქალწული — ზუსტი დრაკონია. ერთადერთი იმ დრაკონებს შორის, რომლებიც ქიმერები არ არიან. მას შეიძლება, ენდოთ.
სასწორი — იმედგაცრუებული დრაკონია. ნუ ენდობით მას. მისი გარეგნობა მაცდუნებელია.
ლრიანკალი — მსუსხავი დრაკონია. ვინც ხელს შეახებს — დასუსხავს.
მშვილდოსანი— ფრიად წყნარი დრაკონია. ენდეთ მას, დრაკონის კვალობაზე ძალზე მშვიდია.

გველ

ხეის რქა — ფილოსოფოსი გველია. დიდი ჭკუა აქვს, მაგრამ ცოტა არ იყოს — აბსტრაქტულია.
მერწყული — ეზოთერული გველია, გულჩათხრობილი, საიდუმლოებით აღსავსე. მოჭარბებული აქვს ინტუიცია. მომავალი — განგებაზე და სპირიტიზმზეა...
თევზები — წყლის გველია, ძალიან გულგრილი და ცივსისხლიანი.
ვერძი — გველი-პითონია. უფრთხილდით ვერძის დარტყმას.
ჭურო — გველგვესლაა. იგი ერთგული იქნება, მაგრამ მის ხიბლს ვერ გაექცევით.
ტყუპები — მოძრავი, ყველაზე ცვალებადი გველია.
ყირჩხიბი — გველი მთვარეულია. თავს არ დაიქანცავს. საჭიროა მისი გამოფხიზლება.

ლომი — სათვალიანი გველია. ალმერთებს აქსესუა-
არებს და შეუძლია კიდევაც მათი მოხმა-
რება.

სასწორი — ძალიან თავაზიანი გველია, პატიოსანი რომ
იყოს. ერიდეთ ხელში არ ჩაუვარდეთ, შე-
იძლება მოგნუსხოთ.

ღრიანკალი — ავხორცი გველია. მუდამ იმის ცდაში იქნე-
ბა, რომ განხეთქილების ვაშლი ჩამოაგდოს
და გაეჭვიანოთ.

მშვილდოსანი— გაბედული გველია. იგი მიაღწევს თავის მიზ-
ნებს, მაგრამ არცთუ სასიამოვნო გზით.

ცხენი

თხის რქა — პასუხისმგებელი ცხენია. ყველაზე გამორჩე-
ული. მას პრობლემები ექნება.

მერწყული — საჯდომი ცხენია. კარგი იქნება, თავს ყურად-
ღება მიაქციოს.

თევზები — ჩაფიქრებული ცხენია. შემდგომში თავაწყ-
ვეტილი, კმაყოფილებას ჰპოვებს. ხშირად
იფიქრებს იმაზე, რისი გაკეთება შეეძლო.

ვერძი — ფიცხი ცხენია. თავაწყვეტილი, მრისხანე,
მაგრამ ხანდახან მიმდევარი თავის ფიქრებში.

კურო — ცხენი ფიაკრისათვის. ნაკლებად ეგოისტი.
დათმობებზე წავა.

ტყუპები — წმინდა სისხლის ულაყია. ერთ ადგილას არ
გაჩერდება. არასოდეს მიიყვანს დაწყებულ
საქმეს ბოლომდე.

კირჩხიბი — სამანეიო ცხენია. ძალზე მგრძნობიარე,
წრეში იტრიალებს. ისე არ იცხოვრებს, რო-
გორც სურს.

ლომი — კენტავრია. ყველაფერს იკისრებს. ყველა-
ფერი ხელეწიფება. მხოლოდ საკუთარ თავ-
ზე იფიქრებს.

ქალწული — ჩორთით მოსიარულე ცხენია. ეფექტურია, მაგრამ... სამწუხაროდ, ცვალებადი. მისმა პრაქტიკულობამ შეიძლება გადაარჩინოს იგი.

სასწორი — საცირკო ცხენია. თავზე სულთნით იცეკვებს, მაგრამ ისე მოიქცევა, როგორც მას მოსწონს.

ღრიანკალი — ველური ცხენია. ყველაზე ვნებააშლილი და გატაცების ჟინით გამორჩეული.

მშვილდოსანი— მუშა ცხენია. არასტაბილობის ზღვარს მიაღწევს.

თხა

თხის რქა — მოაზროვნე თხაა. საუკეთესოა. შეუძლია ყველაფერი აკეთოს ისე, რომ არ დაკარგოს ფანტაზიის უნარი.

მერწყული — მისტიკური თხაა. ნუ ენდობით მის დიდ გონიერებას, რომელიც თხის ჟინიანობას უწყობს ხელს.

თევზები — შთაგონებით სავსე თხაა. შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს ხელოვნების ნებისმიერ დარგში, მაგრამ ხშირად აუტანელია.

ვერძი — მებრძოლი თხაა.

კურო — მომხიბვლელი თხაა. უქმად ყოფნამ შეიძლება დაღუპოს იგი, თუ მეგობრები არ იზრუნებენ მასზე.

ტყუპები — კადნიერი ხასიათის თხაა. გრიგალისებრი, საჭიროა წინ აღვუდგეთ მის ოინებს.

კიბეჩხიბი — კეთილი ნების თხაა. კეთილი და კარგი.

ლომი — ამაყი თხაა. ძნელად თუ გაუგებ, ვინ ოდაწ ბევრია მასში ურთიერთსაპირისპირო.

ქალწული — უმნიშვნელო დახმარებას გასწევს.

სასწორი — ტრიუმფატორი თხაა. ფრთხილად იყავით, „რქები" არ დაგადგათ.

ღრიანკალი — ვნებიანი თხაა. ნიჭიერი და საოცრად ნაშიში. მახვილივით რქები აქვს.

მშვილდოსანი— გაბედული თხაა. შეიძლება სარგებლობაც მოიტანოს. თუ ნებისყოფა გეყოფათ, გამოიყენეთ საქმეში.

მაიმუნი

თხის რქა — სკრუპულოზური მაიმუნია, მაგრამ ყველაფერი შედარებითია.

მერწყული — თავშეკავებული მაიმუნია. მალავს თავის თამაშს.

თევზები — გამომგონებელი მაიმუნია. უტყუარი ალღო აქვს.

ვერძი — მძიმე ხასიათის მაიმუნია. უფრთხილდით გორილას...

კურო — უწყინარი მაიმუნია. მომხიბვლელი, მაგრამ უმწეო...

ტყუპები — ფიცხი მაიმუნია. ბაქიაა.

კირჩხიბი — კეთილი მაიმუნია.

ლომი — ფიცხი მაიმუნია. ვეფხვი მუჭში ჰყავს მომწყვდეული.

ქალწული — მუდამ ბეწვის ხიდზე გადის. იმის სურვილმა, მუდამ ყველას მოწონება დაიმსახუროს, შეიძლება დაღუპოს იგი. ყოველთვის მილტვის წონასწორობისკენ.

ღრიაწკალი — სულაც არ არის სკრუპულოზური მაიმუნი. ნამდვილი „ცბიერების გუდაა“.

მშვილდოსანი— მაიმუნი მოლოდინშია... დარჩით!

მამალი

თხის რქა — იშვიათი ფრინველია. გამოირჩევა განსაკუთრებული თვისებებით.

მერწყუდი — მხოლოდ იმას აკეთებს, რაც მას ეხება. უცნაური ტიპია.

თევზები	—	მამალი სამრეკლოზეა. მაღლა უმიზნებს. ქიმერული პროექტებით არის სავსე.
ვერძი	—	მებრძოლი მამალია, უსაზღვროდ აგრესიული. სულ აყალმაყალის ძებნაშია.
კურო	—	შედარებით მშვიდად იქნება.
ტყუპები	—	მაჩხუბარა მამალია. გამუდმებულ აქიოტაჟშია. იგი ამაზე არ შეჩერდება.
კირჩხიბი	—	გულახდილი მამალია. ხშირად ატყუებენ.
ლომი	—	გაბედული მამალია. სიცოცხლეს გასწირავს უანგაროდ — არა აქვს მნიშვნელობა ვისთვის და რისთვის.
ქალწული	—	სოფლის მამალია. მყარად დგას ფეხზე.
სასწორი	—	დამატკბობელი მამალია. შემრიგებლური, მშვიდი, ოდნავ დიპლომატიური.
ღრიანკალი	—	დახვეწილი მამალია. ყველაზე მოხდენილი.
მშვილდოსანი	—	გოლიცინის მამალია. უერთგულესი, ვიდრე თვით ბუნება.

ძაღლი

თხის რქა	—	ფრთხილი ძაღლია, შეიძლება ენდოთ, მაგრამ იგი მოუსვენარია.
მერწყული	—	ნასწავლი ძაღლია, თავის წრეში ინტელექტით გამორჩეული.
თევზები	—	ორიგინალური ძაღლია. ცურვის ტრფიალი გახლავთ.
ვერძი	—	მებრძოლი ძაღლია. ნისლში გააღწევს, თანაც ერთგული.
კურო	—	ერთგული ძაღლია. მაგრამ ნაკლებცინიკური და გამჭრიახი, ვიდრე დანარჩენები.
ტყუპები	—	სწავლული ძაღლია. ბრიყვი, მაგრამ გულკეთილი.
კირჩხიბი	—	მგრძნობიარე ძაღლია, თანაც სასტიკი თავმოყვარე.

ლომი — ბევრს ხმაურობს, ხევრსაც ყეფს, რითაც ბევრად აჭარბებს თავის მოწინააღმდეგეებს.

ქალწული — ეს ძაღლი ტექნიკურია. შემთხვევით მოვლენებს არ აყვება.

სასწორი — ძალზე რბილი ხასიათი აქვს. მცირედი დიპლომატიით.

ღრიანკალი — გაღატაკებული ძაღლია. ნუ დაუჯერებთ მის საბრძოლო შემართებას.

მშვილდოსანი — ენერგიული ძაღლია. არაფერი შეაჩერებს.

ღ ო რ ი

თხის რქა — ღორის კვალობაზე ძალიან მკაცრია.

მერწყული — ეფექტური ღორია. დინჯი. იგი წარმატებებს მიაღწევს.

თევზები — ალმაფრენის მქონე, მართლაც რომ ნამდვილი ღორია.

ცერძი — ღორის თავი აბია, მაგრამ ოქროს გული აქვს!

კურო — გულით გოჭია... მომხიბვლელი.

ტყუპები — შეშლილი ღორია. შორს წავა, თუ მისივე გოჭები არ შეჭამენ.

კირჩხიბი — დათაფლული ღორია. გაფრთხილდეს, არავინ შეჭამოს.

ლომი — მომხვეჭელი ღორია. არასოდეს აყვება გულისთქმას.

სასწორი — ორმაგად ღორია. დიდ მარაგს აკეთებს შავი დღისათვის — გაფუფუნებულია.

ღრიანკალი — მკაცრი ღორია... ღორისთვის. შეუძლია თავისი ღორობა გამოავლინოს.

მშვილდოსანი — ლოგიკური ღორია. მუდამ დაეკითხება თავის თავს: „ღორის ქონია თუ ღორის ხორცი?“

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჰოროსკოპი
დრუიდების 3
დასავლური 33
იაპონური 145
ჩინური . . 151
ჰოროსკოპთა შეჯერება 225

ყურადღება!

1868 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქციით გამოვიდა ყურნალ „საქართველოს მოამბის“ 12 ნომერი.

გაერთიანება საწც ფილიალი „ივერია“ იწყებს ხელმოწერას „საქართველოს მოამბის“ ფაქსიმილურ გამოცემაზე (ხუთ ტომად), სადაც შევა „ყურნალის“ თორმეტივე ნომერი.

1990 წლის III კვარტალში გამოვა 1 ტომი. ფასი 9 მან. 80 კაპ.

ხელმოწერის დაწყება გამოცხადდება ცენტრალურ პრესაში.

ჩვენი გაერთიანება ქართველ მკითხველს სთავაზობს სიახლეს. გათამაშდება ლატარია და ხელმოწერის ტალონის ბედნიერი ნომრის მფლობელს გარდა ხუთტომეულის შეძენის უფლებისა, საშუალება ეძლევა უსასყიდლოდ შეიძინოს „საქართველოს მოამბის“ ხუთივე ტომი.

მაშ ასე, ყურადღებით ადევნეთ თვალი ცენტრალურ პრესაში ხელმოწერის დაწყების თარიღს.

ყურადღება!

1989 წლის დეკემბერში შეიქმნა გაერთიანება „ახალგაზრდული წიგნის ცენტრის“ ფილიალი „ივერია“.

„ივერია“:

— ეს არის გამომცემლობა;

— ეს არის საფირმო წიგნის მაღაზიები;

— ეს არის სტამბა;

— ეს არის წიგნის პროპაგანდის კულტურული ცენტრი;

„ივერია“:

— ატარებს სამეცნიერო-პრაქტიკულ კვლევებს პოლიგრაფიაში, საგამომცემლო საქმეში, წიგნის ვაჭრობაში.

— ახორციელებს სარედაქციო-საგამომცემლო, საინფორმაციო, სარეკლამო და საშუამავლო საქმიანობას და მომსახურეობას.

მთარგმნელი მ. ქანთარია
რედაქტორი ნ. ხარჯველაძე
მხატვრები: ვ. მუჯირი, ს. მუჯირი
მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზ. გვიმრაძე
კორექტორი მ. ჯანიკაშვილი

გადაეცა წარმოებას 17.05.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.07.90.
საბეჭდი ქაღალდი № 84×108 1/32 გარნიტურა ვენა.
ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15.0. პირ. საღ.-გატ.
15.42. სააღრ.-საგამომც. თაბახი 10.0. ტირაჟი 100.000. შეკვ. № 346.
ფასი 5 მან.

გაერთიანება საწც ფილიალი „იბერია“,
მარჯანიშვილის ქ., 5.
თბილისი, 1990

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტ-ს
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати, Государственного комитета Грузинской
ССР по печати, г. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.